

თბილისის შრომის წითელი ღრუვის ორდენოსანი  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვ. ოშიაძე, ა. ქურდოვანიძე, ბ. მაზიაშვილი

## ვაჭრობის სტატისტიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო  
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ  
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თ ბ ი ს ი 1983

წიგნში განხილულია ვაქრობის სტატისტიკის საკითხები ამჟამად მოქმედი პროგრამის მიხედვით. მასში მოცემულია, აგრეთვე, სავაჭრო საწარმოთა საფინანსო საქმიანობის შედეგების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი. წიგნი დახმარებას გაუწევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებს, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს.

რედაქტორი გ. მაზიაშვილი  
რეცენზენტები: ქ. კობალეიშვილი  
გ. ჭულაუიძე

## წინასიტყვაობა

„ვაჭრობის სტატისტიკა“ წარმოადგენს სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად დარგს. ესაა ისეთი დარგობრივი სტატისტიკური დისციპლინა, რომელიც შედარებით ზუსტად ასახავს სოციალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

„ვაჭრობის სტატისტიკა“, როგორც თავისთავადი მეცნიერული დისციპლინა, ისწავლება სსრ კავშირის ყველა უმაღლეს ეკონომიკურ და ვაჭრობის სისტემის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა სრულიად ახალი ვაჭრობა, რომელსაც ერთიანი გეგმითა და ფასებით ახორციელებენ სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შესამჩნევად ამოღდა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურა, ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი წყარო გახდა სავაჭრო საწარმოთა წლიური და მიმდინარე ანგარიშგება. ფართოდ დაინერგა სტატისტიკური მასალის მექანიზებული დამუშავება ელექტრონულ-მანქანური ტექნიკის გამოყენებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სოციალისტურ საზოგადოებაში შეიქმნა ვაჭრობის სტატისტიკის ახალი კურსი, რომელიც თავისი შინაარსით, ამოცანებით, მაჩვენებლებით. კვლევის მეთოდებით ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების ვაჭრობის სტატისტიკისაგან.

სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი განვითარება, კომუნისმის მშენებლობის პროცესში წარმოშობილი ახალი აქტუალური ამოცანები არსებით გავლენას ახდენენ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამაზე სსრ კავშირში.

საკვ XXVI ყრილობის დადგენილებები, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები 1981—1985 წლებში, მოსახლეობის 1979 წლის საკავშირო აღწერა, სავაჭრო მომსახურების ახალი ფორმების ეფექტურობის სპეციალური გამოკვლევები, სავაჭრო საწარმოთა წლიური და მიმდინარე ანგარიშგების მაჩვენებელთა სრულყოფა, სამეურნეო ხელმძღვანელობის ახალი მეთოდების დანერგვა საბჭოთა ვაჭრობის წინაშე აყენებს ახალ პრობლე-

მებს, რომელთა გადაწყვეტამ თავისი ასახვა უნდა პოვოს სტატისტიკურ მუშაობაშიც.

საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკაში, ისევე როგორც სტატისტიკის სხვა დარგებში დღეს უფრო სრულყოფილი ხდება სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, უფრო მეტად ფართოვდება ანალიზური სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობისა და სავაჭრო საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებას, სავაჭრო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია „ვაჭრობის სტატისტიკაში“ ამჟამად მოქმედი პროგრამის მიხედვით. ცალკე თავად არის გამოყოფილი „მოსახლეობის მოთხოვნის სტატისტიკური შესწავლა“. საფუძვლიანად არის გაშუქებული ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა არსებული სისტემა, ამ მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი, მათი გაანგარიშების ეკონომიკურ-მათემატიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდები, სტატისტიკური მასალის დამუშავება-ანალიზის ძირითადი პრინციპები. ციფრობრივი მონაცემები ვაჭრობის განვითარების შესახებ მოყვანილია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პუბლიკაციათა მიხედვით. მაგალითები და ბალანსის სქემები ძირითადად ილუსტრირებულია პირობითი მონაცემებით.

დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორები არიან:

დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. მ. მაზიაშვილი — თავი VII; დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ა. ოშიაძე — თავები, II, VI, IX, X, XI; დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. გ. ქურდოვანიძე — თავები, I, III, IV, V, VIII, XII.

გ. მაზიაშვილი

**ვაჰროზის სტატისტიკის საბანი, მეთოდი და ამოცანები**

**§ 1. ვაჰროზის სტატისტიკის საბანი და მეთოდი**

სოციალისტური წარმოების მიზანს შეადგენს საზოგადოების წევრთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება. აღნიშნული მიზნის რეალიზაცია, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა არსებობის პირობებში, ბევრად არის დამოკიდებული სასაქონლო მიმოქცევის სფეროს ფუნქციონირებაზე, რომლის საშუალებითაც წარმოებული მატერიალური ღირებულებები დაიყვანება წარმოებიდან მომხმარებლამდე.

ჩვენს ქვეყანაში სასაქონლო მიმოქცევა მოიცავს წარმოების საშუალებების მიმოქცევას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებასა და სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციას.

წარმოების საშუალებების მიმოქცევა უზრუნველყოფს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების მომარაგებას წარმოების საშუალებებით. იგი ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო გეგმის მიხედვით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობები სახელმწიფო ორგანიზაციებზე ყიდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რომლებიც სახელმწიფო მრეწველობისათვის წარმოადგენს ნედლეულს (ბამბა, შაქრის ჭარხალი, სელი და ა. შ.) ან პროდუქტებს მოსახლეობაზე გასაყიდად (რძე, კვერციხი, კარტოფილი, ბოსტნეული და ა. შ.). მაშასადამე, სახელმწიფო საწარმოებს შორის, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს შორის საქონლის მიმოქცევა მოიცავს როგორც წარმოების საშუალებებს, ისე მოხმარების საგნებს. სასაქონლო მიმოქცევის ამ სფეროში მიმდინარე ეკონომიკურ ურთიერთობებსა და განვითარების კანონზომიერებებს შეისწავლის კონკრეტულ-ეკონომიკური მეცნიერება — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა, ხოლო მასობრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს — სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სტატისტიკა.

სასაქონლო მიმოქცევის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, აგრეთვე, ქვეყნის საშინაო ბაზარზე სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაცია, რომელიც ხორციელდება საბჭოთა ვაჭრობის მეშვეობით. მაშასადამე, საბჭოთა ვაჭრობის საგნის შინაარსში იგულისხმება არა ქვეყნის მიმოქცევის სფერო მთლიანად, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რაც დაკავშირებულია სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციასთან.

საბჭოთა ვაჭრობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგს. იგი არის სასაქონლო მიმოქცევის ერთ-ერთი ფორმა, რომლის მეშვეობითაც სახალხო მოხმარების საქონელი გეგმაზომიერად დაიყვანება წარმოებიდან მომხმარებლამდე ბაზრის მეშვეობით, ყიდვა-გაყიდვის გზით.

სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის სფეროში მიმდინარე ეკონომიკურ ურთიერთობებსა და განვითარების კანონზომიერებებს სწავლობს კონკრეტულ-ეკონომიკური მეცნიერება — ვაჭრობის ეკონომიკა, ხოლო მიმოქცევის აღნიშნულ სფეროში მიმდინარე მასობრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს — ვაჭრობის სტატისტიკა. მაშასადამე, ვაჭრობის სტატისტიკა არის სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, რომელიც იკვლევს სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის სფეროში მასობრივ მოვლენებსა და პროცესებს. მისი შესწავლის საგანია სასაქონლო მიმოქცევის ამ სფეროში მასობრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარე, მათ თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში.

სტატისტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია და ისტორიული მატერიალიზმი. ვაჭრობის სტატისტიკისათვის დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სტატისტიკის ზოგად თეორიასა და ვაჭრობის ეკონომიკას.

საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკა კვლევის პროცესში დიალექტიკურ მეთოდს იყენებს. მის მიერ დიალექტიკური მეთოდის გამოყენება გულისხმობს იმას, რომ იგი საგნებსა და მოვლენებს განიხილავს ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში. მაგალითად, მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების ზრდა აუცილებლობით იწვევს საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებას, სასაქონლო მიწოდების მნიშვნელოვანი გადიდება, მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების უცვლელობის პირობებში, — ზენორმატიული მარაგების წარმოშობას და სხვ. ვაჭრობის სტატისტიკა ეყრდნობა იმ დებულებას, რომ რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვება იწვევს თვისებრივ ცვლილებებში გადასვლას, არასასურსათო საქონლის რეალიზაციის წინგამსწრები ტემპებით განვითარება კი — სასურსათო და არასასურსათო საქონლის ბრუნვის თანაფარდობაში ცვლილებას. იზრდება არასასურსათო საქონლის წილი მთელს საქონელბრუნვაში. ეს კი თვისებრივად ცვლის

საქონელბრუნვისა და მოხმარების სტრუქტურას მათი გაუმჯობესების მიმართულებით.

ვაჭრობის სტატისტიკა კვლევის პროცესში იყენებს საკუთარ სტატისტიკურ მეთოდებსაც, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. სისტემატური მასობრივი დაკვირვება, რომლის საფუძველზეც ხდება პირველად სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვება;

2. დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემთა დაჯგუფება და თავმოყრა. დაჯგუფება არის სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი მეთოდი. ჩვეულებრივი გაგებით, სტატისტიკური დაჯგუფება არის პირველად მონაცემთაგან არსებითი ნიშნის საფუძველზე თვისებრივად ერთგვაროვანი, ერთობური ჯგუფების გამოყოფა. სტატისტიკური დაჯგუფება უბრალო ტექნიკური ოპერაცია არ არის. იგი ეკონომიკური კვლევის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია, რომელიც ემყარება შესასწავლი საგნის ბუნების თეორიულ-ეკონომიკურ, ე. ი. თვისებრივ ანალიზს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შესასწავლი საგნის, მოვლენის თვისებრივი თავისებურების დახასიათება და, აქედან გამომდინარე — დაჯგუფების ნიშნის შერჩევა;

3. დაჯგუფების ბაზაზე კრეფსითი განმარტავადებელი მაჩვენებლების — აბსოლუტური, საშუალო და შეფარდებითი სიდიდეების გამოანგარიშება;

4. დინამიკური მწკრივების შედგენა და ინდექსების გამოანგარიშება, რაც საშუალებას იძლევა შესასწავლი მოვლენა განვიხილოთ მის განვითარებაში;

5. განვითარების კანონზომიერებათა რაოდენობრივი გაზომვის კორელაციის მეთოდი;

6. გრაფიკული გამოსახულების მეთოდი და სხვ.

ვაჭრობის სტატისტიკის კვლევის ობიექტია საბჭოთა ვაჭრობა, რომელიც მოიცავს სამ ფორმას: სახელმწიფო, კოოპერაციულ და საკომერციულ ვაჭრობას.

სახელმწიფო ვაჭრობა წარმოადგენს იმ სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობას, რომელთა ძირითადი და საბრუნავი ფონდები სახელმწიფო საკუთრებაშია. ვაჭრობის აღნიშნული ფორმა ემსახურება ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობის მომარაგებას სახალხო მოხმარების საქონლით.

კოოპერაციული ვაჭრობა — იმ სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობაა, რომელთა ძირითადი და საბრუნავი ფონდები ჯგუფურ, კოლექტიურ საკუთრებაშია და ემსახურება სახალხო მოხმარების საქონლითა და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით სოფლის მოსახლეობის მომარაგებას.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა ქმნის ორგანიზებულ ბაზარს, რომელიც ვითარდება სახელმწიფო გეგმის მიხედვით.

საკოლმეურნეო ვაჭრობა არის კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და სოფლის სხვა მოსახლეობის (რომელთაც აქვთ პირადი დამხმარე მეურნეობა) ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ფასებით. საკოლმეურნეო ვაჭრობა წარმოადგენს არაორგანიზებულ ბაზარს.

საცალო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი უკავია სახელმწიფო ვაჭრობას. სსრ კავშირში საშუალოდ მის წილად მოდიოდა — 1965 წელს — 68,1%, 1970 წელს — 68,6%, 1975 წელს — 69,0%, ხოლო 1978 წელს მან შეადგინა 69,1%. ეს მაჩვენებლები საქართველოს მიხედვით იმავე წლებისათვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად: 63,5; 64,0; 64,6; 65,4.

კოოპერაციული ვაჭრობის წილად მოდიოდა სსრ კავშირში საშუალოდ 1969 წელს — 28,6%, 1970 წელს — 28,8%, 1975 წელს — 28,6%, 1978 წელს — 27,8%; საქართველოში კი სათანადოდ — 28,0, 30,9; 31,5 და 30,9.

საკოლმეურნეო ვაჭრობის წილად სსრ კავშირში 1965 წელს მოდიოდა — 3,5%, 1970 წელს — 2,6%, 1975 წელს — 2,4% და 1978 წელს — 2,5%. საქართველოს სსრ-ში სათანადოდ — 8,5; 5,1; 3,9; 3,7.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე მოძრაობის, როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოების მთლიანი პროცესის ორგანული ნაწილის, დახასიათებას იძლევა ვაჭრობის სტატისტიკის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა.

საქონელბრუნვა წარმოადგენს ვაჭრობის სტატისტიკის ძირითად მაჩვენებელს, რომლის მოცულობაც განსაზღვრავს ვაჭრობის სხვა დანარჩენ მაჩვენებლებს (სასაქონლო უზრუნველყოფა, ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შრომა და ხელფასი, მიმოქცევის ხარჯები და ა. შ.).

განასხვავებენ საბითუმო და საცალო საქონელბრუნვას. საბითუმო საქონელბრუნვა მიმოქცევის სფეროში საქონლის მოძრაობის საწყისი ეტაპია. საბითუმო გაყიდვის შედეგად საქონელი არ გადადის პირად მოხმარებაში, რჩება მიმოქცევის სფეროში შემდგომი გაყიდვის ან გადამუშავების მიზნით. იგი ხორციელდება უნაღოდ ანგარიშსწორების წესით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში გადარიცხვების შედეგად.

საცალო საქონელბრუნვა საქონლის მოძრაობის დასკვნითი, საბოლოო ეტაპია, რომლის შედეგადაც საქონელი ტოვებს მიმოქცევის სფეროს და გადადის მოხმარების სფეროში. იგი ხორციელდება ნაღდ ანგარიშზე და მცირე მოცულობით უნაღოდ ანგარიშსწორების გზით, წვირილ საბითუმო ვაჭრობის წესით.



ვაჭრობის სტატისტიკა საქონელბრუნვის ამ ორ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას ზღვარდებულს ხდის და სწავლობს მათ მოცულობას, სტრუქტურასა და დინამიკას.

! სასაქონლო მიმოქცევის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა რიცხვს, გარდა აღნიშნულისა, მიეკუთვნება საქონლის მარაგი. საქონლის მარაგი არის საქონლის ის მასა, რაც მოცემულ პერიოდში იმყოფება მიმოქცევის სფეროში. სხვანაირად, საქონელი მარაგის მდგომარეობაში იმყოფება დროის იმ მონაკვეთში, რაც გაივლის წარმოებიდან მომხმარებლამდე მისი დაყვანის პროცესში, ვაჭრობის სტატისტიკა სწავლობს სასაქონლო მარაგის მოცულობასა და სტრუქტურას, ვაჭრობის საბრუნავი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას, მის განლაგებას ვაჭრობის ცალკეული დარგებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

სასაქონლო მიმოქცევის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე: ფასების დონე, სხვადასხვა საქონლის მიხედვით ფასების თანაფარდობა, ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნება, მათი შრომის ნაყოფიერება, რენტაბელობის დონე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა. შ.

## § 2. ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანები

ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანები განსაზღვრულია იმ ზოგადი ამოცანებით, რომლებიც დასმულია საბჭოთა სტატისტიკის წინაშე. სახელდობრ, სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვება, მათი დაჯგუფება და თავმოყრა, ანალიზი და სარწმუნო მონაცემების წარდგენა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანოებისათვის, სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური მონაცემების პუბლიკაცია მშრომელთა ფართო მასებისათვის.

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე ვაჭრობის სტატისტიკა, როგორც საბჭოთა სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: პირველი — სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის სფეროში შეცნობადი ფუნქცია, რომელსაც ვაჭრობის სტატისტიკა ახორციელებს იმ განმაზოგადებელ მაჩვენებელთა შეფასებითა და ანალიზით, რომლებიც ახასიათებენ ვაჭრობის მდგომარეობას, ვაჭრობის სფეროში სახელმწიფო გეგმების შესრულებას, სახალხო მოხმარების ცალკეული საქონლის მიხედვით ფაქტიური მოხმარების დონეს; მეორე — ვაჭრობის სფეროში საკონტროლო-ორგანიზაციული ფუნქცია, რომლის შესრულებითაც ვაჭრობის სტატისტიკა გამოდის როგორც სახელმწიფო მართვის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

დასახული ამოცანებიდან და შესრულებული ფუნქციებიდან გამომდინარე, ვაჭრობის სტატისტიკის პროგრამა მოიცავს არა მარტო ვაჭრობის საგვემო მაჩვენებელთა სისტემას, არამედ იმ ძირითად მაჩვენებლებსაც, რომლებიც ზემოქმედებენ ვაჭრობის განვითარებაზე, ახასიათებენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას.

ვაჭრობის სტატისტიკის წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული სკკპ XXVI ყრილობის მიერ, რომელმაც მიიღო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. „მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა იმის საფუძველზე, რომ მყარად, შეუწყლებლად განვახორციელოთ სახალხო მეურნეობა, დაეაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ყოველი ღონისძიებით დავზოგოთ ყველა სახეობის რესურსები და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი“<sup>1</sup>.

საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება მოითხოვს სასაქონლო მარაგის რაციონალურ განლაგებას ქვეყნის ეკონომიკური რაიონების, ვაჭრობის სისტემების, სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით, მათი როგორც საბრუნავი საშუალებების ძირითადი მასის ბრუნვადობის დაჩქარებას. ვაჭრობის სტატისტიკამ ყურადღება უნდა გაამახვილოს სასაქონლო მარაგის მოცულობის, სტრუქტურის, მისი მოძრაობის შესწავლის მიმართულებით. სისტემატური დაკვირვების საფუძველზე მან უნდა გამოავლინოს ცალკეული ეკონომიკური რაიონების, ვაჭრობის სისტემებისა და ორგანიზაციების მიხედვით ზენორმატიული ან ნორმაზე ნაკლები მარაგის წარმოშობის საშიშროება და დროზე აცნობოს სათანადო ორგანიზაციებს, რათა ოპერატიულად იქნეს მიღებული ღონისძიებანი სასაქონლო მარაგის ნორმალიზაციის მიზნით.

ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი გაუმჯობესება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლასთან. ამ მიზნით ვაჭრობის სტატისტიკა მნიშვნელოვანი იარაღია ისეთი კონკრეტულ-ეკონომიკური მეცნიერებისათვის, როგორც არის სახალხო მოხმარება და ვაჭრობის კონიუნქტურა, რომელიც წარმოადგენს სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის თეორიულ საფუძველს და რომლის ძირითადი

<sup>1</sup> სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბილისი, 1981, გვ. 58.

ამოცანაა, მოსახლეობის მოთხოვნის სისტემატური შესწავლის გზით, ხელი შეუწყოს მოსახლეობის მსყიდველობითი მოთხოვნის მთლიან რეალიზაციას, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მოსახლეობის მოთხოვნის სისტემატური შესწავლის საფუძველზე ვაჭრობას შესაძლებლობა ეძლევა მეცნიერულად დასაბუთებული დაკვეთები წარუდგინოს მრეწველობას საქონლის წარმოებასა და მიწოდებაზე. სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგები თავიანთ საწარმოო პროგრამას უნდა აგებდნენ ვაჭრობის დაკვეთების საფუძველზე.

მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის უგულებელყოფა ძვირად უჯდება საზოგადოებას როგორც საკმაო, ისე დეფიციტური საქონლის მიმართ. მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის შედეგად შესაძლებელი ხდება ისეთი ღონისძიებათა სისტემის შემუშავება, რომლის ცხოვრებაში გატარება გამოიწვევს მოთხოვნა-მიწოდებას შორის სწორი თანაფარდობის დამყარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

#### **§ 8. ერთობლიობის, დაკვირვებისა და ანგარიშსწორების ერთეული ვაჭრობის სტატისტიკაში**

ვაჭრობის სტატისტიკაში ერთობლიობის ერთეული ეწოდება პირველად, უმარტივეს ერთეულს, რომელთაგანაც შედგება შესასწავლი ეკონომიკური მოვლენა ან პროცესი. მაგალითად, საცალო საქონელბრუნვა შედგება ყიდვა-გაყიდვის აურაცხელი აქტებისაგან; სასაქონლო მარაგი — სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლისაგან; მუშაკთა რიცხვნება — ცალკეული ინდივიდუუმებისაგან; სავაჭრო ქსელი — სავაჭრო საწარმოების ცალკეული სახეებისა და ტიპებისაგან და ა. შ.

სტატისტიკური დაკვირვების ობიექტი ეწოდება მოვლენათა და პროცესთა იმ ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება მოცემულ სტატისტიკურ გამოკვლევას და რომელშიც წარმოებს სტატისტიკური დაკვირვება ერთობლიობის ერთეულზე. ვაჭრობის სტატისტიკაში დაკვირვების ძირითად ობიექტს შეადგენს სავაჭრო საწარმო, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ერთობლიობის ერთეულთა (ყიდვა-გაყიდვის აქტების, სასაქონლო მარაგის სახეების და სხვა) ფიქსაცია.

სოციალისტურ მეურნეობაში, სადაც სტატისტიკური ინფორმაციის მიღების ძირითად მეთოდს წარმოადგენს ანგარიშგება, განასხვავებენ ანგარიშგებით ერთეულს. ვაჭრობის სტატისტიკაში ანგარიშგებითი ერთეული ეწოდება იმ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტს, რომელიც წინასწარ გათვალისწინებულ ვადებში და განსაზღვრული

ფორმით წარადგენს სტატისტიკურ ანგარიშს. ამასთან, იგი სრული პასუხისმგებელია ანგარიშგების მონაცემების სისწორეზე.

ანგარიშგებისა და დაკვირვების ერთეული არ შეიძლება ერთმანეთში იქნეს გაიგივებული, თუმცა ისინი ხშირად ემთხვევიან ერთმანეთს. იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო საწარმო (საზოგადოებრივი კვების საწარმო) წარადგენს სტატისტიკურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, მაშინ იგი იმავე დროს იქნება როგორც ანგარიშგების, ასევე დაკვირვების ერთეული. თუ სავაჭრო ორგანიზაცია წარადგენს ანგარიშს სავაჭრო ქსელის შესახებ, ამ შემთხვევაში სავაჭრო ორგანიზაცია იქნება ანგარიშგების ერთეული, ხოლო მასში შემავალი ცალკეული საწარმო განიხილება, როგორც დაკვირვების ერთეული.

ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკური მუშაობის მთელ ხელმძღვანელობას სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აწარმოებს.

ყველა სამინისტროსა და უწყების სავაჭრო საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან წარადგინონ სტატისტიკური ანგარიშგება განსაზღვრულ ვადებში დადგენილი წესით. ანგარიშგების ფორმები დამტკიცებულია მთავრობის ან მისი დაეალებით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ. ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს აკრძალული აქვთ ანგარიშგების რაიმე ახალი ფორმის შემოღება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დამტკიცების გარეშე.

ის სავაჭრო საწარმოები, რომლებიც არ იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, ე. ი. არა აქვთ საკუთარი ბალანსი, პირველად დოკუმენტაციას გადასცემენ თავიანთ სავაჭრო ორგანიზაციას. სავაჭრო ორგანიზაცია პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ადგენს ანგარიშგებას, რომელიც წარედგინება თავის სამინისტროს ან უწყებას თანმიმდევრობით, რგოლების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკებში ყველა სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით კრებისით ანგარიშს ადგენს რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

**საქონელბრუნვის სტატისტიკის ძირითადი კატეგორიები  
და მაჩვენებლები**

ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველია მატერიალური დოვლათის წარმოება. დროის განსაზღვრულ პერიოდში (ჩვეულებრივ ერთი წლის მანძილზე) მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში შექმნილ მატერიალურ ფასეულობათა ერთობლიობას ეწოდება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, რომელიც აღინიშნება მარქსის ცნობილი ფორმულით:  $c + v + m$ , სადა  $c$  არის წარმოების მატერიალური დანახარჯები,  $v$  — შრომის ანაზღაურების ფონდი,  $m$  — საწარმოებისა და სახელმწიფოს წმინდა შემოსავალი.

თავისი დანიშნულების მიხედვით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი იყოფა ორ ნაწილად. პირველი განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის (მანქანები, მოწყობილობა, ნედლეული, სათბობი და ა. შ.). საზოგადოებრივი პროდუქტის ამ ნაწილს წარმოების საშუალებები ეწოდება. მეორე ნაწილი დანიშნულია საზოგადოებრივი და მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის და ეწოდება სახალხო მოხმარების საგნები.)

გაფართოებული სოციალისტური კვლევწარმოების აუცილებელი პირობაა მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტის დაყვანა მომხმარებლამდე.

საზოგადოებრივი პროდუქტის დაყვანა წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე მიმოქცევის საშუალებით ხდება, ხოლო მიმოქცევა ხორციელდება საქონლური ფორმით, ე. ი. ყიდვა-გაყიდვის გზით.

წარმოების საშუალებათა საქონლური მიმოქცევა მიზნად ისახავს უზრუნველყოს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მომარაგება საქირო რაოდენობისა და ასორტიმენტის საწარმოო საშუალებებით.

მომხმარების საგნების სასაქონლო მიმოქცევა კი მოწოდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის მომარაგება სახალხო მოხმარების საგნებით.

საზოგადოებრივი პროდუქტის ამ ორი შემადგენელი ნაწილის მოძრაობის ფორმა წარმოებიდან მომხმარებლამდე ორგანიზაციულად ერთიმეორისაგან განსხვავებულია. წარმოების საშუალებათა მიმოქცევა

ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველზე, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და გასაღების სპეციალიზებულ სისტემათა ორგანიზაციების მეშვეობით.

პირადი მოხმარების საგნების მიმოქცევას ჩვენ ქვეყანაში ახორციელებს სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი დარგი, რომელსაც საბჭოთა ვაჭრობა ეწოდება.

სოციალიზმის დროს ვაჭრობა განპირობებულია სასაქონლო წარმოებით, ხოლო სასაქონლო წარმოება თავის მხრივ გამოწვეულია რიგი გარემოებით, ჯერ ერთი, სასაქონლო წარმოება განპირობებულია სახალხო მეურნეობის დარგებს შორის შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით, რაც წარმოების შემდგომი ზრდისა და სრულყოფის კვალობაზე სულ უფრო და უფრო ვითარდება და ღრმავდება; მეორეც — წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების სხვადასხვა ფორმის (სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული) არსებობით.

წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების აღნიშნული ფორმები, მართალია, ერთიანი ბუნებისაა, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. სახელმწიფო საკუთრება მთელი ხალხის კუთვნილებაა, სოციალისტური საკუთრების უმაღლესი ფორმაა. მასში განზოგადებულია წარმოების ყველა საშუალება, მაშინ, როდესაც საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებაში მხოლოდ წარმოების ძირითადი საშუალებებია განზოგადებული. სოციალისტური საკუთრების აღნიშნულ ფორმებს შორის ეკონომიკური კავშირი ხორციელდება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა საფუძველზე, ვინაიდან სოციალისტური საკუთრების ერთი სექტორიდან მეორეში პროდუქციის გაცემა დაკავშირებულია საკუთრების ფორმათა შეცვლასთან. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს თავიანთის საჭირო სამრეწველო პროდუქცია შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის გზით, ე. ი. ფულით, რომელსაც ისინი ღებულობენ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად. თავის მხრივ, სახელმწიფო კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან ნაღდ ანგარიშზე ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას.

სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა არსებობას აგრეთვე განაპირობებს სოციალისტური საზოგადოების წევრთა შორის მატერიალური დოვლათის განაწილების ხასიათი და შრომის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება. სოციალიზმის დროს გონებრივ და ფიზიკურ, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათს შორის არსებული განსხვავება უცილობლად იწვევს არაერთგვაროვანი შრომის ერთგვაროვან შრომამდე დაყვანის აუცილებლობას და ერთიან ფულად ფორმაში გაზომვას. ამის შესაბამისად ნამუშევარი

დროის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით საზოგადოების წევრთა შორის მატერიალური დოვლათის განაწილებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ შრომის ფულადი შეფასების ფორმა.

დაბოლოს, სასაქონლო წარმოების არსებობა განპირობებულია საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონით. საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე დონე ჭერ კიდევ არ იძლევა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობიდან პროდუქტთა უშუალო გაცვლაზე გადასვლის საშუალებას.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში საბჭოთა ვაჭრობა უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სოციალისტურ წარმოებასა და სახალხო მოხმარებას შორის. ქალაქსა და სოფელს, ცალკეულ რაიონებსა და ოლქებს შორის ეკონომიკური კავშირი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბჭოთა ვაჭრობის გზით.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის შესაბამისად საბჭოთა ვაჭრობა მოწოდებულია, რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს საბჭოთა ხალხის სულ მუდამ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოთა ვაჭრობის ძირითადი სახალხო-მეურნეობრივი ფუნქცია არის სახალხო მოხმარების საქონლის დაყვანის ორგანიზაცია წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე ყიდვა-გაყიდვის გზით. ახორციელებს რა საქონლის დაყვანას წარმოებიდან მომხმარებელამდე უმოკლესი გზით და უმეიკრესი დანახარჯებით, ამით საბჭოთა ვაჭრობა აქტიურ ზემოქმედებას ახდენს წარმოებისა და მოხმარების შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე.

ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობა ხორციელდება სამი არხით. ესენია: სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობა. საბჭოთა ვაჭრობის სხვადასხვა ფორმის არსებობა გამოწვეულია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმით და აგრეთვე დამხმარე მეურნეობებში მიღებულ პროდუქციაზე ცალკეულ მოქალაქეთა (კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა) პირადი საკუთრებით.

საბჭოთა ვაჭრობის სამივე ფორმას აერთიანებს ერთი ძირითადი მიზანი: რაც შეიძლება უკეთ დააკმაყოფილონ მშრომელი ადამიანის მოთხოვნილებანი, მაგრამ ამავე დროს მათ შორის გარკვეული განსხვავებაც არის.

სახელმწიფო ვაჭრობა ეფუძნება საკუთრების საერთო-სახალხო ფორმას. სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი და საბრუნავი ფონდების წარმოქმნის წყაროებია, სახელმწიფო ბიუჯეტი და მოგება. სახელმწიფო ვაჭრობის ხელმძღვანელობა დამყარებულია ერთმმართველობის პრინციპზე. მისი სავაჭრო ქსელი ძირითადად განლაგებულია ქალაქებსა და მუშათა დასახლებებში.

კოოპერაციულ ვაჭრობას ახორციელებს სამომხმარებლო კოოპერაცია. მას საფუძვლად უდევს საკუთრების ჩვეულებრივი, კოოპერაციული ფორმა. მეპაიეთა სახსრები შესასვლელი შენატანებისა და საპაიო გადასახადების სახით შეადგენენ თითოეული კოოპერაციის შექმნისა და განვითარების საფუძველს. სამომხმარებლო კოოპერაცია თავის საქმიანობას ძირითადად ახორციელებს სოფლად და პატარა დაბებში, სადაც არ არსებობს სახელმწიფო ვაჭრობის ქსელი.

საკოლმეურნეო ვაჭრობას აწარმოებენ კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და დამხმარე სოფლის მეურნეობის მქონე მოსახლეობათა ცალკეული ჯგუფები იმ ფასებით, რომლებიც მყარდება საკოლმეურნეო ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობათა საფუძველზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ეკონომიკური რეგულირების პირობებში.)

საბჭოთა ვაჭრობის აღნიშნული ფორმებიდან მთავარი და წამყვანი ადგილი უკავია სახელმწიფო ვაჭრობას. ამჟამად მასზე ფაქტიური ფასებით მოდის ქვეყნის მთელი საცალო საქონელბრუნვის 69,8%<sup>1</sup>.

სახელმწიფო ვაჭრობას ახორციელებს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციები და საწარმოები, აგრეთვე, შესაბამისი სამინისტროების მუშათა მომარაგების განყოფილებები, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის სამინისტროების სავაჭრო ორგანიზაციები სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ფასებით.

კოოპერაციულ ვაჭრობაში სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული საქონლის გაყიდვა წარმოებს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ფასებით, ხოლო საკუთარი წარმოებისა და შესყიდვის გზით მიღებული საქონლის გაყიდვა—კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ დადგენილი ფასებით. კოოპერაციული ვაჭრობის წილად მოდის ქვეყნის მთელი საქონელბრუნვის 27,5%.

საკოლმეურნეო ვაჭრობა, როგორც სასურსათო საქონლით ქალაქის მოსახლეობის მომარაგების დამატებითი არხი, წარმოიშვა 1930—1932 წლებში, რაც დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზაციის გამარჯვებასთან. საკოლმეურნეო ვაჭრობის წილი ქვეყნის საცალო საქონელბრუნვაში შემცირდა 14,3%-დან (1940 წ.) 2,8%-მდე (1981 წ.), თუმცა აბსოლუტურად იგი წლითიწლობით იზრდება. სასურსათო საქონელბრუნვის მოცულობაში საკოლმეურნეო ვაჭრობის წილად მოდის 5,2%. ჩვენს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 15%-ს შეადგენს.

საბჭოთა ვაჭრობის პირველ ორ ფორმას — სახელმწიფო და კოო-

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР в 1980 г. Статистическ. ежегодник, 1981, стр. 424.



პერაციულ ვაჭრობას — უწოდებენ ორგანიზებულ ბაზარს, ხოლო მესამე ფორმას, ე. ი. საკოლმეურნეო ვაჭრობას — არაორგანიზებულ ბაზარს. ასეთი სახელწოდება წარმოდგება იქიდან, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობის საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები (რეალიზაციის მოცულობა, ფასები, მიმოქცევის ხარჯები) სახელმწიფოს მიერ უშუალოდ არ იგეგმება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განიცდის სახელმწიფო ვაჭრობის რეგულირების გავლენას.

საბჭოთა ვაჭრობა, როგორც სახალხო მომხარების საგნების სასაქონლო მიმოქცევის ფორმა, თავის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ასახვას პოულობს ურთიერთმაკავშირებელ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემაში. ამ მაჩვენებლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქონელბრუნვის მოცულობა, სასაქონლო ძარაგი, საქონელბრუნვადობა, ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობა და შემადგენლობა, შრომის ნაყოფიერება და შრომის ანაზღაურება, ფასების დონე და დინამიკა, ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიმოქცევის ხარჯები, ვაჭრობის საერთო პროდუქცია, მოგების თანხა, რენტაბელობის დონე და სხვ.

საევაქრო ორგანიზაციებისა და საწარმოების სამეურნეო საქმიანობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია საქონელბრუნვას.

საქონელბრუნვა არის წარმოებიდან მომხმარებლამდე საქონლის მოძრაობის ფორმა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის ყოველგვარი მოძრაობა არ ჩაითვლება საქონელბრუნვად. მაგალითად, საევაქრო ორგანიზაციების შიგნით ერთი საწყობიდან მეორეში საქონლის უბრალო გადაადგილება, გადანაცვლება საქონელბრუნვას არ განეკუთვნება. საქონელბრუნვა საქონელთა მოძრაობის ისეთი ფორმაა, რომელიც ყიდვა-გაყიდვის გზით ხორციელდება. ამასთან ყოველგვარი გაყიდვა არ წარმოადგენს საქონელბრუნვას. მაგალითად, მომსახურებათა გაყიდვა (სამგზავრო ტრანსპორტის, საპარიკმახეროების, კომუნალური მეურნეობათა მომსახურება, კულტურული და სპორტული სანახაობები და სხვ.) საქონელბრუნვად არ ჩაითვლება.

საქონელბრუნვის ცნების სწორი გაგებისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ორი ნიშანი: ა) მატერიალური დოვლათი, როგორც რეალიზაციის ობიექტი და ბ) რეალიზაცია, როგორც წარმოების სფეროდან მომხმარების სფერომდე მატერიალური დოვლათის მოძრაობის ფორმა.

საქონელბრუნვა ყიდვა-გაყიდვის აქტთა ერთობლიობაა. ერთ შემთხვევაში საქონლის გაყიდვა ხორციელდება მწარმოებლის მიერ მის უშუალო მომხმარებელზე (საკოლმეურნეო ბაზარი); მეორე შემთხვევაში სამრეწველო საწარმო (ფეხსაცმლის ფაბრიკა) თავის პროდუქციას ყიდის საევაქრო ორგანიზაციებზე; მესამე შემთხვევაში საქონელი იყიდება

თვით სავაჭრო ორგანიზაციებს შორის მწარმოებელთა ჩარევის გარეშე; დაბოლოს, სავაჭრო საწარმოები და ორგანიზაციები საქონელს ყიდიან უშუალოდ მოსახლეობაზე. ყოველივე ამის საფუძველზე ყიდვა-გაყიდვის აქტები, რომლებსაც ადგილი აქვს სასაქონლო მიმოქცევის პროცესში, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით<sup>1</sup>:

ვ ი ნ ყ ი დ ი ს	ვ ი ნ ყ ი დ უ ლ ო ბ ს
1. მწარმოებელი	1. მომხმარებელი
2. მწარმოებელი	2. სავაჭრო ორგანიზაცია
3. სავაჭრო ორგანიზაცია	3. სავაჭრო ორგანიზაცია
4. სავაჭრო ორგანიზაცია	4. მომხმარებელი

ამ ოთხი ტიპის სავაჭრო გარიგებით ამოიწურება საქონლის მოძრაობის ყველა შესაძლებელი კომბინაცია მწარმოებლიდან მომხმარებელამდე.

მოცემული სქემის მარცხენა ნაწილში გამყიდველის როლში ორ-ორჯერ გამოდიან საქონლის მწარმოებლები და სავაჭრო ორგანიზაციები. გამყიდველთა თანამოსახელე ჯგუფების გაერთიანების შედეგად მიიღება საქონელბრუნვის პირველი ორი კატეგორია: ა) მწარმოებელთა საქონელბრუნვა (1+2) და ბ) სავაჭრო ორგანიზაციათა საქონელბრუნვა (3 + 4).

• მწარმოებელთა საქონელბრუნვა ახასიათებს მატერიალური წარმოების სფეროს დარგების სასაქონლო პროდუქციის მოცულობას, რომელიც გაიცა (ან განკუთვნილია გასაცემად) მომხმარებლებზე ან სავაჭრო ორგანიზაციებზე. სავაჭრო ორგანიზაციების საქონელბრუნვა კი შეადგენს სავაჭრო საშუამავლო ბრუნვას.

ზემომოყვანილი სქემის მარჯვენა ნაწილში მყიდველის როლში ორ-ორჯერ გამოდიან, აგრეთვე, მომხმარებლები და სავაჭრო ორგანიზაციები. თანამოსახელე ჯგუფების გაერთიანების შედეგად ამ შემთხვევაშიც მიიღება საქონელბრუნვის კიდევ ორი კატეგორია:

ა) საქონლის გაყიდვა მიმოქცევის სფეროში (2+3);

ბ) საქონლის გაყიდვა მომხმარებლის სფეროში (1+4).

პირველს უწოდებენ საბითუმო საქონელბრუნვას, ხოლო მეორეს — საცალო საქონელბრუნვას.

მაშასადამე, გაყიდვის მიზნებისა და მყიდველთა თავისებურებათა მიხედვით გამოყოფენ საქონელბრუნვის ორ ძირითად კატეგორიას: 1) საბითუმო საქონელბრუნვასა და 2) საცალო საქონელბრუნვას.

საბითუმო საქონელბრუნვა ეწოდება საქონლის გაყიდვას სამრეწ-

<sup>1</sup> ამის შესახებ უფრო ფართოდ იხ. სახელმძღვანელოში: ნ. ნ. რიაუზოვი, ნ. პ. ტიტელბაუმი, „ვაჭრობის სტატისტიკა“, ქართული თარგმანი გ. შახიაშვილისა, 1974, გვ. 17.

ველო საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სავაჭრო ორგანიზაციებზე, მისი შემდგომი გაყიდვის, ან საწარმოო მოხმარების მიზნით.

საბითუმო საქონელბრუნვა — საქონელმიმოქცევის პირველი ეტაპია. საბითუმო საქონელბრუნვა სოციალისტურ წარმოებას აკავშირებს საცალო ვაჭრობასთან.)

საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციები აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ სოციალისტურ მრეწველობაზე. მოსახლეობის მოთხოვნათა ყოველმხრივი და ღრმა შესწავლის საფუძველზე ისინი თავის მხრივ სამრეწველო საწარმოებს უდგენენ მოთხოვნილებას მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის საქონლის გამოშვებაში.

საბითუმო ვაჭრობის სახალხო-სამეურნეო ფუნქციას შეადგენს) წარმოებიდან საცალო ვაჭრობის ქსელამდე საქონლის წინწაწევის რაციონალური ორგანიზაცია, ე. ი. (მატერიალური, შრომითი და ფულად საშუალებათა მინიმალური დანახარჯებით წარმოებიდან მოხმარებლამდე საქონლის დაყვანა და ამით საცალო ქსელის შეუფერხებელი და დროული მომარაგების უზრუნველყოფა მისთვის საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის საქონლით.)

(საცალო საქონელბრუნვა ეწოდება საქონლის გაყიდვას მოხმარების სფეროში, ძირითადად მოსახლეობაზე ინდივიდუალური და კოლექტიური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. საცალო საქონელბრუნვას ასევე მიეკუთვნება საწარმოებზე. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე არასაწარმოო მოხმარებისათვის და კოლმეურნეობებზე მიმდინარე სამეურნეო საჭიროებისათვის საქონლის გაყიდვა. საცალო საქონელბრუნვა, მაშასადამე, ახასიათებს სასაქონლო მიმოქცევის უკანასკნელ სტადიას.) ამით მატერიალური დოვლათი ამთავრებს საქონლის ფორმით არსებობას და გადადის მოხმარების სფეროში. საცალო საქონელბრუნვას განეკუთვნება საცალო სავაჭრო ქსელის (მლაზიები, ფარდულები და სხვ.), საზოგადოებრივი კვების საწარმოების (სასადილოები, რესტორნები, კაფეები და სხვ.) და საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვა.

(საცალო საქონელბრუნვის მოცულობა განეკუთვნება უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას, მის მოცულობასა და დინამიკაში აისახება, როგორც სოციალისტური წარმოების სისტემატური ზრდა და განვითარება, ისე ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა. საცალო საქონელბრუნვის მოცულობის განუხრელი ზრდა და მისი სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება საბჭოთა ვაჭრობის განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა.) ცალკეული წლების მიხედვით სსრ კავშირის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სა-

ცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლით შეადგენდა: 1960 წ. — 78,5 მლრდ მან. 1966 წ. — 104,7, 1970 წ. — 155,2, 1975 წ. — 210,4, 1978 წ. — 241,8 მლრდ მან. 1980 წ. — 270,5 მლრდ მან. 1981 წ. — 286,0 მლრდ მან.<sup>1</sup>

მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონელი დაიყვანება სხვადასხვა გზით. ერთ შემთხვევაში, საქონელი შეიტანება უშუალოდ საცალო სავაჭრო ქსელში, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქონელი საცალო ქსელში შესვლამდე გაივლის შესაბამის საბითუმო რგოლებს.

მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მოძრაობის გზაზე საქონელმა შეიძლება გაიაროს ერთი ან ორი და მეტი საბითუმო-სავაჭრო რგოლი. მაგალითად: მწარმოებლიდან საქონელი პირველად შეიტანება ოლქის სამომხმარებლო კავშირის ბაზაში, ხოლო ამ უკანასკნელიდან — სამომხმარებლო საზოგადოებაში. მაშასადამე, საქონელმა გაიარა ერთი სავაჭრო რგოლი.

ფაბრიკიდან ან საგასელო ბაზიდან საქონელი შეიტანება ოლქის სამომხმარებლო კავშირის ბაზაში, შემდეგ — რაიონის სამომხმარებლო კავშირის საწყობში, ხოლო აქედან — სამომხმარებლო საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში საქონელმა გაიარა ორი საბითუმო რგოლი, დაბოლოს, რესპუბლიკის ცენტრალური სამომხმარებლო საზოგადოების კავშირის (ეკავშირის) სავაჭრო სამმართველოს ბაზიდან საქონელი შეიტანება ოლქის სამომხმარებლო კავშირის საწყობში, აქედან — რაიონის სამომხმარებლო კავშირის ბაზაში, ხოლო ამ უკანასკნელიდან — სამომხმარებლო საზოგადოებაში ან რაიონივერსალურ მაღაზიაში. მაშასადამე, საქონელმა ამ შემთხვევაში გაიარა სამი სავაჭრო რგოლი, რასაც პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით.

მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონლის მოძრაობის რგოლიანობის თვალსაზრისით საქონელბრუნვა იყოფა საერთო საქონელბრუნვად და წმინდა საქონელბრუნვად.

ცალკეული სავაჭრო სისტემისათვის საერთო საქონელბრუნვა წარმოადგენს მოცემულ პერიოდში საქონლის ყველა გაყიდვის საერთო ჯამს, ანუ რაც იგივეა, საცალო და საბითუმო საქონელბრუნვის ჯამს.

წმინდა საქონელბრუნვა შეიძლება განისაზღვროს საერთო საქონელბრუნვიდან განმეორებული გაყიდვების გამოკლების გზით. განმეორებული გაყიდვა სხვა არა არის თუ არა საბითუმო საქონელბრუნვა. აქედან გამომდინარე, წმინდა საქონელბრუნვა უდრის სხვაობას საერთო და საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობებს შორის.

სახალხო მეურნეობის მასშტაბით წმინდა საქონელბრუნვა რაოდენობრივად ემთხვევა საცალო საქონელბრუნვას, რადგან ამ შემთხვევაში

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР, 1922—1932, Юбилейный статистический ежегодник, 1982, стр. 467.

საქონელბრუნვის განმეორებულ აღრიცხვად გვევლინება საბითუმო საქონელბრუნვა. .

ვაჭრობის ცალკეული სისტემების მიხედვით რეალიზაციის განმეორებული აღრიცხვა იქნება საბითუმო ბრუნვის მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც ადგილი აქვს მოცემული სისტემის ფარგლებს შიგნით. ამიტომ, ბუნებრივია, წმინდა საქონელბრუნვა, გაანგარიშებული მთელი სახალხო მეურნეობის და ცალკეული სავაჭრო სისტემების მიხედვით, ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, წმინდა საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციის ვაჭრობისათვის უდრის მოცემული სისტემის საცალო საქონელბრუნვისა და მის ფარგლებს გარეთ საბითუმო საქონელბრუნვის ჯამს. .

ანალოგიურად იანგარიშება წმინდა საქონელბრუნვის მოცულობა მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით. მაგალითად, საქართველოს სსრ-ის წმინდა საქონელბრუნვა უდრის რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვისა და მის ფარგლებს გარეთ საბითუმო გაყიდვების ჯამს. .

მთელი კავშირის მასშტაბით წმინდა საქონელბრუნვა უდრის მოკავშირე რესპუბლიკების წმინდა საქონელბრუნვათა ჯამს, მინუს რესპუბლიკათაშორისი საბითუმო საქონელბრუნვა

(წმინდა საქონელბრუნვის მოცულობის გაანგარიშებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მის საფუძველზე გამოითვლება ვაჭრობის საქმიანობის ამსახველი ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორცაა საქონელბრუნვადობის სისწრაფე, ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება, საქონელმოდრობის რგოლადობის კოეფიციენტი, მიმოქცევის ხარჯების დონე, რენტაბელობა და სხვ.)

საერთო და წმინდა საქონელბრუნვის თანაფარდობათა საფუძველზე სტატისტიკაში გაიანგარიშება საქონელბრუნვის (საქონელწინწაწევის) რგოლადობის კოეფიციენტი. იგი უჩვენებს, თუ საქონელმა თავისი მოძრაობის გზაზე მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საშუალოდ რამდენი სავაჭრო რგოლი გაიარა, ანუ რამდენჯერ გაიყიდა. საქონელმოდრობის რგოლების რიცხვის შემცირება ნიშნავს საქონელმოდრობის გზების შემცირებას და, მაშასადამე, საქონელბრუნვადობის დაჩქარებას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მიმოქცევის ხარჯების დონეზე, მისი შემცირების მიმართულებით.

ერთიმეორისაგან განასხვავებენ საქონლის მოძრაობის სავაჭრო-ორგანიზაციულ და სასაწყობო რგოლადობის კოეფიციენტს. პირველი ახასიათებს სავაჭრო რგოლების საშუალო რიცხვს, რომელიც გაიარა საქონელმა თავისი მოძრაობის გზაზე მწარმოებლიდან მომხმარებლამდე, იგი გაიანგარიშება როგორც ცალკეული სავაჭრო სისტემების, ისე მთელი სახალხო მეურნეობის მიხედვით.

\* ცალკეული სავაჭრო სისტემებისათვის საქონლის მოძრაობის სავაჭრო-ორგანიზაციული რგოლადობის კოეფიციენტი უდრის მოცემულ სისტემის საერთო საქონელბრუნვის მოცულობის შეფარდებას წმინდა საქონელბრუნვასთან და გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{რგ}} = \frac{BO \text{ (საერთო საქონელბრუნვა)}}{40 \text{ (წმინდა საქონელბრუნვა)}}$$

საქონელმოძრაობის რგოლადობის კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის მოცულობათა თანაფარდობის ცვლილებაზე. საერთო საქონელბრუნვის მოცულობაში საბითუმო საქონელბრუნვის ზრდა იწვევს საქონლის მოძრაობის რგოლადობის კოეფიციენტის გადიდებას, ხოლო შემცირება — მის კლებას.

(საქონელბრუნვის რგოლადობის კოეფიციენტი არ შეიძლება ერთზე ნაკლები, მაგრამ რაც უანლოვდება ერთს, მით უკეთესი სავაჭრო მოძრაობის ამსახველია იგი.)

სახალხო მეურნეობის მასშტაბით საქონელმოძრაობის სავაჭრო-ორგანიზაციული რგოლადობის კოეფიციენტი წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის საერთო საქონელბრუნვის შეფარდებას საცალო საქონელბრუნვის მოცულობასთან და განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{რგ}} = \frac{P + O \text{ (საცალო საქონელბრუნვა + საბითუმო საქონელბრუნვა)}}{P \text{ (საცალო საქონელბრუნვა)}}$$

საქონელმოძრაობის სასაწყობო რგოლადობის კოეფიციენტი ახასიათებს სავაჭრო სადგომების, ე. ი. სავაჭრო ბაზების, საწყობებისა და მალაზიების საშუალო რიცხვს, რომელსაც გაივლის საქონელი თავისი მოძრაობის გზაზე მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

სტატისტიკური მუშაობის პრაქტიკაში ანგარიშობენ მხოლოდ სავაჭრო-ორგანიზაციული რგოლადობის კოეფიციენტს.

საქონელბრუნვის სავაჭრო ორგანიზაციული რგოლადობის კოეფიციენტის განმსაზღვრელი კომპონენტები ისეა აგებული, რომ თუ ცნობილია მისი ორი მაჩვენებლის რაოდენობრივი მნიშვნელობა, მესამე შეიძლება დადგინდეს წინა ორი მაჩვენებლიდან გამომდინარე.

მაგალითად, გასულ წელს ოლქის სამომხმარებლო კოოპერაციის საერთო საქონელბრუნვა შეადგენდა 84 მლნ მან., ხოლო საქონელბრუნვის რგოლადობის კოეფიციენტი 2,1-ს, ამ შემთხვევაში ოლქის სამომხმარებლო კოოპერაციის წმინდა საქონელბრუნვის მოცულობა უდრის:

$$K_{\text{რგ}} = \frac{BO}{40}$$

$$2,1 = \frac{84 \text{ მლნ}}{40}$$

აქედან

$$40 = \frac{84 \text{ მლნ}}{2,1 \text{ მლნ}} = 40 \text{ მლნ მან.}$$

საქონელბრუნვის ზემოგანხილული კატეგორიების გაახგარიშების წესი ნათელყოთ პირობით მაგალითზე:

ვთქვათ, კვარტალის განმავლობაში ოლქის საქონელგამტარი ქსელის საქონელბრუნვის მოცულობის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები (ათასი მანეთობით):

ცხრილი 2. 1

გამყიდველი \ მყიდველი	სახელმწიფო საექპორტო ორგანიზაციები	მუშათა მომარაგების განყოფილება	ოლქის სამომხმარებლო კავშირი	რაიონის სამომხმარებლო კავშირი	სოფლის კოოპერატივი	მოსახლეობა	დაწესებულებები და ორგანიზაციები (სამეურნეო საკოორდინაციო)	სულ
მრეწველობის სავაქრო ბაზები	500	100	200	300	—	—	—	1100
სახელმწიფო სავაქრო ორგანიზაციები	—	—	—	—	18	540	8	566
მუშათა მომარაგების განყოფილებები	7	—	—	—	—	100	4	111
ოლქის სამომხმარებლო კავშირი	30	—	—	180	20	—	—	230
რაიონის სამომხმარებლო კავშირი	23	10	—	—	500	—	—	533
სოფლის კოოპერატივი	—	—	—	—	—	520	4	524
<b>სულ</b>	<b>560</b>	<b>110</b>	<b>200</b>	<b>480</b>	<b>538</b>	<b>1160</b>	<b>16</b>	<b>3064</b>

გ ა ნ ვ ს ა ზ ღ ე რ ო თ: 1. ოლქის ყველა საქონელგამტარი ქსელის

- ა) საცალო საქონელბრუნვა;
- ბ) საბითუმო საქონელბრუნვა;
- გ) საერთო საქონელბრუნვა;
- დ) რგოლადობის კოეფიციენტი;

2. ოლქის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისათვის იგივე მაჩვენებლები და წმინდა საქონელბრუნვა;

3. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საქონელბრუნვის რგოლადობის კოეფიციენტი;

4. სასაქონლო მარაგის ცვლილება კვარტალის ბოლოს, დასაწყისთან შედარებით:

- ა) მთელი საქონელგამტარი ქსელის მიხედვით;  
 ბ) სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიხედვით;  
 გ) სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციების (მუშათა მომარაგების განყოფილების ჩათვლით) მიხედვით.

ა მ ო ხ ს ნ ა:

1. ოლქის ყველა საქონელგამტარი ქსელის საცალო საქონელბრუნვა. იგი უდრის მოსახლეობასა და დაწესებულება-ორგანიზაციებზე რეალიზაციის ჯამს

$$540 + 100 + 520 + 8 + 4 + 4 = 1176 \text{ ათას მან.};$$

2. საბითუმო საქონელბრუნვა. საბითუმო საქონელბრუნვა არის საქონლის გაყიდვა მიმოქცევის სფეროში მისი შემდგომი გაყიდვის მიზნით

$$560 + 110 + 200 + 480 + 538 = 1888 \text{ ათას მან.};$$

3. საერთო საქონელბრუნვა. საერთო საქონელბრუნვა უდრის საცალო და საბითუმო საქონელბრუნვათა ჯამს

$$1176 + 1888 = 3064 \text{ ათას მან.};$$

4. რგოლადობის კოეფიციენტი  $\frac{3064}{1176} = 2,6$

5. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საცალო საქონელბრუნვა. იგი უდრის სოფლის კოოპერატივის მიერ მოსახლეობაზე და დაწესებულება-ორგანიზაციებზე გაყიდული საქონლის ღირებულების ჯამს:

$$520 + 4 = 524 \text{ ათას მან.};$$

6. იმავე სისტემის საბითუმო საქონელბრუნვა

$$230 + 533 = 763 \text{ ათას მან.};$$

7. იმავე სისტემის საერთო საქონელბრუნვა

$$524 + 763 = 1287 \text{ ათას მან.};$$

8. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის წმინდა საქონელბრუნვა. იგი უდრის საცალო საქონელბრუნვისა და მოცემული სისტემის ფარგლებს გარეთ საბითუმო რეალიზაციის ჯამს. სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვა შეადგენს 524 ათას მან., ხოლო სისტემის გარეთ საბითუმო გაყიდვათა ჯამი — 63 ათ. მან. (53 ათასი მან. სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებზე და 10 ათასი — მუშათა მომარაგების განყოფილებებზე), ე. ი. იგივე სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაზე.

$$524 + 63 = 587 \text{ ათასი მან.};$$



9. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საქონელმოდრაობის რგოლადობის კოეფიციენტი

$$K_{36} = \frac{1287}{587} = 2,14$$

ე. თ. აღნიშნული სისტემის საქონლის მთელი მასა თავისი მოძრაობის გზაზე წარმოებიდან მოხმარებამდე საშუალოდ 2,14-ჯერ გაიყიდა.

10. დავადგინოთ, როგორ შეიცვალა საქონლის აბსოლუტური მარაგი კვარტალის ბოლოსათვის დასაწყისთან შედარებით ოლქის ყველა საქონელგამტარი ქსელის მიხედვით. ამისათვის, საჭიროა გამოვიყენოთ საქონელბრუნვის მაჩვენებელთა შორის ბალანსური კავშირი:

$$3_1 + \Pi = P + 3_2,$$

სადაც  $3_1$  და  $3_2$  — მარაგი პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის,  $\Pi$  — საქონლის შემოსვლა,  $P$  — რეალიზაცია.

კვარტალის განმავლობაში სულ შემოვიდა:

$$500 + 100 + 200 + 300 = 1100 \text{ ათასი მან.}$$

გაიყიდა:

$$540 + 100 + 520 + 16 = 1176 \text{ მან.}$$

მაშასადამე, ოლქის სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით სასაქონლო მარაგი 76 ათასი მანეთით შემცირდა

$$1100 - 1176 = -76 \text{ ათასი მან.}$$

11 სასაქონლო მარაგის ცვლილება სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიხედვით:

შემოვიდა:

$$200 + 300 + 18 = 518 \text{ ათასი მან.}$$

გაიყიდა:

$$520 + 4 + 30 + 23 + 10 = 587 \text{ ათასი მან.}$$

$$518 - 587 = -69 \text{ ათასი მან.}$$

ე. ი. სასაქონლო მარაგი ოლქის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში კვარტალის ბოლოს დასაწყისთან შედარებით 69 ათასი მანეთით შემცირდა.

12. სასაქონლო მარაგის ცვლილება სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის მიხედვით:

მოცემულ პერიოდში სახელმწიფო სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში შემოსული საქონლის ოდენობამ შეადგინა:

$$500 + 100 + 30 + 23 + 10 = 663 \text{ ათასი მან.}$$

სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებიდან რეალიზებულ იქნა  $540 + 8 + 100 + 4 + 18 = 670$  ათასი მან.;

სასაქონლო მარაგის სალდო  $663 - 670 = -7$  ათასი მან.

მაშასადამე, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში სასაქონლო მარაგი კვარტალის ბოლოს დასაწყისთან შედარებით 7 ათასი მანეთით შემცირდა.

მოცემულ პერიოდში ოლქის მთელი საქონელგამტარი ქსელის მიხედვით სასაქონლო მარაგი როგორც აღენიშნეთ, შემცირდა 76 ათასი მანეთით, რაც ზუსტად ემთხვევა გაანგარიშების შედეგად მიღებულ მაჩვენებელს  $(-69) + (-7)$ .

### ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო :

ა მ ო ც ა ნ ა 1. ოლქის საქონელბრუნვის შესახებ კვარტალის განმავლობაში გვაქვს შემდეგი მონაცემები (მლნ მან.):

ც ხ რ ი ო 2. 2

გამყიდველი \ მყიდველი	სავაჭრო ორგანიზაციები	რაიონის სამომხმარებლო კავშირები	სოფლის სამომხმარებლო საზოგადოება	მოსახლეობა
ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციები	—	—	20	220
ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ბაზები	230	80	—	—
ოლქის სამომხმარებლო კავშირი	20	90	20	—
რაიონის სამომხმარებლო კავშირები	20	—	120	30
სოფლის სამომხმარებლო საზოგადოება	—	—	—	160

ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ:

ა) ოლქის მიხედვით მთლიანად საერთო, საბითუმო და საცალო საქონელბრუნვა;

ბ) სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისათვის იგივე მაჩვენებლები და წმინდა საქონელბრუნვა;

გ) სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვის რგოლადობის კოეფიციენტი.

პ ა ს უ ხ ი: სამომხმარებლო კოოპერაციისათვის: საერთო ბრუნვა — 460, საბითუმო ბრუნვა — 270, საცალო ბრუნვა — 190, წმინდა საქონელბრუნვა — 230, რგოლადობის კოეფიციენტი — 2,0.

ა მ ო ც ა ნ ა 2. საანგარიშო პერიოდში ოლქის სავაჭრო ორგანიზაციების საქონელბრუნვა შეადგენდა (მლნ მან.):

ვაქრობის სისტემები	საბითუმო საქონელბრუნვა		საცალო საქონელბრუნვა
	გაიყიდა თავისივე სისტემის შიგნით	გაიყიდა სისტემის გარეთ	
ოლქის ვაქრობის სამინისტრო	200	150	320
სამომხმარებლო კოოპერაცია	100	25	120
ვაქრობის სხვა სისტემები	—	—	10

განსაზღვრეთ ვაქრობის სამინისტროს, სამომხმარებლო კოოპერაციის და ოლქის მთელი საეაქრო ორგანიზაციების: ა) საერთო საქონელბრუნვა; ბ) საბითუმო საქონელბრუნვა; გ) საცალო და დ) წმინდა საქონელბრუნვა.

პ ა ს უ ხ ი: ოლქის მთელი საეაქრო ორგანიზაციების:

ა) 925 მლნ, ბ) 475 მლნ, გ) 450 მლნ, დ) 525 მლნ მან.

ა მ ო ც ა ნ ა 3. კვარტალის განმავლობაში ოლქის საქონელბრუნვის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები (მლნ მან.):

მუიღველი	გ ა მ ყ ი ღ ვ ე ლ ი				
	საეაქრო ბაზები	ოლქის სამომხმარებლო კავშირი	რაიონის სამომხმარებლო კავშირები	სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებები	საეაქრო ორგანიზაცია
ოლქის სამომხმარებლო კავშირი	20	—	—	—	—
საეაქრო ორგანიზაცია	30	6	3	—	—
რაიონის სამომხმარებლო კავშირები	15	14	—	—	—
სოფლის სამომხმარებლო საზოგადოება	—	—	17	—	8
მოსახლეობა	—	—	—	40	28

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე თ: 1. ოლქის ყველა საქონელგამტარი ქსელის

ა) საერთო საქონელბრუნვა, ბ) საბითუმო საქონელბრუნვა, გ) საცალო საქონელბრუნვა.

2. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის

საერთო საქონელბრუნვა, საბითუმო, საცალო და წმინდა საქონელბრუნვა; აგრეთვე საქონელბრუნვის რგოლადობის კოეფიციენტი.

3. დაადგინეთ, როგორ შეიცვალა საქონლის მარაგი ვაქრობის ორივე სისტემაში ერთად:

პ ა ს უ ხ ი: 1. ა) 181; ბ) 113; გ) 68. 2. 80, 40, 40, 49.

რგოლადობის კოეფიციენტი: 1,63; მარაგი შემცირდა 3 მლნ მან.  
 ა მ ო ც ა ნ ა 4. კვარტალის განმავლობაში ოლქის საქონელბრუნვა  
 შეადგენდა (მლნ მან.):

ც ხ რ ი ო 2.5

მყიდველი	გ ა მ ყ ი დ ე ე ლ ი				
	საეპრო ბაზები	საეპრო ორგანი- ზაცია	ოლქის სამომხმარებლო კავშირი	რაიონის სამომხმარებლო კავშირები	სოფლის სამომხმარებლო საზოგადოება
საეპრო ორგანიზაცია	120	—	10	5	—
ოლქის სამომხმარებლო კავშირი	40	—	—	—	—
რაიონის სამომხმარებლო კავშირები	20	—	15	—	—
სოფლის სამომხმარებლო საზოგადოება	—	5	6	50	—
მოსახლეობა	—	100	—	—	75

ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ:

1. ოლქის ყველა საქონელგამტარი ქსელის საერთო, საბითუმო და საცალო საქონელბრუნვა;

2. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისათვის იგივე მაჩვენებლები და აგრეთვე, წმინდა საქონელბრუნვა;

3. სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვის რგოლადობის კოეფიციენტი;

4. აჩვენეთ როგორ შეიცვალა საქონლის მარაგი საეპრო ორგანიზაციებსა და სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებაში კვარტალის ბოლოსათვის.

პ ა ს უ ხ ი: 1) 446 მლნ, 2) 271 მლნ, 3) 175 მლნ; სამომხმარებლო კოოპერაციისათვის 1) 161 მლნ, 2) 91 მლნ, 3) 75 მლნ, 4) 60 მლნ.  
 რგოლ. კოეფ. 1,8; საქონლის მარაგი გაიზარდა 5 მლნ მან.

**საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა**

**§ 1. საბითუმო საქონელბრუნვის ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები**

საბითუმო ვაჭრობა სასაქონლო მიმოქცევის პროცესის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს მატერიალური წარმოების სფეროსა და საცალო ვაჭრობას შორის სამეურნეო კავშირების ფორმას.

საბჭოთა ვაჭრობის ერთ-ერთი დარგია საბითუმო ვაჭრობა, რომლის მეშვეობითაც სახალხო მოხმარების საქონელი გეგმაზომიერად დაიყვანება წარმოებიდან საცალო სავაჭრო საწარმოებამდე და სხვა მომხმარებელ ობიექტამდე ყიდვა-გაყიდვის გზით, უნაღდო ანგარიშსწორების შედეგად.

ახორციელებს რა სამეურნეო კავშირებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, საბითუმო ვაჭრობა გამოდის როგორც ძირითადი დამკვეთი სახალხო მოხმარების საქონელზე, ზემოქმედებს წარმოების განლაგებაზე, საქონლის ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებაზე. ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების ძირითადი საქონლის შესყიდვა მრეწველობიდან და მისი საბაზრო და არასაბაზრო მომხმარებლებზე რეალიზაცია ხდება მხოლოდ საბითუმო ვაჭრობის მეშვეობით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში საბითუმო ვაჭრობა ხორციელდება წარმოების საშუალებებით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებებისა და სახალხო მოხმარების საქონლით ვაჭრობის სახით. სახალხო მოხმარების საქონლის ძირითადი მასით (დაახლოებით 95%) საბითუმო ვაჭრობა თავმოყრილია სახელმწიფო ვაჭრობის ხელში. სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობის საქონელბრუნვის დაახლოებით 60% მოდის მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების სისტემის საბითუმო ვაჭრობაზე. მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების საბითუმო რგოლებია: საბითუმო კანტორები და საბითუმო ბაზები. იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც არა აქვთ საოლქო აღმინისტრაციული დაყოფა, ოპერაციულ სამეურნეო ფუნქციებს ახორციე-

ლებენ საბითუმო ვაჭრობის რესპუბლიკური ბაზები, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც აქვთ ოლქები, მხარეები და ავტონომიური რესპუბლიკები, საქონლის მიწოდებას ახორციელებენ საბითუმო კანტორები, ან საბითუმო-საცალო გაერთიანებები (ფირმები), თავისი საუწყებო საოლქო (სამხარეო) ბაზები. მაგალითად, რსფსრ-ს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში საბითუმო ვაჭრობას ახორციელებს შემდეგი საბითუმო კანტორები: „როსქსოვილვაჭრობა“, „როსტანსაცმელვაჭრობა“, „როსფეხსაცმელვაჭრობა“, „როსგალანტერეა“, „როსსამეურნეო საქონლით ვაჭრობა“, „როსკულტვაჭრობა“, „როსბაკალეია“, „როსხორცკარაქვაჭრობა“; ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში — საბითუმო კანტორებიდან — „საქბაკალეია“ და „საქხორცკარაქვაჭრობა“, საბითუმო ბაზებიდან — „საქქსოვილვაჭრობა“ „საქტანსაცმელვაჭრობა“, „საქფეხსაცმელვაჭრობა“, „საქგალანტერეა“, „საქკულტსამეურნეო ვაჭრობა“, სამომხმარებლო კოოპერაცია ახორციელებს საბითუმო ვაჭრობას, რომელიც ატარებს შიდა საუწყებო ხასიათს და ემსახურება თავის საცალო-სავაჭრო ქსელის საქონლით მომარაგებას.

საბითუმო ვაჭრობის ძირითად მაჩვენებელს შეადგენს საბითუმო საქონელბრუნვა. საბითუმო საქონელბრუნვა ეწოდება, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვას სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებზე მისი ხელახალი გაყიდვის, ან სამრეწველო გადამუშავებისათვის, საქონლის გაყიდვა სახელმწიფო დაწესებულებებზე უშუალო გამოყენებისა და ექსპორტისათვის.

საბითუმო ვაჭრობაში სასაქონლო რესურსების მთელი მასა, მათი წარმოქმნის წყაროების მიხედვით იყოფა ორ ნაწილად: 1. საქონელი, რომლის მიწოდება წარმოებს სახელმწიფო რესურსებიდან — სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია, საქონლის მიწოდება, რაც ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების ხარჯზე; ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია, რაც გამომუშავებულია სახელმწიფო ნედლეულიდან: იმპორტული საქონელი. 2. საქონლის მიწოდება, რაც ხორციელდება ადგილობრივი რესურსებიდან — ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია, რაც წარმოებულია ადგილობრივი ნედლეულის ხარჯზე, დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქცია, პროდუქტები მიღებული შესყიდვების ხარჯზე, რაც წარმოებულია თვით სავაჭრო ორგანიზაციების მიერ უშუალოდ.

სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო რესურსებით საბითუმო საქონელბრუნვის დაგეგმვა ხორციელდება საბალანსო მეთოდის გამოყენებით.\* სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ძირითად საქონელზე (პურპროდუქტები, თევზპროდუქტები, შაქარი, ქსოვილები, ტანსაცმე-

ლი, ტყავის ფესხაცმელი და სხვ.) ამტკიცებს 'სასაქონლო ბალანსებს, რომლებიც დგება ცალკეული საქონლის მიხედვით. ამ ბალანსებში მოცემულია სასაქონლო რესურსები, მათი წარმოქმნის წყაროები და სასაქონლო რესურსების გამოყენება დანიშნულების მიხედვით. ბალანსის რესურსების ძირითადი მუხლებია: მოცემული საქონლის შარავი სამრეწველო საწარმოებისა და საბითუმო ორგანიზაციების საწყობებში, საქონლის მიღება წარმოებიდან, საქონლის მიღება იმპორტის წესით, სახელმწიფო რეზერვების განჯაფშნა და სხვ., რესურსების გამოყენების ძირითადი ელემენტებია: სამრეწველო გადამუშავების ფონდი, არასაბაზრო ფონდი და, ბოლოს საბაზრო ფონდი. იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ საბაზრო ფონდი, საჭიროა რესურსების მთელ ჯამს გამოვაკლოთ სამრეწველო გადამუშავებისა და არასაბაზრო ფონდების ჯამი.

ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით საბაზრო ფონდების განაწილებას სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტი ახორციელებს, ხოლო, თვით რესპუბლიკის შიგნით — ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების, სეკტორი სისტემების მიხედვით — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

განსხვავებულად ხდება ცხოველური წარმოშობის პროდუქტების (ხორცის, რძის, კვერცხის) დაგეგმვა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნული პროდუქტების მიხედვით ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის აწესებს სახელმწიფო დამზადების გეგმას. გეგმის ფარგლებში დამზადებული ეს პროდუქტები მთლიანად შეიტანება სახელმწიფო ცენტრალიზებულ ფონდში. საქართველოს სსრ აღნიშნული პროდუქტების ცენტრალიზებულ ფონდში შეტანისაგან განთავისუფლებულია. პირიქით, იგი ამ ფონდიდან პროდუქტებს ღებულობს დოტაციის სახით. დანარჩენი საქონლის მიხედვით სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტი ამტკიცებს რესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმებს.

ადგილობრივი წყაროებიდან მიღებული საქონლის საბითუმო საქონელბრუნვა იგეგმება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ.

°საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა ახორციელებს შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას:


— სასაქონლო რესურსების მიწოდების გეგმის შესრულების შემოწმება;

— საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის საანგარიშო ბალანსის შედგენა;

— სასაქონლო ფონდების მიწოდების აღრიცხვა;

**§ 2. სახელმწიფო სასაქონლო რესურსების საბითუმო სამონეპოლიტიზაციო  
სტრატეგიის განხორციელება სინტეზა**

სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო რესურსების მოძრაობა წარმოებიდან საცალო ვაჭრობის საწარმოებამდე და სხვა მომხმარებელ ობიექტებამდე წარმოებს საბითუმო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით. ეს მოძრაობა შესაძლებელია გამოისახოს შემდეგი სქემის მიხედვით:



სქემიდან ჩანს, რომ სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდება წარმოებს სამრეწველო გადამუშავების, არასაბაზრო და საბაზრო ფონდის სახით.

სამრეწველო გადამუშავების ფონდი არის სასაქონლო პროდუქციის ნაწილი, რაც გამოიყენება მრეწველობის მიერ როგორც ძირითადი ნედლეული სახალხო მოხმარების სხვა სახის საქონლის საწარმოებლად. მაგალითად, შაქარი — საკონდიტრო წარმოებისათვის, ქსოვილები — სამკერვალო წარმოებისათვის და ა. შ. სამრეწველო გადამუშავების ფონდი გაიანგარიშება ცალკეული საქონლის მიხედვით დარგის საწარმოო პროგრამისა და პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის ხარჯვის საფუძველზე. სამრეწველო გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი მიდის საბაზრო ფონდში.

არასაბაზრო ფონდი არის სასაქონლო პროდუქციის ნაწილი, რაც გამოიყენება სამრეწველო მოხმარებისათვის (საწარმოო-საექსპლოატაციო საჭიროებისათვის, როგორც დამხმარე მასალა. მაგალითად, ქსოვილები ფეხსაცმლის, ავეჯის, მსუბუქი ავტომობილების წარმოებაში და ა. შ.), სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების მოსამარაგებლად (მოწყობილობა საავადმყოფოებისათვის, საბავშვო ბაგებისა და ბაღებისათვის, არმიის მოსამარაგებლად და ა. შ.), ექსპორტისათვის, სახელმწიფო რეზერვების შევსებისათვის, საქონლის მარაგის შესაქმნელად პერიოდის ბოლოსათვის.

საბაზრო ფონდი არის სასაქონლო პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც მომხმარებელამდე დაიყვანება საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის მეშვეობით. ეს ფონდი წარმოადგენს საცა-



ლო საქონელბრუნვის გეგმის სასაქონლო უზრუნველყოფის საფუძველს.

დანიშნულების მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ საბითუმო საქონელბრუნვის შემდეგ სახეებს:

1. სარეალიზაციო საქონელბრუნვა. მას მიეკუთვნება: საქონლის გაყიდვა საბაზრო ფონდიდან საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოებზე, რომლებიც განლაგებული არიან სათანადო საბითუმო ბაზის მოქმედების რაიონში: საქონლის მიწოდება არასაბაზრო მომხმარებლებზე მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად;

2. რესპუბლიკათაშორისო საბითუმო საქონელბრუნვა. მას მიეკუთვნება: საქონლის გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხელშეკრულების მიხედვით, რაც იდება რესპუბლიკათაშორისო ბაზრობაზე. აქვე შეიტანება საქონლის მიწოდება საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის;

3. შიდა სასისტემო საბითუმო საქონელბრუნვა. მას მიეკუთვნება: საქონლის გაყიდვა ერთსა და იმავე რესპუბლიკურ საბითუმო კანტორაში შემავალ ერთი საბითუმო ბაზის მიერ მეორეზე, ან მათი მითითებით საბითუმო ბაზის მოქმედების რაიონში მდებარე საცალო სავაჭრო საწარმოზე.

წარმოების ადგილებიდან საქონლის მოძრაობის ორგანიზაციაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ — სასაწყობო და სატრანზიტო საქონელბრუნვას.

სასაწყობო საქონელბრუნვა არის საქონლის რეალიზაცია საბითუმო საწარმოების საწყობებიდან. აღნიშნული ბრუნვა დაკავშირებულია საბითუმო ორგანიზაციის საწყობში საქონლის მიღებასთან, შენახვასთან, დაკომპლექტება-დახარისხებასა და სხვა დამატებით დამუშავებასთან.

სატრანზიტო ბრუნვა — საქონლის მიწოდება მყიდველზე სამრეწველო საწარმოდან საბითუმო ბაზის განკარგულებით, ბაზის საწყობის გავლის გარეშე.

ანგარიშსწორების ფორმიდან გამომდინარე საბითუმო საქონელბრუნვას განასხვავებენ — ბრუნვას ანგარიშებში მონაწილეობით და ბრუნვას ანგარიშებში მონაწილეობის გარეშე.

სატრანზიტო საქონელბრუნვა ანგარიშებში მონაწილეობით — საქონელი ეგზავნება სამრეწველო საწარმოდან მყიდველ ორგანიზაციას საბითუმო ბაზის განკარგულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება წარმოებს საბითუმო ორგანიზაციასა და სამრეწველო საწარმოს შორის ერთი მხრივ და საბითუმო ორგანიზაციასა და მყიდველს შორის მეორე მხრივ.

სატრანზიტო საქონელბრუნვა ანგარიშებში მონაწილეობის გარეშე — საქონელი სამრეწველო საწარმოდან ეგზავნება უშუალოდ მყიდველს

საბითუმო ბაზის ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ამ დროს საბითუმო ორგანიზაცია ანგარიშსწორებაში მონაწილეობას არ ღებულობს. იგი გამოდის მხოლოდ მეთვალყურის როლში.

საბითუმო საქონელბრუნვის ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო საქონელბრუნვაში ცალკეული სახის საქონლის მიხედვით საბაზრო ფონდების ხვედრითი წონის გაანგარიშებას. აღნიშნული მაჩვენებელი გამოისახება პროცენტებში და გაიანგარიშება მოცემული საქონლის საბაზრო ფონდის შეფარდებით ამავე საქონლის საერთო მიწოდების მაჩვენებელთან (საბაზრო ფონდი + არასაბაზრო ფონდი + სამრეწველო გადამუშავების ფონდი). ეს გაანგარიშება წარმოებს შემდეგი სქემით:

$$D_{p\phi} = \frac{O_{p\phi}}{O_{p\phi} + O_{\text{მ.ფ}} + O_{\text{ფ.მ.}}}} \times 100,$$

სადაც  $D_{p\phi}$  — საბაზრო ფონდის ხვედრითი წონა;

$O_{p\phi}$  — საბაზრო ფონდის მოცულობა;

$O_{\text{მ.ფ}}$  — არასაბაზრო ფონდის მოცულობა;

$O_{\text{ფ.მ.}}$  — სამრეწველო გადამუშავების ფონდის მოცულობა.

საბაზრო ფონდების წილის ამაღლება მთელს საბითუმო საქონელბრუნვაში მაჩვენებელია იმისა, რომ უფრო სწრაფად იზრდება საქონლის მიწოდება საცალო სავაჭრო ქსელზე, რაც გამიზნულია მომხმარებელზე მისაყიდად. ცალკეული ფონდის ხვედრითი წონის გაანგარიშება მოვახდინოთ შემდეგი პირობითი მონაცემების საფუძველზე (ათ. მან.):

ცხრილი 3.1

	საბაზრო ფონდი	არასაბაზრო ფონდი	სამრეწველო გადამუშავების ფონდი	მიწოდების საერთო მოცულობა
ქსოვილები	2560,0	100,0	1460,0	4120,0
შეკერილი ნაწარმი	2200,0	500,0	—	2700,0
სულ	4760,0	600,0	1460,0	6820,0

ქსოვილების მიხედვით:

$$D_{p\phi} = \frac{2560}{2560 + 1460 + 100} \times 100 = \frac{2560}{4120} \times 100 = 62,1\%$$

$$D_{\text{მ.ფ}} = \frac{100}{2560 + 1460 + 100} \times 100 = \frac{100}{4120} \times 100 = 2,4\%$$

$$D_{\text{ფ.მ.}} = \frac{1460}{2560 + 1460 + 100} \times 100 = \frac{1460}{4120} \times 100 = 35,5\%$$

შეკერილი ნაწარმის მიხედვით:

$$D_{\text{რ.რ}} = \frac{2200}{2200 + 500} \times 100 = \frac{2200}{2700} \times 100 = 81,5\%$$

$$D_{\text{ან.რ}} = \frac{500}{2200 + 500} \times 100 = \frac{500}{2700} \times 100 = 18,5\%.$$

### § 8. სამონლის საბაზრო ფონდების მიწოდების სტაბილურობა

სამრეწველო საწარმოები საფაბრიკო (საქარხნო) საწყობებიდან საქონლის გაცემის შესახებ ანგარიშგებას უდგენენ იმ საბითუმო ბაზებს, რომელთა განკარგულების საფუძველზეც გაიცა საქონელი. ანგარიშგება დგება მზარდი ჯამის მიხედვით კვარტალის დასაწყისიდან 15 დღეში ერთხელ.

საოლქო საბითუმო ბაზები საქონლის მიწოდების შესახებ კრეფსით ანგარიშს ადგენენ ასევე 15 დღეში ერთხელ, მზარდი ჯამის მიხედვით კვარტალის დასაწყისიდან. საგასავლო ბაზები ანგარიშს უდგენენ უშუალოდ რესპუბლიკურ საბითუმო სავაჭრო ბაზებსა და კანტორებს. რესპუბლიკური სავაჭრო ბაზები და კანტორები კი ამუშავენ კრეფსით ანგარიშებს მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით.

რესპუბლიკური სავაჭრო ბაზებისა და კანტორების მიმდინარე ანგარიში შედგება ოთხი განყოფილებისაგან:

I — საქონლის მიწოდება ადგილობრივი მომარაგებისათვის ოლქის (მხარის), ასსრ ფარგლებში;

II — საქონლის მიწოდება საერთო-საკავშირო სჭიროებისათვის თავისი ოლქის (მხარის), ასსრ ფარგლებში;

III — საქონლის მიწოდება თავისი რესპუბლიკის სხვა ოლქებზე (მხარეებზე), ასსრ-ზე;

IV — საქონლის მიწოდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებზე, რესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმის ანგარიშში.

აქ ჩამოთვლილ ყოველ განყოფილებაში ცალკე გამოიყოფა საქონლის მიწოდება საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით. საბაზრო ფონდებში კი ცალკე გამოიყოფა საქონლის მიწოდება სამომხმარებლო კოოპერაციაზე.

ანგარიშგების ოთხივე განყოფილების ჯამი გვაძლევს საქონლის მიწოდების საერთო მოცულობას. საოლქო (სამხარეო) ბაზის, ხოლო I, II და IV განყოფილებების ჯამი — რესპუბლიკური ბაზის, კანტორის მიხედვით.

საბითუმო ბაზებისა და კანტორების ანგარიშგების უბრალო შეჯა-

მეზით ვღებუღობთ სობითუმო სოქონღბრუნვის სოერთო მოცუღობოს რესპუბღიკის მიხედვით. მოგრამ, ასეთი გოანგოარიშების დროს ადგილი ზქვს გოანმეორებით გოყიდვებსოც. ამიტომ არის, რომ რესპუბღიკის მიხედვით ანგოარიშგების შედღენო წორომებს ე. წ. წმინდო ბრუნვის (I, II დო IV გოანყოფიღების ჭამი) მიხედვით. სსრ კავშირის მასშტობით კრეფსითი ანგოარიშის შედღენო წორომებს წმინდო ბრუნვის (I დო II გოანყოფიღების ჭამი) სხით.

გოანგოარიშების იღუსტროცოო მოვოხდინოთ შემდღეგი პირობითი მონოცემების სოფუძვეღზე (ათ. მონ.):

ცხრილი 3. 2

	1 ოღქი			2 ოღქი			სულ რესპუბღიკის მიხედვით (1+2) სოერთო ბრუნვის მიხედვით	წმინდო ბრუნვის გოამოცღება	
	ტყოვის ფესოცემღი	რეზინის ფესოცემღი	ჭამი	ტყოვის ფესოცემღი	რეზინის ფესოცემღი	ჭამი		შიდო ბრუნვის	რესპუბღიკის
I. მიწოღებულოო ოღქის ფონდის მიხედვით	1500	500	2000	3000	400	3400	5400	5400	5400
II. მიწოღებულოო სოერთო-სოკოავშირო სოკოოროგბისოთვის ოღქის შივნით	700	100	800	1000	100	1100	1900	1900	1900
III. მიწოღებულოო ოთვისი რესპუბღიკის სხვო ოღქებზე	530	70	600	850	50	900	1500	—	—
IV. მიწოღებულოო სხვო მოკოავშირე რესპუბღიკებზე	450	—	450	200	100	300	750	750	—
ჭამი	3180	670	3850	5050	650	5700	9550	8050	7300

პირველი ბოზის მიხედვით მიწოღების მოცუღობომ შედღინო: ტყოვის ფესოცემღის—3180 ათ. მონ., რეზინის ფესოცემღის—670 ათ. მონ. მეორე ბოზის მიხედვით შესობოამისოდ ტყოვის ფესოცემღის — 5050 ათ. მონ. დო რეზინის ფესოცემღის — 650 ათ. მონ. სულ რესპუბღიკის მიხედვით — ტყოვის ფესოცემღის 8230 ათ. მონ., რეზინის — 1320 ათ. მონ. სულ 9550 ათ. მონ.

სოქონღის მიწოღების შესახებ მონოცემების უბროლო შეჭომებით ვღებუღობთ სოერთო სოქონღბრუნვოს 9550 ათ. მონეთს. თუ სოერთო

საქონელბრუნვიდან გამოვრიცხავთ III განყოფილებას (1500), მივიღებთ რესპუბლიკის მიხედვით წმინდა საქონელბრუნვას 8050 ათ. მანეთის ოდენობით, ხოლო თუ ამ უკანასკნელს გამოეკლებთ IV განყოფილების მაჩვენებელს, მივიღებთ წმინდა ბრუნვას სსრ კავშირის მიხედვით.

საქონელბრუნვის ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის საბაზრო ფონდების მიწოდების გეგმის შესრულების თანაბარზომიერების შესწავლას დროსა და სივრცეში. გეგმის შესრულების თანაბარზომიერების შესწავლის მიზნით, საჭიროა გამოყენებულ იქნეს კრეფსითი ანგარიში. თანაბარზომიერად ჩაითვლება საქონლის საბაზრო ფონდების ისეთი მიწოდება, როცა გეგმები სრულდება როგორც ცალკეული თვეების, ისე კვარტალების მიხედვით. იგი შეიძლება დადგენილ იქნეს ორი წესით: პირველი, თვის განმავლობაში ფაქტიური მიწოდების ხვედრითი წონით კვარტალურ მიწოდებაში და მეორე — ვარიაციის კოეფიციენტიდან საშუალო კვარტალური გადახრის გაანგარიშებით.

პირველი წესით მიღებული გაანგარიშების შედეგები ნაჩვენებია ცხრილში 3.3.

ცხრილი 3.3

მიწოდების გეგმის შესრულების თანაბარზომიერება თვეების მიხედვით

	საქონლის მიწოდების კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი	მათ შორის		
		ინვარი 1 თვე	თებერვალი მე-2 თვე	მარტი მე-3 თვე
ტყავის ფეხსაცმელი	92,0	33,0	33,0	33,0
კომბინირებული ფეხსაცმელი	106,0	30,0	36,0	40,0
რეზინის ფეხსაცმელი	100,0	33,3	33,3	33,4

გეგმის შესრულება ძალზე თანაბარზომიერია რეზინის ფეხსაცმლის მიხედვით.

მეორე წესით აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 3.4).

$$\bar{x} = \frac{\sum xM}{\sum M} = \frac{165}{160} \times 100 = 103\%$$

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (x-\bar{x})^2 M}{\sum M}} = \sqrt{\frac{10600,0}{160}} = \pm 8,1\%$$

$$V = \frac{\sigma}{\bar{x}} \times 100 = \frac{8,1}{103} \times 100 = 7,8\%$$

## თვეების მიხედვით მიწოდების გეგმის შესრულების თანაბარზომიერება

თვეები	მიწოდების გეგმის მნიშვნ.	ფაქტიური მიწოდება მლნ მან.	გეგმის შესრულების პროცენტი	$(x - \bar{x})$	$(x - \bar{x})^2$	$(x - \bar{x})^2 \cdot M$
	M	xM	(x)			
1 იანვარი	10	8	80,0	23	529,0	5290,0
2 თებერვალი	11	12	109,0	+6,0	36,0	396,0
3 მარტი	12	14	116,0	+13,0	169,0	2028,0
4 აპრილი	13	14	101,0	+4,0	16,0	208,0
5 მაისი	13	14	107,0	+4,0	16,0	208,0
6 ივნისი	13	14	107,0	+4,0	16,0	208,0
7 ივლისი	14	14	100,0	-3,0	9,0	126,0
8 აგვისტო	14	14	100,0	-3,0	9,0	126,0
9 სექტემბერი	14	14	100,0	-3,0	9,0	126,0
10 ოქტომბერი	15	14	93,0	-10,0	100,0	1500,0
11 ნოემბერი	15	16	107,0	+4,0	16,0	240,0
12 დეკემბერი	16	17	106,0	+3,0	9,0	144,0
	$\sum M = 160$	$\sum xM = 165$	$\bar{x} = 103\%$			$10600,0 = \sum (x - \bar{x})^2 M$

საშუალო კვარტალური გადახრილობა, რომელიც ჩვენი მაგალითის მიხედვით, ტოლია +8,1%-ის, მიგვითითებს მიწოდების გეგმის შესრულების საშუალო პროცენტიდან (103%) გადახრის საშუალო აბსოლუტურ ზომაზე, თუ ცალკეული თვეების მიხედვით გადახრა იყო ძალზე დიდი (იანვარი = -23%, მარტი = +13%), საერთო ჯამი მთელი პერიოდის განმავლობაში გადახრილობის ხარისხმა შეადგინა  $\pm 8,1\%$ .

ვარიაციის კოეფიციენტი (V) ტოლია 7,8%-ის. იგი ახასიათებს საშუალო შეფარდებით გადახრილობას გეგმის შესრულების საშუალო პროცენტიდან (103%).

რეგიონალური თვალსაზრისით საქონლის მიწოდების გეგმის შესრულების თანაზომიერების დადგენის მიზნით საჭიროა ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების დაჯგუფება გეგმის შესრულების ხარისხის მიხედვით. მიზანშეწონილია გამოიყოს რეგიონთა ორი ჯგუფი:

პირველ ჯგუფში შეტანილ იქნეს ის რეგიონები, რომლებმაც მიწოდების გეგმა შეასრულა 100 და მეტი პროცენტით, ხოლო მეორე ჯგუფში — რომლებმაც გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყო. ასეთი დაჯგუფების გაფორმება შეიძლება მოხდეს შემდეგი პირობითი მაგალითის მიხედვით.

ოლქების დაჯგუფება მიწოდების გეგმის შესრულების ხარისხის მიხედვით (ათ. მან.)

	ოლქების რაოდენობა	მიწოდების გეგმა	ფაქტური შესრულება	გეგმის შესრულების პროცენტი	მიწოდებულ იქნა საბაზისო პერიოდში
I ჯგუფის ოლქები, რომლებმაც გეგმა შეასრულა	18	1250	1300	104,0	1160
II ჯგუფის ოლქები, რომლებმაც გეგმა ვერ შეასრულა	7	400	368	92,0	336
სულ	25	1650	1668	101,0	1496

საბითუმო ვაჭრობის საქმიანობაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მოხმარების საქონლის რესპუბლიკათაშორისო მიწოდების დაგეგმვას. მისი მიზანია ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი სასურსათო და არასასურსათო საქონლის საბაზრო და არასაბაზრო ფონდებით. სტატისტიკის ამოცანაა ხელი შეუწყოს მიწოდების გეგმის თანაზომიერად შესრულებას.

რესპუბლიკებს შორის სასაქონლო კავშირების შესწავლის მიზნით, პერიოდულად დგება ცალკეული საქონლის რესპუბლიკათაშორისო მიწოდების ჰადრაკული ბალანსი. ამ ბალანსის შედგენა ხდება სტატისტიკური ცხრილის სახით, რომლის ქვემდებარეში ნაჩვენებია მოკავშირე რესპუბლიკები, რომლებიც ახორციელებენ მოცემული საქონლის წარმოებასა და მიწოდებას სხვა რესპუბლიკებზე, ხოლო შემასმენელში — მომხმარებელი მოკავშირე რესპუბლიკები, რომელთაც მიეწოდებათ ეს საქონელი. მაშასადამე, ბალანსის ქვემდებარე ახასიათებს საქონლის წარმოების, ხოლო შემასმენელი — საქონლის გასაღების გეოგრაფიას. ჰადრაკული ბალანსი შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს შემხვედრი და შორეული გადაზიდვები.

ჰადრაკული ბალანსის შედგენის სქემა (იხ. გვ. 40).

4. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის სტატისტიკა

სოციალისტური წარმოების მასშტაბების გადიდება, ბაზრის სულ უფრო მეტად გაჭერება სახალხო მოხმარების საქონლით, ზრდის მოთხოვნილებებს საქონლის ხარისხის მიმართ.

საქონლის ხარისხის ამაღლებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების საქმეში ვაჭრობას დაკისრებული აქვს ძალზე დიდი როლი. ეს, პირველ რიგში შეეხება საბითუმო ვაჭრობას, რადგანაც იგი გამოდის სახალხო მოხმარების საქონლის დამკვეთის როლში.





საბითუმო ვაჭრობა მიღებული საქონლის ხარისხის დადგენის დროს იყენებს როგორც მთლიანი, ისე შერჩევითი შემოწმების მეთოდს. შერჩევითი მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია შემოწმდეს მთელი მიღებული პარტიის გარკვეული რაოდენობა: ქსოვილების—10%, შეკერილი ნაწარმის — 15%, ფეხსაცმლის — 20%.

საბითუმო ბაზები ყოველთვისად ანგარიშს ადგენენ საქონლის ხარისხის საკონტროლო შემოწმების შესახებ. ანგარიშში ნაჩვენებია შემდეგი მუხლები: ა) მიღებულ იქნა სულ; ბ) მათ შორის შემოწმებულ იქნა; გ) მიღებული საქონლიდან შემოწმებულის წილი პროცენტებში  $[(ბ : ა) \times 100]$ ; დ) გადაყვანილ იქნა დაბალ ხარისხში; ე) შემოწმებული საქონლის რაოდენობიდან დაბალ ხარისხში გადაყვანის პროცენტი  $[(დ : ბ) \times 100]$ ; ვ) დაბრუნებულ იქნა მწარმოებელთან დეფექტების ლიკვიდაციის მიზნით; ზ) სულ — გადაყვანილ იქნა დაბალ ხარისხში და დაბრუნებული მწარმოებელთან დეფექტების ლიკვიდაციის მიზნით  $[(დ + ვ)]$ ; თ) პერიოდის განმავლობაში წარდგენილი პრეტენზიები.

გარდა საბითუმო ბაზებისა, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის შემოწმებას ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექცია. იგი საქონლის ხარისხის შემოწმებას ახდენს: სამრეწველო საწარმოებში, საბითუმო ბაზებსა და საცალო სავაჭრო ქსელში; როგორც წესი, საქონლის ხარისხის დადგენის დროს იყენებს შერჩევით მეთოდს.

აღნიშნული ორგანიზაცია, გარდა საქონლის ხარისხისა, ამოწმებს საქონლის მიღების, შენახვის, შეფუთვისა და რეალიზაციის პირობების დაცვას.

საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექცია, ყოველკვარტალურად და წლის მიხედვით, თავის ზემდგომ ორგანოებს უდგენს საქონლის ხარისხის შემოწმების შედეგების შესახებ სტატისტიკურ ანგარიშს. ეს ანგარიში ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში დახასიათებულია საქონლის ხარისხი, ხოლო მეორეში — შემოწმების რაოდენობა. სტატისტიკური ანგარიშის I და II განყოფილების ქვემდებარეში ნაჩვენებია სამი სახის საწარმოები, რომლებშიც წარმოებდა საქონლის ხარისხის შემოწმება. ესენია: 1. სამრეწველო საწარმოები; 2. საბითუმო კანტორები და ბაზები; 3. საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები. ანგარიშის 1-ელ განყოფილების შემასმენელში პროდუქციის საერთო შემოწმებული რაოდენობიდან გამოყოფილია: 1. პროდუქციის რაოდენობა და ხვედრითი წონა, რაც დაქვეითებულ იქნა დაბალ ხარისხში ან დაწუნებულ; 2. დაწუნებული საქონლის რაოდენობა შემდეგი მიზეზებით: ტექნოლოგიის დარღვევა, არასტანდარტული ტარა, შეფუთვის დაბალი ხარისხი, მარკირების არარსებობა, არასწორი შენახვა. აქვე ნაჩვენებია წუნის წარმოქმნაში დამნაშავე.

ანგარიშის მე-2 განყოფილებაში მოცემულია იმ სამუშაოების მოცულობა, რაც ჩატარდა პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო ინსპექციის მიერ (შემოწმებული საწარმოებისა და შემოწმების რაოდენობა). განყოფილების ბოლო ნაწილში აღნიშნულია ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია სახელმწიფო ინსპექციის მიერ (დაწესდა მიღების განსაკუთრებული წესები, აკრძალულია ამა თუ იმ საწარმოს პროდუქციის მიღება, დაიკეტა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმო და ა. შ.).

### § 6. სამონლის საბაზრო ფონდების ინდექსები

საბაზრო ფონდების მიწოდების კრეფისთი ცხრილის შედგენით საშუალება გვეძლევა გავიანგარიშოთ საქონლის საბაზრო ფონდების მოცულობის დინამიკა როგორც საქონლის ცალკეული ჯგუფების, ისე მთლიანად ყველა საქონლის მიხედვით. საქონლის საბაზრო ფონდების მოცულობის დინამიკის გაზომვა და შესწავლა წარმოებს ინდექსების დახმარებით. იგი შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე და უცვლელ ფასებში. მიმდინარე ფასებში საბაზრო ფონდების დინამიკის განსაზღვრა ხდება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0},$$

- სადაც  $I$  — საბაზრო ფონდების მიწოდების დინამიკის მაჩვენებელი;  
 $q$  — რეალიზებული საქონლის რაოდენობა საანგარიშო პერიოდში ( $q_1$ ) და საბაზისო პერიოდში ( $q_0$ );  
 $p$  — საქონლის ფასი საანგარიშო ( $p_1$ ) და საბაზისო ( $p_0$ ) პერიოდებში.

აღნიშნული ინდექსი ახასიათებს საქონლის საბაზრო ფონდების მოცულობის დინამიკას, რაც განპირობებულია საბაზრო ფონდების როგორც რაოდენობის, ისე ფასების ცვლილების შედეგად.

საბაზრო ფონდების ფიზიკური მოცულობის ინდექსის გაანგარიშება უცვლელ ფასებში წარმოებს შემდეგი ფორმულის გამოყენებით.

$$I = \frac{\sum q_1 q_0}{\sum q_0 p_0},$$

მოცემული ინდექსის მრიცხველში ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა, გამოსახული საბაზისო პერიოდის ფასებში; მნიშვნელში კი — საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვა.

საბაზრო ფონდების ინდექსების გაანგარიშება მოეახდინოთ შემდეგ პირობით მაგალითზე (იხ. ცხრ. 3.6).

საბაზრო ფონდების ინდექსების ვაანგარიშება მოვახდინოთ შემდეგ პირობით მაგალითზე:

	რეალიზებული საქონელი სათანადო წლის ფასებში (ათ. მან.)		ფასების ინდექსი=1,0 <i>ip</i>	რეალიზებული საქონელი საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის ფასებით ( $q_1p_1 : ip$ ) (2:3). (ათ. მან.)
	საბაზისო პერიოდი ( $q_0p_0$ )	საანგარიშო პერიოდი ( $q_1p_1$ )		
შალის ქსოვილი	80	100	0,998	100,2
შეკერილი ხაწარში	140	170	0,995	170,8
ტყაეის ფეხსაცმელი	100	150	0,980	153,0
ჯამი	320 $\sum q_0p_0$	420 $\sum q_1p_1$	—	424,0 $\sum q_1p_1 : ip$

ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე ვავანგარიშოთ საბაზრო ფონდების მიწოდების ინდექსი სათანადო წლის ფასებში.

$$I = \frac{420}{320} = 1,312 \text{ ანუ } 131,2\%$$

მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ არასასურსათო საქონლის ფონდების მიწოდება საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით გაიზარდა 31,2%, სასაქონლო ფონდების მიწოდების გადიდება მოხდა მიწოდების მოცულობის ზრდისა და ფასების შემცირების საფუძველზე.

მიწოდების ფიზიკური მოცულობის ინდექსი უცვლელ ფასებში ვავანგარიშოთ ფორმულით:

$$I = \frac{424}{320} = 1,325$$

მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით საქონლის მიწოდების გადიდება 32,5% მოხდა მიწოდებული საქონლის რაოდენობის გაზრდით, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში შეადგენს 104 ათას მანეთს.

§ 8 საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი

საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი წარმოადგენს იმ ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც გვიხასიათებს წარმოების სფეროდან, საცალო ვაჭრობისა და სხვა არასაბაზრო მომხმარებლების სფერომდე საქონლის მოძრაობის მთელ პროცესს.

სასაქონლო ბალანსის შედგენა წარმოებს საბითუმო ვაჭრობის ცალ-

კეული საწარმოების, ორგანიზაციებისა და მთლიანად ვაჭრობის ამ დარგის მიხედვით.

სასაქონლო ბალანსი გვიხასიათებს: სასაქონლო რესურსების მიღების წყაროებს, მათ გამოყენებას ცალკეული დანიშნულების მიხედვით, სასაქონლო მარაგებში მომხდარ ცვლილებებს. საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსის საერთო სქემა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი.

I. სასაქონლო რესურსები.

1. სასაქონლო მარაგი პერიოდის დასაწყისში ( $З_0$ );

2. საქონლის მიღება პერიოდის განმავლობაში ( $\Pi$ ).

მათ შორის საქონლის მიღება წარმოებიდან, იმპორტის წესით და სხვა წყაროებიდან. ბალანსი  $(1+2) З_0 + \Pi$ .

II. სასაქონლო რესურსების გამოყენება.

1. საქონლის მიწოდება ( $P$ ). მათ შორის საბაზრო ფონდები, სამრეწველო გადამუშავების ფონდი, არასაბაზრო ფონდი (ცალკეული დანიშნულების მიხედვით);

2. სასაქონლო დანაკარგები ( $T\Pi$ );

3. საქონლის მარაგი პერიოდის ბოლოსათვის ( $З_1$ );

ბალანსი  $(1+2+3) P + T\Pi + З_1$

საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი გამოისახება შემდეგი ტოლობით:

$$З_0 + \Pi = P + T\Pi + З_1$$

საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი დგება კვარტალურად ცალკეული საქონლის მიხედვით. ამასთან, სასურსათო საქონელზე — ნატურალურ, ხოლო არასასურსათო საქონელზე ფულად მაჩვენებლებში.

სასაქონლო ბალანსის მეშვეობით გადაიჭრება შემდეგი ძირითადი ამოცანები.

1. საქონლის მიღების წყაროების გამოვლენა (წარმოება, იმპორტი და სხვ);

2. ფონდების მიხედვით, სასაქონლო რესურსების გამოყენების დადგენა;

3. სასაქონლო მარაგში ცვლილებების განსაზღვრა;

4. ბალანსის ცალკეული მუხლის მიხედვით გეგმის შესრულების შემოწმება.

გარდა აღნიშნულისა, სასაქონლო ბალანსის შედგენა მიზნად ისახავს კონტროლსაც, რასაც ხშირად მიმართავენ ვაჭრობის მუშაკები თავიანთი პრაქტიკული მუშაობის პროცესში.

მთლიანად, საბითუმო ორგანიზაციის მიხედვით კრეფსითი სასაქონლო ბალანსის შედგენის დროს მხედველობაშია მიღებული, რომ სისტემის შიდაბრუნვები ქმნიან განმეორებით გაყიდვებს, ხელოვნურად

ადიდებენ საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობას, ამიტომ ბალანსი დგება როგორც საერთო, ისე წმინდა ბრუნვის სახით. განვიხილოთ საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი, შედგენილი საერთო და წმინდა ბრუნვის მიხედვით.

ცხრილი 3.7

საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი  
(ციფრები პირობითია მლნ მან.)

	საფაბრიკო საწყობები და საგასაყლო ბაზები	საოლქო საეპრო ბაზები	კრეფსითი ბალანსი	
			საერთო ბრუნვა	წმინდა ბრუნვა
<b>სასაქონლო რესურსები</b>				
1. საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისში	6	12	18	18
2. საქონლის მიღება				
ა) წარმოებიდან	800	—	800	800
ბ) იმპორტი	—	200	200	200
3. მიღებულ იქნა საქონელი საფაბრიკო საწყობებიდან და საგასაყლო ბაზებიდან (ოლქის ფარგლებში)	—	<u>350</u>	<u>350</u>	—
4. რესპუბლიკათაშორისო მიწოდება	—	<u>28</u>	<u>28</u>	—
<b>სულ (1+2+3+4)</b>	<b>806</b>	<b>590</b>	<b>1396</b>	<b>1018</b>
<b>სასაქონლო რესურსების გამოყენება</b>				
1. საქონლის მიწოდება				
ა) საბაზრო ფონდების მიხედვით	191	532	723	723
ბ) არასაბაზრო ფონდების მიხედვით	200	—	200	200
2. საქონლის მიწოდება საოლქო საეპრო ბაზებზე (ოლქის ფარგლებში)	<u>400</u>	—	<u>400</u>	—
3. რესპუბლიკათაშორისო მიწოდება	—	<u>28</u>	<u>28</u>	—
4. სასაქონლო დანაკარგები	5	10	15	15
5. საქონლის მარაგი პერიოდის ბოლოს	10	20	30	30
6. საქონელი გზაში	—	—	—	50
<b>ჯამი (1+2+3+4+5+6)</b>	<b>806</b>	<b>590</b>	<b>1396</b>	<b>1018</b>

საბითუმო ბაზის მიხედვით შიდაბრუნვას მიეკუთვნება საქონლის მიწოდება საოლქო საბითუმო საეპრო ბაზაზე (ოლქის ფარგლებში — 400 მლნ მან.), საქონლის მიწოდება საფაბრიკო საწყობებიდან — 350 მლნ მან. და საქონლის რესპუბლიკათაშორისო მიწოდება — 28 მლნ მან. თუ აღნიშნული ბრუნვებისაგან გავათავისუფლებთ ბალანსს მივიღებთ წმინდა ბრუნვას. ჩვენი მაგალითის მიხედვით წმინდა ბრუნვა წარმოღვენილია შემდეგი ტოლობის სახით:

$$18 + 800 + 200 = 721 + 200 + 15 + 30 + 50, \text{ ანუ} \\ 1018 = 1018.$$

ანალოგიური წესით ხდება, მთლიანად საბითუმო ვაჭრობის კრებ-  
სითი სასაქონლო ბალანსის შედგენა (მლნ მან.).

ცხრილი 3.8

	ქსოვილები	ტანსაცმელი	კრეფსითი ბალანსი	
			საერთო ბრ.	წმინდა ბრ.
საქონლის მარაგი პერი- ოდის დასაწყისში . . . . .	2	4	6	6
მიღებულია წარმოებიდან . . . . .	300	500	800	700
<b>სულ</b>	<b>302</b>	<b>504</b>	<b>806</b>	<b>706</b>
ფონდების მიხედვით მი- წოდება:				
საბაზრო ფონდები	150	499	649	649
სამრეწველო გადამუ- შავების ფონდი . . . . .	100	—	100	—
არასაბაზრო ფონდი . . . . .	48	—	48	48
საქონლის მარაგი პერი- ოდის ბოლოს . . . . .	4	5	9	9
<b>სულ</b>	<b>302</b>	<b>504</b>	<b>806</b>	<b>806</b>

**§ 7. საცალო საქონელბრუნვის ხასიათი უზრუნველყოფის ბალანსი**

საცალო საქონელბრუნვის გეგმის დამუშავების დასკვნით ეტაპს წარ-  
მოადგენს მისი სასაქონლო უზრუნველყოფის დაგეგმვა. სასაქონლო  
უზრუნველყოფის დაგეგმვა წარმოებს საბალანსო მეთოდის გამოყენე-  
ბით, ე. ი. მუშავდება საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნ-  
ველყოფის ბალანსი.

საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო ბალანსი არის გარკვეული  
წესით შედგენილი ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა,  
რომელშიც მოცემულია სასაქონლო რესურსების მიღებისა და მათი  
დანიშნულების მიხედვით გამოყენების განზოგადებული დახასიათება.

აღნიშნული ბალანსი მუშავდება ფულად გამოსახულებაში და შედ-  
გება ორი ნაწილისაგან. მარცხენა (შემოსავლების) ნაწილში ნაჩვენე-  
ბია სასაქონლო რესურსები, რაც აუცილებელია საცალო ვაჭრობისა  
და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის გეგმის უზრუნველყოფი-  
სათვის. ამასთან, სასაქონლო რესურსები დაყოფილია სახელმწიფო და  
ადგილობრივი წყაროების მიხედვით. საბაზრო ფონდები ბალანსში შე-  
ტანილია მიმდინარე წლის საცალო ფასებში. ბალანსის ამგვარ ნაწილში  
შეტანილია საზოგადოებრივი კვების დარიცხვა და საცალო სავაჭრო

ქსელში სასაქონლო მარაგის შემცირების ან გადიდების მაჩვენებელი. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა სასაქონლო მარაგის გადიდებას (ზომაზე მეტად), მაშინ ბალანსის ამ ნაწილში ნაჩვენები იქნება მისი შემცირება, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში — გადიდება. ბალანსის მარჯვენა (გასავლების) ნაწილში მოცემულია სასაქონლო რესურსების გამოყენება; საცალო სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა, სასაქონლო მარაგის ზრდა, სასაქონლო დანაკარგები, საქონლის გადაფასება და ჩამოფასება. საზოგადოებრივი კვების ბრუნვა ნაჩვენებია გასაყიდი ფასებით, ე. ი. საცალო ფასებს დამატებული საზოგადოებრივი კვების დარიცხვა.

საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის ბალანსის შედგენა საშუალებას იძლევა გადაჭრილ იქნეს მნიშვნელოვანი საკითხები:

1. საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის დადგენა;
2. სასაქონლო რესურსების გამოყენება;
3. ცვლილებები სასაქონლო მარაგში;
4. ბალანსის ცალკეული მუხლის მიხედვით გეგმის შესრულება.

როგორც აღნიშნეთ, ბალანსი დგება ფულად მაჩვენებლებში და გამოხატავს შემდეგ ტოლობას:

$$3_0 + \Pi = P + 3_1$$

პირობითი ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის ბალანსი (იხ. ცხრილი 3.9).

მოცემული ბალანსის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საბაზრო ფონდების მიწოდების გეგმის შესრულებამ 102,0%-ით გამოიწვია სახელმწიფო რესურსებიდან საქონლის მიწოდების გეგმის გადაჭარბებით (104,9%-ით) შესრულება; გეგმით გათვალისწინებულია სასაქონლო მარაგების შემცირება 25 მლნ მანეთით, მაგრამ, შემცირების ნაცვლად მოხდა მისი გადიდება 50 მლნ მანეთით; საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობამ (90%-ია) გამოიწვია საზოგადოებრივი კვების დარიცხვის შემცირება 7 მლნ მანეთით (75-68=7), თუმცა აღნიშნულ გარემოებას გავლენა არ მოუხდენია

დარიცხვის დონეზე—გეგმური დარიცხვის დონე იყო 15%  $\left(\frac{75 \times 100}{450}\right)$ ,

ხოლო ფაქტიურმა დონემ შეადგინა 15,1%  $\left(\frac{68 \times 100}{450}\right)$ .

სასაქონლო უზრუნველყოფის ბალანსს დანართის სახით ერთვის სპეციალური ცხრილი, რომელშიც მოცემულია ცალკეული სახის საბაზრო ფონდები წარმოქმნის წყაროების მიხედვით.

საცალო საქონელბრუნვის სახაქონლო უზრუნველყოფის ბალანსი (მლნ მან.)

	გეგმა	ფაქტიური შესრულება	გეგმის შესრულების პროცენტი
ა) სასაქონლო რესურსები (შემოსავლები)			
საბაზრო ფონდები	5100	5250	102,9
მათ შორის:			
სახელმწიფო რესურსები	4600	4800	104,3
აღვილობრივი წყაროები	500	450	90,0
საზოგადოებრივი კვების დარიცხვა	75	68	90,0
სასაქონლო მარაგის შემცირება	25	—	—
ჯამი	5200	5318	102,2
ბ) სასაქონლო რესურსების გამოყენება (გასაღებები)	5150	5200	102,2
საცალო საქონელბრუნვა			
მათ შორის:			
საცალო ვაჭრობის ქსელის	4650	4700	101,0
საზოგადოებრივი კვების ქსელის	500	450	90,0
სასაქონლო მარაგის გადიდება	—	50	—
საქონლის გადაფასება და ჩამოფასება	30	50	166,0
სასაქონლო დანაკარგები	20	18	90,0
ჯამი	5200	5318	102,2

§ 8. საბითუმო საქონელბრუნვის საბინსტიკო საცალო სამაზრო ორგანიზაციებში

სახელმწიფო საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების სისტემაში საბითუმო ვაჭრობის არსებობა არ არის მიზანშეწონილი. იგი გამოიწვევდა რგოლადობის გადიდებას, საქონელბრუნვის სისწრაფის შენელებას და აქედან გამომდინარე სხვა უარყოფით მოვლენებს.

მცირე მოცულობის სოფლებისა და დასახლებული პუნქტების არსებობა, მათი განლაგება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, აუცილებელს ხდის სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით საბითუმო ვაჭრობის არსებობას. სამომხმარებლო კოოპერაციას გააჩნია საკუთარი საბითუმო ვაჭრობა, რომელიც შეიძინა სისტემურ ხასიათს ატარებს და ემსახურება სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელს.

სამომხმარებლო საზოგადოების რესპუბლიკურ და საოლქო კავშირებს აქვთ სარაიონთაშორისო და უნივერსალური ბაზები. ძირითადად ეს ბაზები შეისყიდნიან საქონელს მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ვაჭრობის საოლქო და რესპუბლიკური კანტო-



რებიდან (ბაზებიდან). საგალანტერიო, სამეურნეო საქონელს, ლუდს, უალკოჰოლო სასმელებსა და კულტსაქონელს სამომხმარებლო კოოპერაცია დამოუკიდებლად შეისყიდის სამრეწველო საწარმოებიდან.

სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობის გავლის გარეშე კოოპერაციის სარაიონთაშორისო ბაზები აფართოებენ პირდაპირ სახელშეკრულებო კავშირებს მრეწველობასთან, ახდენენ ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან საქონლის მიღებას ტრანზიტით.

საცალო სავაჭრო ორგანიზაციების საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად მაჩვენებლებს: საბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა, საქონლის მიღება მომწოდებლებიდან, საქონლის რეალიზაცია რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების მიხედვით, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საქონლის მოძრაობა.

საცალო სავაჭრო ორგანიზაციები საბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ ანგარიშგებას (მთლიანად ყველა საქონლის მიხედვით) წარადგენენ თვეში ორჯერ. ამასთან, თვის მეორე ნახევრის ანგარიშში მოცემულია, აგრეთვე, მაჩვენებელი სასაქონლო მარაგის შესახებ.

ნახევართვიური ანგარიშგება დგება რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების მიხედვით მზარდ ჯამებში კვარტალის დასაწყისიდან.

მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი საქონლის მიღების შესახებ ანგარიშგება წარედგინება ყოველთვიურად შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: საქონლის მიღების კვარტალური გეგმა, ფაქტიური მიღება მზარდ ჯამებში კვარტალის დასაწყისიდან.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, საბითუმო საწყობებსა და ბაზებში საქონლის მოძრაობის შესახებ ანგარიშგება წარედგინება ყოველკვარტალურად. რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირებისათვის საბითუმო საქონელბრუნვის სასაქონლო ნომენკლატურა შედგება იგივე საქონლის ჯგუფებისაგან, რაც დადგენილია საცალო ვაჭრობისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ანგარიშგება დგება სასაქონლო ბალანსის ფორმით და მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: საქონლის მარაგი კვარტალის დასაწყისში; საქონლის მიღება კვარტალის განმავლობაში, საქონლის გაყიდვა ბითუმად და გაცემა თავისი სისტემის საცალო და სამრეწველო საწარმოებზე, საქონლის გაყიდვა წვრილბითუმი ვაჭრობის წესით ორგანიზაციებსა და საწარმოებზე; საქონლის გაცემა თავისი სისტემის სხვა ბაზებზე; სხვა გაცემები: საქონლის მარაგი კვარტალის ბოლოს. გარდა ამისა მოცემულია საქონლის საბითუმო გაყიდვა ტრანზიტით.

## თ ა ვ ი 1 V

### სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკა

#### § 1. საცალო საქონელბრუნვის ეკონომიკური უინაარსი და სტატისტიკის ამოთანაზი

სახალხო მეურნეობის გეგმის ძირითადი და საბჭოთა ვაჭრობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია საცალო საქონელბრუნვის მოცულობა.

საცალო საქონელბრუნვა არის სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვა უშუალოდ მომხმარებლებზე, ძირითადში მოსახლეობაზე, აგრეთვე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე წვრილბითუმი ვაჭრობის წესით (წვრილბითუმი ვაჭრობის წესით გაყიდული საქონლის ბრუნვა არ აღემატება მთელი საცალო საქონელბრუნვის 5—6 პროცენტს).

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა და სტრუქტურა ახასიათებს მოსახლეობის მიერ სახალხო მოხმარების საგნების სასაქონლო პროდუქციის მოხმარების ზომასა და შედგენილობას. ამიტომ, ამავე დროს, იგი არის საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული ცხოვრების დონის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელიც.

საცალო საქონელბრუნვას უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, რადგან მრეწველობის მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონელი თავის საზოგადოებრივ აღიარებას პოულობს მხოლოდ საცალო გაყიდვების შედეგად. საქონლის საცალო რეალიზაციის ფაქტი მოწმობს მოცემული საქონლის წარმოების აუცილებლობაზე.

საცალო საქონელბრუნვა მკიდრო კავშირშია ფულის მიმოქცევასთან. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული სავაჭრო ამონაგები წარმოადგენს სახელმწიფო ბანკის საკასო გეგმის შესრულების ძირითად წყაროს, აქედან გამომდინარე, საცალო საქონელბრუნვის გეგმის წარმატებით შესრულება იწვევს ფულის მიმოქცევის განმტკიცებას.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გარდა სახალხო მოხმარების საქონელს მოსახლეობაზე ყიდიან უშუალოდ სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზა-

ციების საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწყოები და სხვა. საქონლის ყველა ის გაყიდვა, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის პირად შემოსავალზე და საქონლის გაცვლასთან შეიტანება საცალო საქონელბრუნვაში.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა შედგება ორი სახის ბრუნვისაგან.

1. საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვა (საქონლის გაყიდვა მაღაზიებიდან, ფარდულებიდან და ა. შ.);

2. საზოგადოებრივი კვების ქსელის საქონელბრუნვა (საკუთარი და ნაყიდი პროდუქციის გაყიდვა სააადილოებიდან, რესტორნებიდან, კაფეებიდან, ბუფეტებიდან და ა. შ.).

საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვა შედგება შემდეგი სახის გაყიდვებისაგან:

— საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელიდან, როგორც ნაღდ, ისე უნაღდო ანგარიშზე და ნისიად;

— ბეჭდვით გამოცემათა გაყიდვა „სოიუზპეჩატი“-ს განყოფილებებიდან;

— ხე-ტყისა და სათბობის გაყიდვა ხე-ტყისა და სათბობის საწყოებიდან;

— ხე-ტყის გაყიდვა ძირზე;

— ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ფეხსაცმლის გაყიდვა ინდივიდუალური შეკერვის ატელიეებიდან (რომელიც წარმოებულ იქნა მათივე ნედლეულიდან).

— მომსახურების გაყიდვა ინდივიდუალური შეკერვის ატელიეებიდან (დამკვეთის ნედლეულით ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის დამზადება);

— კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების რემონტიდან მიღებული ამონაგები;

— პირუტყვისა და ფრინველის გაყიდვა საბჭოთა მეურნეობიდან;

— ფორმისა და სპეცტანსაცმლის გაყიდვა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწყოებიდან;

— სახლებისა და აგარაკების გაყიდვა;

— სახელმწიფო საკომისიო მაღაზიებიდან საქონლის გაყიდვა;

— სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა ადგილობრივი ბაზრის ფასებით;

— სათბობისა და სამშენებლო მასალების გაყიდვა სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების საწყოებიდან;

— გამჭირავებელ საწარმოებზე საქონლის გაცემა.

შემოჩამოთვლილ გაყიდვებს შორის დაახლოებით 95%-მდე მოდის

საქონლის გაყიდვაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელიდან.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნისიად გაყიდული საქონლის მთლიანი ღირებულება, საცალო საქონელბრუნვაში შეიტანება მისი მომხმარებელზე გადაცემის მომენტში და არა ღირებულების სრულად ანაზღაურების შემდეგ. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როცა საქონლის ღირებულება მიიღება წინასწარ საქონლის მომხმარებელზე გადაცემამდე, საცალო საქონელბრუნვაში საქონლის სრული ღირებულება შეიტანება მხოლოდ მომხმარებელზე საქონლის გადაცემის მომენტში.

როგორც აღენიშნეთ, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ძირითადი სახე არის საცალო ქსელის საქონელბრუნვა. საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის მოცულობა და მისი წილი მთელ საცალო საქონელბრუნვაში ნაჩვენებია ცხრილში 4.1.

საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკის წინაშე დასმულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

— საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის განსაზღვრა და გეგმის შესრულების აღრიცხვა სავაჭრო სისტემების, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით;

— საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის შესწავლა სავაჭრო სისტემების, რესპუბლიკების მხარეებისა და ოლქების მიხედვით;

— საცალო საქონელბრუნვის დინამიკის შესწავლა მთლიანად და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

## § 2. საცალო ძხლის საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკა

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა შედგება საცალო სავაჭრო საწარმოთა სავაჭრო ამონაგებისა და უნაღლო ანგარიშსწორების წესით გაყიდულ საქონელზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მეშვეობით ჩარიცხული თანხის ჯამისაგან.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობის განსაზღვრის ძირითად წყაროს წარმოადგენს სასაქონლო ფულადი ანგარიში, რომელსაც უდგენენ საცალო სავაჭრო საწარმოები თავიანთ პირველად სავაჭრო ორგანიზაციებს ყოველდღიურად, 5—7 დღეში ერთხელ, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები— 15 დღეში ან თვეში ერთხელ (ფორმა № 1) ერთდროულად ვაჭრობის სამმართველოსა და ქალაქის, მხარის, ოლქის სტატისტიკურ სამმართველოს.

სასაქონლო ფულად ანგარიშს აქვს ბალანსის ფორმა და დგება შემდეგი სქემის მიხედვით (იხ. სქემა 4.2).

სახელმწიფო და კომერციული ვაჭრობის ხაცალო საქონელბრუნვა

	სსრ კავშირი						საქართველო სსრ									
	მილიარდი მანეთი			% %-ში ჩამთან			მლნ მანეთი			% %-ში ჩამთან						
	1940	1970	1975	1978	1940	1970	1975	1978	1940	1970	1975	1978				
1. საცალო კე- ლის საქონელ- ბრუნვა	15,2	140,2	190,8	219,1	86,8	90,9	90,6	90,8	279,5	2030,5	2837,6	3296	84,6	87,7	80,3	88,4
2. საზოგადოებ- რივი კების საქონელ- ბრუნვა	2,3	15,0	19,6	22,2	13,2	9,7	9,4	22,2	53,0	284,2	372,9	464	15,4	12,3	11,7	11,6
3. სულ საცალო საქონელ- ბრუნვა	17,5	155,2	210,4	241,3	100,0	100,0	100	100	332,5	2314,7	32105	3760	100,0	100,0	100,0	100

1 გაანგარიშებულია ჩვენ მიერ სათანადო წლების მონაცემების საფუძველზე.

შემოსავლები	მან.	გასაველები
1. საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისისათვის 2. საქონლის მიღება პერიოდის განმავლობაში: ა) სავაჭრო ორგანიზაციის საწყობიდან ბ) მომწოდებელის ბაზიდან გ) დამხმარე მეურნეობიდან დ) შესყიდულ იქნა კოლმეურნეობებიდან და კოლმეურნეებიდან. ე) . . . . . ვ) . . . . . ზ) . . . . . შემოსავლების ჯამს პლუს მარაგი პერიოდის დასაწყისში		სავაჭრო ამონაგები ინკასირებული სახელმწიფო ბანკში. 2. დახარჯულ იქნა ა) ხელფასზე ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვაზე 3. გაყიდულ იქნა წვრილბითუმი ვაჭრობის წესით 4. სასაქონლო მარაგების ჩამოფასება 5. დაბრუნებულ იქნა სავაჭრო ორგანიზაციის საწყობისათვის 6. საქონლის მარაგი პერიოდის ბოლოსათვის ხარჯების ჯამს პლუს მარაგის ბოლოს

ცალკეული სავაჭრო საწარმოს მიხედვით, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა განისაზღვრება სასაქონლო ფულადი ანგარიშის ხარჯების ნაწილში შემდეგი მუხლების შეჯამების საფუძველზე: სავაჭრო ამონაგები ინკასირებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, სავაჭრო ამონაგები, რაც გამოყენებულ იქნა ხელფასის გასაცემად, მიმოქცევის სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდად და საქონლის გაყიდვა წვრილბითუმი ვაჭრობის წესით.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და სისტემების მიერ წარდგენილი ანგარიშგება ფორმა № 1-ის სახით დგება მზარდ ჯამებში კვარტალის დასაწყისიდან. ამასთან, თვის პირველი ნახევრისათვის ერთი მაჩვენებლის — საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის და მეორე ნახევარში სამი მაჩვენებლის მიხედვით. ეს მაჩვენებლებია: 1. საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვა მინის ტარის ღირებულების გარეშე, რომელიც მიღებულ იქნა მომწოდებლებიდან საქონლის ქვეშ; 2. საზოგადოებრივი კვების საცალო საქონელბრუნვა და 3. სულ საცალო საქონელბრუნვა (1+2).

სავაჭრო ორგანიზაციების შესაბამის რგოლებს საერთო საქონელბრუნვის შესახებ ანგარიში გადაეცემა ტელეფონით (სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში — სავაჭრო ორგანიზაცია, ვაჭრობის სამმართველო, მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო; სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში — სოფლის სამომხმარებლო საზოგადოება, რაიკავშირი, საოლქო

სამომხმარებლო კავშირი, რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირი. ცენტროსოიუზი).

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ კრებისითი ანგარიშგება მუშავდება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოების მიერ და წარედგინება ტელეფონით: საოლქო სტატისტიკურ სამმართველოს, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

სავაჭრო ორგანიზაციების ანგარიშგებაში, კვარტალში ერთხელ ცალკე გამოიყოფა წვრილბითუმი ვაჭრობის წესით საქონლის გაყიდვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე. გარდა ამისა, სავაჭრო ორგანიზაციები კვარტალში ერთხელ წარადგენენ სპეციალურ ანგარიშგებას ნისიად გაყიდული საქონლის შესახებ. იგი შედგება ორი მაჩვენებლისაგან: ნისიად გაყიდული საქონლის სრული ღირებულება ცალკეული საქონლის ჯგუფების გამოყოფით და ამ წესით გაყიდული საქონლის ღირებულებაზე განაღებული თანხა. თუ პირველს გამოვაკლებთ მეორეს მივიღებთ დავალიანებას.

საცალო საქონელბრუნვის შესახებ ანგარიშგების სისტემა უზრუნველყოფდეს საცალო საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმის შესრულების მსვლელობის ყოველმხრივ დახასიათებას. როგორც ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციებისა და სისტემების, ისე ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით.

საცალო საქონელბრუნვის შესახებ მონაცემების დამუშავება მიზანშეწონილია ხდებოდეს შემდეგი სქემის მიხედვით:

ც ხ რ ი ლ 4.3

რესპუბლიკა, მხარე, ოლქი ან სავაჭრო ორგანიზაცია	კ ვ ა რ ტ ა ლ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ			გაყიდულ იქნა გასული წლის შესაბამის პერიოდში	საანგარიშო პერიოდში საქონლის გაყიდვა საბაზისოსთან შედარებით პროცენტებში (უცალკეულ ფასებში)
	გეგმა	ფაქტიური	გეგმის შესრულების პროცენტი		

საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების ხარისხი გაიანგარიშება ფაქტიური საქონელბრუნვის პროცენტული შეფარდებით საგეგმო მაჩვენებელთან, ხოლო ზრდის ტემპი — საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობის პროცენტული შეფარდებით წინა წლის სათანადო პერიოდის მაჩვენებელთან. მაგალითად, სავაჭრო ორგანიზაციის საცალო საქონელბრუნვის ფაქტიურმა მოცულობამ I კვარტალში შეად-

გინა 12 მილიონი მანეთი. გეგმით გათვალისწინებული იყო 11,5 მილიონი მანეთი. ასეთ შემთხვევაში გეგმის შესრულების ხარისხი იქნება  $(12 : 11,5) \times 100 = 104,3$  პროცენტი. იმ შემთხვევაში, თუ გასული წლის I კვარტალში საქონელბრუნვის მოცულობა იყო 10 მილიონი მანეთი, მაშინ ზრდის ტემპი იქნება  $(12 : 10) \times 100 = 120,0$  პროცენტი, ხოლო მატების ტემპი 20% ( $120\% - 100\%$ ).

დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის ზრდის ტემპების გაანგარიშებას შესაძარ ფასებში, ანუ ე. წ. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გაანგარიშებას. იგი მიიღწევა ფასების ინდექსის გამოყენებით. ამგვარი თაღ, თუ საანგარიშო პერიოდში ფასების შემცირებას ჰქონდა ადგილი და ფასების ინდექსმა შეადგინა 0,95, მაშინ ჩვენი მაგალითის მიხედვით საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა შესაძარ ფასებში იქნება  $(12 \times 100) : 95 = 12,6$  მლნ მანეთი, ხოლო ზრდის ტემპი —  $(12,6 : 10) \times 100 = 126,0\%$ , მატების ტემპი კი — 26,0%.

საცალო საქონელბრუნვის ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საცალო სავაჭრო საწარმოების დაჯგუფებას საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დონის მიხედვით. იგი საშუალებას იძლევა გამოავლინოთ რეზერვები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, განვსაზღვროთ ჩამორჩენილი და მოწინავე საწარმოთა როლი საქონელბრუნვაში. A

საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დონის მიხედვით სავაჭრო საწარმოთა დაჯგუფების მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი 4.4

სავაჭრო საწარმოთა დაჯგუფება საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დონის მიხედვით

საწარმოთა ჯგუფები გეგმის შესრულების დონის მიხედვით	საწარმოთა რაოდენობა	საქონელბრუნვა მლნ მან.		გეგმის შესრულების დონე % -ში	ჯგუფის ხვედრითი წონა ფაქტიურ საქონელბრუნვაში
		გეგმა	ფაქტ.		
1. 90 პროცენტამდე	3	0,6	0,053	88,3	9,5
2. 91-დან 95 პროცენტამდე	4	0,9	0,84	93,3	6,0
3. 96-დან 100 პროცენტამდე	10	2	1,95	97,5	13,0
4. 101-დან 105 პროცენტამდე	20	6	6,25	104,1	41,5
5. 106-დან 110 პროცენტამდე	6	1,5	1,62	108,0	10,8
6. 110 პროცენტზე მეტი	14	3	3,81	127,0	25,2
სულ	57	14,0	15,0	107,1	100,0



ცხრილიდან ჩანს, რომ საეპრო ორგანიზაციამ მთლიანად გეგმა შეასრულა 107,1 პროცენტით. ორგანიზაციაში შემავალ 57 საწარმოდან გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყო 17-მა საწარმომ. მათი საქონელბრუნვის გეგმა უდრიდა 3,5 მლნ მან. (0,6+0,9+2), ხოლო ფაქტიური ბრუნვა 3,32 მლნ მან. (0,53+0,84+1,95). მაშასადამე, აღნიშნულმა საწარმოებმა საქონელბრუნვას დააკლო 0,18 მლნ მან. (3,5 მლნ მან. — 3,32 მლნ მან.). მათ მიერ გეგმის 100 პროცენტით შესრულების შემთხვევაში საეპრო ორგანიზაციის ფაქტიური საქონელბრუნვა იქნებოდა 15,18 მლნ მან., ხოლო გეგმის შესრულების დონე — 108,4 პროცენტი  $\left( \frac{15,18 \cdot 100}{14} \right)$ .

საეპრო საწარმოთა მთელს რაოდენობაში ჩამორჩენილთა წილად მოდის 22,1 პროცენტი, ხოლო მოწინავეთა წილად — 77,9 პროცენტი; მთელ საქონელბრუნვაში კი სათანადოდ — 29,9 და 70,1%.

საქონელბრუნვის ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის სეზონური რყევის შესწავლას. საქონელბრუნვის სეზონური რყევის განსაზღვრის დროს საუკეთესო შედეგებს იძლევა საქონელბრუნვის მოცულობის შესახებ თვიური მონაცემების ანალიზური მოსწორების მეთოდი. ეს მეთოდი მოითხოვს საქონელბრუნვის მონაცემების გადაანგარიშებას შესაღარ ფასებში. მოსწორება კი ხდება შემდეგი განტოლების მეშვეობით:

$$a_t = a_0 + a_1 t,$$

სადაც  $a_t$  — მოსწორებული წრფის ორდინატებია;

$a_0, a_1$  — პარამეტრებია;

$t$  — თვეები.

აღნიშნული განტოლების ამოხსნა წარმოებს ნორმალური განტოლების დახმარებით:

$$\sum a = a_0 n + a_1 \sum t$$

$$\sum at = a_0 \sum t + a_1 \sum t^2$$

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შევადგინეთ დამხმარე ცხრილი (ცხრ. 4.5).

ნორმალურ განტოლებაში სათანადო მონაცემების ჩასმითა და მისი ამოხსნის შედეგად ვღებულობთ  $a_0$  და  $a_1$  — პარამეტრის ციფრობრივ გამოსახულებას. დინამიკური მწკრივის ყოველი წლისათვის ( $t$ ) ცვლადი სიდიდის ჩასმით ვღებულობთ თეორიული მწკრივის წევრთა ციფრობრივ გამოსახულებას ( $a_t$ ).

ყოველი თვის საშუალო აუცილებელია გაანგარიშებულ იქნეს ორი მაჩვენებლის საფუძველზე.

წლები	თვეები რიგითი ნომრის მიხედვით t	ემპირული მწკრივი a	at	t <sup>2</sup>	თეორიული მწკრივი at	a პროცენტებით at-თან
1979	1	11,5	11,5	1	12,2	94
	2	11,7	23,4	4	12,3	95
	3	13,2	39,6	9	12,4	106
	4	12,8	51,2	16	12,5	103
	5	12,2	61,0	25	12,6	97
	6	12,7	76,2	36	12,7	100
	7	13,3	93,1	49	12,8	106
	8	13,7	109,1	64	12,9	101
	9	13,1	117,9	81	13,0	105
	10	13,8	138,0	100	13,1	
	11	13,0	113,0	121	13,2	99
	12	14,1	169,2	144	13,3	106
	13	12,3	159,9	169	13,4	92
	14	12,6	176,4	196	13,5	94
	15	14,3	214,5	225	13,6	105
	16	13,6	217,6	256	13,7	99
	17	13,1	222,7	289	13,8	95
	18	13,5	243	324	13,9	97
	19	14,1	267,9	361	14,0	101
	20	14,6	292	400	14,1	103
	21	14,1	296,1	441	14,2	99
	22	14,7	323,4	484	14,3	103
	23	13,9	319,7	529	14,4	97
	24	14,9	357,6	576	14,5	103
	300	320,8	4124,5	4901	320,8	100
	$\sum t$	$\sum a$	$\sum at$	$\sum t^2$	$\sum at$	

ემპირიული მწკრივის წევრთა პროცენტული ფარდობა თეორიული მწკრივის წევრებთან:

წლები	თვეები											
	I	II-ჟ	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1979	94	95	106	103	97	100	104	106	101	105	99	106
1980	92	94	105	99	95	97	101	103	99	103	97	103
	99	94,5	105,1	101	96	98,5	102,5	104,5	100	104	98	104,5

ორი წლის მაჩვენებლიდან მიღებული საშუალო არის სეზონური ტალღა, რომელიც გამოსახულია პროცენტებში ჯამისადმი.

მოცემული წესით გამოანგარიშებული მაჩვენებელი საქონელბრუნვის სრულ დახასიათებას მაინც ვერ გვაძლევს სხვადასხვა თვეებში

დღეების სხვადასხვაობის გამო. აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება საშუალო დღიური საქონელბრუნვის გამოანგარიშება.

გაანგარიშება ვაჩვენოთ შემდეგ პირობით მაგალითზე:

ცხრილი 4.7

საქონელბრუნვა	გეგმა 1-ელ კვარტალში	ფაქტიური შესრულება			
		იანვარი	თებერვალი	მარტი	ჯამი
საქონელბრუნვის მზარდი ჯამი კვარტალის დასაწყისიდან	2000	620	1200	2050	2050
თვეების მიხედვით საშუალო დღიური ბრუნვა	—	620	580	850	2050
	22,2	20,0	20,7	27,4	22,8

საცალო საქონელბრუნვის ანალიზის დროს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საქონელბრუნვის გეგმის შესრულების თანაბარზომიერების შესწავლას. იგი მიიღწევა საშუალო კვადრატული გადახრილობისა და ვარიაციის კოეფიციენტის გაანგარიშებით.

აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება მოვახდინოთ ქვემოთ მოყვანილი პირობითი მონაცემების საფუძველზე. ამასთან, მწყკრის წონებად (სიხშირედ) ავიღოთ გეგმის მაჩვენებლები, ვარიანტებად კი — გეგმის შესრულების პროცენტები.

ცხრილი 4.8

ბალანსის №	საქონელბრუნვა ათას მანეთებში		გეგმის შესრულების პროცენტი $x$	$(x-\bar{x})$	$(x-\bar{x})^2$	$(x-\bar{x})^2 f$
	გეგმა $f$	ფაქტიური შესრულება				
1	50	47	94	-3	9	450
2	80	76	95	-2	4	320
3	100	105	105	+7	49	4900
4	170	170	100	+3	9	1530
5	200	184	92	-5	25	5000
	600	582	97			12200
	$\sum f$		$\bar{x}$			$\sum (x-\bar{x})^2 f$

ყველა მაღაზიისათვის გეგმის შესრულების საშუალო პროცენტი ტოლია 97-ის  $\left( \frac{582 \times 100}{600} \right)$ .

საშუალო კვადრატული გადახრილობა გაანგარიშებულია ფორმულით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2 f}{\sum f}} \text{ და უდრის } 4,5 \left( \sqrt{\frac{12200}{600}} = \sqrt{20,3} \right).$$

საშუალო კვადრატული გადახრილობა გვიჩვენებს, რომ ყველა მაღალბინის მიერ საშუალოდ გეგმის 97%-ით შესრულების პირობებში, ცალკეული მაღალბინის მიერ გეგმის შესრულების დონე არ იყო ერთნაირი. მოცემულ შემთხვევაში იგი მერყეობდა 4,5%-ის ფარგლებში.

საშუალო გადახრილობის შეფარდებით მაჩვენებელს წარმოადგენს ვარიაციის კოეფიციენტი. იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$V = \frac{\sigma \times 100}{\bar{x}}, \text{ ჩვენი მაგალითის მიხედვით ვარიაციის კოეფიციენტი უდრის } 4,6\% \text{-ს } \left( \frac{4,5 \times 100}{97} \right).$$

ვარიაციის კოეფიციენტი ახასიათებს ყველა მაღალბინის მიერ საშუალოდ გეგმის შესრულებიდან გადახრილობას.

ანალიზის დროს საქონელბრუნვის ზრდას განიხილავენ დინამიკაში წინა პერიოდთან შედარებით. იგი მიიღება საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის მაჩვენებლის შეფარდებით წინა პერიოდის სათანადო მაჩვენებელთან.

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვები შეადგენდა:

1979 წ. II კვარტალში	13,3 მლნ მან.
1980 წ. I კვარტალში	14,2 მლნ მან.
1980 წ. II კვარტალში	15,0 მლნ მან.

საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის დინამიკა წინა კვარტალთან შედარებით შეადგენს 105,6%-ს  $\left( \frac{15,0 \times 100}{14,2} \right)$ , ხოლო წინა

წლის იმავე კვარტალთან შედარებით — 112,8%-ს  $\left( \frac{15 \times 100}{13,3} \right)$ .

სავაჭრო საწარმოები სავაჭრო ამონაგების ერთ ნაწილს აბარებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, მეორე ნაწილი კი რჩება სავაჭრო საწარმოში და ხმარდება ხელფასის ანაზღაურებას, მიმოქცევის წვრილმან ხარჯებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას და სხვ. მაშასადამე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ინკასირებას უკეთებს არა მთელ სავაჭრო ამონაგებს, არამედ მის მხოლოდ ნაწილს. აქედან გამომდინარე სავაჭრო საწარმოებზე მანეთით კონტროლის მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ანგარიშობს ინკასაციის კოეფიციენტს.

იგი იანგარიშება ინკასირებული სავაქრო ამონაგების შეფარდებით საცალო საქონელბრუნვასთან შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$K_{\text{იგ}} = \frac{TB}{P_{\text{ტობ}}} \frac{\text{სსრ კავშირის სახბანკის მიერ ინკასირებული სავაქრო ამონაგები}}{\text{საცალო საქონელბრუნვა}}$$

სადაც TB — სავაქრო ამონაგები, ინკასირებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში;

$P_{\text{ტობ}}$  — საცალო საქონელბრუნვა (ნაღდ სავაქრო ამონაგებს მიმატებული უნაღდო ანგარიშსწორება).

ვთქვათ, საქონელბრუნვის მოცულობა თვეში შეადგენდა 280 მლნ მან. ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ ინკასირებული თან-

ხა — 238 მლნ მან. მაშინ, ინკასაციის კოეფიციენტი იქნება  $\frac{238 \times 100}{280} = 85\%$ .

საქონელბრუნვის ინკასაციის კოეფიციენტი წარმოადგენს მაჩვენებელს, რომლის მეშვეობითაც ხდება მიმოქცევაში ფულის ნორმალური ცირკულაციის შეფასება.

სწავობა საცალო საქონელბრუნვასა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ ინკასირებულ თანხას შორის გვაძლევს უნაღდო ანგარიშსწორების წესით საქონელბრუნვასა და სავაქრო ამონაგებიდან საწარმოთა საჭიროებისათვის გაწეული ხარჯების ჯამს.

სავაქრო ამონაგების გამოყენების შესწავლის მიზნით სავაქრო ორგანიზაციისათვის დაწესებულია სალაროს ბრუნვის შესახებ ყოველკვარტალური ანგარიშგება.

სალაროს ბრუნვის ანგარიში დგება შემდეგი სქემის მიხედვით:

ს ქ ე მ ა 4.9

შ ე მ ო ს ა ე ლ ე ბ ი	მ ა ნ .	ხ ა რ ჯ ე ბ ი	მ ა ნ .
1. სალაროს ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის		1. სავაქრო ამონაგები, ჩაბარებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში	
2. სავაქრო ამონაგები		2. დაიხარჯა ნაღდი ფული მათ შორის:	
3. ფულადი საშუალებების მიღება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკიდან მათ შორის:		ა) ხელფასის გასაცემად	
ა) ხელფასის გასაცემად		ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდად	
ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდად		გ) სხვა ხარჯები	
4. სხვა შემოსავლები		3. სალაროს ნაშთი პერიოდის დასასრულს.	
შემოსავლების ჯამი, მათ შორის ნაშთი პერიოდის დასაწყისში		ხარჯების ჯამი, მათ შორის ნაშთი პერიოდის დასასრულს.	

მოცემული სქემიდან ჩანს, რომ სავაქრო ორგანიზაციის სალაროს ბრუნვა შედგება: სავაქრო ამონაგებისაგან, რაც მიიღება საქონლის რეალიზაციის შედეგად; ხელფასისაგან, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის და სხვა ხარჯებისაგან, რაც მიიღება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკიდან.

#### **§ 8. საბალო სამონელზარუნვის სასამონლო სტრუქტურის საბინსტიკა**

ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების თანაფარდობა მთელს საცალო საქონელბრუნვაში, მათი რეალიზაციის ზრდის ტემპი წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც საშუალებას იძლევა სიღრმისეულად იქნეს დახასიათებული საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები. აქედან გამომდინარე ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საცალო საქონელბრუნვის შესწავლა ვაჭრობის სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და მათი მსყიდველობითი ფონდების გადიდება აისახება საქონელბრუნვის მოცულობის ზრდასა და მისი სტრუქტურის გაუმჯობესებაში. ამასთან, უფრო მაღალი ტემპით იზრდება არასასურსათო საქონლის ბრუნვა და მაღლდება მისი წილი მთელს საცალო საქონელბრუნვაში. აღნიშნული, საბჭოთა ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერებაა.

სსრ კავშირსა და საქართველოს რესპუბლიკაში მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდაზე მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები (იხ. ცხრ. 4.10).

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდამ გამოიწვია საცალო საქონელბრუნვის მაღალი ტემპებით განვითარება. აღნიშნულზე მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები (იხ. ცხრ. 4.11).

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი  
ხსრ კავშირსა და საქართველოს ხსრ-ში 1965—1978 წლებში<sup>1</sup>

წლები	სსრ კავშირი				საქართველოს სსრ			
	საშუალო თვიური ხელფასი საზოგადოებრივი ფონდებიდან დანაშოვის ჩათვლით		საშუალო თვიური ხელფასი		საშუალო თვიური ხელფასი საზოგადოებრივი ფონდებიდან დანამატების ჩათვლით		საშუალო თვიური ხელფასი	
	მანეთი	% %-ში 1965 წ.	მანეთი	% %-ში 1965 წ.	მანეთი	% %-ში 1965 წ.	მანეთი	% %-ში 1965 წ.
1965	129,2	100,0	96,5	100,5	120,1	100,0	86,8	100,0
1970	164,5	127,3	122,0	126,4	145,7	122,8	106,7	122,9
1971	169,8	131,4	125,9	129,9	149,0	124,1	108,0	124,4
1972	175,4	136,4	130,2	133,0	152,7	127,1	110,4	127,2
1973	182,6	141,7	134,9	139,1	158,5	131,9	113,5	130,7
1974	19,9	157,3	141,1	145,3	162,6	135,3	116,5	134,2
1975	198,0	153,4	146,0	147,7	165,7	137,9	118,5	136,5
1976	206,7	160,0	151,4	156,9	177	147,4	127	146,3
1977	212	164,1	155,2	160,8	182	158,5	130,7	150,6
1978	219	169,5	159,9	165,7	187	155,7	134,2	154,6

საქალაქო საქონელბრუნვის ზრდის ტემპები ხსრ კავშირსა და საქართველოს ხსრ-ში 1965—1978 წლებში (შეხადარ ფასებში)

წლები	სსრ კავშირი		საქართველოს სსრ	
	მილიარდი მანეთი	% %-ში 1965 წელთან	მილიარდი მანეთი	% %-ში 1965 წელთან
1965	104,8	100,0	1529,7	100,0
1970	155,2	148,1	2314,7	151,3
1971	165,6	158,0	2510,7	164,1
1972	176,4	168,3	2681,8	175,3
1973	185,7	177,1	2795,1	182,7
1974	196,6	187,6	2971,6	194,3
1975	210,3	200,6	3210,5	209,9
1976	220,1	210,0	3382,3	221,1
1977	230,1	220,0	3568,5	233,3
1978	241,8	290,0	3760	445,8

როგორც აღინიშნა, საბჭოთა ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებას წარმოადგენს საცალო საქონელბრუნვის ასორტიმენტული სტრუქტურის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს მთელს საცალო

<sup>1</sup> განგარიშებულია ჩვენ მიერ სათანადო წლების მონაცემების მიხედვით.

საქონელბრუნვაში არასასურსათო საქონლის ბრუნვის ზედრითი წონის გადიდებას. აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები:

ცხრილი 4.12

ნახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ხახურსათო და არახახურსათო საქონელბრუნვის თანაფარდობა, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ში 1965—1978 წლებში<sup>1</sup>

წლები	სსრ კავშირი			საქართველოს სსრ		
	სულ საცალო საქონელბრუნვა	მათ შორის		სულ საცალო საქონელბრუნვა	მათ შორის	
		ხახურსათო საქონლის	არახახურსათო საქონლის		სასურსათო საქონლის	არახახურსათო საქონლის
1965	100,0	57,7	42,3	100	0	46,0
1970	100,0	55,5	44,5	100	48,0	42,0
1971	100,0	55,2	44,8	100	48,7	52,0
1972	100,0	54,7	45,3	100	47,7	52,3
1973	100,0	54,5	45,5	100	47,5	52,3
1974	100,0	54,2	45,8	100	47,5	52,5
1975	100,0	53,6	46,4	100	46,5	53,5
1976	100,0	53,2	46,8	100	47,1	52,1
1977	100,0	52,6	47,4	100	46,8	53,2
1978	100,0	52,2	47,8	100	45,7	54,3

არასასურსათო საქონლის ბრუნვის ზედრითი წონის გადიდებას თან ახლავს როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლის შიდა ასორტიმენტული სტრუქტურის გაუმჯობესება. სასურსათო საქონლისა და ჭკუფის შიგნით უფრო მეტი რაოდენობით იყიდება ძვირფასი და მაღალკალორიანი კვების პროდუქტები (იხ. ცხრ. 4.13).

ცხრილი 4.13

ხახურსათო საქონლის ძირითადი ჭკუფების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ფაქტიური მოხმარება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ში 1965—1978 წლებში<sup>1</sup> (კილოგრამებით).

	სსრ კავშირი				საქართველოს სსრ			
	1965	1970	1975	1978	1965	1970	1975	1978
1	2	3	4	5	6	7	8	9
1. ხორცი და ხორცის პროდუქტ.	40,0	48,0	57,0	57	28	31	41,9	41
2. რძე და რძის პროდუქტები	2560	307,0	316,0	322	188,0	235,0	2861,0	309
3. კვარცი (ცალობით)	124	159	216	230	69	35	110	126
4. თევზი და თევზის პროდუქტ.	12,6	15,4	16,8	16,9	4,5	5,9	6,8	8,5

<sup>1</sup> გაანგარიშებულია ზენ მიერ სათანადო წლების მონაცემების მიხედვით.



1	2	3	4	5	6	7	8	9
5. შაქარი	34,2	38,8	40,8	43,0	28,7	34,7	38,1	42,1
6. მკენარეული ცხიმი	7,1	6,8	7,6	8,2	2,8	2,9	9,8	4,8
7. ბოსტნეული და ბაღ- ჩეული	72,0	82,0	89,0	90	4,8	51,0	63	75
8. ხილი და კენკრა	28,0	35,0	39,0	41	—	—	48	—
9. პური და პერპრო- დუქტები	156	149	141—	41	198	195	129	189

არასასურსათო საქონლის ჭგუფის შიგნით კი უფრო დიდი რაოდენობით იყიდება ხანგრძლივი მოხმარებისა და კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი. აღნიშნულის დადასტურებაა ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები.

ცხრილი 4. 14

კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით მოსახლეობის  
ურუნველყოფა სსრ კავშირსა და საქართველოს სსრ-ში  
(წლის ბოლოსათვის, ყოველ 100 ოჯახზე ცალკეში)<sup>1</sup>

	სსრ კავშირი				საქართველოს სსრ			
	1965	1970	1975	1978	1965	1970	1975	1972
1. საათები ყველა სახის	319	411	457	499	241	298	359	407
2. რადიო მომღებები და რადიოღებები	59	72	76	84	57	57	59	60
3. ტელევიზორები	24	51	74	82	24	53	76	80
4. მაცივრები	11	32	62	78	20	46	68	78
5. სარეცხი მანქანები	21	52	65	70	13	27	43	54
6. საყვრავი მანქანები	52	56	61	64	59	68	74	80

საცალო საქონელბრუნვის ასორტიმენტული სტრუქტურის შესწავლის ძირითად საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციის ყოველკვარტალური სტატისტიკური ანგარიშგება, რაც დგება ფორმა № 3-ის სახით.

საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის სტატისტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჭგუფის. ისეთი ნომენკლატურის შედგენას, რომელიც სრულად ახასიათებს საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო შედგენილობას და ზუსტად განსაზღვრავს ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჭგუფის შინაარსს. საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო ნომენკლატურა არის იმ საქონლისა და სასაქონლო ჭგუფის ნუსხა, რომელიც შეტანილია ანგარიშგებაში.

სასაქონლო ნომენკლატურაში საქონლის მთლიანი მასა, საქონლის სამომხმარებლო ნიშნის მიხედვით, დაყოფილია ორ ძირითად ჭგუფად:

<sup>1</sup> განაგარიშებელია სათანადო წლების მონაცემების მიხედვით.

სასურსათო და არასასურსათო საქონელი. საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკაში ასეთი ორი ჯგუფის გამოყოფა მოხდა — 20-იანი წლებიდან. მანამდე დაყოფა ხდებოდა საქონლის წარმოშობის ნიშნის მიხედვით და გამოიყოფოდა შემდეგი ორი ჯგუფი: სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საქონელი.

საქონლის ნომენკლატურა არ არის მუდმივი და უცვლელი. წარმოების განვითარებასთან ერთად იგი იცვლება გაფართოების მიმართულებით.

თანამედროვე პირობებში ყოველკვარტალური სტატისტიკური ანგარიშების ფორმა № 3-ში დადგენილია საქონლის ერთიანი ნომენკლატურა, რომელშიც შეტანილია 92 დასახელების საქონლის ჯგუფი.

საეპრო ორგანიზაციის ყოველკვარტალური სტატისტიკური ანგარიშგება (ფორმა № 3) დგება შემდეგი სქემის სახით (იხ. სქემა გვ. 67).

აღნიშნული ანგარიშგების მაჩვენებლები იმყოფებიან საბალანსო ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა შემდეგი სახით არის გამოხატული:

$$3_{\text{н}} + \Pi = p + \text{Д} + 3_{\text{к}}$$

სადაც  $3_{\text{н}}$  — საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისში;

$3_{\text{к}}$  — საქონლის მარაგი პერიოდის დასასრულს;

$\Pi$  — საქონლის მიღება;

$\text{Д}$  — დოკუმენტური გასაღვლები;

$p$  — საქონლის რეალიზაცია.

აღნიშნული ბალანსიდან შესაძლებელია მისი ცალკეული წევრის გაანგარიშება.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის მე-5 სვეტის ჯამი შესაძლებელია მეტი იყოს ფაქტიურ საქონელბრუნვაზე (საეპრო ამონაგებისა და უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიღებული საშუალებების ჯამზე), რადგანაც საქონლის რეალიზაციის გარდა იგი შეიცავს ისეთ არადოკუმენტურ გაცემებს, როგორც არის საქონლის დანაკარგები და დანაკლებები. საქონლის არადოკუმენტური გაცემები დგინდება ფაქტიური საქონელბრუნვისა და ანგარიშის მე-5 სვეტის მონაცემების ჯამის შედარებით.

ცალკეული საქონლის მიხედვით არადოკუმენტური გაცემების დადგენა თითქმის შეუძლებელია. მისი მთლიანი ჯამი პირობითად ნაწილდება პროპორციულად ცალკეულ საქონელზე. ასეთი განაწილება შეიძლება მოხდეს რამდენიმე წესით. პირობითი მაგალითის მიხედვით განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

საეპრო ორგანიზაციის კვარტალური ანგარიშგების მიხედვით, ვთქვათ, გვაქვს შემდეგი მონაცემები საქონლის რეალიზაციისა და სხვა არადოკუმენტური გაცემების შესახებ: ხორცი და ფრინველი — 8.6 მლნ

საქალაქო საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის  
სტრუქტურა

	ს. ნ. უ. გ. მ. ზ.	საქალაქო ქონებრივ-ეკონომიკა-ობის კოოპერაციის სექტორის წილი (პლან მხ.)	საზოგადოებრივი კერძო (პლან მხ.)	კარდა ამისა სამომხრაობ-ლო კოოპერაციის საქონ-ლის ბრუნვა (მლნ მხ.)	სულ საქონ-ლებრივ-სამომხრაობ-ლო კოოპერა-ციის საქონ-ლის ბრუნვის ჩათვლით (მლნ მხ.)	ფ. გ. მ. ზ. მ. ზ.	სასაქონლო მარაგი საქალაქო მნიშვნელოვანი პროდუქტების კომპლექსური საბრუნველი	საქონლ-ბრუნვის სა-საქონლო უზრუნველ-ყოფა დღევან-დით, პერიოდის ბოლოს
სასაქონლო წარმოების დასახელება	ს. ნ. უ. გ. მ. ზ.	საქალაქო ქონებრივ-ეკონომიკა-ობის კოოპერაციის სექტორის წილი (პლან მხ.)	საზოგადოებრივი კერძო (პლან მხ.)	კარდა ამისა სამომხრაობ-ლო კოოპერაციის საქონ-ლის ბრუნვა (მლნ მხ.)	სულ საქონ-ლებრივ-სამომხრაობ-ლო კოოპერა-ციის საქონ-ლის ბრუნვის ჩათვლით (მლნ მხ.)	ფ. გ. მ. ზ. მ. ზ.	სასაქონლო მარაგი საქალაქო მნიშვნელოვანი პროდუქტების კომპლექსური საბრუნველი	საქონლ-ბრუნვის სა-საქონლო უზრუნველ-ყოფა დღევან-დით, პერიოდის ბოლოს
ა) სასურსათო საქონელი ხორცი და ფორინელი ძეხვის ნაწარმი თევზი და ა. შ. სულ 35 დასახელება;	401 402 403							
ბ) არასასურსათო საქონელი	0 01 174 147							
ბამბის ქსოვილი შალის ქსოვილი აბრეშულის ქსოვილი სულ 57 დასახ. საქ. სულ საქონელბრუნვა სამომხრაებლო კოოპერაციის საკომისიო ბრუნვის გარეშე სულ საქონელბრუნვა სამომხრაებლო კოოპერაციის საკომისიო ბრუნვის ჩათვლით								

მან : ცხოველური ცხიმი — 8,4 მლნ მან.; რძე — 1,9 მლნ მან.; პური და პურფუნთუშეული — 4,5 მლნ მან.; შაქარი — 8,6 მლნ მან.; სხვა საქონელი — 10,0 მლნ მან.; სულ 42,0 მლნ მანეთის.

საჭიროა გავიგოთ ცალკეული საქონლის ხვედრითი წონები მთელს საქონელბრუნვაში. ამისათვის საჭიროა ცალკეული საქონლის რეალიზაციისა და სხვა არადოკუმენტური გაცემების მაჩვენებლები თანმიმდევრულად პროცენტულად შევაფარდოთ მთელ საქონელბრუნვასთან. შეფარდების შედეგად მივიღებთ:

ხორცი და ფრინველი	— 8,6 მლნ მან. : 42 × 100 = 20,4 პროცენტი;
ცხოველური ცხიმი	— 8,4 მლნ მან. : 42 × 100 = 20,0 "
რძე	— 1,9 მლნ მან. : 42 × 100 = 4,5 "
პური და პურ-ფუნთუშეული	— 4,5 მლნ მან. : 42 × 100 = 10,9 "
შაქარი	— 8,6 მლნ მან. : 42 × 100 = 20,4 "
სხვა საქონელი	— 10,0 მლნ მან. 42 × 100 = 23,8 "

საცალო საქონელბრუნვა სავაჭრო ამონაგებისა და უნაღდო ანგარიშ-სწორების წესით მიღებული თანხის ჯამი უდრის 41,5 მლნ მანეთს. ამ შემთხვევაში, საცალო საქონელბრუნვა სხვა არადოკუმენტური გაცემების გარეშე იქნება: 42 მლნ მან. × 20,4% 100 = 8,5 მლნ მან.

ხორცი და ფრინველი	— 42 მლნ მან. × 20% : 100 = 7,4 მლნ მან.
ცხოველური ცხიმი	— 42 მლნ მან. × 20% : 100 = 7,4 მლნ მან.
რძე	— 42 მლნ მან. × 4,5% : 100 = 1,8 მლნ მან.
პური და პურ-ფუნთუშეული	— 42 მლნ მან. × 10,9% : 100 = 4,4 მლნ მან.
შაქარი	— 42 მლნ მან. × 20,4% : 100 = 8,5 მლნ მან.
სხვა საქონელი	— 42 მლნ მან. × 23,8% : 100 = 9,9 მლნ მან.

მათი ჯამი შეადგენს საცალო საქონელბრუნვის 41,5 მლნ მან.

მეორე წესის თანახმად, ჯერ გაიანგარიშება სათანადო კოეფიციენტი და შემდეგ საცალო საქონელბრუნვისა და სხვა არადოკუმენტური გაცემების ჯამი ცალკეული საქონლის მიხედვით მრავლდება მიღებულ კოეფიციენტზე.

კოეფიციენტი გაიანგარიშება საცალო საქონელბრუნვის გაყოფით საცალო საქონელბრუნვისა და სხვა არადოკუმენტური გაცემების ჯამზე. ჩვენი მაგალითის მიხედვით საძიებელი კოეფიციენტი არის 0.986 (41,5 : 42,0). ამ შემთხვევაში ცალკეული საქონლის მიხედვით საცალო საქონელბრუნვა იქნება:

ხორცი და ფრინველი	— 8,6 მლნ მან. × 0986 = 8,5 მლნ მან.;
ცხოველური ცხიმი	— 8,4 მლნ მან. × 0986 = 8,4 "
რძე	— 1,9 მლნ მან. × 0986 = 1,8 "
პური და პურ-ფუნთუშეული	— 4,5 მლნ მან. × 0986 = 4,4 "
შაქარი	— 8,6 მლნ მან. × 0986 = 8,5 "
სხვა საქონელი	— 10,0 მლნ მან. × 0986 = 9,9 "

მათი ჯამი შეადგენს საცალო საქონელბრუნვას — 41,5 მლნ მან.

საცალო საქონელბრუნვის შესახებ ყოველკვარტალური ანგარიშგება მოიცავს ყველა საქონელსა და საქონელის ჯგუფს, რომელიც საცალო ვაჭრობაში მიმოიქცევა. გარდა ამისა, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში დაწესებულია ძირითადი სასურსათო და არასასურსათო საქონლის მარაგის მიღებისა და რეალიზაციის შესახებ ყოველთვიური ანგარიშგება. იგი მოიცავს 28 საქონლის ჯგუფს, რომელთა წილადაც მოდის სახელმწიფო ვაჭრობის მთელი საცალო საქონელბრუნვის დაახლოებით 60%-მდე. განსხვავებით ყოველკვარტალური ანგარიშგებისა, ყოველთვიურ ანგარიშებში სასურსათო საქონლის ბრუნვის შესახებ მონაცემები ნაჩვენებია ნატურალურ ერთეულებში და მოიცავს საზოგადოებრივი კვების ქსელში საქონლის მოძრაობასაც.

საკვარო ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშგება წერილობითში ვაჭრობის წესით რეალიზებული საქონლის მხოლოდ საერთო მოცულობას მოიცავს. იგი ვერ ადგენს იმ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც განახორციელა წერილობითში ვაჭრობის წესით საქონლის შექენა. ვერც იმას. თუ აღნიშნული საქონელბრუნვა რა ნაწილში განხორციელდა ნაღდ ანგარიშზე და რა ნაწილში უნაღდო ანგარიშსწორებით — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მეშვეობით. რა თანხის საქონელი იქნა შექენილი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობაში ნაღდ ანგარიშზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნაკლის გამოსწორების მიზნით აუცილებელი ხდება ერთდროული სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება. ასეთი გამოკვლევა ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა 1960 და 1969 წლებში სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ. გამოკვლევა ხორციელდებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით. გამოკვლევას დაქვემდებარებული ობიექტების მთელი რაოდენობა დაჯგუფდა დარგობრივი ნიშნის მიხედვით და გამოყოფილ იქნა 20-მდე ორგანიზაციების ჯგუფი.

პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებიდან ცალკეული ობიექტის მიხედვით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხდებოდა ცნობების შეგროვება საქონლის შექენის შესახებ საცალო ქსელში. საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და საკოლმეურნეო ბაზრებზე.

გამოკვლევით დადგინდა, რომ წერილობითში ვაჭრობის წესით საქონლის ძირითად მყიდველებად გამოდიან სოციალურ-კულტურული მომსახურების ტიპის საწარმოები და ორგანიზაციები. მათი წილი 41%-დან 1960 წელს, ამაღლდა 57%-მდე 1969 წელს. მათ შორის სასურსათო საქონლის წილი სათანადოდ 48%-დან ამაღლდა 63%-მდე, ხოლო არასასურსათო საქონლის წილი 52%-დან შემცირდა 37%-მდე. დადგინ-

და. რომ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საკოლმეურნეო ბაზრებზე ნაღდ ანგარიშზე შექმნილი საქონლის წილად 1969 წელს მოდიოდა საკოლმეურნეო ვაჭრობის მთელი საქონელბრუნვის დაახლოებით 10%.

#### § 4. საზოგადოებრივი კვების საზოგადოებრივისა და პროდუქციის სტატისტიკა

##### ა) საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები

თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივ კვებას მიაკუთვნებენ ვაჭრობას და მიჩნეულია, როგორც მისი ერთ-ერთი დარგი საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან ერთად.

საზოგადოებრივი კვება საზოგადოებრივი კვლავწარმოების თითქმის ყველა ფაზას მოიცავს და ქმნის ისეთ ახალ სფეროს, სადაც სამი პროცესი — შუა პროდუქტების წარმოება, რეალიზაცია და მისი ადგილზე მოხმარება ორგანულად არის შერწყმული.

ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივ კვებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. საზოგადოებრივი კვების საწარმოებს საბავშვო ბაგებთან და საბავშვო ბალებთან ერთად „კომუნისმის ყლორტებს“ უწოდებდა და მოითხოვდა მათდამი მხარის დაჭერას.

სწორად ორგანიზებული საზოგადოებრივი კვება იწვევს მატერიალური და შრომითი რესურსების დაზოგვას, ამცირებს საკვების მომზადებაზე დროის დანახარჯებს, სამრეწველო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია ხელს უწყობს მასში მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ხოლო სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში — ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ კვების ორგანიზაცია ოჯახებში დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ცოცხალი და გასაგნობრივებული შრომის დანახარჯებთან. გაანგარიშებულია, რომ ოჯახური მეურნეობის წარმართვისათვის ყოველწლიურად, ქვეყნის მასშტაბით, იხარჯება დაახლოებით 100 მილიარდი კაცსათათი. მათ შორის პროდუქტების შექმნასა და კერძების მომზადებაზე თითქმის 40%. ამავ დროს, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საკვების მომზადებაზე იხარჯება 3—4-ჯერ უფრო ნაკლები დრო, ვიდრე ოჯახურ პირობებში.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „დიადი თაოსნობა“ მიუთითებდა, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს „საქმით შეუძლიათ გაათავისუფლონ ქალი,

საქმით შეუძლიათ შეამცირონ და მოსპონ ქალის უთანასწორობა მამაკაცთან, მისი როლის კვალობაზე საზოგადოებრივ წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში<sup>1</sup>.

ოჯახურ მეურნეობაში შრომის დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება საშუალებას იძლევა ფართოდ იქნეს გამოყენებული ქალი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში — ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობაზე, ტრანსპორტში, ვაჭრობაში და კულტურულ ცხოვრებაში.

საზოგადოებრივი კვება, როგორც ვაჭრობის ერთ-ერთი დარგი, ჩვენს ქვეყანაში თითქმის ახლად იქნა შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 1924 წლისათვის საზოგადოებრივი კვების ქსელი შედგებოდა 15,1 ათასი საწარმოსაგან: მათ შორის 9,4 ათასი ეკუთვნოდა სოციალისტურ სექტორს, 5,7 ათასი კი — კერძო სექტორს. 1940 წელს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი გაიზარდა 87,6 ათასამდე, 1950 წელს — 95,9 ათასამდე, 1960 წელს — 147,2 ათასამდე, 1970 წელს — 237,3 ათასამდე, 1975 წელს — 274,5 ათასამდე, ხოლო 1980 წელს მან შეადგინა 302,9 ათასი ერთეული. საქართველოს სსრ-ში 1950 წელს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 2264 ერთეულს, მათ შორის 745 ეკუთვნოდა სამომხმარებლო კოოპერაციას. 1960 წელს სათანადოდ 3621 და 1401, 1970 წელს — 5842 და 2707, 1975 წელს — 6623 და 2984 და 1980 წელს — 7200 და 3499.

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვამ სსრ კავშირში 1970 წლის ბოლოსათვის შეადგინა 15033 მილიონი მანეთი და 1940 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 6,6-ჯერ; 1980 წელს 4003 მლნ მან. და 1970 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 60 პროცენტით.

საქართველოს სსრ-ში საზოგადოებრივი კვების ბრუნვამ 1970 წელს შეადგინა 284,2 მლნ მან. და 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 5,4-ჯერ, 1980 წელს შეადგინა 539 მლნ მან. და 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 80 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი კვების განვითარებას, ამიტომ იყო, რომ სკკპ XXV და XXVI ყრილობამ საქმოდ დიდი ყურადღება დაუთმო მას, როგორც რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებას.

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი კვება ხორციელდება სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციების საწარმოთა მიერ. მათი წილი საზოგადოებრივი კვების მთელს ბრუნვაში 1978 წლის მონაცემებით ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (%-ში ჯამისაღმი).

<sup>1</sup> ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 502.

	სსრ კავშირი	საქართველოს სსრ
სახელმწიფო ვაჭრობა მათ შორის:	62,0	73,8
ვაჭრობის სამინისტრო	61,0	47,8
სხვა ორგანიზაციები . . . . .	9,0	14,4
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>100</b>

საზოგადოებრივი კვების სტატისტიკა შეისწავლის შემდეგ ძირითად საკითხებს: საზოგადოებრივი კვების საერთო საქონელბრუნვას (საცალო და საბითუმო საქონელბრუნვის გამოყოფით); საქონელბრუნვის სტრუქტურას პროდუქციის სახეობათა მიხედვით (საკუთარი წარმოების პროდუქციის გამოყოფით); სადილის პროდუქციის მოცულობას და შედგენილობას; საკუთარი და გარედან მიღებული ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის მოცულობას და შედგენილობას; საზოგადოებრივი კვების საწარმოებში პროდუქტების ხარჯვას.

**ბ) საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის საერთო მოცულობის სტატისტიკა**

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის საერთო მოცულობა შედგება ორი სახის გაყიდვის ჯამისაგან: 1) საცალო საქონელბრუნვა, რაც მოიცავს საკუთარი და ნაყიდი პროდუქციის გაყიდვას სასადილო დარბაზიდან და ბუფეტებიდან, აგრეთვე საცალო სავაჭრო ქსელიდან (ფარდულეები, ნახევარფაბრიკატების მაღაზიები და სხვა), რომლებიც ეკუთვნის საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, 2) საბითუმო საქონელბრუნვა — საქონლის გაყიდვა საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებზე, საცალო სავაჭრო ქსელზე მისი მოსახლეობაზე გაყიდვის მიზნით.

საცალო და საბითუმო საქონელბრუნვის ჯამი ქმნის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მთელი სავაჭრო საქმიანობის განმაზოგადებელ მაჩვენებელს — საერთო საქონელბრუნვას.

საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ საცალო საქონელბრუნვა ძირითადად ხორციელდება ნაღდ ანგარიშზე. ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და საწარმოებზე საქონლის ძალზე მცირე ნაწილი იყიდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში გადარიცხვის გზით. საზოგადოებრივ კვებაში, ისევე როგორც საცალო ვაჭრობაში საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საწარმოთა სასაქონლო-ფულადი



ანგარიში. სასაქონლო-ფულადი ანგარიშის საფუძველზე საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია ადგენს ანგარიშგებას საცალო საქონელბრუნვის შესახებ და სავაჭრო სისტემის სათანადო რგოლს გადასცემს ტელეფონით.

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ ანგარიშგებაში, საზოგადოებრივი კვების სისტემაში კვარტალში ერთხელ ცალკე გამოიყოფა საქონელის გაყიდვა ორგანიზაციებზე, დაწესებულებებსა და საწარმოებზე (წვრილობითი საქონელბრუნვა).

საზოგადოებრივი კვების საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ მონაცემების დამუშავება და ანალიზი ხდება იმავე წესით, როგორც საცალო ვაჭრობაში.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა უმრავლესობისათვის საქონლის საცალო გაყიდვა წარმოადგენს საქონელბრუნვის ერთადერთ სახეს. ფაბრიკა-სამშარეულოსათვის, დამამზადებელ და მახვილ საწარმოებისათვის, რომლებიც საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებს ამარაგებენ ნახევარფაბრიკატებით, დიდ მნიშვნელობას იძენს საბითუმო საქონელბრუნვის მაჩვენებელი. ამ საწარმოების საქმიანობის განმაზოგადებელ მაჩვენებელს წარმოადგენს საერთო საქონელბრუნვა (საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის ჯამი). ამიტომ არის, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოების კვარტალურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია საქონელბრუნვის სამი სახე: საცალო, საბითუმო და საერთო საქონელბრუნვა.

საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოებისათვის, რომელთა მუშაობის განმაზოგადებელი მაჩვენებელია საცალო საქონელბრუნვა, სამეურნეო საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების (რენტაბელობა, დარიცხვის დონე, მიმოქცევის ხარჯების დონე და ა. შ.) გაანგარიშების დროს შეფარდება ხდება საცალო საქონელბრუნვასთან, ხოლო დანარჩენ საწარმოებში — საერთო საქონელბრუნვასთან.

### გ) საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის სტატისტიკა

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის სტატისტიკა წარმოებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ეს ნიშნებია: პროდუქციის სახე; ფასწარმოქმნა; სასაქონლო ჯგუფი. აღნიშნული ნიშნების მიხედვით საქონელბრუნვის სტრუქტურის სტატისტიკის წარმართვა განპირობებულია საზოგადოებრივი კვების თავისებურებებით, კერძოდ, საწარმოო და სავაჭრო ოპერაციების შერწყმით.

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვას ყოფენ ორ სახედ: საკუთარი წარმოების პროდუქციის და ნაყიდი პროდუქციის საქონელბრუნ-

ვა. საკუთარი წარმოების პროდუქციას მიეკუთვნება მზა საკვები ან ნახევარფაბრიკატი, რომელმაც საზოგადოებრივი კვების საწარმოს საამქროებში განიცადა თზური ან ცივი წესით კულინარული დამუშავება. თანამედროვე სტატისტიკა რძესა და რძის ნაწარმს მიაკუთვნებს საკუთარი წარმოების პროდუქციას.

ნაყიდ პროდუქციას მიეკუთვნება ის საქონელი, რაც მიღებულია გარედან და მოსახლეობაზე იყიდება ყოველგვარი წინასწარი კულინარული დამუშავების გარეშე (პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი, ალკოგოლიანი და უალკოგოლო სასმელები, ნაყინი, ხილი, თამბაქოს ნაწარმი და ა. შ.).

საზოგადოებრივ კვებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი წარმოების პროდუქციის ბრუნვის მაჩვენებელს. მისი ზვედრითი წონა საზოგადოებრივი კვების მთელს საქონელბრუნვაში ახანათებს საზოგადოებრივი კვების განვითარების დონეს. სხვა თანაბარ პირობებში, რამდენადაც მაღალია საკუთარი წარმოების პროდუქციის ბრუნვის წილი საზოგადოებრივი კვების მთელს ბრუნვაში, იმდენად უკეთესად არის ორგანიზებული საზოგადოებრივი კვება.

საზოგადოებრივი კვების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ცხელი საკვებით. უპირველეს ყოვლისა, სადილისა და საუზმის კერძებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ამიტომ არის, რომ საკუთარი წარმოების პროდუქციის მოცულობა მტკიცდება სახელმწიფო გეგმით.

თანაფარდობა საზოგადოებრივი კვების საკუთარი წარმოების პროდუქციის საქონელბრუნვასა და ნაყიდი საქონლის ბრუნვას შორის სსრ კავშირსა და საქართველოს სსრ-ში ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (პროცენტები ჯამისადმი).

ცხრილი 4.17

წლები	სსრ კავშირი		საქართველოს სსრ	
	საკუთარი წარმოების პროდუქცია	ნაყიდი პროდუქტები	საკუთარი წარმოების პროდუქცია	ნაყიდი პროდუქტები
1940	53,8	46,2	—	—
1950	26,7	73,3	25,8	74,2
1960	47,6	52,4	36,5	63,5
1965	54,7	45,3	48,1	51,9
1970	58,8	41,2	55,3	44,7
1976	62,9	37,1	55,3	44,7
1977	63,1	36,9	55,5	44,5
1978	63,4	36,6	55,8	44,2

<sup>1</sup> პურ-ფუნთუშეული საკუთარი წარმოების პროდუქციაში შეიტანება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი კვების საწარმოს აქვს თავისი საცხობი.

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ 1950 წლიდან, როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე საქართველოს სსრ-ში, საზოგადოებრივი კვების საკუთარი წარმოების პროდუქციის წილი საზოგადოებრივი კვების მთელს საქონელბრუნვაში ხასიათდება ზრდის ტენდენციით. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება სათანადო საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

საზოგადოებრივი კვების საწარმოები საქონელბრუნვის შესახებ ყოველკვარტალურად ანგარიშგებას ადგენენ შემდეგი ფორმით (ათას მანეთებში. ციფრები პირობითია):

ცხრილი 4.18

საქონელბრუნვა	გეგმა	ფაქტიური
1. საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაცია სულ მათ შორის:	640	654
ა) საცალო გაყიდვა საზოგადოებრივი კვების საცალო სავაჭრო საწარმოებიდან (ფარდლები, ნახევარფაბრიკატების მალახიები) გაყიდვის ჩათვლით	560	574
ბ) გაყიდულია ბითუმად და გაცემულია საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებზე	60	60
გ) გაყიდულია ბითუმად და გაცემულია საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებზე	20	20
2. ნაყიდი საქონლის საცალო გაყიდვა	160	163
3. საზოგადოებრივი კვების საერთო საქონელბრუნვა (1+2)	300	317
მათ შორის საცალო საქონელბრუნვა (1ა+2)		
4. საცალო საქონელბრუნვის საერთო ჯამიდან საქონლის გაყიდვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე	20	20

მაშასადამე, საზოგადოებრივი კვების საწარმოს საერთო საქონელბრუნვა (800 ათ. მან.) წარმოადგენს საცალო საქონელბრუნვისა (720 ათ. მან.) და საბითუმო საქონელბრუნვის (61 ათ. მან. + 20 ათ. მან.) ჯამს. ანუ რეალიზებული საკუთარი წარმოების პროდუქციის (641 ათ. მან.) და ნაყიდი პროდუქტების საცალო გაყიდვების (161 ათ. მან.) ჯამს.

საზოგადოებრივი კვების ცალკეული საწარმოს საბითუმო საქონელბრუნვა შედგება ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის გაცემისაგან თავისი ორგანიზაციის (ტრესტი, სავაჭრო ორგანიზაცია) სხვა საწარმოებზე, სხვა სისტემის ორგანიზაციებზე (საოლქო სამმართველო) და საცალო სავაჭრო საწარმოებზე მათი გაყიდვისაგან. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის (ტრესტი, სავაჭრო ორგანიზაცია) და საზოგადოებრივი კვების სისტემის (საოლქო სამმართველო) საერთო საქონელბრუნვა ტოლი არ იქნება საზოგადოებ-

რივი კვების ცალკეულ საწარმოთა საქონელბრუნვის ჯამისა, რადგანაც ადგილი ექნება ერთი და იმავე ბრუნვის განმეორებით შეჯამებას.

საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის (ტრესტი, სავაქრო ორგანიზაცია) საერთო საქონელბრუნვაში შეიტანება ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის, მხოლოდ ისეთი საბითუმო გაცემა, რომელიც წარმოებს სხვა ორგანიზაციის (ტრესტი, სავაქრო ორგანიზაცია) საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ვაჭრობის საწარმოებზე; ხოლო სისტემის (საოლქო სამმართველო) საბითუმო საქონელბრუნვაში შეიტანება ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის გაცემა მხოლოდ საცალო ვაჭრობის სისტემაზე.

საზოგადოებრივი კვების ტრესტის მიხედვით საქონელბრუნვის გაანგარიშების მეთოდის ნაჩვენებია პირობით მაგალითზე (ათ. მან.)<sup>1</sup>.

ც ხ რ ი ლ ი 4.19

საზოგადოებრივი კვების საწარმოების დასახელება	მათ შორის			საკუთარი წარმოების პროდუქციის საქონელბრუნვა					ნაყიდი პროდუქციის გაყიდვა
	საერთო საქონელბრუნვა	საცალო საქონელბრუნვა	საბითუმო საქონელბრუნვა	საკუთარი წარმოების პროდუქციის მთლიანი საქონელბრუნვა	საცალო გაყიდვა	საქონლის საბითუმო გაყიდვა თავისი ტრესტის საწარმოებში	საქონლის გაყიდვა სხვა ორგანიზაციის საბჭოების საწარმოზე	საქონლის გაყიდვა საცალო ვაჭრობის საწარმოებში	
სასადილო № 1	125	125	—	75	75	—	—	—	50
" " № 2	200	200	—	100	100	—	—	—	100
" " № 3	175	175	—	100	100	—	—	—	75
ფაბრიკა-სამზარეულო	875	500	375	775	400	250	25	100	100
ტრესტორანი	250	250	—	75	75	—	—	—	175
ჯამი	1625	1250	375	1125	750	250	25	100	500
საქონელბრუნვა ტრესტის მიხედვით	1375	1250	125	875	750	—	25	100	500

სასადილოების ტრესტის მთლიანი საქონელბრუნვა (1375 ათ. მან.) ტოლია საცალო და საბითუმო საქონელბრუნვის ჯამისა (1250 + 125). საკუთარი წარმოების პროდუქციის ბრუნვა, მთელს საქონელბრუნვაში შეადგენს 875 ათას მან., ხოლო ნაყიდი საქონელი 500 ათ. მან. ტრესტისა

<sup>1</sup> ტრესტის საქონელბრუნვის მაჩვენებელი (ცხრილის ბოლო სტრიქონი გაანგარიშებულია ტრესტის შიდა გადაცემების გამოკლებით, რაც შეადგენს 250 ათ. მან. (სექტი მე-7), გამოყლება მოხდა მე-2, მე-4 და მე-5 სვეტების ჯამიდანაც).

საქალაქო საქონელბრუნვა (1250 ათ. მან.) შედგება საკუთარი წარმოების პროდუქციისა (759 ათ. მან.) და ნაყიდი პროდუქციის (500 ათ. მან.) რეალიზაციისაგან.

საზოგადოებრივი კვების საწარმოები საქონელს ყიდულობენ საცალო ფასებით სავაჭრო დათმობის გამოკლებით, ე. ი. ისევე, როგორც საცალო სავაჭრო საწარმოები. სავაჭრო დათმობის ზომები დიფერენცირებულია ცალკეული საქონლის მიხედვით: სავაჭრო დათმობის ძირითადი დანიშნულებაა სავაჭრო დანახარჯების დაფარვა და ნორმალური მოგების მიღების უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი კვების საწარმოები, საცალო სავაჭრო საწარმოებისაგან განსხვავებით, სავაჭრო ოპერაციებთან ერთად ახორციელებენ საწარმოო ოპერაციებსაც, რაც დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან. დამატებითი საწარმოო დანახარჯების დაფარვისა და ნორმალური მოგების მიღების უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოებრივი კვების საწარმოები ახდენენ საქონლის საცალო ფასზე დარიცხვას. დარიცხვის ზომები დადგენილია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კატეგორიის მიხედვით. მაშასადამე, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შემოსავლები იქმნება სავაჭრო დათმობებისა და დარიცხვების ხარჯზე. თუ საზოგადოებრივი კვების მთელი შემოსავლებიდან გამოვრიცხავთ მიმოქცევის ხარჯებს, მივიღებთ მოგებას.

მაგალითი. ფასწარმოქმნის ელემენტების მიხედვით საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურა განხილულია პირობითი მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 4.20

მეურნეობის დასახელება	ათას მან.	პროცენტები საქონელ-ბრუნვის მიხედვით
1. ნედლეულისა და საქონლის ნაყიდობის ღირებულება	26167	80,7
2. სავაჭრო დათმობა	1920	5,5
3. ნედლეულისა და საქონლის ღირებულება საცალო ფასებით (1+2)	30037	86,2
4. დარიცხვა	4828	13,8
5. საქონელბრუნვა გასაყიდი ფასების მიხედვით (3+4)	34914	100
6. საზოგადოებრივი კვების შემოსავლები (2+4)	6745	19,3
7. მიმოქცევის ხარჯები	5863	16,8
8. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგება (6-7)	884	2,5

ფასწარმოქმნის ელემენტების მიხედვით, საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის შესახებ მონაცემებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს კერძებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა პროდუქ-

ცის გათვების მიზნით ღონისძიებათა შემუშავების დროს. საზოგადოებრივ კვებაში ფასწარმოქმნის ანალიზის დროს, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის გაკეთება, რომ საკუთარი წარმოების პროდუქციასა და ნაყიდ საქონელზე დარიცხვის ღონის სხვადასხვაობს გამო. საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად იცვლება დარიცხვის დონე პროცენტებში საქონელბრუნვის მიმართ.

მაგალითი განვიხილოთ ცხრილის მონაცემებით (ციფრები პროცენტად).

ცხრილი 4.21

	საბაზისო პერიოდი			საანგარიშო პერიოდი		
	საქონელბრუნვა (ათას მან.)	დარიცხვა		საქონელბრუნვა (ათას მან.)	დარიცხვა	
		%-ში საქონელბრუნვის მიმართ	ათას მან.		%-ში საქონელბრუნვის მიმართ	ათას მან.
საკუთარი წარმოების პროდუქცია	320	20	64	500	21	105
ნაყიდ საქონელი	420	10	42	500	10	50
სულ	800	14	112	1000	15	150
		112/800			150/1000	
		14%			15%	

მონაცემებიდან ჩანს, რომ დარიცხვის ოდენობა საკუთარი წარმოების პროდუქციისა და ნაყიდ საქონელზე ორივე პერიოდში უცვლელა (20% და 10%). მიუხედავად ამისა დარიცხვის საშუალო დონე 14% საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 15%-მდე. აღნიშნული მოვლენა შედეგი იყო საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებისა. საკუთარი წარმოებია პროდუქციის (რომელზედაც დარიცხვია დონე შედარებით მაღალია) ხვედრითი წონა 40%-დან  $\left(\frac{320 \cdot 100}{1000}\right)$  საბაზისო პერიოდში გაიზარდა 50%-მდე  $\left(\frac{500 \cdot 100}{800}\right)$  საანგარიშო პერიოდში.

საანგარიშო და საბაზისო პერიოდის საშუალო დარიცხვის დონის თანაშეფარდებით ვლებულობთ საშუალო დარიცხვის ინდექსს

$$\text{საშ. დარიცხვა} = 15 : 14 = 1,07 \text{ ანუ } 107\%.$$

დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის სტატისტიკას. მისი ამოცანაა იმ პროდუქტების ხარჯვის განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება კერძების მომზადებისა და საქონლის რეალიზაციისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა ხდებ-

ბა პროდუქტების დანახარჯების შესახებ კვარტალურ, სპეციალურ ანგარიშგებაში. პროდუქტების დანახარჯების შესახებ კვარტალური ანგარიშგება ხდება შემდეგი სახით<sup>1</sup>:

ცხრილი 4.22

პროდუქტების დასახელება	ზომის ერთეულები	დაიხარჯა სამზარეულოში და გაყიდულ იქნა ბუფეტიდან და საცალო ქსელიდან	
		რაოდენობა ნატურ. მაჩვენებ.	თანხა საცალო ფასებში
ხორკი			
თევზი			
თ. ა. შ. (35 დასახელების ნომენკლატურის მიხედვით)			
ჯამი			
დარიცხვა			
საერთო საქონელბრუნვა			

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის განაწილება სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ხდება იმავე ნომენკლატურით, რაც მიღებულია საცალო ვაჭრობის სისტემაში.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში პროდუქტების ხარჯვა ორი მიმართულებით ხდება: ნედლეულის ხარჯვა კერძების მომზადებაზე და ნაყიდი საქონლის რეალიზაციაზე ბუფეტებიდან და საზოგადოებრივი კვების საცალო ქსელიდან. ცალკეული მათგანის მიხედვით პროდუქტების ხარჯვის თანხია დადგენა ხდება სხვადასხვა მეთოდით: საზოგადოებრივი კვების საწარმოს საწყობი ზედღებულთ სამზარეულოს ყოველდღიურად აძლევს დღის განმავლობაში საჭირო პროდუქტებს. იმ შემთხვევაში, თუ სამზარეულომ ვერ გამოუშვა დღის განმავლობაში გათვალისწინებული რაოდენობის კერძები და დარჩა ნედლეული, იგი დღის პოლოს, ასევე ზედღებულთ, უკან აბარებს საწყობს. მამასადასე. ფაქტიურად დახარჯული ნედლეული იქნება სხვაობა საწყობიდან გაკემულისა და უკან დაბრუნებულს შორის. ასეთი მონაცემები განაზღვრავს ხდება ყოველდღიურად ნედლეული ცალკეულ სახეობათა მიხედვით ნატურალურ და ლირებულებით მაჩვენებლებში საცალო ფასებით. დღის განმავლობაში სამზარეულოსათვის საჭირო ცალკეული სახის ნედლეულის განაგარიშება ხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

<sup>1</sup> ანგარიშგებაში პროდუქტების ხარჯვა ნაჩვენებია საცალო ფასებში: საზოგადოებრივი კვების დარიცხვა — საერთო თანხით, რომელიც არ არის განაწილებული საქონლის ჯგუფების მიხედვით.

$$N = \frac{\sum ni \cdot qi}{100}$$

სადაც  $N$  — ნედლეულის ხარჯვის საშუალო ჯგუფური ნორმა:

$ni$  — ცალკეული კერძის მიხედვით ნედლეულის ხარჯვის ინდივიდუალური ნორმა;

$qi$  — ცალკეული დასახელების კერძის ხვედრითი წონა პროცენტობით კერძების საერთო საგეგმო გამოშვებაში.

გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული ბუფეტებიდან და საზოგადოებრივი კვების საცალო ქსელიდან რეალიზებული საქონლის აღრიცხვა. ბუფეტებში, ისევე როგორც საცალო საწარმოებში არ ხდება რეალიზაციის აღრიცხვა ცალკეული სახის საქონლის მიხედვით. ამიტომ. ბუფეტებიდან ნაყიდი საქონლის რეალიზაცია შეიძლება განისაზღვროს საბალანსო მეთოდით:

$$3_1 \div \Pi - q_p - 3_2 = P,$$

სადაც  $3_1$  და  $3_2$  — საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს:

$\Pi$  — საქონლის მიღება;

$q_p$  — დოკუმენტური ხარჯები, რომლებიც არ შეიტანება საცალო გაყიდვაში.

საზოგადოებრივი კვების რიგ საწარმოში ნედლეული და საქონელი აღრიცხება გასაყიდ ფასებში, ე. ი. მათ დამატებული აქვთ საზოგადოებრივი კვების დარიცხვა. ნედლეულისა და საქონლის ხარჯვის შესახებ ანგარიში კი დგება საცალო ფასებში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ცალკეული საქონლის მიხედვით დარიცხვის თანხის გამოკლება. მაგალითად, აღრიცხვით დადგინდა, რომ ხორცის დანახარჯებმა გასაყიდ ფასებში შეადგინა 24 ათასი მანეთი, დარიცხვის დონე კი განსაზღვრულია 20%-ით. ეს ნიშნავს იმას, რომ 24 ათასი მანეთი ტოლია საცალო ღირებულების 120%-სა. მაშასადამე, ხორცის საცალო ღირებულება შეადგენს:  $(24 \times 100) : 120 = 20$  ათ. მან.

ცალკეული საქონლის გაყიდვის გაანგარიშებით პროცენტებში საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მიმართ ვლბებულობთ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურას.

რიგი წლების მიხედვით საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის მონაცემებით დგინდება საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვებში მომხდარი სტრუქტურული ძვრები. მას კი უპირატესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების განვითარების ანალიზის პროცესში.



§ 5. საცალო საქონელბრუნვის კრედიტით სტატისტიკა

ა) საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) სტატისტიკა

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა არის საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის საცალო საქონელბრუნვათა ჯამი. საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა უაღრესად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის მიერ სასაქონლო მოხმარების მოცულობაზე, ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის მდგომარეობაზე. საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესწავლა, მისი ანალიზი აუცილებელია ქვეყნის შიგნით ფულადი საშუალებების მიმოქცევის რეგულირებისათვის.

საცალო საქონელბრუნვის კრედიტით სტატისტიკა სწავლობს: საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობასა და სტრუქტურას. საცალო საქონელბრუნვის მოცულობასა და სტრუქტურას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის სტატისტიკა აღნიშნულ მაჩვენებლებს სწავლობს არა მარტო მთლიანად ქვეყნის მიხედვით, არამედ ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციების, მხარეების, ოლქებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა საქართველოს სსრ ვაჭრობის ძირითადი სისტემების მიხედვით 1975—1980 წლებში ნაჩვენებია ცხრილში 4.23.

ცხრილი 4.23

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა საქართველოს სსრ ვაჭრობის ძირითადი სისტემების მიხედვით 1975—1980 წლებში (მლნ მანეთებში)

	1975			1980		
	საცალო საქონელბრუნვა	მათ შორის		საცალო საქონელბრუნვა	მათ შორის	
		საცალო ქსელის	საზოგადოებრივი კვების		საცალო ქსელის	საზოგადოებრივი კვების
სულ რესპუბლიკაში	3113,3	2747,1	366,2	4328,1	3848,7	479,4
1. სახელმწიფო ვაჭრობა	2102,0	1844,3	255,7	2971,1	3848,7	479,4
მათ შორის:						
1. ვაჭრობის სამინისტრო	1672,7	1549,6	123,1	2244,0	1618,2	248,3
2. ორსები და სურსათმომარაგება	169,1	139,2	29,6	222,5	167,7	48,0
3. სპეციალური სავაჭრო ქსელი	135,2	133,3	1,9	69,9	92,3	—
4. სხვა ორგანიზაციები	125,0	22,2	102,8	414,7	330,2	16,5
II. სამოხმარებლო კოოპერაცია	1011,3	902,8	108,5	1357,0	1223,4	129,6

**საქალაქო საქონელბრუნვის მოცულობა საქართველოს  
სსრ ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით**

	საქართველოს სსრ	მათ შორის		
		აფხაზეთის ასსრ	აქარის ასსრ	დანარჩენი რაიონები
1975	3210,5	382,2	218,2	2611,1
1976	3382,3	410,4	228,6	2753,3
1977	3565,5	436,9	238,1	2893
1978	3760	462,7	249,7	3047,6
1980	4328,1	526,9	287,7	3513,5

**საქალაქო საქონელბრუნვის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე  
განვარსებით საშუალოდ სსრ კავშირისა და რსფსრ-ში  
რესპუბლიკებში. 1971—1975—1977—1978 წლები (მანეთებში)**

	1971	1975	1977	1978	1980
სსრ კავშირი . . . . .	676	827	891	924	1068
საქართველოს სსრ . . . . .	527	650	712	758	910
აზერბაიჯანის სსრ . . . . .	414	448	530	540	647
სომხეთის სსრ . . . . .	542	655	719	748	906
ესტონეთის სსრ . . . . .	999	1171	1287	1343	1609

**ბ) საქალაქო საქონელბრუნვის ხასიათი სტრუქტურის  
სტატისტიკა**

საქონელბრუნვის კრებისითი სტრუქტურის შესახებ მონაცემები მიიღება ცალკეული სახის საქონლის მიხედვით, საცალო სავაჭრო საწარმოების საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში პროდუქტების ხარჯვისა და გაყიდვების შეჭამებით. კრებისით ანგარიშგებას აქვს შემდეგი ფორმა (იხ. ცხრ. 4.26).

საქალაქო საქონელბრუნვის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფა. სასაქონლო უზრუნველყოფაში იგულისხმება სასაქონლო ფონდები და წყაროები, რომელთა ხარჯზეც უნდა განხორციელდეს საცალო საქონელბრუნვა. სასაქონლო უზრუნველყოფის წყაროებია:

- საქონლის მიღება სახელმწიფო რესურსებიდან;
- საქონლის მიღება ადგილობრივი წყაროებიდან;
- საზოგადოებრივი კვების დარიცხვა;
- სასაქონლო მარაგების შემცირება.

საქონლის დასახელება	საქონლის ვაყიდვა საცალო ქსელში	დაიხარჯა და გაიყიდა საზოგადოების ქსელში	სულ
I. სასურსათო საქონელი მათ შორის: 1. ხორცი და ფრინველი 2. ძებვეულის ნაწარმი 3. თევზი 4. ქაშაყი და ა. შ. 5. საზ. კვების დარიცხვა			
ჯამი			
II. ანაწარმული საქონელი მათ შორის: 1. ბამბის ქსოვილები 2. შალის ქსოვილები 3. აბრეშუმის ქსოვილები 4. სელის ქსოვილები და ა. შ.			
ჯამი			
სულ			

სახელმწიფო რესურსების განაწილება ხდება სახელმწიფო გეგმის მრხედით და წარმოადგენს სასაქონლო უზრუნველყოფის ძირითად წყაროს.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირველი სამი წყარო საქმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ უზრუნველყოფის წყაროდ გამოიყენება სასაქონლო მარაგების შემცირება. სასაქონლო მარაგის შემცირება ნორმალურზე დაბლა გვიჩვენებს მის ჩართვას საქონელბრუნვაში, ხოლო ზრდა — საქონელბრუნვადობის შესუსტებას, საქონლის მიწოდება ხდება ნორმაზე მეტად (სხვა თანაბარ პირობებში).

სასაქონლო უზრუნველყოფის წყაროებისა და მათი გამოყენების ანალიზი წარმოებს სასაქონლო უზრუნველყოფის ბალანსის დახმარებით. რომელიც დგება შემდეგი ცხრილის მიხედვით (იხ. ცხრ. 4.27).

ბალანსის საანგარიშო მონაცემების შედარებით საგეგმო მაჩვენებლებთან ვაკეთებთ შემდეგ დასკვნებს:

- შესრულებულ იქნა თუ არა სასაქონლო უზრუნველყოფის გეგმა, როგორც მთლიანად ისე ცალკეული წყაროს მიხედვით;
- რამდენად იქნა ჩართული საქონელბრუნვაში ადგილობრივი რესურსები;
- რამდენად უზრუნველყოფილია საქონელბრუნვა საქონლის მარაგით;

	ბანკმა	ფაქტობრივი	მეგობრული ზე- ვით (+) ნაკლები (-)
I. სასაქონლო რესურსები			
1. სახელმწიფო რესურსები			
2. ადგილობრივი რესურსები			
3. საზოგადოებრივი კვების დარიცხვა			
4. სასაქონლო მარაგების შემცირება ბალანსი:			
II. რესურსების გამოყენება			
1. საცალო საქონელბრუნვა მათ შორის:			
ა) საცალო ქსელის			
ბ) საზოგადოებრივი კვების			
2. სასაქონლო მარაგის ზრდა ბალანსი			

ვაჭრობის სტატისტიკაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ვაჭრობის კრებისთი სასაქონლო ბალანსის შედგენასა და მის ანალიზს.

საბითუმო ვაჭრობის ბალანსის მეშვეობით შეისწავლება საქონლის მოძრაობა წარმოებიდან საცალო ვაჭრობამდე; საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის ბალანსი სინთეზურად აკავშირებს საბითუმო ვაჭრობიდან მიღებულ სასაქონლო რესურსებს, საცალო ვაჭრობაში მათ გამოყენებას. სხვანაირად, საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის ბალანსი მოიცავს მხოლოდ საქონლის საბაზრო ფონდებს, საბჭოთა ვაჭრობის კრებისთი ბალანსის აშოცანა კი მდგომარეობს ვაჭრობის სფეროში შემოსული სასაქონლო რესურსების დაპირისპირება ვაჭრობაში მათ გამოყენებასთან.

საბჭოთა ვაჭრობის კრებისთი ბალანსის შედგენა ხდება შემდეგი სქემის მიხედვით მლნ მან (ციფრები პირობითია).

საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი შედგენილია წმინდა ბრუნვის მეთოდით. საფაბრიკო საწყობებისა და სავაჭრო საბითუმო ბაზების ბალანსებიდან გამორიცხულია განმეორებითი გაყიდვები. შიდა უწყებრივი ბრუნვის მაჩვენებლები გამოყოფილია ფრჩხილებით, რადგან შემაჯამებელი ბალანსის გასაველების ნაწილიდან გამორიცხულია უფრო მეტი თანხა ვიდრე საშემოსავლო ნაწილიდან, სხვაობა კი ნაჩვენებია გზაში მყოფი საქონლის მარაგის მატების სახით.

	საბითუმო ვაქრობა			საჯალ ვაქრობა	მთლიანად საბჭოთა ვაქრობა (წმინდა გროვნა)	პროცენტები ქამთან
	საფაბრიკო საწყობები და საგასაქლო ბაზები	საეაქრო ბაზები	სკულ (წმინდა საკონსერვაციუნი)			
1. მარაგი წლის დასაწყისში	200	5200	6000	16000	22000	19,0
2. მიღებულ იქნა საქონელი:						
ა) წარმოებიდან ცენტრალიზებული რესურსების ხარჯზე	78100	—	78100	—	78100	67,2
ბ) ადგილობრივი რესურსებიდან	10000	—	10000	10000	10000	8,6
გ) იმპორტული	—	4000	4000	—	4000	3,5
დ) საფაბრიკო საწყობებიდან და საგასაქლო ბაზებიდან	—	(71000)	—	—	—	—
ე) ცენტრალიზებული ფონდები საბითუმო ბაზებიდან	—	—	—	76200	—	—
ვ) საზოგადოებრივი კვების დარიცხვა	—	—	—	2000	2000	1,7
ჯამი	88900	89200	98100	109200	116,100	
3. საქონლის ხარჯები:						
ა) გაგზავნილია საეაქრო ბაზებში	72300	—	—	—	—	—
ბ) მიწოდებულია საბაზრო ფონდიდან ცენტრალიზებული რესურსების ხარჯზე	3000	74620	(77620)	—	—	—
გ) მიწოდებულია საბაზრო ფონდიდან ადგილობრივი რესურსების ხარჯზე	2000	—	1000	—	—	—
დ) მიწოდებულია არასაბაზრო ფონდების მიხედვით	3000	—	3000	—	3000	2,6
ე) საჯალო საქონელბრუნვა	—	—	—	26000	86000	74,0
4. საქონლის დანაკარგები	20	80	100	200	300	0,3
5. საქონლის მარაგი წლის ბოლოს	500	5500	6000	18000	24000	20,7
6. ვარდა ამისა საქონლის მარაგის ზრდა გზაში	—	—	1300	—	2000	2,4
ჯამი						

**სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის  
მოთხოვნის სტატისტიკა**

**§ 1. სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის  
მოთხოვნა და სტატისტიკის ამოცანები**

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა ისტორიული კატეგორიაა და არსებობს იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა განსხვავდება მოთხოვნილებისაგან. იგი მოთხოვნილების მხოლოდ ნაწილია და განისაზღვრება მოსახლეობის ფულადი შემოსავლებით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მოსახლეობის მოთხოვნა ხშირად გაიგვებულა ბაზრის ტევადობასთან. მაგრამ, ბაზრის ტევადობა უფრო ფართო ცნებაა. იგი განისაზღვრება სახალხო მოხმარების საქონლის შესაძლებელი რეალიზაციის მოცულობით და მოიცავს, როგორც მოსახლეობის მოთხოვნას, ასევე ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წვრილობითუმი. ვაჭრობის წესით შესრულებულ საქონელბრუნვასაც. გარდა აღნიშნულისა, ბაზრის ტევადობა განისაზღვრება საქონლის მიწოდების ზომითაც, რადგან ბაზარი მოთხოვნა, მიწოდების ერთობლიობაა.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა არის მათი ფულადი შემოსავლების ის ნაწილი, რაც განკუთვნილია ბაზარზე საქონლის შესაძენად. სხვანაირად, მოსახლეობის მოთხოვნა არის მათ მიერ ბაზარზე წარდგენილი მოთხოვნილება საქონელზე, მათ შორის მომსახურებაზე, რომელიც ატარებს სასაქონლო ფორმას<sup>1</sup>. მაშასადამე, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის არსი ფორმულირდება შემდეგნაირად: სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა არის ღირებულებით ფორმაში გამოსახული საზოგა-

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 25, ნაწ. I, გვ. 207.

დობრივი მოთხოვნების ნაწილი და განისაზღვრება მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდებით.

მაშასადამე, მოთხოვნა წარმოადგენს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა დამახასიათებელ კატეგორიას. ამდენად საწარმოო ძალების განვითარების სათანადო დონის მიღწევის პირობებში, ამ ურთიერთობათა ძალის დაკარგვის კვალობაზე მოთხოვნის კატეგორია გაქრება.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა საჭიროა განვსხვავოთ საცალო საქონელბრუნვისაგანაც. ჯერ ერთი, საცალო საქონელბრუნვაში შეიტანება ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ წერილობითი ვაჭრობის წესით წარმოებული საქონელბრუნვა, რომელშიც მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდები არ მონაწილეობენ და მეორე, საცალო საქონელბრუნვა მოიცავს მოსახლეობის მოთხოვნის მხოლოდ ერთ ნაწილს — რეალიზებულ მოთხოვნას.

მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობა შედგება საცალო საქონელბრუნვისა (იმ ნაწილში, რაც შესრულებულია მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების ხარჯზე) და დაუქმყოფილებელი მოთხოვნის (მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების ის ნაწილი, რაც მან შეინახა დანაზოგების სახით, სავაჭრო ქსელში სათანადო ასორტიმენტის, ხარისხის საქონლის გაყიდვაში არ არსებობის გამო) ჯამისაგან.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და საცალო საქონელბრუნვის (წერილობითი ვაჭრობის წესით შესრულებული საქონელბრუნვის გამოკლებით) საერთო მოცულობა საქართველოს სსრ-ში 1970—1975 წლებში ნაჩვენებია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1

წლები	მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობა <sup>1</sup>	საცალო საქონელბრუნვა
1970	2703,6	2198,7
1971	2786,6	2385,0
1972	2887,7	2547,8
1973	3030,1	2658,0
1974	3292,5	2818,1
1975	3565,8	3049,0
1976	3726,0	3211,3
1977	3942,0	3393,5
1978	4171,0	3587,0

განვიხილოთ სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის ორი ფორმა: რეალიზებული და დაუქმყოფილებელი.

<sup>1</sup> გაანგარიშებულია ВШХИК-ის საქართველოს ფილიალის მიერ.

რეალიზებული მოთხოვნა არის მოთხოვნა ისეთ საქონელზე, რომელიც უკვე გაიყიდა; დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა არის მოთხოვნა ისეთ საქონელზე, რომელიც მოცემული მომენტისათვის სავაჭრო ქსელში არ არის გაყიდვაში, თუმცა მიმოქცევაში საერთოდ ეს საქონელი არსებობს, მაგრამ კონიუნქტურული მიზეზების გამო მოცემული რეგიონის ბაზარზე გაყიდვაში არ აღმოჩნდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოსახლეობის მოთხოვნას აჯგუფებენ შემდეგნაირადაც: მყარი, არამყარი და იმპულსური. მყარი — მტკიცედ ჩამოყალიბებული მოთხოვნაა, რაც წარედგინება კონკრეტულ საქონელზე. მაგალითად, მოთხოვნა ფენსაცემელზე, ტანსაცმელზე, ტრიკოტაჟის ნაწარმსა და ა. შ.

არამყარია ისეთი მოთხოვნა, რაც წარმოიქმნება მაღაზიაში საქონლის უშუალოდ გაცნობის პროცესში.

იმპულსურია, რაც ყალიბდება შთაგონების, მიბაძვის და სხვათა ზეგავლენით.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის სტატისტიკის წინაშე დასმულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნაზე სისტემატური დაკვირვების ორგანიზაცია და მის საფუძველზე მოთხოვნის საერთო მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრა;
- რეალიზებული მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის აღრიცხვა;
- დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრა;

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამუშაოები უნდა ტარდებოდეს არა მარტო მთელი ქვეყნის მასშტაბით, არამედ ცალკეული რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების და ქალაქების მიხედვითაც:

- მოსახლეობის მოთხოვნის შესახებ სარწმუნო მონაცემების მიღება და მათი წარდგენა სათანადო პარტიული და სამეურნეო ორგანოებში.

## **§ 2. სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობის შესწავლა**

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობის განსაზღვრის დროს ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი, რომლის საფუძველზეც წარმოებს მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების განსაზღვრა.



მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი სქე-  
მატურად გამოიხატება შემდეგნაირად:

ცხრილი 5.2

მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი (ათ. მან.)  
(საქართველოს ხსრ — 1875 წელი) ციფრები პირობითია

	წინა წელი	მიმდინარე წელი	საკვეთო წელი
<b>I. შემოსავლები</b>			
1. ხელფასი	2319,6	2464,9	2629,0
2. ფულადი შემოსავლები მიღებული კომერციული და სხვა სახის კომერციული და სხვა სახის კომერციული და სხვა სახის კომერციული და სხვა სახის	231,6	260,2	273,6
3. ამონაგები მიღებული სასოფლო-სა- მეურნეო პრივილეგიების შესყიდვე- ლადან	301,9	402,0	485,8
4. პენსიები და დახმარებები	413,1	434,7	520,1
5. სტიპენდიები	27,8	29,9	32,4
6. შემოსავლები მიღებული საფინანსო სისტემიდან	70,9	97,4	110,8
7. დანარჩენი შემოსავლები	14,7	19,7	19,7
8. ფული მიღებული ფოსტით, ტე- ლეგრაფით, აკრედიტივით (გაბან- ლი თანხის გამოკლებით)	21,5	23,9	28,0
სულ ფულადი შემოსავლები ხარჯების მეტობა შემოსავლებზე ბალანსი	3633,5	4033,6	4239,6
<b>II. გასული (ხარჯები)</b>			
1. საქონლის შესყიდვა	2667,6	2873,2	3040,0
2. მომსახურების ანაზღაურება და სხვა ხარჯები	407,2	419,2	442,0
3. სავალდებულო გადასახდელები და ნებაყოფლობითი შენატანები	301,0	324,2	351,8
4. ფულადი დანახოვები შემნახველ საღაროებში და სახელმწიფო სამ- პროცენტოანი ობლიგაციების სახით.	101,3	156,6	271,4
5. ფული გაგზავნილი ფოსტით, ტე- ლეგრაფით, აკრედიტივით (მიღებუ- ლი თანხის გამოკლებით)	—	—	—
სულ ფულადი დანახარჯები და და- ნახოვები	3604,2	3947,0	4105,2
შემოსავლების მეტობა ხარჯებზე ბალანსი	28,6	36,6	134,4
	3633,5	4033,0	3239,6

აღნიშნული ბალანსის თავისებურება ის არის, რომ იგი ასახავს სასა-  
ქონლო-ფულად ურთიერთობას მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებსა და  
მოსახლეობას შორის. მასში არ არის ნაჩვენები სასაქონლო-ფულადი  
ურთიერთობა მოსახლეობის ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის.

მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების გაანგარიშების მიზნით  
საკვირობა მოცემული ბალანსის შემოსავლების მთელ ჯამს გამოვაცლოთ  
ხარჯებს მხარეში მოცემული სავალდებულო გადასახდელების, ნება-

ყოფლობითი შენატანებისა და „ნორმალური“ დანაზოგების ჯამი. მიღებული სხვაობა იქნება მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდები.

აღნიშნული წესით გაანგარიშებული მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდები სრულად ვერ ასახავს პოტენციურ მოთხოვნას, რადგან მასში არ აისახება მსყიდველობითი ფონდების ის ნაწილი, რაც დარჩა გასულ წლებში მოსახლეობაში დაუქმყოფილებელი მოთხოვნის სახით და ზემოქმედებს მიმდინარე პერიოდის მოთხოვნაზე.

მოსახლეობის მსყიდველობით ფონდებს მოცემული წლისათვის თუ დაემატებთ წინა წლებში დაუქმყოფილებელი მოთხოვნის შედეგად გამოწვეულ ფულად დანაზოგებს, მივიღებთ პოტენციურ მოთხოვნას, ანუ მოთხოვნის საერთო მოცულობას.

მოთხოვნის საერთო მოცულობის დადგენის შემდეგ საჭიროა მისი სტრუქტურის განსაზღვრა. იგი გულისხმობს სახალხო მოხმარების ცალკეულ საქონელზე მოთხოვნის მოცულობის გაანგარიშებას. მოთხოვნის სტრუქტურის გაანგარიშება მიზანშეწონილია ვაწარმოთ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. სასურსათო საქონლის მიხედვით უკეთესია ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდის გამოყენება შემდეგი განტოლების მიხედვით:

$$y = a + Bt,$$

სადაც  $y$  — მოთხოვნა ამა თუ იმ სასურსათო საქონლის ჯგუფზე;

$a$  და  $B$  — განტოლების პარამეტრები (კოეფიციენტები);

$t$  — დროის მაჩვენებელი;

$a$  და  $B$  პარამეტრების გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$B = \frac{\sum y_t - \bar{y} \sum t}{\sum t^2 - (t)^2 n}; \quad a = \bar{y} - Bt; \quad \bar{y} = \frac{\sum y}{n}, \quad t = \frac{\sum t}{n}.$$

არასასურსათო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის სტრუქტურის შესწავლის მიზნით, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ВНИИКС) გეთავაზობს სწორხაზოვან და ხარისხობრივ მრავალფაქტორიან მოდელებს.

სწორხაზოვანი მოდელი —  $y = a_0 + a_1x_1 + a_2x_2 + \dots + a_nx_n,$

ხარისხობრივი მოდელი —  $y = l^a + x_1^a + x_2^a + \dots + x_n^a,$

სადაც  $y$  — არის ზოგიერთი არასასურსათო საქონლის გაყიდვის მოცულობა;  $x_1, x_2, x_3, x_n$  — მისი განმსაზღვრელი ფაქტორები.

მოდელში ძირითად ფაქტორად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: საქონელბრუნვის საერთო მოცულობა, ცალკეული ჯგუფის საქონლის გაყიდვის მოცულობა, ფასების საერთო ინდექსი, ფასების ჯგუფური

ინდექსი, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წონების თანაფარდობა (ურბანიზაციის კოეფიციენტი), ცალკეული ჯგუფის საქონლის გაყიდვის განვითარების ძირითადი ტენდენციების მაჩვენებლები.

### § 8. რეალიზებული მოთხოვნის შესწავლა

რეალიზებულია მოთხოვნა ისეთ საქონელზე, რომელიც უკვე გაიყიდა. მისი შესწავლა დიდ სიძნელებთან არ არის დაკავშირებული.

რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის პროცესში ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ყოველკვარტალური სტატისტიკური ანგარიშგება — ფორმა № 3 — „Торг“-ი, რომელშიც მაჩვენებლები საბალანსო ურთიერთობაშია მოცემული. სასაქონლო ბალანსის ( $Z_1 + n = p + Z_2$ ) გამოყენებით შესაძლებელია რეალიზებული მოთხოვნის განსაზღვრა:  $p = Z_1 + n - Z_2$ .

სადაც  $Z_1$  და  $Z_2$  — საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისსა და დასასრულისათვის;

$n$  — საქონლის მიღება პერიოდის განმავლობაში;

$p$  — საქონლის რეალიზაცია ანუ რეალიზებული მოთხოვნა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს როგორც რეალიზებული მოთხოვნის საერთო მოცულობა, ისე მისი სტრუქტურა.

სტატისტიკური ანგარიშგება ფორმა № 3 დგება I, II, III კვარტალებისა და წლის მიხედვით (მისი სქემა ნაჩვენებია მოცემული სახელმძღვანელოს მე-4 თავში).

ყოველკვარტალური სტატისტიკური ანგარიშგება (ფორმა № 3). მართალია, წარმოადგენს რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის პროცესში ინფორმაციის ძირითად წყაროს, მაგრამ მისი მეშვეობით მაინც შეუძლებელია საქონლის ცალკეული ჯგუფის შიდა ასორტიმენტული სტრუქტურის სიღრმისეული დახასიათება.

რეალიზებული მოთხოვნის უფრო დეტალური შესწავლის მიზნით საჭირო ხდება შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების მონაცემების გამოყენება. ამ მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 31 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში შემოღებულ იქნა საქონლის ფართო ნომენკლატურის მიხედვით შერჩევითი დაკვირვება მოსახლეობის მოთხოვნაზე.

შერჩევითი დაკვირვება ორგანიზებულია სსრ კავშირის ყველა მო-

კავშირე რესპუბლიკაში, ოლქში, მხარეში. დაკვირვება წარმოებს 18 ჯგუფის ძირითად არასასურსათო საქონლის 784 ასორტიმენტულ პოზიციაზე.

ცხრილი 5.3

საქონლის ჯგუფები, რომლებზეც წარმოებს შერჩევითი დაკვირვება

საქონლის ჯგუფების დასახელება	ასორტიმენტულ პოზიციას რაოდენობა	საქონლის ჯგუფების დასახელება	ასორტიმენტულ პოზიციას რაოდენობა
1. ქსოვილები	161	10. სათები	8
2. ტანსაცმელი	149	11. ელექტრო საქონელი	37
3. ტრიკოტაჟის ნაწარმი	63	12. საკანცელარიო საქ.	8
4. ოქსაცმელი	88	13. სპორტსაქონელი	12
5. წინდა-თათმანის ნაწარმი	34	14. რადიოსაქონელი	26
6. პარფიუმერია	11	15. ფოტოსაქონელი	17
7. გალანტერეა	80	16. მუსიკალური საქ.	7
8. აუჯი	29	17. საკერავე მანქანები	6
9. ქურპელი	41	18. საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი	87

შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების შედეგად მოპოვებული მონაცემები საშუალებას ქმნის შესწავლილ იქნეს ცალკეული სასაქონლო ჯგუფის სრული ასორტიმენტი სასაქონლო მარაგის, საქონლის მიღებისა და რეალიზაციის მიხედვით.

სასაქონლო მარაგის, საქონლის მიღებისა და რეალიზაციის რაოდენობრივი ცვლილებების შედარება შესაძლებელს ხდის შეფასებულ იქნეს საქონლის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის შესაბამისობის ხარისხი.

§ 4. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შესწავლა

მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის სისტემატური ზრდა იწვევს მოთხოვნის არა მარტო რაოდენობრივ ზრდას, არამედ ხარისხობრივ ცვლილებებსაც. მოსახლეობა სულ უფრო მეტ მოთხოვნას აყენებს მაღალხარისხოვან და ფართო ასორტიმენტის საქონელზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში გარკვეული ზომით ჯერ კიდევ არსებობს დისპრობორცია მოთხოვნა-მიწოდებას შორის, რაც თავის მხრივ წარმოშობს დაუკმაყოფილებელ მოთხოვნას. აღნიშნული მდგომარეობის ძირითად მიზეზად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

— მრეწველობის მიერ ვაჭრობისადმი მიწოდებული საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის, ხშირ შემთხვევაში, შეუსაბამობა მოსახლეო-

ბრის მოთხოვნასთან, რაც განპირობებულია სანედლეულო რესურსების, ტექნოლოგიური მოწყობილობის, კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობითა და სხვა.

— იმ ეკონომიკური მექანიზმის სისუსტე, რაც მოწოდებულია უზრუნველყოს მიკრო და მაკრო დონეზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება;

— ნაკლოვანებანი სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლაში, ვაჭრობის ორგანიზაციაში, შეცდომები ქვეყნის რაიონებზე მიხედვით სასაქონლო რესურსების განაწილებაში და ა. შ.

სახალხო მოხმარების საქონელზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის საერთო მოცულობის განსაზღვრის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის ფულადი დანაზოგის ანალიზი; ანალიზის დროს უპირველეს ყოვლისა საჭიროა განისაზღვროს მათი საერთო მოცულობა.

მოსახლეობის ფულადი დანაზოგები სახელმწიფო შემნახველ საღაროებში, მართალია, წარმოადგენს დანაზოგების ძირითად ნაწილს, მაგრამ არა ერთადერთ ფორმას. ამასთან, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დანაზოგების დინამიკა ყოველთვის არ განისაზღვრება მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდით, კონიუნქტურული პერიოდებით, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორებით. გარკვეული ზომით იგი დაკავშირებულია დანაზოგების შენახვის ცალკეული ფორმის თანაფარდობის ცვლილებითაც.

საერთოდ, დანაზოგების ძირითადი ნაწილის აკუმულაცია ხდება საფინანსო-საკრედიტო სისტემის მეშვეობით. აქ იგულისხმება დანაზოგები, რომლებიც შენახულია შემნახველ საღაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, დაგროვება სახელმწიფო სამპროცენტიანი ობლიგაციების სახით. აღნიშნული წესით ფულადი საშუალებების შენახვა-დაზოგვის ორგანიზებულ ფორმად იწოდება.

დანაზოგების ნაწილი რჩება უშუალოდ მოსახლეობაში, ანუ როგორც მას უწოდებენ ხდება ფულის ჩაწოლა მოსახლეობაში. აღნიშნული სახე არაორგანიზებული დაზოგვის სახელწოდებით არის ცნობილი.

დანაზოგების ზემოაღნიშნული ფორმებისაგან უნდა განვასხვაოთ სამომხმარებლო კოოპერაციაში საპაიო შენატანები, ურთიერთდამხმარე საღაროებში საწევრო შენატანები, რომელთა მიზანს შეადგენს არა ფულადი საშუალებების დაგროვება, არამედ ამა თუ იმ გარკვეული შეღავათის მიღება.

დანაზოგების ანალიზის პროცესში აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ მოსახლეობის მიერ სხვადასხვა სესხების — ურთიერთდამხმარ-

რე სალაროებიდან სესხის მიღება, საქონლის ნისიად შექმნა, რაც ამცირებს ფულის დაზოგვის ტენდენციებს.

დანაზოგების ანალიზის, მათი ეკონომიკური ბუნების გაშუქების საწყის ეტაპს წარმოადგენს ყველა ფორმის აღრიცხვა. მაგრამ აღნიშნული სამუშაოების ჩატარების პროცესში ეხედებით გარკვეულ წინააღმდეგობებს. კერძოდ, ეს წინააღმდეგობები დაკავშირებულია იმ ფულადი დანაზოგის შესახებ ინფორმაციის უქონლობასთან, რომლებიც არაორგანიზებული ფორმით ინახება მოსახლეობაში. ამასთან, ჭერ კიდევ არ არის დამუშავებული სრულყოფილი მეთოდოლოგია დანაზოგების აღნიშნული ფორმის გაანგარიშებისა.

წარმოადგენს რა ფულადი შემოსავლების ნაწილს, რომელიც არ იქნა მოსახლეობის მიერ გამოყენებული მიმდინარე მოხმარებისათვის, დანაზოგები, ბუნებრივია, ზეგავლენას ახდენენ მომავალში ხარჯების მოცულობასა და სტრუქტურაზე. ამ ზემოქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ მიზეზებზე, რომელთა ზეგავლენითაც წარმოიქმნა დანაზოგი. დანაზოგების წარმოქმნაზე ზემოქმედ მიზეზთა გამოვლენას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა საცალო საქონელბრუნვის გეგმის ეკონომიკური დასაბუთებულობის ამალგების საქმეში.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ შემდეგი სახის დანაზოგები: გადადებული. მათ შორის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით გამოწვეული და დაზღვევის დანაზოგები. მაგრამ თანამედროვე სტატისტიკა ვერ ავლენს მათ მიზნობრივ დანიშნულებას, სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო. ამიტომ, ჭერჯერობით შესაძლებელია დაკვამყოფილდეთ დანაზოგების ორ ნაწილად დაყოფით და მათი მიახლოებითი განსაზღვრით. სახელდობრ, დანაზოგები დაყოფით ნორმალურ, რაც განპირობებულია მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდითა, და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით განპირობებულ დანაზოგებად.

მეთოდური მითითება, რომელსაც სახელმწიფო ბანკი იყენებს მოსახლეობის დანაზოგების დაგეგმვის დროს, ითვალისწინებს იმ შეხედულებას, რომ ნორმალური დანაზოგები საგეგმო პერიოდისათვის უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის ტემპებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სრული შესაბამისობის დროს დანაზოგების მატება ხდება მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის ტემპებით.

თუ დანაზოგების ზრდის ტემპი წინ უსწრებს ფულადი შემოსავლების ზრდის ტემპს, მაშინ ეს წინგასწრება შეიძლება ჩაითვალოს როგორც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შედეგი.

იმ შემთხვევაში, როცა ზოვიერთი წლისათვის საქონლის შექმნაზე გაწეული დანახარჯების ზრდა წინ უსწრებს ფულადი შემოსავლების

ზრდას, მაშინ დანაზოგების ნორმალურ მატებად მიჩნეულ უნდა იქნეს საქონლის შექენაზე გაწეული დანახარჯების ზრდის ტემპები. აღნიშნულ მდგომარეობას ადგილი ექნება მაშინ, როცა წინა პერიოდის დანაზოგების შედგენილობაში შედიან ისეთი დანაზოგებიც, რომლებიც განპირობებულნი არიან დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით და ცალკეულ წლებში საქონლის მიწოდების გაუმჯობესებით.

დანაზოგების ანალიზის საბოლოო მიზანს შეადგენს მისი მატების იმ ნაწილის განსაზღვრა, რაც განპირობებულია საქონელსა და მომსახურებაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით. აღნიშნულის გაანგარიშება ხდება დანაზოგების ფაქტიური მატების მთელი ჯამიდან „ნორმალური“ დანაზოგების ჯამის გამოკლებით.

აღნიშნული სამუშაოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მოსახლეობაში დარჩენილი „ჩაწოლილი“ დანაზოგების გაანგარიშება. დანაზოგების აღნიშნული ფორმის გაანგარიშება ემყარება მის დაყოფას მოსახლეობაში ხელზე დარჩენილ დანაზოგების მატებად და ფულადი საშუალებების იმ ნაწილის მატებად, რომელიც დანიშნულია მიმდინარე ხარჯებისათვის ანუ ე. წ. „მიმდინარე საღარო“. იმისათვის, რომ განისაზღვროს მოსახლეობაში დარჩენილი ფულის რაოდენობა, საჭიროა მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის შემოსავლების მთელ ჯამს გამოვაკლოთ სავალდებულო გადასახადები და ნებაყოფლობითი შენატანები, ყველა არასასაქონლო დანახარჯებისა და ორგანიზებული დანაზოგების მთლიანი ჯამი. დარჩენილმა თანხამ უნდა მოგვეცეს საცალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობაში დარჩენილი ფულის ჯამი. აღნიშნულს თუ გამოვაკლებთ საცალო საქონელბრუნვას, მივიღებთ მოსახლეობაში დარჩენილი ფულის რაოდენობას. მაგრამ საცალო საქონელბრუნვა მოიცავს წერილობითში ვაჭრობის წესით ორგანიზაციებსა და საწარმოებზე გაყიდულ და ფულის მიგრაციის (შემოზიდული) ზეგავლენით შესრულებულ საქონელბრუნვასაც. ამიტომ საჭირო ხდება მათი გამოკლება.

წერილობითში ვაჭრობის წესით შესრულებული საქონელბრუნვის განსაზღვრა არ არის ძნელი, იგი სტატისტიკურ კვარტალურ ანგარიშებშია მოცემული (საკონტროლო ფურცელი), რაც შეეხება ფულის მიგრაციის (შემოზიდულ) ზეგავლენით შესრულებულ საქონელბრუნვას, მისი დადგენა ძალზე ძნელია, რადგან სადღეისოდ ფულის მიგრაციის განსაზღვრის სარწმუნო მეთოდისა არ არის დამუშავებული. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ჭერჭერობით დაკვაყოფილდეთ მისი მიახლოებითი გაანგარიშებით, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს მოსახლეობისა და სათანადო სპეციალისტების ანკეტური გამოკითხვის მასალები.

**§ 5. მოთხოვნის ელასტიკურობა მოსახლეობის ფულადი  
შემოსავლების ცვლილებასთან დაკავშირებით**

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია მოსახლეობის რაოდენობა, მისი სოციალური შედგენილობა, ფულადი შემოსავლები, საცალო ფაუნდის დონე და სხვ. აქედან გამომდინარე მოთხოვნის განვითარების ტენდენციების დადგენა, მისი სტრუქტურის განსაზღვრა მოითხოვს აღნიშნული ფაქტორების ღრმა შესწავლას.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და საცალო ფასების დონე მიეკუთვნება იმ ძირითად ფაქტორთა რიცხვს, რომლებიც სწრაფად იცვლებიან და იწვევენ საქონელზე მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებებს.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის შედეგად მოთხოვნის ცვლილებებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოთხოვნა სასურსათო საქონელზე შეფარდებით მცირდება, ხოლო იზრდება არასასურსათო საქონელზე, განსაკუთრებით კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე. ფასების გადიდება ამცირებს მოთხოვნას იმ საქონელზე, რომელზედაც მოხდა ფასების ზრდა. ამ საერთო კანონზომიერების გამოვლენა ხდება სხვადასხვა ინტენსიურობით მოსახლეობის სხვადასხვა ეკონომიკურ ჯგუფებში, რომლებიც განსხვავდებიან შემოსავლების დონით. ამიტომ სტატისტიკა აღნიშნულ კანონზომიერებების შესწავლას ახდენს სამომხმარებლო ბიუჯეტის მასალებით, აჯგუფებს რა მათ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შემოსავლის ზომით.

განვსაზღვროთ მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდით გამოწვეული მოთხოვნის ცვლილების ხარისხი შემდეგი პირობითი მონაცემების საფუძველზე.

ც ხ რ ი ლ ი 5.4

მაჩვენებლები	შემოსავლები		მატება	
	საბაზისო	საანგარიშო	მანეთებში	%-ში
ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების სიღრდე (X) მანეთებში	800	1000	200	25
ხარჯები კვებაზე (X) მანეთებში	320	352	32	10

ჩვენი მაგალითის მიხედვით ფულადი შემოსავლები გაიზარდა 200 მანეთით, ანუ 25%-ით, ხოლო ხარჯები კვებაზე — 32 მანეთით, ანუ



10%-ით, მაშასადამე, შემოსავლების ზრდა წინ უსწრებს კვებაზე ხარჯების გადიდებას. ახლა გავიანგარიშოთ, თუ რამდენი პროცენტით იზრდება ხარჯები კვებაზე, შემოსავლების ერთი პროცენტით გადიდების შემთხვევაში. ასეთი მაჩვენებელი იწოდება მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტად.

გამოვიყვანოთ მოთხოვნის ელასტიკურობის გაანგარიშების ფორმულა. მოსახლეობის ფულადი შემოსავლები აღვნიშნოთ  $x$ -ით, ხოლო ხარჯები  $y$ -ით. მაშინ შემოსავლების მატება გამოისახება  $\Delta x$ -ით, ხოლო ხარჯების —  $\Delta y$ -ით. ასეთ პირობებში შემოსავლებისა და ხარჯების მატების შეფარდებითი მაჩვენებლები იქნება:

$$\text{შემოსავლების } \frac{\Delta x \cdot 100}{x}; \text{ ხოლო ხარჯების } \frac{\Delta y \cdot 100}{y}$$

ელასტიკურობის კოეფიციენტის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{\Delta y \cdot 100}{y}; \quad \frac{\Delta x \cdot 100}{x}.$$

მონაცემების ჩასმით მივიღეთ:

$$10 : 25 = 0,40.$$

ეს გაანგარიშება შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$\frac{\Delta y}{y} : \frac{\Delta x}{x} = \frac{32}{320} : \frac{200}{800} = 0,40.$$

გარდაქმნის შედეგად ვლებულობთ დასრულებულ ფორმულას:

$$\frac{\Delta y}{y} : \frac{\Delta x}{x} = \frac{\Delta y}{\Delta x} \cdot \frac{x}{y} = \frac{32}{200} \cdot \frac{800}{320} = 0,40.$$

მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება როგორც სასურსათო საქონლის, ისე არასასურსათო საქონლის მიმართ. აგრეთვე, ცალკეული საქონლის ჯგუფების მიხედვითაც.

მოსახლეობის მოთხოვნის მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, ცალკეული მათგანის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული მოთხოვნის ცვლილების რაოდენობრივი განსაზღვრა წარმოადგენს სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ამ მიზნით იგი იყენებს სხვადასხვა მეთოდს, რომელთაგან აღსანიშნავია კორელაციის, რეგრესიის და მოთხოვნის ელასტიკურობის მეთოდი.

დაჯგუფების მეთოდის დახმარებით უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება კავშირი ფაქტორსა და შესასწავლ მოვლენას შორის. მაგალ-

თად, ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს კავშირს მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ერთ სულ მუშა-მოსახლეზე გაანგარიშებით ფესხაცმლის საცალო საქონელბრუნვის მოცულობას შორის.

ცხრილი 5.5

ოჯახთა ჯგუფები სულადობრივი შემოსავლების მიხედვით მანეთებში	საშუალო შემოსავალი მანეთებში (x)	ფესხაცმლის ყიდვა მანეთებში (y)	პროცენტებში ჯგუფთან	
			x	y
600-მდე	450	19,3	100	100
601—900	750	30,7	167	159
901—1200	1050	43,5	234	227
1201—1500	1350	50,4	900	251
1500 ზეით	1650	60,7	367	316

ცხრილში მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ უშუალო კავშირს ფულად შემოსავლებსა და ფესხაცმლის ყიდვას შორის. ეს გარემოება კი უფლებას გვაძლევს გამოვიყენოთ კორელაციური ანალიზი, კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშების გზით შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$Z_{yx} = \frac{\sum xy - \frac{\sum x \sum y}{n}}{\sqrt{\left(\sum x^2 - \frac{(\sum x)^2}{n}\right) \cdot \left(\sum y^2 - \frac{(\sum y)^2}{n}\right)}}$$

კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის საჭიროა აიგოს დამხმარე ცხრილი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ მაჩვენებლის განსაზღვრა, რომლებიც მოცემულია ფორმულაში.

$$(\sum x)^2 = 5250^2 = 27562500,$$

$$(\sum y)^2 = 2047^2 = 41861.$$

მიღებული მონაცემების საფუძველზე ვანგარიშობთ კორელაციის კოეფიციენტს.

$$Z_{yx} = \frac{245680 - \frac{5250 \cdot 204,6}{5}}{\sqrt{\left(6412500 - \frac{27562500}{5}\right) \left(9431,67 - \frac{41861}{5}\right)}} = 0,98$$

450	19,3	202500	372,49	8685
750	30,7	562500	942,49	23025
1050	43,5	1102500	1892,25	24575
1350	50,4	1822500	2560,16	68040
1650	60,7	2722500	3684,49	100155
5250 ( $\sum x$ )	204,7 ( $\sum y$ )	6412500 ( $\sum x^2$ )	9431,87 ( $\sum y^2$ )	245680 ( $\sum xy$ )

განგარიშება გვიჩვენებს მკიდრო კავშირს ( $r=0,93$ ) შემოსავლებსა და ფესსაცმელზე მოსახლეობის მოთხოვნას შორის.

უარესად დიდი შეცნობადი მნიშვნელობა აქვს რეგრესიის კოეფიციენტის გამოანგარიშებას.

ჩვენს მაგალითში უშუალო კავშირი აღმოჩნდა ფულადი შემოსავლების ცვლილებებსა და ფესსაცმლის გაყიდვის ზომებს შორის. ასეთი სწორხაზოვანი რეგრესია გამოიხატება სწორხაზოვანი განტოლებით:

$$y = a + bx,$$

სადა  $y$  — ფესსაცმლის გაყიდვის სიდიდეა;

$x$  — შემოსავლების სიდიდე;

$a$  და  $b$  — პარამეტრები;

$a$  და  $b$  — ციფრობრივი მნიშვნელობა იანგარიშება ნორმალური განტოლების დახმარებით:

$$\sum y = na + b \sum x$$

$$\sum xy = a \sum x + b \sum x^2.$$

ცხრილი 5.7

განტოლების ამოხსნისათვის აუცილებელი მონაცემები ნაპოვნი იქნა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითის მიხედვით. თუ ჩავსვამთ ფორმულაში ამ მონაცემებს, განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$204,6 = 5a + 52506b$$

$$245680 = 5250a + 6412500b$$

განტოლების ამოხსნით ვღებულობთ:

$$a = 4,3$$

$$b = 0,351.$$

$x$	$y$	$yx$
450	19,3	20,0
750	30,7	30,5
1050	43,5	41,1
1350	50,4	52,0
1650	60,7	62,1
5250 $\sum x$	204,6 $\sum y$	205,7 $\sum xy$

რეგრესიის ტოლობა გამოისახება შემდეგნაირად:

$$y = 4,3 + 0,0351 \cdot x$$

ტოლობაში  $x$ -ის სათანადო მნიშვნელობის ჩასმით ვლებულობთ  $x$ -დან  $y$ -მდე რეგრესიის თეორიულ მწკრივს (ცხრილი 3.4).

თეორიული მნიშვნელობის ჯამი ( $y$ ) თითქმის ემთხვევა ნიშნის  $\sum y$  ემპირიულ მნიშვნელობას, რაც გაანგარიშების სისწორეს მოწმობს.

რეგრესიის ტოლობის გაანგარიშებას აქვს უალრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შედეგზე (საქონლის გაყიდვა), ფაქტორის (შემოსავლები) ზემოქმედების ძალისა და ზომის შეცნობის საქმეში. — პარამეტრი იწოდება რეგრესიის კოეფიციენტად, რომელიც ახასიათებს ფეხსაცმლის გაყიდვის ზომების საშუალო ცვლილებებს, ერთეულზე შემოსავლების ცვლილების შემთხვევაში. ჩვენი მაგალითის მიხედვით ფეხსაცმლის გაყიდვის მატება (მანეთებში) შემოსავლების ყოველი 1000 მანეთით მატების შემთხვევაში, ანუ 35 მანეთი შემოსავლების ყოველ 1000 მანეთზე.

ჩვეულებრივ, რეგრესიის კოეფიციენტი იანგარიშება შეფარდებით მაჩვენებლებში (იხ. ცხრ. 5.8).

ცხრილი 5.8

$x$	$yx$	$\frac{x}{yx}$	ელასტიკურობის კოეფიციენტი $\epsilon = b \frac{x}{yx}$
450	20,0	22,5	0,79
750	30,5	24,6	0,86
1050	41,1	25,7	0,90
1350	92,0	26,0	0,90
1650	62,1	26,8	0,94

ამ სახით ელასტიკურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ფეხსაცმლის რეალიზაციის ზრდას შემოსავლების 1%-ით გადიდების პირობებში.

ჩვენს მაგალითში განხილული იყო კორელაციური და რეგრესული ანალიზის უმარტივესი მაგალითი სწორხაზოვანი დამოკიდებულების არსებობის პირობებში. პრაქტიკაში კი ხშირად ვხვდებით არასწორხაზოვან დამოკიდებულებასაც. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება პარაბოლური, ჰიპერბოლური, ხარისხობრივი და ა. შ. ფუნქციის გამოყენება. ხშირად გამოიყენება მეორე რიგის პარაბოლის ფორმულა.

$$yI = a + bx + cx^2$$

აღნიშნული ტოლობის ამოხსნა წარმოებს ნორმალური განტოლების შემდეგი სისტემის მიხედვით:

$$\sum y = a_n + b \sum x + c \sum x^2$$

$$\sum xy = a \sum x + b \sum x^2 + c \sum x^3$$

$$\sum yx^2 = a \sum x^2 + b \sum x^3 + c \sum x^4.$$

ცნობილია, რომ მოსახლეობის მოთხოვნაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შემოსავლების, ფასების დონე და მოსახლეობის შედგენილობა (ქალაქის, სოფლის, სქესი, ასაკი). ამიტომ ხშირად გამოიყენება მრავალფაქტორიანი რეგრესიის შემდეგი ტოლობა.

$$y = a_0 + a_1x + a_2z + a_3w$$

ან

$$\log y = a_0 + a_1 \log x + a_2 \log z + a_3 \log w.$$

სადაც  $y$  — მოთხოვნის დონეა;  $x$  — მოსახლეობის შემოსავლები;  $Z$  — ფასების დონე;  $w$  — მოსახლეობის შედგენილობა;  $a_0, a_1, a_2, a_3$  პარამეტრებია.

იმ მასალების სიღრმისეული შესწავლა, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით საქონელზე მოთხოვნას, გვარწმუნებს, რომ მოთხოვნის მოდელის აგება უნდა ხდებოდეს მრავლობითი რეგრესიის საფუძველზე.

### § 8. ანატიური გამოკითხვა

თანამედროვე სტატისტიკური ანგარიშგება შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ მხოლოდ რეალიზებული მოთხოვნა (რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის მეთოდთა განხილულია მოცემული თავის III პარაგრაფში). მაგრამ აღნიშნული წესით დადგენილი რეალიზებული მოთხოვნა არ ასახავს რეალურ სურათს, რადგან აქ დიდი როლდენობით შეიძლება იყოს რეალიზებული იანეთი მოთხოვნა, რომელსაც იძულებითი ხასიათი ჰქონდა სავაჭრო ქსელში საჭირო ასორტიმენტის, ზომის, ფერისა და ა. შ. საქონლის არარსებობის გამო. გარდა ამისა, თანამედროვე სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები ასახავენ მოსახლეობის მოთხოვნაზე მოქმედ მხოლოდ ძირითადი ფაქტორების ზემოქმედებას, ამიტომ მოსახლეობის მოთხოვნის კომპლექსურად შესწავლის მიზნით აუცილებელი ხდება რიგი სხვა დამატებითი მონაცემების გამოყენება, რომელთა ნაწილის მოპოვებაც შესაძლებელია უშუალოდ მომხმარებლისაგან, ვაჭრობისა და მრეწველობის სპეციალისტებისაგან.

იმ მეთოდს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ინფორმაციის მიღება უშუალოდ მომხმარებლისაგან სპეციალური ანკეტის შევსების გზით, ეწოდება მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა. ანკეტური გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ვაჭრობის, ისე მრეწველობის სპეციალისტებისა.

ანკეტური გამოკითხვის შედეგად შეიძლება დადგინდეს მყიდველთა მოსაზრება საქონლის ხარისხის, გაფორმების, ყიდვაზე უარის თქმის ან საქონლის შექმნისას ამა თუ იმ საქონლისადმი უპირატესობის მინიჭების მოტივებზე; მომხმარებელთა სურვილები უახლოეს მომავალში საქონლის შექმნის შესახებ; მათი უზრუნველყოფის დონე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებით და სხვ.

მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა შეიძლება იქნეს მთლიანი და ნაწილობრივი ანუ შერჩევითი. მთლიანი გამოკითხვის დროს გამოსაკითხი კონტინგენტი არ იზღუდება რაიმე ნიშნით. გამოკითხება მაგალითად, რომელიმე რაიონის, ან ცალკეულ მუშათა დასახლების მთელი მოსახლეობა, რომელიმე დარგის მთელი მუშათა რაოდენობა, მაღაზიაში შესული ყველა მომხმარებელი და ა. შ.

ნაწილობრივი ანუ შერჩევითი გამოკითხვა გულისხმობს გამოსაკითხი კონტინგენტის შერჩევას რაიმე ნიშნის მიხედვით. კონტინგენტის ეს ნაწილი იწოდება დაკვირვების ობიექტად. დაკვირვების ობიექტის შერჩევა კი უნდა ხდებოდეს ისეთი ძირითადი ნიშნის მიხედვით, რომელიც საშუალებას მოგვცემს დაკვირვების შედეგად მოპოვებული მონაცემების შედეგები გავავრცელოთ მთელს გენერალურ ერთობლიობაზე.

გამოკითხვის თავისებურ სახეს წარმოადგენს პანელური გამოკითხვა, რომლის დროსაც წინასწარ იქმნება გამოსაკითხ ერთეულთა გარკვეული ზომით მუდმივი ერთობლიობა, რომელთა გამოკითხვაც წარმოებს მრავალჯერად უცვლელი პროგრამით.

ანკეტური გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს ანკეტორების დახმარებით და მათ გარეშეც. ამ პროცესის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკითხვის მიზნის სწორად განსაზღვრას.

გამოკითხვის მიზანში იგულისხმება ის ძირითადი საკითხი, რაც გამოკითხვის შედეგად უნდა გამოვლინდეს.

გამოკითხვის ამოცანა კერძო საკითხია, რომლის გაშუქება საჭიროა მიზნის მისაღწევად. მაგალითად, პიანინოს მყიდველთა გამოკითხვის მიზანია მისი რეალიზაციის შესაძლებელი გაფართოება, ხოლო ამოცანა — ისეთი ფაქტორების გამოკვლევა, როგორც არის მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიერ უპირატესობის მინიჭება სხვადასხვა სახის პიანინოზე, იმ მიზეზების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ არჩევანს და ა. შ.

ანკეტური გამოკითხვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ჰიპოთეზის სწორად ფორმულირებას. სამუშაო ჰიპოთეზა არის მოცემულ საქონელზე მოთხოვნის მდგომარეობის, თავისებურებებისა და მთავარი ფაქტორების განვითარების შესახებ ვარაუდი, რომლიდანაც გამომდინარე განისაზღვრება გამოკითხვის ხანგძლივობა, ადგილი,

გამოკითხვის ფორმები და, აგრეთვე, იმ კითხვათა ჯგუფი, რომლებიც შეტანილია ანკეტაში.

მაგალითად, პიანინოს მყიდველთა გამოკითხვის დროს სამუშაო ჰიპოთეზა ფორმულირებულია შემდეგნაირად:

ა) პიანინოს პოტენციურ მომხმარებელად ითვლებიან ის პირები, ბავშვები, რომლებიც სწავლობენ მუსიკალურ სკოლაში, ან მუსიკოსი-პროფესიონალები;

ბ) პოტენციურ მომხმარებელთა ნაწილი ინსტრუმენტის მაღალი ფასის გამო, ან იმის შიშით, რომ მათი ბავშვები, რომლებიც ახლა სწავლობენ მუსიკალურ სკოლაში, შემდგომში შეწყვეტენ მუსიკალურ განათლებას, ისარგებლოს გამჭირავებელი პუნქტებიდან;

ბ) თანამედროვე პირობებში მაღალი მოთხოვნით სარგებლობს მცირე გაბარიტის მქონე ძვირფასი ხისგან დამზადებული პიანინო. ჰიპოთეზის ფორმულირება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, რომ:

1. გამოკითხვა ჩატარებულ უნდა იქნეს მაღაზიებში, გამჭირავებულ პუნქტებსა და მუსიკალურ სკოლებში;

2. მიზანშეწონილია ანკეტური გამოკითხვის ჩატარება მუსიკალურ სკოლებსა და გამჭირავებულ პუნქტებში, ანკეტორების გარეშე, ხოლო მაღაზიებში — ანკეტორების დახმარებით.

გამოკითხვის სამუშაო ჰიპოთეზა, მიზანი და ამოცანები, მისი ჩატარების ადგილი სწორედ უნდა იქნეს დადგენილი, საკვლევი პრობლემის შესახებ ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაციის განზოგადებისა და ღრმა ანალიზის შედეგად. ანკეტური გამოკითხვის წარმატებით ჩატარებისა და სარწმუნო მონაცემების მიღების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ანკეტის სწორად შედგენას.

ანკეტაში დასმული კითხვები შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს:

— სახალხო მოხმარების ცალკეულ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირებისა და მისი განვითარების ძირითადი ტენდენციების დადგენის;

— კითხვებზე ძალზე მოკლე და სხარტი პასუხების გაცემის;

ანკეტაში დასმული კითხვები ყველასათვის ერთნაირად გასაგები უნდა იქნეს. არ არის მიზანშეწონილი რთული და ორაზროვანი კითხვების დასმა. კითხვები არ უნდა ითვალისწინებდნენ გამოსაკითხი ერთეულის პიროვნების დადგენას.

ქვემოთ მოყვანილია მოსახლეობის გამოკითხვის ანკეტის ნიმუში, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ, რესპუბლიკაში ავეჯზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის პროცესში.

## ანკეტა

### პატივემულო ამხანაგო!

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ანკეტა და გვიპასუხოთ მასში დასმულ კითხვებზე, თქვენი პასუხები დაგვეხმარება ღონისძიებების დამუშავებაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ავეჯით ვაჭრობის გაუმჯობესებას.

1. გსურთ ავეჯის შექმნა? კი — არა (გაუსვით ხაზი).
2. თუ გსურთ, სახელდობრ როგორი?
  - ა) ცალობრივი, ბ) კომპლექტის სახით, გ) გარნიტური (გაუსვით ხაზი).
3. თუ გარნიტურის სახით, სახელდობრ რა?
  - ა) საძილე გარნიტური;
  - ბ) სასადილო გარნიტური;
  - გ) კაბინეტი;
  - დ) სამზარეულოს გარნიტური;
  - ე) საბავშვო ავეჯის გარნიტური;
  - ვ) ლერწმის ავეჯის გარნიტური და ა. შ. (გაუსვით ხაზი);
4. კომპლექტის სახით:
  - ა) ერთთახიანი ბინისათვის;
  - ბ) ორთახიანი ბინისათვის;
  - გ) სამთახიანი ბინისათვის და ა. შ. (გაუსვით ხაზი);
5. თუ ცალობრივი, უჩვენეთ სახელდობრ რა? (სკამები, ტანსაცმლის კარადა და ა. შ.).
6. ავეჯს პირველად იქნეთ, თუ ძველის შესაცვლელად?
7. თუ ძველის შესაცვლელად, რა მიზეზით?
  - ა) არსებული ავეჯის გაცვეთის გამო;
  - ბ) უფრო თანამედროვე ავეჯის შექმნის (მორალური გაცვეთის) გამო;
  - გ) სხვა მიზეზით (უჩვენეთ მიზეზი).
8. რა ავეჯი გაქვთ სარგებლობაში და დაახლოებით რომელი წლიდან?
  - ა) ტანსაცმლის კარადა;
  - ბ) საწერი მაგიდა;
  - გ) წიგნების კარადა;და ა. შ.  
(გაუსვით ხაზი და უჩვენეთ შექმნის წელი).
9. საქართველოს რომელი ფაბრიკის ავეჯი მოგწონთ ყველაზე მეტად?  
(დაასახელეთ ფაბრიკა).



10. რა არ მოგწონთ საქართველოს ფაბრიკების მიერ გამოშვებული ავეჯის კონსტრუქციასა და ხარისხში?

- ა) ფერი;
  - ბ) გაბარიტი;
  - გ) ფასი;
  - დ) არათანადროულობა და ა. შ.
- (უჩვენეთ მიზეზი).

11. რა მოსაზრება გაქვთ ავეჯით ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ (უჩვენეთ).

გმადლობთ პასუხებისათვის.

ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული მასალები უნდა შემოწმდეს ლოგიკურად, არითმეტიკულად, დახარისხდეს, დაჯგუფდეს ანალიზური ცხრილების სახით და გადაეცეს გამომთვლელ მანქანათა სადგურს დასამუშავებლად.

### § 7. ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშება

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია მოთხოვნა-მიწოდების შემდგომი განვითარებისაკენ, აქვთ უალრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ცხოვრებაში მათ გატარებას შეუძლია გარკვეული ეკონომიკური ეფექტის მოცემა.

ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება ხდება იმ შემოსაყვების მხედველობაში მიღებით, რომლებსაც ქვეყანა, რესპუბლიკა, მხარე, ოლქი და ა. შ. მიიღებს სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი რეალიზაციის შედეგად.

გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$\mathfrak{D} = \frac{(n_0 + n_n + n_r)x}{t \cdot 100}$$

სადაც  $n_0$  მოგებაა, რომელსაც მიიღებს მთლიანად სახელმწიფო, რესპუბლიკა, ოლქი და ა. შ. იგი გამოიხატება პროცენტებში (სახალხო მოხმარების საქონლის მიხედვით ბრუნვიდან გადასახადის პროცენტული ფარდობა მის საცალო ფასთან);

$n_n$  — მრეწველობის მოგება, გამოსახული პროცენტებში (მთლიანად საქონლის მიხედვით მოგების პროცენტული ფარდობა საცალო ფასთან).

$n_r$  — ვაჭრობის მოგება პროცენტებში (მოგების პროცენტული ფარდობა საქონელბრუნვასთან);

$t$  — პერიოდი;

x — პოტენციური საქონელბრუნვის მეტობა რეალიზებულ საქონელბრუნვაზე.

დაუშვათ, გვაქვს შემდეგი მონაცემები რესპუბლიკის მიხედვით:

$$n_0 = 20\%; \quad n_{\Sigma} = 10\%; \quad n_T = 1,5\%;$$

$$x = 625 \text{ ათ. მან}; \quad Z = 1 \text{ წელიწადს.}$$

მაშინ ეკონომიკური ეფექტი მთლიანად რესპუბლიკისთვის:

$$\mathfrak{E}_{\text{რესპ.}} = \frac{20 + 10 + 1,5 \times 625}{2 + 100} = \frac{22812,5}{100} = 228,1 \text{ მლნ მან.},$$

ეკონომიკური ეფექტი რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის:

$$\mathfrak{E}_{\text{მრეწ. და ვაჭრობა}} = \frac{10 + 1,5 \times 1625}{1 \cdot 100} = \frac{7187,5}{100} = 71,9 \text{ მლნ მან.},$$

ეკონომიკური ეფექტი ვაჭრობისათვის:

$$\mathfrak{E}_{\text{ვაჭრ.}} = \frac{1,5 \times 625}{1 \cdot 100} = \frac{937,5}{100} = 9,4 \text{ მლნ მან.}$$

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის შესწავლის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებში მოცემულია ცალკეული რომელიმე საქონლის მიხედვით საქონელბრუნვის რეალიზაციის მოსალოდნელი შემცირება, მაშინ ეფექტიანობა გამოიხატება სახელმწიფო ბანკის კრედიტზე გადასახადის შემცირებებში. მაგალითად, 1977 წელს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კონიაქსა და არყის ნაწარმზე მრეწველობისადმი დაკვეთა წარდგენილი ჰქონდა 87,5 მლნ მან. რაოდენობით, ხოლო მოთხოვნა განსაზღვრული იყო 78 მლნ მანეთის მოცულობით, სხვაობა ვაჭრობის დაკვეთისა და მოთხოვნის მოცულობას შორის შეადგენს 9,2 მლნ მან.

ბანკის კრედიტზე გადასახადი განსაზღვრულია კრედიტის 2%-ის რაოდენობით. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში დაკრედიტების წილობრივი მონაწილეობის 50% არსებობის პირობებში ეკონომიკური ეფექტიანობა იქნება:

$$\frac{9,2 : 2 \times 2}{100} = 0,095 \text{ ანუ } 9500 \text{ მან.}$$

**სასაქონლო მარაგისა და საქონელბრუნვის სისწრაფის  
სტატისტიკა**

**§ 1. სასაქონლო მარაგის არსი, მარაგის სახეები და  
სტატისტიკის ამოცანები**

საქონელმომოქცევის შეუფერხებელი პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებსა და ბაზებში არსებობდეს გარკვეული ოდენობის და ასორტიმენტის სასაქონლო მარაგი.

მომოქცევის სფეროს არხებში შემოსვლის მომენტიდან რეალიზაციის მომენტამდე არსებულ საქონლის მასას ეწოდება სასაქონლო მარაგი. მარაგი გამოისახება ნატურალურ ერთეულებში (მეტრი, ლიტრი, დეკალიტრი, კგ), ფულად გამოსახულებაში (მან., ათას მან.) და ბრუნვადლებში. სასაქონლო მარაგის შექმნის წყაროებია სავაჭრო ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი საშუალებები და სახელმწიფო ბანკის კრედიტი.

მარაგის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებით, ამათგან აღსანიშნავია: წარმოების პირობები (სეზონურობასთან დაკავშირებით წარმოების მოცულობის ცვლილება), მოხმარების პირობები (საქონელზე სეზონისა და მოდის ზემოქმედებით გამოწვეულ მოთხოვნათა ცვლილება), სტრანსპორტო პირობები (კლიმატურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო ზოგიერთ რაიონში საქონლის ვადამდე შეზიდვის აუცილებლობა) და სხვ.

სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში სასაქონლო მარაგის მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლის აუცილებელ პირობას შეადგენს მისი სწორი კლასიფიკაცია.

მარაგის კლასიფიცირება წარმოებს სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. ადგილმდებარეობის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ჯგუფებს: ა) სასაქონლო მარაგი სამრეწველო საწარმოებსა და საბითუმო ორგანიზაციებში, ბ) სასაქონლო მარაგი გზაში და გ) სასაქონლო მარაგი საცალო ვაჭრობის ქსელში.

სასაქონლო მარაგის ძირითადი მასა თავმოყრილია საცალო ვაჭრო-

ბის ქსელში. მაგალითად, 1981 წლის ბოლოსათვის სასაქონლო მარაგის ნოცულობა საცალო ქსელში, საბითუმო ვაჭრობასა და მრეწველობაში კავშირის მიხედვით შეადგენდა 75 359 მლნ მან. ამ რაოდენობის 80% მოდიოდა საცალო ვაჭრობის ქსელზე. ვაჭრობის ცალკეული რგოლების მიხედვით მარაგის ასეთი არათანაბარი განაწილება გამოწვეულია საბითუმო ვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის განვითარების დაბალი დონით. მომავალში სასაწყობო ფართობების გადიდების, მათი გამოყენების გაუმჯობესებისა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლების კვალობაზე, სავაჭრო ორგანიზაციების ცალკეულ რგოლებს შორის სასაქონლო მარაგის ასეთი არარაციონალური განაწილება აღმოიფხვრება.

დანიშნულებისა და შენახვის ხანგრძლივობათა მიხედვით სასაქონლო მარაგი სამი სახისაა:

ა) მიმდინარე ანუ ნორმალური შენახვის მარაგი;

ბ) სეზონური შენახვის მარაგი;

ბ) ვადამდე შეზიდული საქონლის მარაგი.

საქონლის მიმდინარე მარაგმა უნდა უზრუნველყოს საქონლის რეალიზაციის უწყვეტი პროცესი, ამიტომ ამ სახის საქონლის მარაგი უნდა იმყოფებოდეს გარკვეულ თანაფარდობაში საქონელბრუნვის მოცულობასთან. რამდენადაც ფართოა საქონლის ასორტიმენტი, იმდენად მეტია საჭირო საქონლის მარაგი, სწორედ ამიტომ რთული ასორტიმენტის საქონლის მარაგი (გალანტერეა, სამეურნეო საქონელი, სათამაშოები და სხვ.) ყოველთვის შედარებით მეტია, ვიდრე მარტივი ასორტიმენტის საქონლისა. აღნიშნული სახის მარაგის ნორმირება წარმოებს დღეებში დაკრედიტებული საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით.

სეზონური შენახვის სასაქონლო მარაგი იქმნება სეზონის პერიოდში მოსახლეობის გადიდებულ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად (მაგალითად, ზამთრის და ზაფხულის ტანსაცმელი). სეზონური შენახვის მარაგის სიდიდე არ არის დამოკიდებული საქონელბრუნვის მოცულობაზე. ამიტომ მისი ნორმატივის დადგენა დღეებში არ ხდება, სიდიდე განისაზღვრება აბსოლუტურ მაჩვენებლებში. სეზონური შენახვის საქონლის მარაგი იქმნება სახელმწიფო ბანკის მიზნობრივი კრედიტის ხარჯზე.

ვადამდე შეზიდული სასაქონლო მარაგი იქმნება ძნელად მისაღწევი რაიონებში (უკიდურესი ჩრდილოეთი, შორეული აღმოსავლეთი, მაღალმთიანი რაიონები) შეზიდვებს შორის მთელი პერიოდის მანძილზე შეუფერხებელი ვაჭრობის უზრუნველსაყოფად. ვადამდე შეზიდული მარაგის ნორმატივის დადგენაც დღეებში არ ხდება; მას მთლიანად აკრედიტებს სახელმწიფო ბანკი.

საცალო ვაჭრობაში მიმდინარე სასაქონლო მარაგის სიდიდეზე გავ-

ლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. მათ შორის აღსანიშნავია საქონელბრუნვის მოცულობა, მისი სტრუქტურა და ასორტიმენტი. რამდენადაც დიდია საქონელბრუნვის მოცულობა იმდენად სხვა თანაბარ პირობებში მეტია საქონლის მარაგზე მოთხოვნა. ამასთან არასასურსათო საქონლის მარაგი ყოველთვის მეტია სასურსათო საქონლის მარაგზე, ხოლო რთული ასორტიმენტის საქონლის მარაგი, როგორც წესი, ალემატება მარტივი ასორტიმენტის საქონლის მარაგს. მარაგის სიდიდეზე, ასევე, გავლენას ახდენს საცალო ქსელში საქონლის შეზიდვის ორგანიზაცია, სავაჭრო ქსელის სიდიდე, სპეციალიზაციის დონე და დისლოკაცია, საქონლის შეზიდვის სიხშირე, საქონლის ფიზიკური და ქიმიური თვისებები, რაიონის ტრანსპორტის მდგომარეობა, სავაჭრო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა.

სასაქონლო მარაგის სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

1. სასაქონლო მარაგის ფაქტიური მოცულობის განსაზღვრა და მისი შედარება ნორმატივთან;
2. სასაქონლო მარაგით საქონელბრუნვის უზრუნველყოფის მაჩვენებლის გამოთვლა;
3. სასაქონლო მარაგის სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
4. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლების გაანგარიშება.

## § 2. სასაქონლო მარაგის აღრიცხვა

როგორც აღვნიშნეთ, სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქონლის მარაგის სიდიდე სულ მუდამ იცვლება. ამიტომ მისი აღრიცხვა ხორციელდება დროის გარკვეული მომენტისათვის, ჩვეულებრივ კი თვის (კვარტალის, წლის) დასაწყისში ან ბოლოსათვის.

აღრიცხვის პრაქტიკაში სასაქონლო მარაგის განსაზღვრის სამი მეთოდია გამოყენებული: ინვენტარიზაცია, ოპერატიული აღრიცხვა და საბალანსო მეთოდი.

ინვენტარიზაცია გულისხმობს სასაქონლო მარაგის მთლიან აღწერას. მარაგის ინვენტარიზაცია გათვალისწინებულია სავაჭრო ორგანიზაციის გვერდით და ტარდება არანაკლებ 3—4-ჯერ წელიწადში. ამ ოპერაციას სპეციალური კომისია ახორციელებს, რომელიც ამოწმებს თითოეული სახის და ჯგუფის საქონელს ადგილზე. აღრიცხვა ხდება ნატურალურ გამოსახულებაში სახეებისა და ხარისხის მიხედვით, ხოლო შესაბამისი მონაცემები გადააქვთ ინვენტარიზაციის უწყისში. მათი დაჯამების შედეგად განისაზღვრება მარაგის მოცულობა ღირებულებით (ფულად) გამოსახულებაში.

ოპერატიული აღრიცხვის მეთოდით სასაქონლო მარაგის გამოთვლის დროს, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება თითოეული სახის საქონლის

მიხედვით სტანდარტულად შეფუთული ნაჭრების (ყუთი, ტომარა, კასრი, შეკვრა და ა. შ.) რაოდენობა. იგი გამრავლდება სტანდარტით დაწესებულ ერთ ნაჭერში მოთავსებულ საქონლის წონაზე (კგ, ლიტრი, დეკალიტრი, ცალი და ა. შ.). მას დაემატება საქონელი, რომელიც არასტანდარტულ შეფუთულ მდგომარეობაშია, ხოლო მიღებული საქონლის რაოდენობის გადამრავლებით ერთეულის ფასზე განისაზღვრება დროის გარკვეული მომენტისათვის სასაქონლო მარაგის ღირებულება.

სასაქონლო მარაგის საბალანსო მეთოდით გაანგარიშება ემყარება საეკპო ორგანიზაციაში საქონლის შემოსვლის, მისი რეალიზაციისა და საქონლის მარაგის მონაცემებს შორის ბალანსურ კავშირს, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$3_1 + \Pi = P + 3_2$$

სადაც  $3_1$  და  $3_2$  არის საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის.  $\Pi$  — საქონლის შემოსვლა,  $P$  — საქონლის რეალიზაცია. საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისისათვის უდრის:

$$3_1 = P + 3_2 - \Pi.$$

ხოლო პერიოდის ბოლოსათვის მარაგი იქნება:

$$3_2 = 3_1 + \Pi - P.$$

საბალანსო მეთოდით გაანგარიშებული საქონლის მარაგის მიღებული სიდიდის სიზუსტე დამოკიდებულია შემოსავლებისა და გასავლების მონაცემთა სიზუსტეზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საცალო ვაჭრობაში თუ შემოსავლის შესახებ არსებობს სათანადო დოკუმენტები, ეს არ შეიძლება ითქვას გასავლის შესახებ, რადგან საცალო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვა ცალკეული საქონლის ჯგუფების მიხედვით თითქმის არ აღირიცხება. საბალანსო მეთოდით გაანგარიშებული საქონლის მარაგის სიდიდე აღემატება მარაგის ფაქტიურ მოცულობას საქონლის არადოკუმენტირებული გასავლის (საქონლის დანაკლისი, გაფლანგვები) ოდენობით. მათ შორის განსხვავება შეიძლება დადგინდეს მარაგის მთლიანი აღწერის (ინვენტარიზაციის) გზით. სწორედ ამიტომაც სასაქონლო მარაგის განსაზღვრის ყველაზე ზუსტ და სარწმუნო მეთოდად ითვლება ინვენტარიზაცია. ]

## § 8. სასაქონლო მარაგის დინამიკის მაჩვენებლები

სასაქონლო მარაგის სტატისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სასაქონლო მარაგის დინამიკის შესწავლა როგორც ვაჭრობის ცალკეული რგოლების, ისე მთელი საბჭოთა ვაჭრობის მიხედვით.

საბჭოთა ვაჭრობაში სასაქონლო მარაგი განუხრელად იზრდება, რაზედაც მიუთითებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები:

სასაქონლო მარაგი საცალო და საბითუმო  
ვაჭრობასა და მრეწველობაში (წლის ბოლოსათვის)<sup>1</sup>

წლები	მლნ მან.			საქონლო მარა- გი საცალო ვაჭ- რობაში პროცენ- ტობით საცალო და საბითუმო ვაჭრო- ბის შერეულ მარაგთან	საცალო საქონელბრუნ- ვა დღეებში		სულ
	საცალო ვაჭრო- ბაში	საბითუმო ვაჭრობასა და მრეწვე- ლობაში	სულ		საცალო ვაჭრობაში	საბითუმო ვაჭრობასა და მრეწვე- ლობაში	
1970	35253	10440	45693	77	88	26	114
1975	45420	12712	58132	76	84	24	108
1976	47283	11583	58866	80	84	21	105
1977	48742	12402	61144	80	82	21	103
1978	48688	11635	60323	81	79	19	98
1979	50413	11537	61950	81	76	18	94
1980	53775	13283	67058	80	77	19	96

ცხრილიდან ჩანს, რომ 10 წლის მანძილზე (1970—1980) სასაქონლო მარაგი ვაჭრობაში მთლიანად გაიზარდა 46,7%-ით, მათ შორის საცალო ვაჭრობაში — 52,5%-ით და საბითუმო ვაჭრობასა და მრეწველობაში — 27,1%-ით. ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ სასაქონლო მარაგის უდიდესი ნაწილი თავმოყრილია საცალო ვაჭრობის ქსელში და, ამასთან, იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მოცემულ პერიოდში სასაქონლო მარაგის საერთო მოცულობაში საცალო ვაჭრობის წილი 3,1 პუნქტით გაიზარდა. სასაქონლო მარაგის ზრდა ძირითადად განპირობებულია მარაგთან შედარებით საქონელბრუნვის უფრო სწრაფი ზრდით. იმავე პერიოდში სასაქონლო მარაგი ვაჭრობის მიხედვით მთლიანად, როგორც აღვნიშნეთ, გაიზარდა 52,5%-ით, ხოლო საცალო საქონელბრუნვა — 75,8%-ით.

სასაქონლო მარაგის დინამიკა ვაჭრობაში შეისწავლება საქონელბრუნვის დინამიკასთან უშუალო კავშირში. როგორც ვთქვი, სასაქონლო მარაგის დანიშნულებაა უზრუნველყოს საქონელბრუნვის განვითარების ნორმალური პროცესი. საქონელბრუნვის განვითარების პროცესი უზრუნველყოფილ იქნება, თუკი საქონელბრუნვის ზრდა არ ჩამორჩება საქონლის საშუალო მარაგის ზრდას. საქონელბრუნვის ზრდა თუ ჩამორჩა საქონლის საშუალო მარაგის ზრდას, ეს აუცილებლად გამოიწვევს სავაჭრო ქსელში საქონლის ჩაწოლას.

მაშასადამე, საქონელბრუნვის შეუფერხებელი პროცესისათვის აუცილებელია, რომ სასაქონლო მარაგი სულ მუდამ იმყოფებოდეს საქო-

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР в 1980 г.. Статистический ежегодник. 1981. стр. 433.

ნელბრუნვასთან ოპტიმალურ თანაფარდობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარაგი არ უნდა იყოს მეტისმეტად დიდი და არც ძალიან მცირე, ვინაიდან ეს გარემოება ერთ შემთხვევაში გამოიწვევს საქონელბრუნვის შენელებას და მარაგის შენახვასთან დაკავშირებით სავაჭრო ორგანიზაციის ხარჯების ზრდას, ხოლო მეორე შემთხვევაში — ცალკეული საქონლით მოსახლეობის მომარაგების შეფერხებას.

საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის დინამიკის მაჩვენებლებს შორის სწორი, ოპტიმალური თანაფარდობის დამყარებისათვის ვაჭრობის სტატისტიკაში ახდენენ სასაქონლო მარაგით საქონელბრუნვის უზრუნველყოფის მაჩვენებლის გაანგარიშებას. იგი განისაზღვრება დროის გარკვეული თარიღისათვის სავაჭრო ქსელში არსებული მარაგის აბსოლუტური თანხის შეფარდებით პერიოდის საშუალო დღიურ ბრუნვასთან. ეს უკანასკნელი გამოითვლება საქონელბრუნვის გეგმური მოცულობის გაყოფით პერიოდის კალენდარული დღეების რიცხვზე. საშუალო დღიური ბრუნვის გაანგარიშებისას საცალო საქონელბრუნვას აკლდება პურისა და პურ-ფუნთუშეულის, ინდივიდუალური შეკერვებისა და რემონტის, აგრეთვე არასასურსათო საქონლით საკომისიო ვაჭრობის ბრუნვა. ამ წესით გაანგარიშებული უზრუნველყოფის მაჩვენებელი უპასუხებს კითხვას: დროის გარკვეული მომენტისათვის (თარიღისათვის) სავაჭრო ორგანიზაციაში არსებული სასაქონლო მარაგი რამდენ ხანს (რამდენ დღეს) უზრუნველყოფს საცალო საქონელბრუნვის შეუფერხებელ პროცესს და გამოითვლება შემდეგი ზოგადი ფორმულით:

$$\text{მარაგით უზრუნველყოფის მაჩვენებელი} = \frac{\text{სასაქონლო მარაგი}}{\text{ერთდღიური ბრუნვა}}$$

ერთდღიური ბრუნვა გაიანგარიშება კვარტალის უკანასკნელი თვის მონაცემთა საფუძველზე.

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციაში 1 ივლისისათვის მიმდინარე შენახვის სასაქონლო მარაგი შეადგენდა 1120 ათას მან., III კვარტალის გეგმური საქონელბრუნვა — 2880 ათას მან. განვსაზღვროთ სასაქონლო მარაგით საქონელბრუნვის უზრუნველყოფის მაჩვენებელი.

1. ერთდღიური ბრუნვა

$$2880 : 90 = 32 \text{ ათ. მან.}$$

2. უზრუნველყოფის მაჩვენებელი =  $1120 : 32 = 35$  დღ.

მაშასადამე, სავაჭრო ორგანიზაციაში III კვარტალის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო მარაგი უზრუნველყოფს საქონელბრუნვის ნორმალურ პროცესს 35 დღის განმავლობაში.



უზრუნველყოფის მაჩვენებელზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორის საქონელბრუნვის სტრუქტურა. არასასურსათო საქონლის მიხედვით ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია ვიდრე სასურსათო საქონლის მიხედვით, საქონლის ასორტიმენტი (რთული ასორტიმენტის საქონლის უზრუნველყოფის მაჩვენებელი უფრო დიდია, ვიდრე მარტივი ასორტიმენტისა), ცალკეული საქონლის წარმოების სეზონურობა და სხვ.

მარაგის სტატისტიკის ამოცანას შეადგენს სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში არსებული ფაქტიური სასაქონლო მარაგი შეუდაროს ნორმატივს და გამოავლინოს მათ შორის გადახრა, თუ ასეთს აქვს ადგილი. შედარების შედეგად თუ დადგინდა, რომ საქონლის ფაქტიური მარაგი მეტია ნორმატივზე, მაშინ ცხადია, სახეზეა საქონლის ზენორმატიული მარაგი.

სასაქონლო მარაგის ნორმატივი, როგორც ცნობილია, წესდება ბრუნვადღეებსა და აბსოლუტურ გამოსახულებაში. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სეზონური შენახვისა და ვადამდე შეზიდვის საქონლის მიხედვით ნორმატივები არ წესდება. სასაქონლო ნორმატივები დგინდება მხოლოდ დაკრედიტებული საქონელბრუნვის მიხედვით. დაკრედიტებული ეწოდება ბრუნვას, რომლის მიხედვითაც საბელმწიფო ბანკი გასცემს სავაჭრო ორგანიზაციებზე კრედიტს. დაკრედიტებულ საქონელბრუნვაში არ შეიტანება პურისა და პურ-ფუნთუშეულის ბრუნვა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვისა და რემონტის, აგრეთვე, არასასურსათო საქონლით საკომისიო ვაჭრობის ბრუნვა.

ფაქტიური და ნორმატიული სასაქონლო მარაგის თანაზომადობაში მოყვანის მიზნით, საჭიროა ფაქტიური სასაქონლო მარაგიდან (სეზონური დაგროვების, ნანგრძლივი შენახვისა და ვადამდე შეზიდვის მარაგის გარეშე) ასევე უნდა გამოირიცხოს პურისა და პურ-ფუნთუშეულის, ინდივიდუალური შეკერვისა და საკომისიო ვაჭრობის საქონლის ნაშთები.

ზენორმატიული სასაქონლო მარაგის გაანგარიშების წესი ნათელვყოთ პირობით მაგალითზე:

მიმდინარე წლის I კვარტალში სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვის მოცულობის, ფაქტიური და ნორმატიული სასაქონლო მარაგის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები (ათას მან.):

საქონელ ჯგუფები	საეკოლო საქონელ- ბრუნვა	მარაგის ნორმატი- ვები დღეებში	საქონლის მარაგი			
			I/I	I/II	I/III	I/IV ..
სარეცხი საპონი	1620	50	1000	1100	700	800
ხელის საპონი	540	95	800	700	400	600
გალანტერეა	1350	125	2900	3300	3600	4000
ძაფი	270	60	136	127	209	200

ამ მონაცემების საფუძველზე განვსაზღვროთ ზენორმატიული სასაქონლო მარაგი თითოეული საქონელჯგუფისა და სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით მთლიანად.

**ა მ ო ხ ს ნ ა :**

1. გამოვიანგარიშოთ თითოეული საქონელჯგუფის საშუალო დღიური ბრუნვა:

- |                                   |                                 |
|-----------------------------------|---------------------------------|
| ა) სარეცხი საპონი                 | ბ) ხელის საპონი                 |
| $\frac{1620}{90} = 18$ ათასი მან. | $\frac{540}{90} = 6$ ათასი მან. |
| ბ) გალანტერეა                     | დ) ძაფი                         |
| $\frac{1350}{90} = 15$ ათ. მან.   | $\frac{270}{90} = 3$ ათ. მან.   |

2. განვსაზღვროთ კვარტალის ბოლოსათვის თითოეული საქონელჯგუფის სასაქონლო მარაგი ბრუნვადღეებში.

- |                               |                            |
|-------------------------------|----------------------------|
| ა) სარეცხი საპონი             | ბ) ხელის საპონი            |
| $\frac{800}{18} = 44,4$ დლ.   | $\frac{600}{6} = 100$ დლ.  |
| ბ) გალანტერეა                 | დ) ძაფი                    |
| $\frac{4000}{15} = 266,6$ დლ. | $\frac{200}{3} = 66,6$ დლ. |

3. დავადგინოთ საქონლის ფაქტიური მარაგის გადახრა ნორმატიული მარაგისაგან ბრუნვადღეებში.

- |                              |                          |
|------------------------------|--------------------------|
| ა) სარეცხი საპონი            | ბ) ხელის საპონი          |
| $44,4 - 50,0 = -5,6$ დლ.     | $100 - 95 = +5$ დლ.      |
| ბ) გალანტერეა                | დ) ძაფი                  |
| $266,6 - 125,0 = +141,6$ დლ. | $66,6 - 60,0 = +6,6$ დლ. |

4. დავადგინოთ იგივე მაჩვენებელი აბსოლუტურ გამოსახულებაში (თანხებში). იგი მიიღება ბრუნვადღებების გადამრავლებით საქონელ-ბრუნვის საშუალო დღიურ ოდენობაზე.

ა) სარეცხი საპონი

$$18 \times (-5,6) = -100,8 \text{ ათ. მან.}$$

ბ) გალანტერეა

$$15 \times 141,6 = +2124,0 \text{ ათ. მან.}$$

ბ) ხელის საპონი

$$5 \times 6 = +30 \text{ ათ. მან.}$$

ღ) ძაფი

$$3 \times 6,6 = +19,8 \text{ ათ. მან.}$$

მთლიანად სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით სახეზეა საქონლის ზენორმატიული მარაგი 2073 ათ. მანეთის რაოდენობით (2173,8—100,8).

#### § 4. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელია საქონლის მიმოქცევის სისწრაფე.

საქონლის მიმოქცევის სისწრაფე, ანუ საქონელბრუნვადობა ეწოდება დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაში ხორციელდება საქონლის საშუალო მარაგის რეალიზაცია. რამდენადაც სწრაფია საქონელბრუნვა, იმდენად ნაკლები საბრუნავი საშუალებებია საჭირო იმავე მოცულობის საქონლის რეალიზაციისათვის და, მაშასადამე, იმდენად ნაკლებია წარმოებიდან მომხმარებლამდე საქონლის დაყვანის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები. საქონელბრუნვის დაჩქარების შედეგად საქონელმიმოქცევის პროცესის ხანგრძლივობა მცირდება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს გაფართოებული სოციალისტური კვლავ-წარმოების მთელი პროცესის ხანგრძლივობის შემცირებას.

საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები გაიანგარიშება მოცემული პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობისა და სასაქონლო მარაგის მონაკვეთთა შედარების საფუძველზე. ამასთან, გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მომდინარე, ანუ ნორმალური შენახვის სასაქონლო მარაგი, რადგან სეზონური შენახვისა და ვადამდე შეზიდვის მარაგის რეალიზაციის დრო ცალკე განისაზღვრება. ამიტომ საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლების გაანგარიშებისას საჭიროა მარაგის საერთო მოცულობიდან გამოირიცხოს სეზონური შენახვის და ვადამდე შეზიდვის სასაქონლო მარაგი. დაზუსტებას საჭიროებს საცალო საქონელბრუნვის მოცულობაც. მისი შემადგენლობიდან ასევე უნდა გამოირიცხოს არასასურსათო საქონლით საკომისიო ვაჭრობის ბრუნვა, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვებიდან მიღებული ამონაგები, პურისა და პურ-ფუნთოშეულის ბრუნვა.

საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი გაიანგარიშება საქონელბრუნვის მოცულობის შეფარდებით მარაგის მოცულობასთან, მაგრამ საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის მაჩვენებლები არ წარმოადგენენ თანაზომად სიდიდეებს. საქონელბრუნვის მოცულობა არის ინტერვალური სიდიდე (საქონელბრუნვა გამოისახება დროის განსაზღვრულ პერიოდში), ხოლო სასაქონლო მარაგი — მომენტური (იგი გამოისახება დროის განსაზღვრული მომენტისათვის). აქედან გამომდინარე საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის თანაზომად სიდიდეებში მოყვანისათვის საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს დროის მოცემულ პერიოდისათვის მარაგის საშუალო სიდიდე.

სასაქონლო მარაგის საშუალო სიდიდე, იმის მიხედვით თუ როგორი ხასიათის მონაცემები გვაქვს, განისაზღვრება სხვადასხვა ხერხით, ერთ შემთხვევაში გამოიყენება მარტივი ან შეწონილი არითმეტიკული საშუალო, მეორე შემთხვევაში — ქრონოლოგიური საშუალო.

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციაში სასაქონლო მარაგი მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 120 ათას მან., ხოლო 1 თებერვლისათვის — 134 ათას მან. იანვრის თვეში საქონლის საშუალო მარაგი განისაზღვრება მარტივი საშუალო არითმეტიკულის ფორმულით:

$$\bar{x} = \frac{\sum x}{n} = \frac{120 \text{ ათასი} + 134 \text{ ათასი}}{2} = 127 \text{ ათასი მან.}$$

ავიღოთ სხვა მაგალითი. ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციაში პირველი კვარტალის თითოეული თვის დასაწყისისათვის სასაქონლო მარაგი შეადგენდა:

1 იანვარს	140 ათასი მან.
1 თებერვალს	100
1 მარტს	120
1 აპრილს	110 „

პირველ კვარტალში საქონლის საშუალო მარაგი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს როგორც მარტივი საშუალო არითმეტიკულის ხერხით (საქონლის საშუალო თვიური მარაგის მონაცემთა საფუძველზე), ისე ქრონოლოგიური საშუალოს ფორმულით.

გამოვიყენოთ პირველი ხერხი.

$$\bar{x} = \frac{\frac{140+100}{2} + \frac{100+120}{2} + \frac{120+100}{2}}{3} = \frac{120+110+115}{3} = \frac{345}{3} = 115 \text{ ათ. მან.}$$

აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება რომ მარტივი საშუალო არითმეტიკულის ხერხით მოგვეხდინა (საშუალო თვიური მარაგის მონაცემთა გარეშე), მაშინ სავაჭრო ორგანიზაციის საქონლის საშუალო კვარტალური მარაგი ტოლი იქნებოდა:

$$\bar{3} = \frac{140 + 100 + 120 + 110}{4} = \frac{470}{4} = 117,5 \text{ ათ. მან.}$$

მიღებული სიდიდე არ ემთხვევა მარაგის საშუალო ოდენობას.

ახლა საქონლის საშუალო მარაგი განვსაზღვროთ ქრონოლოგიური საშუალოს ფორმულით:

$$\bar{3} = \frac{\frac{1}{2} 3_1 + 3_2 + 3_3 + \dots + 3_{n-1} + \frac{1}{2} 3_n}{n-1}$$

ფორმულაში შევიტანოთ შესაბამისი მონაცემები:

$$\bar{3} = \frac{70 + 100 + 120 + 55}{3} = \frac{345}{3} = 115, \text{ ათ. მან.}$$

მაშასადამე, ქრონოლოგიური საშუალო-არითმეტიკულ საშუალოსთან შედარებით საქონლის საშუალო მარაგის გაანგარიშების გამარტივებული ხერხია.

საქონელბრუნვის სისწრაფე ორი მაჩვენებლით გამოიანგარიშება:

ა) ბრუნვათა რაოდენობით და

ბ) ერთი ბრუნვის ხანგრძლივობით დღეებში.

საქონელბრუნვადობის სისწრაფის მაჩვენებლები ბრუნვათა რაოდენობასა და ბრუნვადღეებში ახასიათებენ ერთსა და იმავე პროცესს. პირველი უპასუხებს კითხვას თუ დროის მოცემულ პერიოდში საქონლის საშუალო მარაგი რამდენჯერ განახლდა, ან რამდენი ბრუნვა გააკეთა, ხოლო მეორე უპასუხებს კითხვას — საქონლის საშუალო მარაგის ერთი ბრუნვა რამდენ დღეს გრძელდებოდა.

საქონელბრუნვადობის აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის არსებობს შებრუნებული თანაფარდობა, რაც იმაში გამოისახება, რომ ბრუნვათა რაოდენობა თუ იზრდება, მაშინ საქონლის საშუალო მარაგის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში მცირდება და პირიქით — ბრუნვათა რაოდენობის შემცირებით — საქონლის საშუალო მარაგის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში იზრდება.

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

T — საქონელბრუნვის მოცულობა

$\bar{3}$  — საქონლის საშუალო მარაგი

D — მოცემული პერიოდის კალენდარული დღეების რიცხვი

C — საქონელბრუნვის სისწრაფე ბრუნვარაოდენობაში (რიცხვებში)

B — საქონლის მიმოქცევის დრო ღლეებში.

ვთქვათ, ერთ-ერთ სავაჭრო ორგანიზაციაში საქონლის საშუალო თვიური მარაგი შეადგენდა 100 ათას მანეთს, ხოლო საქონელბრუნვის მოცულობა — 600 ათას მანეთს.

მაშინ საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი ბრუნვათა რაოდენობაში ტოლი იქნება:

$$C = \frac{T}{3} = \frac{600}{100} = 6.$$

ვყოფთ რა საქონელბრუნვის მოცულობას საქონლის საშუალო მარაგზე, ამით ვღებულობთ საქონელბრუნვის საშუალო სიდიდეს, რომელიც მოდის ერთი მანეთის სასაქონლო მარაგზე. ამ წესით გაანგარიშებული სიდიდე წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციის სასაქონლო მარაგის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელს.

საქონელბრუნვის სისწრაფის პირდაპირი მაჩვენებლის შებრუნებული სიდიდეა საქონლის მიმოქცევის დრო, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$B = \frac{A3}{T} = \frac{30 \times 100}{600} = 5 \text{ დღე.}$$

მაშასადამე, წარმოებიდან სავაჭრო ორგანიზაციაში შემოსვლის მომენტიდან გაყიდვის მომენტამდე, საქონელი მარაგის სახით იმოყოფებოდა 5 დღის განმავლობაში.

საქონლის მიმოქცევის დრო შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს გამარტივებული ხერხით. ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს მოცემულ პერიოდში საქონლის ერთდღიური ბრუნვა. ეს უკანასკნელი გამოითვლება საქონელბრუნვის მოცულობის გაყოფით პერიოდის კალენდარული დღეების რიცხვზე, ხოლო საქონლის საშუალო მარაგის შეფარდება ერთდღიურ ბრუნვასთან გვაძლევს საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელს დღეებში. ჩვენს მაგალითში ერთდღიური საქონელბრუნვა უდრის:

$$\frac{600 \text{ ათასი მან.}}{30 \text{ დღ.}} = 20 \text{ ათას მან.}$$

ხოლო საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი ბრუნვადღეებში იქნება:

$$\frac{100 \text{ ათასი მან.}}{20 \text{ ათასი მან.}} = 5 \text{ დღე.}$$

საქონელბრუნვის სისწრაფის პირდაპირი და არაპირდაპირი მაჩვენებლების ნამრავლი უდრის პერიოდის კალენდარული დღეების რიცხვს.

$$C \times B = D, \text{ აქედან } B = \frac{D}{C}, \text{ ხოლო } C = \frac{D}{B}$$

ჩვენს მაგალითზე:

$$B = \frac{30}{6} = 5 \text{ დღ. } C = \frac{30}{5} = 6\text{-ჯერ}$$

$$5 \times 6 = 30 \text{ დღ.}$$

1981 წლის პირველ ნახევარში (180 დღე) სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით საქონელბრუნვის მოცულობისა და სასაქონლო ნაშთების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები (ათ. მან.):

საქონლის ნაშთები:

1981 წლის 1 იანვარს — 384

„ 1 აპრილს — 408

„ 1 ივლისს — 432

საცალო საქონელბრუნვა

I კვარტალში — 888

II კვარტალში — 960

განსაზღვრეთ 1981 წლის პირველი ნახევრისათვის სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით:

1. საქონლის საშუალო ნაშთი

2. საქონელბრუნვის სისწრაფე:

ა) ბრუნვათა რაოდენობაში და ბ) ბრუნვადღეებში.

ა მ თ ხ ს ნ ა:

1. საქონლის საშუალო ნაშთი:

I კვარტალში

$$\bar{3} = \frac{384 + 408}{2} = \frac{792}{2} = 396 \text{ ათასი მან.}$$

II კვარტალში

$$\bar{3} = \frac{408 + 432}{2} = \frac{840}{2} = 420 \text{ ათასი მან.}$$

წლის პირველ ნახევარში

$$\bar{3} = \frac{396 + 420}{2} = \frac{816}{2} = 408 \text{ ათასი მან.}$$

2. საქონელბრუნვის მოცულობა წლის პირველ ნახევარში  
 $888 + 960 = 1848$  ათასი მან.

3. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი ბრუნვათა რაოდენობაში

$$C = \frac{T}{3} = \frac{1848}{408} = 4,5 \text{ ბრუნვა.}$$

4. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი ბრუნვადღეებში

$$B = \frac{\bar{3}\Pi}{T} = \frac{408 \cdot 180}{1848} = 40 \text{ დღე.}$$

5. გამარტივებული ხერხით

ა) ბრუნვათა რაოდენობაში

$$C = \frac{\Pi}{B} = \frac{180}{40} = 4,5 \text{ ბრუნვა;}$$

ბ) ბრუნვადღეებში

$$B = \frac{\Pi}{C} = \frac{180}{4,5} = 40 \text{ დღე.}$$

საქონელმიმოქცევის დრო დღეებში ასევე შეიძლება განისაზღვროს მოცემული პერიოდის საქონლის საშუალო მარაგის გაყოფით საშუალო დღიურ ბრუნვაზე.

საშუალო დღიური ბრუნვა:

$$\frac{1848 \text{ ათ. მან.}}{180 \text{ დღ.}} = 10270 \text{ მან.}$$

საქონელბრუნვის სისწრაფე დღეებში უდრის:

$$\frac{408 \text{ ათას მან.}}{10270 \text{ მან.}} = 40 \text{ დღ.}$$

ა მ ო ც ა ნ ა 1

I კვარტალში სავაჭრო ორგანიზაციის სასაქონლო მარაგი და საცალო საქონელბრუნვა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (ათ. მან.):

ც ხ რ ი ლ ი 6.3

საქონელჯგუფი	საქონელ- ბრუნვა I კვარტ.	სასაქონლო მარაგი				მარაგის ნორმატივი დღეებში
		1/I	1/II	1/III	1/IV	
შეკერილი ტანსაც- მელი	500	280	320	300	350	60
ტყავის ფეხსაცმელი	400	150	130	110	100	30
გალანტერეა . . .	80	80	90	100	80	100
<b>სულ</b>	<b>980</b>	<b>510</b>	<b>540</b>	<b>510</b>	<b>530</b>	<b>—</b>



განსაზღვრეთ თითოეული საქონელჯგუფისა და სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით მთლიანად საქონლის საშუალო მარაგი, საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები, აგრეთვე, საქონელბრუნვის მოცულობის სასაქონლო მარაგით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 1 აპრილისათვის (1 კვარტალის საქონელბრუნვიდან გამომდინარე) და ზენორმატიული მარაგი დღეებში.

ა მ ო ხ ს ნ ა :

1. საქონლის საშუალო ნაშთი

ა) შეკერილი ტანსაცმელი

$$\frac{140 + 320 + 300 + 175}{3} = \frac{935}{3} = 312 \text{ ათ. მან.}$$

ბ) ტყავის ფეხსაცმელი

$$\frac{75 + 130 + 110 + 50}{3} = \frac{365}{3} = 122 \text{ ათ. მან.}$$

გ) გალანტერეა

$$\frac{40 + 90 + 100 + 40}{3} = \frac{270}{3} = 90 \text{ ათ. მან.}$$

დ) ყველა საქონელჯგუფისა ერთად:

$$\frac{255 + 540 + 510 + 265}{3} = \frac{1570}{3} = 523 \text{ ათ. მან.}$$

2. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები:

ბრუნებათა რაოდენობაში ბრუნვადღეებში

ა) შეკერილი ტანსაცმელი

$$500 : 312 = 1,6 \quad 90 : 1,6 = 56,2 \text{ დღ.}$$

ბ) ტყავის ფეხსაცმელი

$$400 : 122 = 3,28 \quad 90 : 3,28 = 27,4 \text{ დღ.}$$

გ) გალანტერეა

$$80 : 90 = 0,89 \quad 90 : 0,89 = 101 \text{ დღ.}$$

სულ:  $980 : 523 = 1,87$

$90 : 1,87 = 48,2 \text{ დღ.}$

3. სასაქონლო მარაგით საქონელბრუნვის უზრუნველყოფის მაჩვენებელი 1 აპრილისათვის:

ერთდღიური ბრუნვა:

ა) შეკერილი ტანსაცმლის  $500 : 90 = 5,5$  ათ. მან.

ბ) ტყავის ფეხსაცმლის  $400 : 90 = 4,44$  ათ. მან.

გ) გალანტერეა  $80 : 90 = 0,889$  ათ. მან.

დ) ყველა ჯგუფის საქონლისა  $980 : 90 = 10,9$  ათასი უზრუნველყოფის მაჩვენებელი ბრუნვადღეებში:

ა) შეკერილი ტანსაცმელი  $350 : 5,5 = 63,6$  დღ.

ბ) ტყავის ფეხსაცმელი  $100 : 4,44 = 22,5$  დღ.

გ) გალანტერეა  $80 : 0,889 = 90$  დღ.

დ) ყველა საქონელჯგუფისა  $980 : 10,9 = 90$  დღ.

4. ზენორმატიული საქონლის მარაგი:

ა) შეკერილი ტანსაცმელი  
 $350 - (60 \times 5,5) = +20$  ათ. მან.

ბ) ტყავის ფეხსაცმელი  
 $100 - (30 \times 4,44) = -33,2$  ათ. მან.

გ) გალანტერეა  
 $80 - (100 \times 0,889) = -8,9$  ათ. მან.

#### ა მ ო ც ა ნ ა

სავაჭრო ორგანიზაციის საცალო ქსელის საქონელბრუნვისა და სა-  
საქონლო მარაგის შესახებ I კვარტალში გვაქვს შემდეგი მონაცემები:

1. საცალო საქონელბრუნვა გეგმით იყო — 19 000 ათ. მან.

2. ფაქტიურად საცალო საქონელბრუნვამ შეადგინა—19360 ათ. მან.

მათ შორის:

ა) პურ-ფუნთუშეულის ბრუნვამ — 800 ათასი მან.

ბ) ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ბრუნვამ — 1700 ათა-  
სი მან.

3. საქონლის მარაგი იყო:

1 იანვარს 10 000 ათასი მან.

1 აპრილს 12 000 ათასი მან.

მათ შორის:

ა) სეზონური შენახვის სასაქონლო მარაგი 1000 ათ. მან.

ბ) ვადამდე აღრე შეზიდული მარაგი— 300 ათ. მან.

4. საქონლის მარაგის გეგმური ნორმატივი განსაზღვრულია 60  
დღით.

განსაზღვრეთ:

1. საქონელბრუნვის გეგმის შესრულება კვარტალში;

2. საქონლის საშუალო კვარტალური მარაგი:
3. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები:
4. საქონლის ზენორმატიული მარაგი კვარტალის ბოლოსათვის თანხებსა და დღეებში.

ა მ ო ხ ს ნ ა

1. 1-ლი კვარტალის ფაქტიური საცალო საქონელბრუნვა პურ-ფუნთუშეულისა და ინდივიდუალური შეკერვის ბრუნვის გარეშე.

$$19360 - (800 + 1700) = 16860 \text{ ათ. მან.}$$

2. საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება

$$\frac{16860}{19000} = 0,887 \text{ ანუ } 88,7\%$$

3. სასაქონლო მარაგი კვარტალის ბოლოსათვის.

ამისათვის კვარტალის დასასრულში არსებულ მარაგს გამოვაკლოთ სეზონური შენახვისა და ვადამდე შეზიდვის სასაქონლო მარაგი.

$$12000 - (1000 + 300) = 10700 \text{ ათ. მან.}$$

4. საქონლის საშუალო მარაგი კვარტალში

$$\frac{10000 + 10700}{2} = 10350 \text{ ათ. მან.}$$

5. საქონლის საშუალო მარაგი დღეებში კვარტალის განმავლობაში. ამისათვის წინასწარ დავადგინოთ საშუალო დღიური ბრუნვა

$$\frac{16860 \text{ ათ. მან.}}{90} = 187,3 \text{ ათ. მან.}$$

საქონლის მარაგი დღეებში იქნება

$$\frac{10350 \text{ ათ. მან.}}{187,3 \text{ ათ. მან.}} = 55 \text{ დღ.}$$

6. საქონელბრუნვის სისწრაფე:

ა) ბრუნვარაოდენობაში

$$C = \frac{T}{3} = \frac{16860}{10350} = 1,63 \text{ ბრუნვა.}$$

ბ) ბრუნვადღეებში

$$B = \frac{D}{C} = \frac{90}{1,63} = 55,2 \text{ დღ.}$$

7. საქონლის ზენორმატიული მარაგი კვარტალის ბოლოსათვის თანხებში: ამისათვის საჭიროა დავადგინოთ საშუალო დღიური ბრუნვა გეგ-

მით გათვალისწინებული საქონელბრუნვის მოცულობიდან გამომდინარე

$$\frac{19000 \text{ ათ. მან.}}{90 \text{ დლ.}} = 211 \text{ ათ. მან.}$$

აქედან

$$\frac{10700}{211} = 51 \text{ დლ.}$$

გვემური ნორმატივი შეადგენს 60 დღეს.  $60 - 51 = 9$  დღე არასაკმარისი მარაგი, რაც თანხებში შეადგენს 1899 ათ. მან:  $(9 \times 211)$ .

### § 5. საქონელბრუნვის სისწრაფის დინამიკა

საქონელბრუნვის სისწრაფის დინამიკა შეისწავლება საინდექსო მეთოდით, კერძოდ, საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსით. იგი განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის სისწრაფის შეფარდებით საბაზისო პერიოდის შესაბამის მაჩვენებელთან.

საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსის გაანგარიშების წესი ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე:

ცხრილი 6.4

მაჩვენებლები	გასული წლის	მიმდინარე წლის	ინდექსები
	I კვარტალი	I კვარტალი	
1. საქონელბრუნვა (ათასი მან.)	460	680	1,48
2. საქონლის საშუალო მარაგი (ათ. მან.)	105	136	1,30
3. საქონელბრუნვის სისწრაფე:			
ა) ბრუნვათა რაოდენობაში	4,4	5,0	1,136
ბ) ბრუნვადღეებში	27,4	18,0	0,884

ცხრილიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა: საქონელბრუნვა 48%-ით და საქონლის საშუალო მარაგი — 30%-ით. მარაგის ზრდასთან შედარებით საქონელბრუნვის უფრო სწრაფი ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი. თუ საქონლის საშუალო მარაგი გასული წლის I კვარტალში 4,4 ბრუნვას აკეთებდა, მიმდინარე წლის I კვარტალში უკვე 5 ბრუნვას აკეთებს.

საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსი უდრის:

$$I = \frac{\bar{C}_1}{\bar{C}_0} = \frac{5,0}{4,4} = 1,136 \text{ ინუ } 113,6\%$$

ე. ი. სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე 13,6%-ით გაიზარდა.

იგივე შედეგს მოგვცემს საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსის შეფარდება საშუალო მარაგის ინდექსთან:

$$I = \frac{\text{საქონელბრუნვის } I}{\text{საქ. საშ. მარაგის } I} = \frac{1,48}{1,30} = 1,136 \text{ ანუ } 113,6\%.$$

როგორ შეიცვალა საქონლის საშუალო მარაგის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა იმავე პერიოდში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მიმოქცევის დროის ინდექსით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის (მიმდინარე წლის I კვარტ.) საქონლის მიმოქცევის დროის შეფარდებით საბაზისო პერიოდის (გასული წლის I კვარტალი) ანალოგიურ მაჩვენებელთან:

$$I = \frac{B_1}{B_0} = \frac{18,0}{20,4} = 0,884 \text{ ანუ } 88,4\%.$$

მაშასადამე, საქონლის საშუალო მარაგის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა მოცემულ პერიოდში 2,4 დღით (20,4 - 18,0) ანუ 11,6%-ით შემცირდა.

იგივე შედეგს მოგვცემს საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსის შებრუნებულ სიდიდე:

$$1,0 : 1,136 = 0,884 \text{ ანუ } 88,4\%.$$

რამ განაპირობა საქონელბრუნვის სისწრაფის დაჩქარება?

საქონელბრუნვის სისწრაფის ცვლილებაზე ორი ფაქტორი ახდენს გავლენას:

- 1) ცალკეული საქონელჯგუფების ბრუნვის სისწრაფე და
- 2) სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილება.

რამდენადაც სწრაფია თითოეული საქონლისა და საქონელჯგუფების ბრუნვა, იმდენად სხვა თანაბარ პირობებში, მაღალია საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე საწარმოს მიხედვით მთლიანად. ასევე, საქონლის მარაგის საერთო მოცულობაში, რამდენადაც მეტია სწრაფბრუნვადი საქონელჯგუფების ხვედრითი წონა. იმდენად მაღალია საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე. საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფეზე თითოეული ფაქტორის გავლენის ანალიზისათვის საჭიროა ავაგოთ ინდექსთა სისტემა, სადაც საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსი წარმოდგენილი იქნება როგორც ცალკეული საქონელჯგუფების ბრუნვის სისწრაფისა და საქონლის საშუალო მარაგის სტრუქტურის ინდექსთა ნამრავლი.

საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსი წარმოადგენს საქონელბრუნვის ცვალებადი შედგენილობის ინდექსს და გამოისახება ფორმულით:

$$I = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum Z_1} : \frac{\sum C_0 Z_0}{\sum Z_0} = \frac{\bar{C}_1}{\bar{C}_0},$$

იგივე შედეგს იძლევა სხვა ფორმით გამოსახული ცვალებადი შედგენილობის ინდექსი:

$$I = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_0} : \frac{\sum Z_1}{\sum Z_0}$$

საქონელბრუნვის სისწრაფის ცვალებადი შედგენილობის ინდექსი, მაშასადამე, ახასიათებს საქონლის მიმოქცევის საშუალო სისწრაფის ცვლილებას საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით.

საქონელბრუნვის სისწრაფის ცვალებადი შედგენილობის ინდექსი უნდა დავშალოთ შემადგენელ სუბინდექსებად: საქონელბრუნვის სისწრაფისა და სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსებად.

საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფეზე რა გავლენას მოახდენდა საქონლის უცვლელი მარაგის პირობებში ცალკეულ საქონელჯგუფების ბრუნვის სისწრაფე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება საქონელბრუნვის სისწრაფის ფიქსირებული შედგენილობის ინდექსით, რომელიც გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$I = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_1}$$

მოცემულ ფორმულაში წონებად აღებულია საანგარიშო პერიოდის საქონლის საშუალო მარაგი.

ისმება კითხვა, სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილებამ (სწრაფბრუნვადი და ნელბრუნვადი საქონელჯგუფების თანაფარდობათა ცვლილება) რა გავლენა იქონია საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფეზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსით, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$I = \frac{\sum C_0 Z_1}{\sum C_0 Z_0} : \frac{\sum Z_1}{\sum Z_0} = \frac{\sum C_0 Z_1}{\sum Z_1} : \frac{\sum C_0 Z_0}{\sum Z_0}$$

საქონელბრუნვის სისწრაფის ფიქსირებული შედგენილობისა და საქონლის საშუალო მარაგის სტრუქტურული ძვრების ინდექსთა ნამრაველი უდრის საქონელბრუნვის სისწრაფის ცვალებადი შედგენილობის ინდექსს.

$$\underbrace{\frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_0}} : \underbrace{\frac{\sum Z_1}{\sum Z_0}} = \underbrace{\frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_1}} \times \underbrace{\frac{\sum C_0 Z_1}{\sum C_0 Z_0}} : \underbrace{\frac{\sum Z_1}{\sum Z_0}}$$

საქონელბრუნვის  
საშუალო სის-  
წრაფის ინდექსი

საქონელბრუნვის  
სისწრაფის ინ-  
დექსი

სასაქონლო მარაგის სტრუქტურის  
ინდექსი

მოცემული ინდექსების გაანგარიშების წესი ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე:

ცხრილი 6.5

საქონელ- ჯგუფი	საქონელ- ბრუნვა, ათასი შან.		საქონლის საშუალო მარაგი, ათ. შან.		საქონლის მარაგის სტრუქტურა პროც.		საქონელბრუნვის სისწრაფე			
							ბრუნვა რაოდენობაში		ბრუნვა ღირებვაში	
	I კვარტ.	II კვარტ.	I კვარტ.	II კვარტ.	I კვარტ.	II კვარტ.	I კვარტ.	II კვარტ.	I კვარტ.	II კვარტ.
	$T_0$	$T_1$	$\bar{3}_0$	$\bar{3}_1$	—	—	$C_0$	$C_1$	$B_0$	$B_1$
ა.	200	300	40	60	38,1	44,1	5	5	18	18
ბ.	260	380	65	76	61,9	55,9	4	5	22,5	18
სულ	460	680	105	136	100,0	100,0	4,4	5	20,4	18

ცხრილში მოყვანილია ერთ-ერთი სავაჭრო ორგანიზაციის საქონელ-ბრუნვისა და საქონლის საშუალო მარაგის მაჩვენებლები. საქონელ-ბრუნვის სისწრაფე ბრუნვათა რაოდენობაში ( $C_0$  და  $C_1$ ) გაანგარიშებულ ია შესაბამისი პერიოდების საქონელბრუნვის მოცულ ბის ( $T_0$  და  $T_1$ ) გაყოფით საქონლის საშუალო მარაგის სიდიდეზე ( $\bar{3}_0$  და  $\bar{3}_1$ ).

საქონელბრუნვის სისწრაფე ბრუნვათა რაოდენობაში უდრის:

$$I \text{ კვარტალში } \bar{C}_0 = \frac{T_0}{\bar{3}_0} = \frac{460}{105} = 4.4$$

$$II \text{ კვარტალში } C_1 = \frac{T_1}{\bar{3}_1} = \frac{680}{136} = 5,0$$

საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსი კი უდრის:

$$I = \frac{\bar{C}_1}{\bar{C}_0} = \frac{5,0}{4,4} = 1,136 \text{ ანუ } 113.6\%$$

იგივე შედეგს მოგვეცემს საქონელბრუნვისა და საქონლის საშუალო მარაგის ზრდის კოეფიციენტთა ურთიერთშეფარდება:

$$I = \frac{\sum T_1}{\sum T_0} : \frac{\sum \bar{3}_1}{\sum \bar{3}_0} = \frac{680}{460} : \frac{136}{105} = 1,48 : 1,295 = 1,136 \text{ ანუ } 113,6\%$$

ვინაიდან საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის საშუალო მარაგის მაჩვენებელთა ნამრავლი შეადგენს საქონელბრუნვის მოცულობას, ამიტომ იგივე შედეგს მოგვეცემს შემდეგი ფორმულის გამოყენება:

$$I = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_0} : \frac{\sum Z_1}{\sum Z_0} = \frac{680}{460} : \frac{136}{105} = 1,48 : 1,295 = 1,136 \text{ ანუ } 113,6\%.$$

მაშასადამე, ცალკეული ჯგუფის საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის საშუალო მარაგის სტრუქტურის ცვლილების შედეგად, საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე საეაქრო ორგანიზაციის მიხედვით გაიზარდა 13,6%-ით.

ახლა დავადგინოთ, ცალკეული ჯგუფის საქონლის ინდივიდუალური ბრუნვის სისწრაფემ რა გავლენა იქონია საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფეზე საწარმოს მიხედვით მთლიანად. გამოვიყენოთ საქონელბრუნვის სისწრაფის ფიქსირებული შედგენილობის ინდექსის ფორმულა:

$$I = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_1} = \frac{5 \times 60 + 5 \times 76}{5 \times 60 + 4 \times 76} = \frac{680}{604} = 1,126 \text{ ანუ } 112,6\%.$$

მაშასადამე, თითოეული ჯგუფის საქონელბრუნვის დაჩქარების შედეგად ორივე ჯგუფის საქონლის მიმოქცევის საშუალო სისწრაფე 12,6%-ით გაიზარდა.

საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსის პრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა წარმოადგენს საქონელბრუნვის აბსოლუტურ მატებას (კლებას), რომელიც მიღებულ იქნა ცალკეული საქონლის და საქონელჯგუფების მიმოქცევის დაჩქარების შედეგად. მოცემული ინდექსის პრიცხველი ( $\sum C_1 Z_1$ ) წარმოადგენს II კვარტალის ფაქტიურ საქონელბრუნვას (საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის საშუალო მარაგის ნამრავლი უდრის საქონელბრუნვის მოცულობას), მნიშვნელი კი ( $\sum C_0 Z_1$ ) — საქონელბრუნვის პირობით თანხას, რომელიც იქნებოდა მეორე კვარტალში პირველი კვარტალის საქონელბრუნვის სისწრაფის პირობებში:

$$\sum C_1 Z_1 - \sum C_0 Z_1 = 680 - 604 = 76 \text{ ათასი მან.}$$

მაშასადამე, საქონელბრუნვის აბსოლუტური მატების (220 ათასი მან.) 34,5% ანუ 76 ათასი მანეთი მოდის ცალკეული საქონელჯგუფების მიმოქცევის სისწრაფის შემდგომ დაჩქარების ხარჯზე.

საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის დინამიკაზე რა გავლენა იქონია სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილებამ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება საქონლის მარაგის სტრუქტურის ინდექსით:

$$I = \frac{\sum C_0 Z_1}{\sum C_0 Z_0} : \frac{\sum Z_1}{\sum Z_0} = \frac{5 \times 60 + 4 \times 76}{5 \times 40 + 4 \times 65} : \frac{136}{105} = \frac{604}{460} : \frac{136}{105} = 1,313 : 1,295 = 1,014 \text{ ანუ } 101,4\%.$$



საქონლის მარაგის სტრუქტურის ცვლილების შედეგად (მარაგის საერთო მოცულობაში სწრაფბრუნვადი საქონელგაყუფის ხვედრითი წონის ზრდა) საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე დამატებით 1,4%-ით გაიზარდა.

ახლა დაეადგინოთ საქონელბრუნვის დინამიკაზე საქონლის მარაგის სტრუქტურის ცვლილების გავლენა აბსოლუტურ გამოსახულებაში, შევადგინოთ დამხმარე ცხრილი (ცხრ. 6.6).

ც ხ რ ი ლ ი 6.6

საქონელგაყუფები	სასაქონლო მარაგი, ათასი მან.		სასაქონლო მარაგის სტრუქტურა, პროცენტებში		I კვარტალის საქონელბრუნვის სისწრაფე, ბრუნვა რაოდენობაში	საქონელბრუნვის თანხა, რომელიც მოდის ბრუნვის უ(ი)ლი სისწრაფის პირობებში მარაგის 100 მანეთზე	
	I კვარტ.	II კვარტ.	I კვარტ.	II კვარტ.		I კვარტ.	II კვარტ.
	1	2	3	4		5	6(3X5)
ა.	40	60	38,1	44,1	5	190,5	220,5
ბ.	65	76	61,9	55,9	4	247,6	223,6
სულ .	105	136	100,0	100,0	—	438,1	444,1

ცხრილიდან ჩანს, რომ მეორე კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით საქონლის მარაგის სტრუქტურაში მოხდა ცვლილება. საქონლის მარაგის საერთო მოცულობაში 6%-ით გაიზარდა სწრაფბრუნვადი „ა“ საქონელგაყუფის ხვედრითი წონა და შესაბამისად შემცირდა ნელბრუნვადი „ბ“ საქონელგაყუფის ხვედრითი წონა. საქონლის საშუალო მარაგის სტრუქტურაში მომხდარმა ასეთმა ცვლილებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის შესაბამისი ცვლილება.

ცხრილის მესამე და მეოთხე სვეტებში მოყვანილი საქონლის საშუალო მარაგის სტრუქტურა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თითოეული კვარტალის სასაქონლო მარაგის აბსოლუტური თანხა მანეთებში. რაც შეეხება ცხრილის უკანასკნელ მეექვსე და მეშვიდე სვეტების მონაცემებს, რომლებიც მიღებულია საქონლის მარაგის აბსოლუტური სიდიდისა და საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელთა ნამრავლით, განიხილება როგორც საქონელბრუნვის აბსოლუტური თანხა, რომელიც მოდის სასაქონლო მარაგის 100 მანეთზე ბრუნვის უცვლელი (I კვარტალის) სისწრაფის პირობებში. მაშასადამე, საქონლის საშუალო მარაგის 100 მანეთზე I კვარტალში მოდიოდა 438,1 მანეთის, ხოლო II კვარტალში — 444,1 მანეთის ბრუნვა. მათ შორის წარმოშობილი სხვაობა, რომელიც 6 მანეთს უდრის (444,1—438,1), წარ-

მოადგენს საქონლის საშუალო მარაგის ყოველ 100 მანეთზე მიღებულ საქონელბრუნვის აბსოლუტურ მატებას. საქონლის საშუალო მარაგის ყოველი 100 მანეთი თუ ბრუნვის 6 მანეთის მატებას იძლევა, მაშინ II კვარტალის საქონლის მთელი საშუალო მარაგი მოგვეცემდა 8 000 მანეთის მატებას ( $1360 \times 6$ ). მაშასადამე, საქონელბრუნვის აბსოლუტური მატების (220 ათასი მანეთი) 38,2% ანუ 84 ათასი მანეთი ( $76+8$ ) მიღებულია ცალკეული საქონელჯგუფების ბრუნვის სისწრაფისა და სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ერთობლივი ცვლილებით.

რამ განაპირობა საქონელბრუნვის აბსოლუტური მატების დანარჩენი თანხა? საქონელბრუნვის აბსოლუტური მატების 61,8% ანუ 136 ათასი მანეთი მიღებულია სასაქონლო მარაგის ზრდის შედეგად. საქონელბრუნვის აბსოლუტურ მატებაზე აღნიშნული ფაქტორის გავლენა შეიძლება განისაზღვროს I კვარტალის საქონელბრუნვის მოცულობის გადამრავლებით, საქონლის საშუალო მარაგის მატების კოეფიციენტზე. მოცემულ პერიოდში საქონლის საშუალო მარაგი 1,295-ჯერ გაიზარდა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტორის გავლენით გამოწვეული საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება იქნება:

$$460 \times 0,295 = 136 \text{ ათასი მან.}$$

ამგვარად, მოცემულ პერიოდში საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება 220 ათასი მანეთის ოდენობით ( $680-460$ ) განპირობებულია სამი ფაქტორის გავლენით:

1) თითოეული საქონელჯგუფის ბრუნვადობის დაჩქარებით (76 ათასი მან.); 2) სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილებით (8 ათასი მან.) და 3) სასაქონლო მარაგის მოცულობის ზრდით (136 ათასი მან.).

თითოეული ფაქტორის გავლენის აბსოლუტურ მნიშვნელობათა ჯამი უდრის საქონელბრუნვის მოცულობის საერთო მატებას:

$$76 + 9 + 136 = 220 \text{ ათასი მან.}$$

ჩვენ მიერ ზემოგანხილული ინდექსები ერთმანეთთან განსაზღვრულ კავშირში იმყოფებიან და, როგორც აღვნიშნეთ, ინდექსთა სისტემას ქმნიან. გაშლილი ფორმით ინდექსთა სისტემა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_0} : \frac{\sum Z_1}{\sum Z_0} = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_1} \times \left( \frac{\sum C_0 Z_1}{\sum C_0 Z_0} : \frac{\sum Z_1}{\sum Z_0} \right)$$

$$\frac{680}{460} : \frac{136}{105} = \frac{680}{604} \times \left( \frac{604}{460} : \frac{136}{105} \right)$$

$$1,48 : 1,295 = 1,126 \times (1,310 : 1,295)$$

$$1,140 = 1,126 \times 1,014.$$

მაშასადამე, საქონელბრუნვის სისწრაფისა და სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსთა ნამრაველი უდრის საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსს ( $1,126 \times 1,014 = 1,14$ ), ხოლო საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსის შეფარდება საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსთან გვაძლევს საქონლის მარაგის სტრუქტურის ინდექსს ( $1,14 : 1,126 = 1,014$ ).

როგორც ცნობილია, საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი მჭიდრო კავშირშია საქონლის მიმოქცევის დროის მაჩვენებელთან. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი შებრუნებულ თანაფარდობაშია საქონლის მიმოქცევის დროის მაჩვენებელთან. ზუსტად ასეთივე თანაფარდობაა საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის მიმოქცევის დროის ინდექსებს შორის.

ჩვენს მაგალითში საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფემ შეადგინა: I კვარტალში — 4,4, ხოლო მეორე კვარტალში — 5. შესაბამისად ამისა ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა 1-ელ კვარტალში უდრიდა 20,4 დღეს ( $90 : 4,4$ ), ხოლო მე-2 კვარტალში — 18 დღეს ( $90 : 5$ ). მაშასადამე, საწარმოს მიხედვით მთლიანად მიმოქცევის საშუალო დრო 2,4 დღით ანუ 12%-ით შემცირდა ( $18,0 : 20,4 = 0,88$ ).

$$I = \frac{B_1}{B_0} = \frac{18,0}{20,4} = 0,88.$$

საქონლის მიმოქცევის საშუალო დროის შემცირება შეიძლება მომხდარიყო ცალკეული საქონელჯგუფების მიმოქცევის დროისა და საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებით.

საქონლის მიმოქცევის საშუალო დროის ინდექსი — ცვალებადი შედეგნილობის ინდექსია და მისი სიდიდე დამოკიდებულია როგორც ცალკეული საქონელჯგუფების მიმოქცევის დროის ცვლილებაზე, ასევე საქონელბრუნვის მოცულობაში მომხდარ სტრუქტურულ ძვრებზე.

მიმოქცევის დროის ინდექსი — ფიქსირებული შედეგნილობის ინდექსია. მასში აისახება მხოლოდ ცალკეული საქონელჯგუფების მიმოქცევის საშუალო სისწრაფე. მიმოქცევის დროის ფიქსირებული შედეგნილობის ინდექსი გამოისახება ფორმულით:

$$I = \frac{\sum B_i m_i}{\sum B_0 m_i}$$

მოცემულ ინდექსში საინდექსო სიდიდეს წარმოადგენს საქონლის მიმოქცევის დრო (B), ხოლო თანაზომადობის კოეფიციენტს (წონებს) — საანგარიშო პერიოდის (II კვარტალის) ერთდღიური ბრუნვა ( $m_i$ ).

საქონელჯგუფები	საქონელ- ბრუნვა, ათასი მან.		საშუალო დღიური ბრუნვა, ათასი მან.		სასაქონლო მარაგი, ათასი მან.		მიმოქცევის დრო, დღეებში	
	I კვ.	II კვ.	I კვ.	II კვ.	I კვ.	II კვ.	I კვ.	II კვ.
	$T_0$	$T_1$	$m_0$	$m_1$	$3_0$	$3_1$	$B_0$	$B_1$
	1	2	3	4	5	6	7	8
ა.	200	300	2,22	3,33	40	60	18	18
ბ.	260	380	2,88	4,22	65	76	22,5	18
სულ .	460	680	5,10	7,55	105	136	20,4	18

საქონლის მიმოქცევის საშუალო დროის, ცალკეული საქონელჯგუფების მიმოქცევის დროისა და საქონელბრუნვის სტრუქტურის ინდექსები ერთად აღებული ქმნიან ინდექსთა სისტემას, რომელშიც მიმოქცევის საშუალო დროის ინდექსი განიხილება როგორც მიმოქცევის დროისა და საქონელბრუნვის სტრუქტურის ინდექსთა ნამრავლი.

საქონლის მიმოქცევის საშუალო დროის ინდექსის ფორმულას

$$I = \frac{\bar{B}_1}{B_0} \text{ თუ შევცვლით მისი ეკვივალენტური ინდექსის ფორმულით}$$

$$I = \frac{\sum B_1 m_1}{\sum B_0 m_0}, \text{ მაშინ ინდექსთა სისტემა შემდეგ სახეს მიიღებს:}$$

$$\frac{\sum B_1 m_1}{\sum B_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0} = \frac{\sum B_1 m_1}{\sum B_0 m_1} \times \frac{\sum B_0 m_1}{\sum B_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0}$$

მიმოქცევის  
საშუალო  
დროის  
ინდექსი

ბრუნვის უც-  
ვლელი  
სტრუქტურის  
პირობებში  
მიმოქცევის  
დროის  
ინდექსი

მიმოქცევის  
უცვლელი  
დროის პირო-  
ბებში საქო-  
ნელბრუნვის  
სტრუქტურის  
ინდექსი

განვსაზღვროთ ბრუნვის უცვლელი სტრუქტურის პირობებში მიმოქცევის დროის ინდექსი:

$$I = \frac{\sum B_1 m_1}{\sum B_0 m_1} = \frac{18 \times 3,33 + 18 \times 4,22}{18 \times 3,33 + 22,5 \times 4,22} = \frac{59,94 + 75,96}{59,94 + 94,95} = \frac{136}{155} = 0,877$$

ანუ 87,7%.

ამრიგად, ცალკეული საქონელჯგუფების მიმოქცევის დრო საშუალოდ 12,3%-ით შემცირდა.

მოცემული ინდექსის მრიცხველი ( $\sum B_1 m_1$ ) წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის (II კვარტალის) საქონლის ფაქტიურ მარაგს (136 ათასი მან.), ხოლო მნიშვნელი ( $\sum B_0 m_1$ ) — საქონლის მარაგის პირობით თანხას (155 ათას მან.), რომელიც უზრუნველყოფდა საანგარიშო პერიოდის (II კვარტალის) საქონელბრუნვას თუკი ცალკეული საქონელჯგუფების ბრუნვადობა საბაზისო პერიოდის (I კვარტალის) დონეზე დარჩებოდა.

ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა დაახასიათებს ცალკეული საქონელჯგუფების ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად მიმოქცევიდან გამოთავისუფლებულ საბრუნავ საშუალებათა თანხას.

$$\sum B_1 m_1 - \sum B_0 m_1 = 136 - 155 = -19 \text{ ათას მან.}$$

მაშასადამე, ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად საქონლის მარაგი II კვარტალში 19 ათასი მანეთით შემცირდა, ან, რაც იგივეა, მიმოქცევიდან 19 ათასი მანეთის საბრუნავი საშუალებები გამოთავისუფლდა. ჩვენს მაგალითში სასაქონლო მარაგის ფაქტიური მატება შეადგენდა 31 ათას მანეთს, მაგრამ საქონელბრუნვის სისწრაფე II კვარტალში რომ I კვარტალის დონეზე დარჩენილიყო, მაშინ სასაქონლო მარაგი გაიზრდებოდა არა 31 ათასი, არამედ 50 ათასი მანეთით ( $31 + 19$ ). იგივე შედეგს მივიღებთ, თუ გაანგარიშების სხვა ხერხს მივმართავთ, ე. ი.

$$81 - 31 = 50 \text{ ათასი მან.}$$

ახლა დავადგინოთ მიმოქცევის საშუალო დროის ინდექსზე რა გავლენა იქონია მიმოქცევის უცვლელი დროის პირობებში საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებამ. ავაგოთ დამხმარე ცხრილი.

ც ხ რ ი ლ ი 6.8

საქონელ- ჯგუფები	საქონელბრუნვის სტრუქ- ტურა (პროცენტებში)		საქონლის მიმოქცევის დრო I კვარ- ტალში (ბრუნვა დღეებში)	მიმოქცევის საბაზისო დროის პირობებში სასა- ქონლო მარაგის თანხა ერთდღიური საქონელ- ბრუნვის 100 მანეთზე	
	I კვ.	II კვ.		I კვ.	II კვ.
	1	2	3	4(1×3)	5(2×3)
ა .	43,5	44,1	18,0	782,6	793,8
ბ .	56,5	55,9	22,5	1271,7	1257,7
სულ	100,0	100,0	—	2054,3	2051,5

საქონელბრუნვის სტრუქტურის ინდექსი შეწონილია მიმოქცევის დროის საბაზისო მაჩვენებლებით.

საქონელბრუნვის სტრუქტურის ინდექსი უდრის:

$$I = \frac{2051,5}{2054,3} = 0,998 \text{ ანუ } 99,8\%$$

ცხრილიდან ჩანს, რომ საქონელბრუნვის სტრუქტურაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. საქონლის მიმოქცევის საბაზისო დროის პირობებში საანგარიშო და საბაზისო პერიოდების (I და II კვარტ.) საქონელბრუნვის სტრუქტურა თითქმის თანაბარი მოცულობის საქონლის მარაგს მოითხოვს, ამიტომ, ბუნებრივია, მიმოქცევის საშუალო დროის ინდექსზე აღნიშნულ ფაქტორს არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის შეადგენს ერთდღიური საქონელბრუნვის 100 მანეთზე სასაქონლო მარაგის ცვლილებას (ზრდას ან შემცირებას) აბსოლუტურ გამოსახულებაში.

ჩვენს მაგალითში იგი უდრის:

$$2054,3 - 2051,5 = 2,8 \text{ მან.}$$

მიმოქცევის საშუალო დროის ინდექსზე გავლენა იქონია მხოლოდ ცალკეული საქონელჯგუფების მიმოქცევის დროის ცვლილებამ. ამაზე მიგვანიშნებს ინდექსთა სისტემა:

$$\frac{\sum B_1 m_1}{\sum B_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0} = \frac{\sum B_1 m_1}{\sum B_0 m_1} \times \left( \frac{\sum B_0 m_1}{\sum B_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0} \right)$$

$$\frac{136}{105} : \frac{7,55}{5,10} = \frac{136}{155} \times \left( \frac{155}{105} : \frac{7,55}{5,10} \right)$$

$$1,30 : 1,48 = 0,877 \times (1,48 : 1,48)$$

$$0,877 = 0,877 \times 1,0$$

საქონლის მიმოქცევის სისწრაფის ინდექსების განანგარიშება

ა მ ო ხ ს ნ ა :

$$1. \bar{C}_0 = \frac{\sum C_0 Z_0}{\sum Z_0} = \frac{15665}{2390} = 6,5 \text{ ჯერ}$$

$$2. \bar{C}_1 = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum Z_1} = \frac{17549}{2515} = 6,97$$

$$3. \bar{B}_0 = \frac{\sum B_0 H_0}{\sum H_0} = \frac{2400}{174,5} = 13,73 \text{ დღე}$$

$$4. \bar{B}_1 = \frac{\sum B_1 H_1}{\sum H_1} = \frac{2515}{200} = 12,9 \text{ დღე}$$

ცხრილი 006.9

საქონელკატეგორიები	საქონელბრუნვა (ათ. მან.)		საქონლის საშუალო მარაგი (ათას მან.)		საქონელბრუნვის სისწრაფე		საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსები		ეროდლური ბრუნვა, ათ. მან.		მიმოქცევის დრო, დღეები		მიმოქცევის დროის ინდექსები
	III კვ.	IV კვ.	III კვ.	IV კვ.	III კვ.	IV კვ.	III კვ.	IV კვ.	III კვ.	IV კვ.	III კვ.	IV კვ.	
	$O_0$	$O_1$	$3_0$	$3_1$	$C_0$	$C_1$	$I_c = \frac{C_1}{C_0}$	$H_0$	$H_1$	$B_0$	$B_1$	$I_b = \frac{b_1}{b_0}$	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
ა	3185	3656	910	960	3,5	4,0	1,143	35,39	46,22	25,7	22,5	0,876	
ბ	5880	5353	490	505	12,0	10,6	0,883	65,33	59,47	6,66	8,5	1,276	
გ	4620	5600	330	350	14,0	16,0	1,143	51,33	62,22	6,40	5,6	0,875	
დ	1980	2940	660	700	3,0	4,2	1,40	22,0	32,66	30,00	21,4	0,713	
სულ	15665	17549	2390	2515	6,55	6,97	1,064	174,05	200,5	13,79	12,9	0,94	
	$\Sigma O_0$	$\Sigma O_1$	$\Sigma 3_0$	$\Sigma 3_1$	$\Sigma C_0$	$\Sigma C_1$		$\Sigma H_0$	$\Sigma H_1$	$\Sigma B_0$	$\Sigma B_1$		—

5. საქონლის მიმოქცევის საშუალო სისწრაფის ინდექსი (ცვალებადი შედგენილობის):

$$I_{\bar{c}} = \frac{C_1}{C_0} = \frac{6,97}{6,55} = 1,064 \text{ ანუ } 106,4\%$$

6. ფიქსირებული შედგენილობის ინდექსი:

$$I_c = \frac{\sum C_1 Z_1}{\sum C_0 Z_1} = \frac{17549}{6,5 \times 2515} = \frac{17549}{16473} = 1,064 \text{ ანუ } 106,4\%$$

7. სტრუქტურული ძვრების ინდექსი:

$$I_{\text{სტრ.}} = \left( \frac{\sum C_0 Z_1}{\sum C_0 Z_0} : \frac{\sum Z_1}{\sum Z_0} \right) = \frac{16473}{15665} : \frac{2515}{2390} = 1,051 : 1,051 = 1,0$$

ანუ 100%

8. საქონლის მიმოქცევის დროის ცვალებადი შედგენილობის ინდექსი:

$$I_{\bar{p}} = \frac{B_1}{B_0} = \frac{12,90}{13,74} = 0,94 \text{ ანუ } 94\%$$

9. საქონლის მიმოქცევის დროის ფიქსირებული შედგენილობის ინდექსი:

$$I_b = \frac{\sum B_1 H_1}{\sum B_0 H_1} = \frac{2515}{13,74 \times 195} = \frac{2515}{2679} = 0,94 \text{ ანუ } 94\%$$

10. საქონლის მიმოქცევის დროის სტრუქტურული ძვრების ინდექსი:

$$I = \left( \frac{\sum B_0 H_1}{\sum B_0 H_0} : \frac{\sum H_1}{\sum H_0} \right) = \frac{2678}{2391} : \frac{195,0}{194,0} = 1,12 : 1,12 = 1,0 \text{ ანუ } 100\%$$

საქონლის მიმოქცევის საშუალო სისწრაფის ცვალებადი შედგენილობის ინდექსი უდრის მიმოქცევის სისწრაფის ფიქსირებული შედგენილობისა და მარაგის სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსთა ნამრავლს

$$I_{\bar{c}} = I_c \times I_{\text{სტრ.}}$$

$$1,064 = 1,064 \times 1,0$$

საქონლის მიმოქცევის დროის ცვალებადი შედგენილობის ინდექსი უდრის მიმოქცევის დროის ფიქსირებული შედგენილობის და საქონელბრუნვის სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსთა ნამრავლს:

$$I_{\bar{p}} = I_b \times I_{\text{სტრ.}}$$

$$0,94 = 0,94 \times 1,0.$$



**ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო :**

ა მ ო ც ა ნ ა 1. სავაჭრო ორგანიზაციის საცალო საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის შესახებ წლის ცალკეული კვარტალების მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ც ხ რ ი ლ ი 6.10

კვარტალები	დაკრედიტებული საცალო საქონელბრუნვა (ათას მან.)	მიმდინარე შენახვის სასაქონლო მარაგი კვარტალის ბოლოსათვის (ათ. მან.)	სასაქონლო მარაგის ნორმატივი (დღეები)
I	2610	1740	58
II	2700	1770	56
III	2880	1952	57
IV	2970	1782	52

განსაზღვრეთ: 1. თითოეული კვარტალის ბოლოსათვის საქონლის მარაგით ფაქტიური უზრუნველყოფა (დღეებში);  
2. ზენორმატიული (ან არასაკმარისი) სასაქონლო მარაგი თითოეული კვარტალის ბოლოსათვის (დღეებსა და თანხებში).

პ ა ს უ ხ ი: 1) ფაქტიური უზრუნველყოფა (დღ.) შესაბამისად: 51; 59; 61; 54. 2) I კვ. — 7; II კვ. +3; III კვ. +4; IV კვ. +2 თანხებში შესაბამისად.

I კვ. — 203 ათ., II კვ. — 90 ათ., III კვ. +128 ათ., IV კვ. +66 ათ.

ა მ ო ც ა ნ ა 2. სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით მიმდინარე წლის II კვარტალის თითოეული თვის დასაწყისისათვის საქონლის მარაგი შეადგენს (ათ. მან.):

ც ხ რ ი ლ ი 6.11

საქონლის ჯგუფები	საქონლის მარაგი			
	1/IV	1/V	1/VI	1/VII
სასურსათო საქონელი	260	280	290	250
არასასურსათო საქონელი	420	440	480	470

განსაზღვრეთ საშუალო კვარტალური მარაგი:

- ა) სასურსათო საქონლის მიხედვით
- ბ) არასასურსათო საქონლის მიხედვით
- გ) ორივე ჯგუფისა ერთად.

პ ა ს უ ხ ი: ა) 275 ათას, ბ) 455 ათას, გ) 730 ათას.

ა მ ო ც ა ნ ა 3: მიმდინარე წლის III და IV კვარტალებში სავაჭრო საწარმოს მიხედვით საქონელბრუნვის მოცულობისა და სასაქონლო მარაგის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები (ათ. მან.)

პერიოდი	საჯალო საქონელბრუნვა	საქონლის საშუალო მარაგი
III კვარტ.	120	30
IV კვარტ.	125	25

განსაზღვრეთ, როგორ შეიცვალა (პროცენტობით) საქონელბრუნვის სისწრაფე IV კვარტალში III კვარტალთან შედარებით ბრუნვათა რაოდენობაში და ბრუნვადღეებში.

პასუხი: ა) ბრუნვათა რაოდენობაში +25%; ბ) ბრუნვადღეებში — 20%.

ამოცანა 4. მიმდინარე წლის I კვარტალში გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სავაჭრო საწარმოს საქონლის საშუალო მარაგი შემცირდა 15%-ით, ხოლო საქონელბრუნვის სისწრაფე 30%-ით გაიზარდა.

განსაზღვრეთ რამდენი პროცენტით გაიზარდა საქონელბრუნვა.

პასუხი: 10,5%-ით.

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების  
სტატისტიკა**

**§ 1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების  
ორგანიზაციის და სტატისტიკის ამოცანები**

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და წინსვლის საქმეში დიდ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა, რომელიც წარმოადგენს მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესების საფუძველს.

ყოველი ხუთწლიანი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, მისი განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა, რათა უფრო უკეთ დაკმაყოფილდეს მოსახლეობა კვების პროდუქტებით და მრეწველობა — ნედლეულით.

სახალხო მეურნეობის დარგებისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადების გადიდებას. დამზადება ეწოდება სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას ამ პროდუქტების უშუალო მწარმოებლებისაგან (საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, აგრეთვე კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც აქვთ პირადი დამხმარე სოფლის მეურნეობა).

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვების მეშვეობით ხორციელდება სოციალისტურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის საწარმო-ეკონომიკური კავშირი. შესყიდვებისათვის. როგორც საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგისათვის, დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. შესყიდვები ხდება მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა;
2. შესყიდვები წარმოებს მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უშუალო მწარმოებელთაგან (საბჭოთა მეურნეობებიდან, კოლ-

მეურნეობებიდან, აგრეთვე, კოლმეურნეებიდან, მუშებისა და მოსამსახურეებიდან, რომელთაც აქვთ თავიანთი პირადი დამხმარე მეურნეობა);

3. შესყიდვები წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ. მაშასადამე, დამზადებებს არ მიეკუთვნება სათბობის, სამშენებლო მასალის და სხვა არასასურსათო საქონლის შესყიდვა, პროდუქტების შესყიდვა დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციებიდან.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს დიდ სახელმწიფო საქმეს. დამზადებების მეშვეობით ხდება მოსახლეობის მომარაგება სურსათით და მრეწველობის (მსუბუქი და კვების მრეწველობის) უზრუნველყოფა ნედლეულით. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავლისა და სასურსათო და არასასურსათო საქონლის სახელმწიფო რეზერვების გადიდებისა და შეესების წყაროს.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ზრდა, მისი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, აგრეთვე, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების გადიდება აუცილებელს ხდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გადიდებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის ძირითად ფორმას და სასაქონლო რესურსების შექმნის წყაროს.

გარდა ამისა სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის მეორე ნაწილის რეალიზაცია ხდება საკოლმეურნეო ბაზრისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობის მეშვეობით.

შესყიდვები იყოფა ორ ნაწილად:

1. სახელმწიფო შესყიდვები, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო გეგმების მიხედვით მეურნეობის ყველა კატეგორიიდან და 2. სავაჭრო ორგანიზაციების შესყიდვები, რომლებიც ხორციელდება საქონელბრუნვის გაშლის მიზნით კოლმეურნეობებიდან და მოსახლეობის დამხმარე მეურნეობებიდან.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვების ძირითადი ნაწილი ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ფორმით. ამგვარი შესყიდვები ქმნის სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სახელმწიფო რესურსებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვები წარმოებს ერთიანი გეგმის მიხედვით.

სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში ყოველთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოცულობა იმ ოდენობით, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად კვების პროდუქტებით და მრეწველობის უზრუნველსაყოფად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით. ამ დავალებიდან გამომდინარე და თავიანთი მოთხოვნილებების მხედველობაში მიღებით კოლმეურნეობები თვითონ აწესებენ ნათესი ფართობების სიდიდესა და სტრუქტურას, პირუტყვის რაოდენობასა და მის პროდუქტიულობას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვები დიდ გავლენას ახდენენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე, მუშათა კლასისა და საკოლმეურნეო გლეხობის ურთიერთობაზე. „სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მიზნად უნდა ისახავდეს დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას საკოლმეურნეო ეკონომიკის ყოველი ღონისძიებით აღმავლობის საფუძველზე. დამზადებათა დაგეგმვა შეხამებულ უნდა იქნეს კოლმეურნეობათა საწარმოო-სამეურნეო გეგმებთან, ამასთან ზუსტად ითვალისწინებდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტერესებს, მის სწორ განლაგებასა და სპეციალიზაციას“<sup>1</sup>.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შედგენითა და მათზე ერთიანი ფასების დაწესებით სახელმწიფო გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაზე და მატერიალურად აინტერესებს მათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამა თუ იმ დარგის გაფართოებაში. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება მათი სწორი ორგანიზაციის პირობებში ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გაღრმავებას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგის სწორად გადაადგილებას ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონებისა და რაიონების მიხედვით.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს ქალაქსა და სოფელს შორის ორგანიზებულ საქონელბრუნვის ფორმას, სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის, ქალაქის მოსახლეობის, სამრეწველო ცენტრებისა და გადამამუშავებითი მრეწველობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით (სურსათით და ნედლეულით) მომარაგების წყაროს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება შესაძლებლობას აძლევს სახელ-

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962, გვ. 471—472.

მწიფოს შექმნას სურსათისა და ნედლეულის ცენტრალიზებული რესურსები მოსახლეობისა და მრეწველობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების გეგმაზომიერი დაკმაყოფილებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სტატისტიკა სწავლობს იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების პროცესში. ამ მიზნით სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სტატისტიკა ამუშავებს სტატისტიკური დაკვირვებისა და აღრიცხვის მეთოდოლოგიას, სტატისტიკური ცნობების შეგროვების, სტატისტიკური მასალის თავმოყრისა და მიღებული მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიას, უმთავრესად სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების აღრიცხვისა და კონტროლის მეთოდოლოგიას. სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, თავმოყრისა და ანალიზის საკითხებს დამზადების სტატისტიკა ამუშავებს, სტატისტიკის ზოგადი თეორიის ძირითადი დებულებებისა და მეთოდების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასთან შეხამებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სტატისტიკის წინაშე დასახულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მოცულობის განსაზღვრა პროდუქტების ცალკეული სახეების, მეურნეობის კატეგორიების, მიღების წყაროების (საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, მოსახლეობა) და ტერიტორიული ერთეულების (რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების) მიხედვით;

2. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესრულების დახასიათება, ამ გეგმების შესრულების სისტემატური შემოწმება და ოპერატიული ხელმძღვანელობა;

3. დამზადების სტრუქტურის შესწავლა დამზადებული პროდუქტების სახეების, მიღების წყაროებისა და ტერიტორიების მიხედვით;

4. დამზადებული პროდუქტის ხარისხის შესწავლა და დახასიათება;

5. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დინამიკის შესწავლა ადმინისტრაციული რაიონების, ოლქების, მხარეების, რესპუბლიკების და მეურნეობის კატეგორიების მიხედვით;

6. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე არსებული შესყიდვისა და დამზადების ფასების დონისა და დინამიკის შესწავლა და ანალიზი;

7. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ხარჯების დონისა და დინამიკის შესწავლა საერთო და წმინდა პროდუქციისა და დამამზადებელი ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლების დახასიათება;

8. დამამზადებელი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესწავლა (ელევატორულ და სასაწყობო მეურნეობის სხვა საშუალებების დახასიათება).

1958 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სტატისტიკა წარმოებს ცენტრალიზებულად სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მიერ. ამ ორგანოების ძირითად ამოცანას შეადგენს დროულად მიაწოდოს ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს სტატისტიკური ცნობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სტატისტიკური ორგანიზაციები აგროვებენ და ამუშავებენ დამამზადებელი ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშებს, აკეთებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წლიურ ჯამებს და ამუშავებენ დამამზადებელი ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებს.

**§ 2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადების ფორმები  
ჩვენი ძველის განვითარების ხსენებითაა ნათქვამი**

ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელ მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადების ფორმები სისტემატურად იცვლებოდა. მათი შეცვლა ხდებოდა ეკონომიკური ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების მიუხედავად დამამზადება ყოველთვის რჩებოდა სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გეგმაზომიერი, ორგანიზებული მიღების ძირითად წესად მოსახლეობის მომარაგებისათვის სურსათით და მრეწველობის უზრუნველყოფისათვის ნედლეულით. ისინი ხელს უწყობდნენ ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებას.

ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც სასურსათო მდგომარეობა ქვეყანაში უკიდურესად მძიმე იყო, პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფო დამამზადების ძირითად ფორმას სასურსათო გაწერა წარმოადგენდა. ერთპიროვნული გლეხები სავალდებულო წესით აბარებდნენ სახელმწიფოს პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთელ ნამეტს. აკრძალული იყო თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა. სასურსათო გაწერა, რომელიც წარმოადგენდა გლეხობაში არსებული სურსათის ნამეტის უნაცვალგებოდ (უსასყიდლოდ) გასხვისებას, იყო იძულებითი ღონისძიება. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებით (1921 წ.) სასურსათო გაწერა შეიცვალა სასურსათო გადასახადით. სასურსათო გადასახადის შემოღებით ერთპიროვნული გლეხები სავალდებულო წესით აბარებდნენ სახელმწიფოს მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სა-

მეურნეო პროდუქტების მხოლოდ ნაწილს, ხოლო მთელ ნამეტს ფლობდნენ თავისუფლად, აწარმოებდნენ რა მის რეალიზაციას ბაზარზე. სასურსათო გადასახადის შემოღებამ დადებითი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რამდენადაც გლეხობა უფრო მეტად იყო დაინტერესებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით.

1924 წელს სასურსათო გადასახადი შეიცვალა ფულადი გადასახადით. სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის სახელმწიფო დამზადება ტარდებოდა გლეხობისაგან პროდუქტების საბაზრო შესყიდვის წესით სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ. გლეხობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების საბაზრო შესყიდვები არსებობდა 1928 წლამდე. ამ პერიოდისათვის ჩვენს ქვეყანაში მოხდა დიდი ცვლილებები. სახალხო მეურნეობის აღდგენა დამთავრებული იყო. შეიცვალა თანაფარდობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის მრეწველობის ხვედრითი წონის გადიდების მიმართულებით. სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანოებმა დაიკავეს გაბატონებული მდგომარეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების არსებული წესი (პროდუქტების საბაზრო შესყიდვები მცირე პარტიობით) უკვე ვეღარ უპასუხებდა შეცვლილ ეკონომიკურ პირობებს და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანებს.

1928 წლის დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სერიოზული სიძნელეები პურის დამზადების მხრივ, რაც განპირობებული იყო სასაქონლო პურის წარმოების ჩამორჩენით. პარტიის XV ყრილობამ მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე თანდათანობით გადასვლის შესახებ.

საარსებო ეკონომიკურ ამოცანად იქცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება უფრო მტკიცე საგეგმო საწყისებზე. ამ მიზნით 1928/29 წლებში შემოღებულ იქნა პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაცია. საკონტრაქტაციო დამზადებას მიეკუთვნებოდა დამზადებანი, რომლებიც ხდებოდა განსაკუთრებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე. კოლმეურნეობები და ერთპიროვნული გლეხები წინასწარ დებდნენ ხელშეკრულებას სახელმწიფო ორგანიზაციებთან, რომლის თანახმადაც ისინი ვალდებულებას იღებდნენ ეწარმოებიათ და დაწესებულ პირობებში ჩაებარებიათ (მიეყიდათ) სახელმწიფოსათვის განსაზღვრული რაოდენობისა და სათანადო ხარისხის პროდუქტები. დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებული იყვნენ მიეღოთ პროდუქტები და ზემოქმედება მოეხდინათ გლეხობაზე მისი წარმოებისათვის (გამოეყოთ თესლი, მანქანები, სასუქები, გაეწიათ აგრონომიული დახმარება და ა. შ.). კონტრაქტაცია იყო ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დამზადების ყოველსმომცველა



ფორმა რეკონსტრუქციის პერიოდში (1928—1933). იგი აჩვენებდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დამთავრებას, შექმონდა რა განზოგადების ელემენტები არა მარტო გასაღების დარგში, არამედ უშუალოდ გლეხურ წარმოებაშიც. სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებასთან ერთად დაინერგა ხორცის, რძის (1932 წლის ბოლოდან), შემდეგ კი ხორბლის, ზეთოვანი კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის (1933 წლის დასაწყისიდან) სავალდებულო დამზადებანი. ტექნიკურ კულტურებზე შენარჩუნებულ იქნა კონტრაქტაციის ფორმა.

სავალდებულო დამზადების სისტემამ შესაძლებლობა მოგვცა მტკიცედ განგვესაზღვრა კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული გლეხების ვალდებულებანი მარცვლეულის, ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ. ამ სისტემის გამოყენებისას სახელმწიფო უფრო მეტად იყო უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ვიდრე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებისას. პირველ ხანებში სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშების საფუძველი იყო თესვის გეგმა და პირუტყვის სულადობა. მაგრამ ამგვარი წესის დროს კოლმეურნეობები არ იყვნენ დაინტერესებული წარმოების გეგმის გაფართოებით და ახალი მიწების ათვისებით, ამიტომ 1940 წლიდან შემოიღეს სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშების პექტარობრივი პრინციპი: მინდვრის კულტურების მიხედვით — ნახნავის ფართობიდან და მეცხოველეობის პროდუქტების მიხედვით — სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან. დამზადების ეს ახალი წესი ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დაარსებიდან სახელმწიფო დამზადების ერთ-ერთი ფორმა იყო კოლმეურნეობებში მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოების ნატურანაზღაურება. აბარებდნენ რა პროდუქტებს ნატურანაზღაურების ანგარიშში. კოლმეურნეობები ამით ალადგენდნენ ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯებს, რაც გაწეული იყო მტს-ების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის.

ომის შემდგომ პერიოდში პარტია და მთავრობა კვლავ აგრძელებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ძველ ფორმებსა და მეთოდებს. მტს-ების რეორგანიზაციისა და კოლმეურნეობებზე ტექნიკის მიყიდვის შემდეგ გაუქმდა სავალდებულო ჩაბარებები და მტს-ების ნატურანაზღაურება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებანი კოლმეურნეობებში წარმოებდა სახელმწიფო შესყიდვების წესით ერთიან ფაბეში, რომლებიც დიფერენცირებულ იქნა ქვეყნის ზონების მიხედვით. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სახელმწიფოს მომარაგებაში კოლმეურნეობების მონაწილეობის გან-

სახელმწიფოს და პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის გამოანგარიშებისას კვლავ რჩებოდა პექტარობრივი პრინციპი.

უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ყველაზე საუკეთესო ფორმად აღიარებულია კონტრაქტაცია, რომელიც შემოღებულ იქნა 1961 წლიდან.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვების სისტემის გაუმჯობესების საკითხებს. საქმე იმაში იყო, რომ დამზადებების არსებული სისტემა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ აძლევდა შესაძლებლობას სწორად დაეგემათ თავიანთი წარმოება, შექონდა მერყეობა მუშაობაში. შესყიდვების გეგმა საწარმოებამდე დაყავდათ მხოლოდ ერთი წლისათვის, ხშირად დიდი დაგვიანებით. ეს გეგმები დამზადების მსვლელობაში ხშირად იცვლებოდა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეძლეოდათ დამატებითი დავალებანი, რომლებიც აღემატებოდა გეგმურს. ამგვარმა პრაქტიკამ დიდი ზარალი მიიყენა სახელმწიფოს და გარკვეულად შეარყია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უფრო მყარ გეგმებზე გადასვლა რამდენიმე წლისათვის. მათში შეხამებული უნდა ყოფილიყო საერთო-სახელმწიფოებრივი და შიდასამეურნეო ინტერესები.

სტაბილური გეგმები რიგი წლებისათვის ქმნის რწმენას მუშაობაში, შესაძლებლობას გეაძლევს სწორად დაეგეგმოთ საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის პერსპექტივები, გზას უხსნის სპეციალისტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ინიციატივას. შესყიდვის მყარი გეგმები გარანტიას იძლევა სახელმწიფომ განუწყვეტლივ მიიღოს პროდუქტების მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმნიშვნელოვანეს სახეობათა მიყიდვა გასულ ხუთწლეულში ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით:

ტ ბ რ ი ლ ი 7.1

პროდუქცია	წ ლ ე ბ ი				
	1970	1975	1976	1977	1980
მარცვლეული მლნ ტ.	73,3	50,2	92,1	68,0	69,4
პირურყვი და ფრინველი (ყოცხალი წონა) მლნ ტ.	12,6	16,8	15,1	16,3	15,9
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით) მლნ ტ.	24,7	36,3	56,2	60,8	57,2
კვარცხი (მლრდ ცალი)	18,1	33,1	32,9	36,8	43,1

დამზადების მყარი გეგმების დაწესებასთან ერთად 1965 წლიდან გადიდებულია შესყიდვის ფასები: ხორბალზე, ქვავზე, შერიაზე, ქერზე, ბრინჯზე, ბურღულზე, ფეტვზე და ზოგიერთ სხვა მარცვლეულ კულტურაზე. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის გეგმური მიყიდვისათვის ფასები ხორბალსა და ქვავზე გადიდებულია 50%-ით.

დაწესებულია, აგრეთვე, ზეთოვანი კულტურების თესლის, კარტოფილის, შაქრის ჰარხლის, ბამბის ნედლეულის და სხვ. პროდუქტების შესყიდვის გეგმები 1981—1985 წლებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით. ხორბლისა და სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმები დაწესებულია წლების მიხედვით და დაყვანილია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებამდე.

ამასთან ერთად, სახელმწიფო ასტიმულირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გეგმურ თავისუფალ შესყიდვას წინასწარ დადგენილ მტკიცე ფასებში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავისუფალი გაყიდვის გაფართოება ხელს უწყობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ინიციატივის განვითარებას. ახლა მეურნეობას შეუძლია მნიშვნელოვნად გააღიძოს პურისა და სხვა პროდუქტების წარმოება, ხოლო სახელმწიფოს შეუძლია იყიდოს გაცილებით მეტი, ვიდრე წინათ. ამავდროს საწარმოს რჩება მეტი ხორბალი საშინაო მოხმარებისათვის, რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის აღმავლობას.

სკკპ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, შესყიდვის ფასების გადიდებისა და სხვა ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ წლებში საკმაოდ გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რამაც უზრუნველყო, აგრეთვე, მათი შესყიდვის მნიშვნელოვანი ზრდა.

## **§ 2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღმავლების აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაცია**

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება აღი-  
რიცხება ნატურალურ და ფულად გამოსახულებაში. შესყიდვები უმე-  
ტესწილად ატარებს სეზონურ ხასიათს. ბოსტნეულის შესყიდვები დამ-  
თავრებულ უნდა იქნეს ზამთრის დადგომამდე, რადგანაც ზამთარში  
ბოსტნეულის გადაზიდვისას შესაძლებელია მოხდეს მისი გაყინვა, რძის  
უმეტესი რაოდენობა კი — გაზაფხულ-ზაფხულის თვეებში, როცა წვე-  
ლადობა ყველაზე მაღალია. ამ პერიოდების მხედველობიდან გაშვება  
გამოიწვევს შესყიდვების წლიური გეგმების ჩაშლას. ამის გამო შეს-  
ყიდვების გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე საჭიროა ყველაზე სას-  
წრაფო და ოპერატიული დაკვირვების წარმოება. შესყიდვების თითქ-  
მის ყველა სახეობის მიხედვით დაწესებულია ხუთდღიური ან ათდღიუ-  
რი სატელეგრაფო ანგარიშგება. დამამზადებელ პუნქტებში პროდუქ-

ციის მიღების შესახებ ცნობები მოცემულია მზარდ ჯამებში დამზადების სეზონის დაწყებიდან. ეს სეზონი მეცხოველეობის პროდუქტების მიხედვით იწყება 1 იანვრიდან (კალენდარული წელი), ხოლო შემცენარეობის პროდუქტების მიხედვით — 1 ივლისიდან (სასოფლო-სამეურნეო წელი). დამზადების შესახებ ანგარიშგება მზარდ ჯამებში შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ შესყიდვების წლიური გეგმის შესრულების პროცენტი ყოველი თარიღისათვის. ამ მეთოდის მოხერხებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი დაზუსტების შეტანა მზარდ ჯამებში შეიძლება შეცდომების აღმოჩენისთანავე.

სტატისტიკური ანგარიშგება შესყიდვების მიმდინარეობის შესახებ წარმოებს ჩათვლით წონებში. ანგარიშგება მარაგის შესახებ, დამზადებული პროდუქციის გადმოტვირთვისა და პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით სასაქონლო ბალანსები დგება ფიზიკურ წონაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების აღრიცხვის პირველად დოკუმენტს წარმოადგენს მისაღები ქვითარი, რომელიც დგება დამამზადებელ პუნქტში ყოველ ოპერაციაზე (ე. ი. ჩამბარებლის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყოველ მიღებაზე). ზოგიერთ პროდუქტზე (კვერცხი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი), რომელთა შესყიდვაც ხდება კოლმეურნეობის, მუშების, მოსამსახურეების და სხვა მოქალაქეებისაგან, მიღების ქვითარი იცვლება შესყიდვის უწყისით. მისაღები ქვითრის ფორმა და შინაარსი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სხვადასხვა სახეობაზე სხვადასხვანაირია, რაც დაკავშირებულია შესყიდული პროდუქციის შედარებით სრული დახასიათების მიღების აუცილებლობასთან. პროდუქტები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან თავიანთი ბუნებით, წარმოშობით და სხვა ნიშნებით. ამიტომ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისას გამოიყენება სხვადასხვა მისაღები ქვითარი. თუმცა ყველა მისაღებ ქვითარს აქვს შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტები: ჩამბარებლის დასახელება (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, დამხმარე მეურნეობა), რაიონი, პროდუქციის დასახელება, წონა ან რაოდენობა, ხარისხი, ფასი და თანხა. იგივე რეკვიზიტებია მოცემული ინდივიდუალური გამყიდველების შესყიდვის უწყისებზე იმ შემთხვევებში, როდესაც მიღების ქვითრები არ დგება.

მისაღები ქვითრები დგება სამ ცალად, რომელთაგან ერთი გაიცემა ჩამბარებელზე (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა), მეორე რჩება დამამზადებელ პუნქტში, ხოლო მესამე თან ერთვის ანგარიშგებას, რომელიც იგზავნება რაიონსპექტურაში.

მისაღები ქვითრების ზემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო რეკვიზიტები აუცილებელია დამზადების მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა შემდგომი თავმოყრისა და დაჯგუფებისათვის. დამამზადებელ პუნქტებ-

ში შემოსული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა პასუხობდეს სტანდარტულობის გარკვეულ მოთხოვნებს (მაგალითად, კარტოფილის მიწიანობა უნდა იყოს არა უმეტეს 1%-ისა, მატყლს უნდა ჰქონდეს წმინდა ბოჭკოს გამოსავლიანობის განსაზღვრული საბაზისო ნორმა, ტყავის ნედლეული უნდა იყოს პირველი ხარისხის და ა. შ. თუ გაყიდული პროდუქცია თავისი ხარისხობრივი ნიშნებით მაღალია დაწესებულ ნორმაზე, მაშინ იგი შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში მიიღება მეტი წონით მის ფიზიკურ წონასთან შედარებით, დაბალი ხარისხის პროდუქცია კი — შემცირებული წონით.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების აღრიცხვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს შესყიდული პროდუქტების წონის განსაზღვრას.

შესყიდვების სახელმწიფო გეგმა ყოველი პროდუქციის მიხედვით დგება ხარისხის საშუალო სტანდარტზე გაანგარიშებით. ამიტომ ფიზიკური ანუ ფაქტიური წონა არ შეიძლება უშუალოდ ჩათვალოს გეგმის შესრულებაში. საჭიროა იგი გაანგარიშებულ იქნეს გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მიხედვით.

ამ საფუძველზე სტატისტიკაში ერთიმეორისაგან ასხვავებენ შესყიდული პროდუქტების ფიზიკურ ანუ ფაქტიურ წონასა და ჩათვლით წონას. ფიზიკური წონა განისაზღვრება მოცემული პროდუქციის აწონვის გზით იმ სახით, რა სახითაც იგი მიტანილია დამამზადებელ პუნქტში, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია მისი ხარისხობრივი ნიშნები. ჩათვლითი წონა ეწოდება პროდუქციის წონას, რომელიც გაანგარიშებულია ხარისხის საშუალო სტანდარტზე, რომელიც შესყიდვების გეგმით არის გათვალისწინებული. თუ შესყიდულია უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, მაშინ ფაქტიურ წონას ემატება დაწესებული წანამატი. თუ შესყიდულია უფრო დაბალი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, მაშინ ფაქტიურ წონას აკლდება დაწესებული დათმობა.

ფიზიკური ანუ ფაქტიური წონის ჩათვლით წონაზე გადაანგარიშების წესის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი მაგალითები:

1. ვთქვათ კრლმეურნეობამ დამამზადებელ პუნქტში მიიტანა 100000 კგ ხორბალი. ლაბორატორიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხორბალს აქვს ტენიანობა 18% (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15%-ისა) და სარეველიანობა 3% (ნაცვლად 1%-ისა). როგორც ვხედავთ, ხორბლის შესყიდულ პარტიას დაწესებულ ნორმაზე მეტი აქვს ტენიანობა 3%-ით და სარეველიანობა 2%-ით. ნორმისაგან საერთო გადახრა ორივე მაჩვენებლის მიხედვით შეადგენს 5%. სწორად ამ სიდიდის მიხედვით უნდა მოხდეს ხორბლის ფიზიკური წონის შესწორება (ამ შემთხვევაში

შემცირება). იგი უდრის  $95\ 000$  კგ  $\left( \frac{100000 \times 95}{100} \right)$ .

2. ვთქვათ, კოლმეურნეობამ დამამზადებელ პუნქტში მიიტანა 300 ტ. კარტოფილი 3%-იანი მიწიანობით. მიწიანობის საგეგმო ნორმა კარტოფილისათვის არის 1%, ფაქტიური მიწიანობა ნორმაზე მეტია 2%-ით (3—1). კარტოფილის მოცემული პარტიის ჩათვლითი წონა იქნება 294 ტ.

$$\left( \frac{300 \times 98}{100} \right).$$

სახელმწიფო დამზადების პრაქტიკაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზოგიერთ სახეობათა მიხედვით შესყიდვების მოცულობა დგინდება დაწესებული კოეფიციენტების საფუძველზე. მაგალითად, ხორცის შესყიდვა (დაკვლითი წონით) გადაიანგარიშება ცოცხალ წონაზე; რძის პროდუქტების (კარაქი, არაჟანი, ხაჭო და სხვ.) შესყიდვა გადაიანგარიშება რძეზე კილოგრამებში; სხვადასხვა ხარისხის ტყავის ნედლეული გადაიანგარიშება პირველი ხარისხის ერთეულებში; გაურეცხავი მატყლი გადაიანგარიშება წმინდა ბოჭკოზე და ა. შ.

სტატისტიკური მონაცემები შესყიდვების მიმდინარეობის შესახებ ჯამდება რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით. ნაკრები ანგარიშგება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით გვიხსნიათებს არა მარტო შესყიდვების მოცულობას, არამედ მიღებული პროდუქციის ხარისხსაც.

რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების მიხედვით პირუტყვის შესყიდვის ანგარიშგებაში პირუტყვი დაჯგუფებულია შემდეგ სახეობად:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და კამეჩები ხბოსა და მოზარდის გამოყოფით;
2. ცხვარი და თხა
3. ღორი
4. გოჭი
5. კურდღელი
6. შინაური ფრინველი
7. ცხენი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აგრეთვე ცხვარი და თხა ჯგუფდება ნასუჭი სახეების მიხედვითაც (უმალღესი, საშუალო, საშუალოზე დაბალი).

ღორები ჯგუფდება ოთხ სახეობად: საბეკონე, საქონე, სახორცე და არასტანდარტული.

პირუტყვის ამგვარი დაწერილებითი კლასიფიკაცია ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი ხარისხის შესახებ.

ანგარიშგება რაიონისა და ოლქის მიხედვით დგება ცენტრერებში ცოცხალი წონით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით — ტონებში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყველა სახეობის შესყიდვა ნაკრებ ანგარიშგებაში ჩავთვლება წყაროების მიხედვით:

1. შესყიდვები საბჭოთა მეურნეობებიდან;
2. შესყიდვები სხვა სახელმწიფო მეურნეობებიდან (საცდელი სადგურებიდან, ექსპერიმენტული მეურნეობებიდან და სხვ.);
3. შესყიდვები კოლმეურნეობებიდან;
4. შესყიდვები კოლმეურნეებიდან და სხვა ინდივიდუალური მეურნეობიდან.

დაჯგუფებანი შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ ცალკეული მეურნეობის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაში.

დამამზადებელი ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც პროდუქტებს ღებულობენ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მოსახლეობისაგან ადგენენ სტატისტიკურ ანგარიშგებას დამზადებათა შესახებ და აგზავნიან მას სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ ინსპექტურაში.

ანგარიშგებაში მონაცემები სახელმწიფო დამზადებათა გეგმის შესრულების შესახებ ნაჩვენებია მზარდ ჯამებში: მემცენარეობის პროდუქტების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წლისათვის (1 ივლისიდან 30 ივლისამდე), ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების მიხედვით — კალენდარული წლისათვის (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

დამამზადებელი ორგანიზაციები განსაზღვრული ტაბელის მიხედვით ადგენენ მიმდინარე ანგარიშგებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ. ანგარიშგების ვადები და პერიოდულობა დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სეზონურობის მხედველობაში მიღებით. მაგალითად, პურის მიმღები პუნქტები ანგარიშგებას მარცვლული კულტურების, ზეთოვანი კულტურების თესლის, ბალახების თესლის და თივის დამზადების შესახებ მარცვლულის მასობრივი დამზადების პერიოდში (მაგრამ არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში) ადგენენ ყოველდღიურად, ხოლო დანარჩენ დროში (1 იანვრამდე) დეკადების მიხედვით. ანგარიშგებანი მიწათმოქმედების პროდუქტების დამზადების შესახებ წარედგინება მათი დამზადების პერიოდში, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების მიხედვით — მთელი წლის განმავლობაში.

ანგარიშგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ დგება ადმინისტრაციული რაიონებისა და მეურნეობის ცალკეული კატეგორიების (პროდუქციის ჩამბარებლების — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების,

მოსახლეობის, კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების) მიხედვით<sup>1</sup>.

რაიონული ინსპექტურები დამამზადებელი ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშგების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირად ანგარიშებში გაკეთებულ ჩანაწერთა საფუძველზე ადგენენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ (ნაკრებ) ანგარიშგებას სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ნაკრები ანგარიშგება დგება ყოველი პროდუქტის მიხედვით და მისი მონაცემები ტელეგრაფით გადაეცემა ოლქის, მხარის ან ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების შესახებ დეტალური მონაცემები იმავდროულად წარედგინება რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს.

გარდა მიმდინარე ანგარიშგებისა, დამამზადებელი ორგანიზაციები და რაიონული ინსპექტურები ადგენენ წლიურ ანგარიშებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების შესახებ.

ოლქის, მხარის ან ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკური სამმართველოები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების შესახებ რაიონული ინსპექტურებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე ადგენენ ნაკრებ ანგარიშებს და უდგენენ მას საოლქო (სამხარეო) ხელმძღვანელ ორგანოებსა და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ დეტალურად ამუშავენ მიღებულ მასალას რესპუბლიკების მიხედვით, ადგენენ სინთეზურ ანგარიშგებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების შესახებ და აგზავნიან მას რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშგება დაკისრებული აქვს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

#### **§ 4. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებლის დინამიკა და მისი განსაზღვრის მეთოდები**

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადების სტატისტიკა სწავლობს არა მარტო დამამზადებელ მოცულობასა და სტრუქტურას, არამედ მათ დინამიკასაც.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადების ფიზიკური მოცულობის ცვლილების შესწავლა ხდება საინდექსო მეთოდის გამოყენებით. ეს ინდექსები შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს შესყიდული

<sup>1</sup> რაიონული ორგანიზაციებისადმი გაგზავნილ ანგარიშგებაში შესყიდვები ნაჩვენებია ყოველი კოლმეურნეობის მიხედვით ცალ-ცალკე.



პროდუქტების ცალკეული სახეების, პროდუქტთა ჯგუფების და მთელი დამზადებული პროდუქციის მიხედვით. ინდექსები გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება შესყიდული პროდუქციის მოცულობა მეურნეობის დარგებისა და კატეგორიების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად იზრდება. დამზადების ზრდის მაღალი ტემპები განპირობებულია მეურნეობის სოციალისტური სისტემით, წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებით და საკოლმეურნეო წარმოების მეცნიერული ორგანიზაციით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადების ზრდის ტემპებზე 1940—1980 წლებში შეიძლება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მემცენარეობის და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების მონაცემთა მიხედვით (იხ. ცხრ. 7.2).

ცხრილი 7.2

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვება  
(უველა კატეგორიის მეურნეობაში, ათ. ტ.)<sup>1</sup>

	1932	1940	1965	1970	1975	1979	1980
<b>მიწათმოქმედების პროდუქტები</b>							
1. მარცვლეული კულტურები	—	34,7	71,9	100,4	203,6	167,3	183,5
2. შაქრის კარხალი	6,6	70,7	123,6	122,4	134,4	112,5	162,2
3. მზესუმზირა	—	2,7	11,3	8,0	10,2	5,0	6,4
4. თამბაქო	9,0	11,8	17,9	16,1	15,6	13,0	16,8
5. ეთერზეთოვანი კულტურები	12,6	18,8	13,1	16,6	27,6	16,3	—
6. კარტოფილი	—	19,0	58,6	68,1	101,7	189,2	172,4
7. ბოსტნეული	—	22,9	100,9	156,5	215,2	315,6	324,6
8. კურკოვანისა და თელევის ნაყოფი (ციტრუსების გარდა)	10,0	11,9	104,5	225,1	267,2	406,8	451,9
9. ციტრუსები	0,7	23,3	31,8	93,5	147,7	263,0	128,2
10. ყურძენი	25,2	35,5	244,8	391,8	408,8	577,4	801,0
11. ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	1,6	51,3	186,1	258,9	334,6	454,3	501,8
12. დაფნის ფოთოლი	0,6	1,1	3,7	4,1	6,2	5,8	—
13. ტუნგოს ნაყოფი	—	3,1	3,3	12,0	13,1	9,7	—
<b>მეცხოველეობის პროდუქტები</b>							
14. საქონელი და ფრინველი (ყოცხალი წონით)	6,7	20,7	52,8	73,8	120,2	143,3	144,6
15. რძე	10,8	23,8	141,2	174,7	223,8	267,2	232,1
16. კვრები მლნ ცალი	3,3	13,7	96,6	161,5	292,6	450,2	477,2
17. მარცელი (ჩათვლით წონაში)	1,1	2,6	5,0	5,2	5,9	5,9	6,6
18. აბრეშუმის პარკი	1,3	3,6	3,8	2,6	1,7	1,9	—

<sup>1</sup> Народное хозяйство Грузинской ССР в 1980 г. стр. 72-73.

| ინდექსების ყველაზე მარტივ ფორმას წარმოადგენს შესყიდული პროდუქტების ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ინდექსები, რომლებიც გამოიანგარიშება პროდუქტების ცალკეული სახეების მიხედვით. ინდივიდუალური ინდექსების გამოანგარიშებისათვის უნდა ვისარგებლოთ ფორმულით:

$$I = \frac{q_1}{q_0}$$

სადაც  $q_1$  არის შესყიდული პროდუქტის მოცულობა საანგარიშო პერიოდში, ხოლო  $q_0$ —შესყიდული პროდუქტის მოცულობა საბაზისო პერიოდში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სტატისტიკა ანგარიშობს საშუალო ინდექსებსაც. ეს ინდექსები გამოიანგარიშება იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ გვინდა დაეხასიათოთ შესყიდული პროდუქტების ფიზიკური მოცულობის ცვლილება პროდუქტთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე ან ყველა პროდუქტისათვის ერთად.

ყველა პროდუქტისათვის ერთად მთელი სახელმწიფო შესყიდვების განზოგადებული დახასიათების მიზნით აუცილებელია ვისარგებლოთ ბულალტრული ანგარიშების მონაცემებით შესყიდული პროდუქტების ღირებულების შესახებ. ეს არის თანხა, რომელიც გადაუხადეს მწარმოებლებს შესყიდვის მომენტში.

თუ ერთიმეორეს შეუდარებთ შესყიდვების მოცულობის მაჩვენებლებს საანგარიშო და საბაზისო პერიოდებისათვის მივიღებთ შესყიდვების ღირებულების ინდექსს. ამ ინდექსს ზოგადად აქვს შემდეგი ფორმა:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

ეს ინდექსი გვიჩვენებს, თუ როგორ გაიზარდა შესყიდვების მოცულობა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით. სხვაობა ამ ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის ( $\sum q_1 p_1 - \sum q_0 p_0$ ) გვიხასიათებს შესყიდული პროდუქტის ღირებულების აბსოლუტურ მატებას. კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის გამოანგარიშებულ ამ ინდექსში ეს სხვაობა გვიჩვენებს საკოლმეურნეო სოფლის შემოსავლების მატებას სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქტების შედეგად.

სახელმწიფო შესყიდვების ღირებულების ინდექსი გვიხასიათებს შესყიდვების ღირებულების საერთო ცვლილებას, რომელშიც მონაწილეობს ორი ფაქტორი: 1. შესყიდული პროდუქტების რაოდენობა და 2. შესყიდვის ფასები. შესყიდვების საერთო მოცულობის ზრდაზე ყო-

ველი ფაქტორის გავლენის განსაზღვრისათვის გამოიანგარიშება შესყიდვების ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსები.

შესყიდვების ფიზიკური მოცულობის ინდექსი გაიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0},$$

სადაც  $q_1$  და  $q_0$  არის შესყიდული პროდუქტების რაოდენობა საანგარიშო ( $q_1$ ) და საბაზისო ( $q_0$ ) პერიოდებისათვის, ხოლო  $p_0$  არის შესყიდვის ფასი საბაზისო პერიოდისათვის.

შესყიდვების ფიზიკური მოცულობის ინდექსი გვიხასიათებს შესყიდული პროდუქციის მოცულობის ზრდას საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით შესაღარ (საბაზისო პერიოდის) ფასებში. სხვაობა ამ ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის ( $\sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0$ ) გვიხასიათებს შესყიდული პროდუქციის ღირებულების აბსოლუტურ მატებას ერთი ფაქტორის (შესყიდული პროდუქციის რაოდენობა) ანგარიშზე.

შესყიდვის ფასების ინდექსი გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1},$$

სადაც  $p_1$  და  $p_0$  არის შესყიდული პროდუქციის ერთეულის ფასი საანგარიშო ( $p_1$ ), და საბაზისო ( $p_0$ ) პერიოდებისათვის, ხოლო  $q_1$  არის საანგარიშო პერიოდში შესყიდული პროდუქტების რაოდენობა ნატურალურ გამოსახულებაში. ეს ინდექსი გვიხასიათებს შესყიდული პროდუქტების ფასების საშუალო ცვლილებას საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით. სხვაობა ამ ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის ( $\sum p_1 q_1 - \sum p_0 q_1$ ) გვიხასიათებს შესყიდვის ფასების გადიდების შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლების მიერ მიღებულ დამატებით შემოსავალს.

ზემოგანხილულ ინდექსებს ჩვენ თუ უფრო ახლოს გავეცნობით დავინახავთ, რომ მათ შორის არსებობს გარკვეული კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. სახელდობრ, შესყიდვების ფიზიკური მოცულობის ინდექსი, გამრავლებული ფასების ინდექსზე, უდრის შესყიდული პროდუქციის ღირებულების ინდექსს (შესყიდვების ინდექსს ფაქტიურ ფასებში), ე. ი.

$$\frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} \times \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}.$$

შესყიდული პროდუქციის ღირებულების ინდექსი, გაყოფილი ფასების ინდექსზე, უდრის შესყიდვების ფიზიკური მოცულობის ინდექსს:

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum p_0 p_0} : \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

სახელმწიფო შესყიდვების სტატისტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შესყიდული პროდუქტების ხარისხის აღრიცხვას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა საფუძველზე მრავალი პროდუქტის მიხედვით წარმოებს შესყიდვის ფიზიკური წონის გადანგარიშება ჩათვლით წონაზე, ე. ი. ჩათვლით და ფიზიკური წონების თანაფარდობა გვიხასიათებს შესყიდული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობას დაწესებულ სტანდარტთან. ჩათვლითი წონის გაყოფით ფიზიკურ წონაზე მიიღება შესყიდული პროდუქციის ხარისხი:

$$K = \frac{q \text{ ჩათვლითი წონა}}{q \text{ ფიზიკური წონა}}$$

ეს კოეფიციენტი გამოიანგარიშება როგორც საანგარიშო ( $K_1$ ), ისე საბაზისო ( $K_0$ ) პერიოდებისათვის. საანგარიშო პერიოდის ხარისხის კოეფიციენტის გაყოფით საბაზისო პერიოდის ხარისხის კოეფიციენტზე მიიღება შესყიდული პროდუქციის ხარისხის ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს შესყიდული პროდუქციის ხარისხის ცვლილებას საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით:

$$I_{\text{ხარისხის}} = \frac{K_1}{K_0}$$

შესყიდული პროდუქციის ხარისხის ინდექსის გამოანგარიშება ვუჩვენოთ შემდეგ მაგალითზე (ციფრები პირობითია):

ცხრილი 7.3

№ რიგითი	მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	ინდექსი (2:1)
	ა	1	2	3
1	ფიზიკური წონა (ც)	500	800	1,6
2	ჩათვლითი წონა (ც)	400	1000	2,5
3	პროდუქციის ხარისხის კოეფიციენტი (2:1)	0,8	1,25	1,56

როგორც ციფრებიდან ჩანს, შესყიდული პროდუქციის ხარისხი საბაზისო პერიოდში იყო საგვეგმო სტანდარტზე დაბალი, ხოლო საანგარიშო პერიოდში — მაღალი. პროდუქციის ხარისხმა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით აიწია 56%-ით (ხარისხის ინდექსი უდრის 1,56).

შესყიდული პროდუქციის ხარისხის ინდექსი შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს ორი წესით:

1. საანგარიშო პერიოდის ხარისხის კოეფიციენტის გაყოფით საბაზისო პერიოდის ხარისხის კოეფიციენტზე ( $1,25 : 0,80 = 1,56$ ).

2. ჩათვლითი წონის ინდექსის გაყოფით ფიზიკური წონის ინდექსზე ( $2,5 : 1,6 = 1,56$ ).

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების ინდექსების გამოანგარიშების დროს დიდი მნიშვნელობის მქონე აგრეთვე შესყიდვების დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და მათი გავლენის ხარისხის გაზომვა.

#### **§ 5. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ანალიზის მონაცემთა ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი**

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფიზიკური მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებელთა განსაზღვრასთან ერთად, სტატისტიკა აწარმოებს, აგრეთვე, მონაცემთა ანალიზს, დამზადების გეგმის შესრულების შეფასებას და გარკვეული დასკვნების გაკეთებას. ანალიზის ძირითადი ამოცანა არის გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენა და მათი გამოყენება დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და გადაქარბებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების და შესყიდვების შესახებ ანგარიშების მონაცემთა ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი ითვალისწინებს შემდეგი საკითხების შესწავლას:

1. სახელმწიფო დამზადების გეგმების შესრულების შემოწმებას;

2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დინამიკისა და სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ხარისხის შესწავლას;

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების განაწილებას მეურნეობის კატეგორიების მიხედვით;

4. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების ტერიტორიული განლაგების შესწავლას.

სახელმწიფო დამზადებათა გეგმების შესრულების ანალიზი წარმოებს რაიონების მიხედვით მთლიანად და ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით ცალ-ცალკე. სახელმწიფოზე პირუტყვის გაყიდვის გეგმის შესრულების ანალიზის დროს შეიძლება განისაზღვროს სახორცედ ჩაბარებული პირუტყვის სახეობა, ჯგუფი, სულადობა და ერთი სულის საშუალო წონა, აგრეთვე გამოვლინდეს ხორცის დამზადების რეზერვები.

ოპერატიული ანგარიშების მონაცემთა შემოწმება წარმოებს მისი შედარებით ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებთან. მაგრამ ასეთი

შედარება გამოიყენება მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ და იმ თარიღებისათვის, რომლებსთვისაც დგება სათანადო საბუღალტრო მონაცემები. ყველაზე მეტად ეს მონაცემები წარმოადგენს კვარტალური და წლიური ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებს.

ოპერატიული ანგარიშგების მონაცემების ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებთან შედარებისას წარმოებს ანგარიშგების მონაცემთა მიმდინარე შემოწმება საბალანსო ტოლობის გამოყენებით.

ამ საბალანსო ტოლობას აქვს შემდეგი ფორმა:

$$O_{II} + \Pi = P + O_{II}$$

სადაც  $O_{II}$  არის ნაშთი მოცემული წლის სათანადო (შესამოწმებელი) პერიოდის დასაწყისში;

$\Pi$  — შესყიდვების მოცულობა ამავე პერიოდის განმავლობაში;

$P$  — გასავალი იმავე პერიოდში;

$O_{II}$  — ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

გარდა ამისა, შემოწმებას აწარმოებენ მიმდინარე ანგარიშგების მონაცემთა შედარებით წინა წლის სათანადო პერიოდის, ანდა დროის წინა მონაკვეთის მონაცემებთან. ამ შედარებათა წარმოების დროს დამზადებების არათანაბარზომიერი, რაიმე მიზეზით გაუმართლებელი მკვეთრი გადიდება ან შემცირება იწვევს მონაცემების შემოწმებას პირველადი დოკუმენტების მიხედვით. მაგალითად, ვთქვათ რომელიმე რაიონის დამზადების კანტორამ წარადგინა საანგარიშგებო მონაცემები IV კვარტალში 2500 ციყვის ტყავის შესყიდვის შესახებ 1250 მანეთის ღირებულებით, ხოლო მომავალი წლის I კვარტალში 3500 ტყავი 3150 მანეთის ღირებულებით. შესყიდვის ფასების უცვლელობის შემთხვევაში საშუალო ფასის მკვეთრი გადიდება ტყავზე 50 კაპიკიდან 90 კაპიკამდე აშკარად მიგვითითებს საანგარიშო მონაცემების გადახრის შესახებ.

ოპერატიული ანგარიშგების მონაცემთა ანალიზი პირველ რიგში მიმართულია შესყიდვების სახელმწიფო გეგმის შესრულების ხარისხის და მათი დინამიკის მაჩვენებლების განსაზღვრისაკენ.

პრაქტიკაში შესაძლებელია არსებობდეს მთელი რიგი გარემოებანი, რომელთა შედეგადაც შესყიდვების გეგმების შესრულება ცალკეული პერიოდების მიხედვით დამზადების საქმიანობისაგან დამოუკიდებლად შეიცვალოს.

აბსოლუტური მონაცემების შედარებით ყოველთვის არ შეიძლება სწორი დასკვნების გაკეთება.

მაგალითად, ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ადრე გაზაფხული იწვევს მატყლისა და კვერცხის შესყიდვის საგრძნობლად გადიდებას და, პირიქით, გვიან გამოზაფხულება და სიციფეების დიდხანს გაგრძელება აფერ-

ხებს ცხვრის პარსვას და ქათმების კვერცხისმდებლობას, რაც ძლიერ გავლენას ახდენს ამ პროდუქტების შესყიდვათა გეგმაზე. ასეთ შემთხვევებში ერთიმეორეს უდარებენ გეგმების შესრულების ხარისხის მაჩვენებლებს ამინდის პირობების მხედველობაში მიღებით.

შესყიდვების გეგმის შესრულების ანალიზთან ერთად ხდება აგრეთვე შესყიდული პროდუქციის სამრეწველო საწარმოებამდე ან სავაჭრო ორგანიზაციებამდე გადმოტვირთვის გეგმების შემოწმება. ამისათვის გადმოტვირთული პროდუქციის რაოდენობას უდარებენ არა მარტო გადმოტვირთვის გეგმას, არამედ შესყიდულ პროდუქციასაც საანალიზო დროის მონაკვეთში და პროდუქციის ნაშთებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის.

ვთქვათ, მოცემული გვაქვს შემდეგი მონაცემები კარტოფილის გადმოტვირთვის გეგმის შესრულების შესახებ სამი რაიონის მიხედვით (ციფრები პირობითია):

ცხრილი 7.4

რაიონების დასახელება	ნაშთი 1/X	შესყიდვები სექტემბერში			გადმოტვირთვა სექტემბერში			
		გეგმა	ფაქტური შესრულება	გეგმის შესრულება %	გეგმა	ფაქტური შესრულება	გეგმის შესრულება %	ნაშთი 1/X
„ა“	440	4000	3600	90,0	4000	4000	100,0	40
„ბ“	720	4000	3600	90,0	4000	3600	110,0	720
„გ“	400	4000	4200	105,0	4000	4400	100,0	200
სულ	1560	12000	11400	95,0	12000	12000	100,0	960

თუ ერთიმეორეს შევედარებთ კარტოფილის გადმოტვირთვის მონაცემებს სამი რაიონის მიხედვით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ „ა“ რაიონმა შესყიდვების გეგმა სექტემბრის თვეში ვერ შეასრულა, ხოლო გადმოტვირთვის გეგმა შეასრულა 1 სექტემბრისათვის არსებული კარტოფილის ნაშთების ანგარიშზე; „ბ“ რაიონმაც ასევე ვერ შეასრულა შესყიდვების გეგმა სექტემბრის თვეში. მასაც შეეძლო 1 სექტემბრისათვის არსებული ნაშთების ანგარიშზე შეესრულებია კარტოფილის გადმოტვირთვის გეგმა, მაგრამ სხვებთან შედარებით გადიდებული ნაშთები არ შემცირდა და გადმოტვირთვის გეგმაც დარჩა შეუსრულებელი; „გ“ რაიონმა შესყიდვების გეგმა შეასრულა 5%-ის გადაჭარბებით, ხოლო გადმოტვირთვის გეგმა 10%-ის გადაჭარბებით. ეს მოხდა შესყიდვების გეგმის 5%-ის გადამეტებით შესრულებისა და 1 სექტემბრისათვის არსებული ნაშთების 50%-ით შეკვეცის ანგარიშზე.

სამივე რაიონს სექტემბრის თვეში შესყიდვების გეგმის 95%-ით შესრულების პირობებში სრული შესაძლებლობა ჰქონდათ გადაკარბებით შეესრულებიათ გადმოტვირთვის გეგმა 1 სექტემბრისათვის არსებული კარტოფილის ნაშთების უფრო მეტად შემცირების ანგარიშზე.

შესყიდვების გეგმის ანალიზის დროს საჭიროა გაირკვეს აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა შესყიდვების ტემპი გეგმის შესრულებას. ამისათვის საჭიროა, მიმდინარე წლის განსაზღვრული თარიღისათვის გეგმის შესრულების მონაცემები შეეუდაროთ წინა წლის სათანადო პერიოდისათვის არსებულ შესყიდვების მონაცემებს და გავიგოთ პროცენტული თანაფარდობა ამ ორ სიდიდეს შორის. ასეთი შედარება წარმოდგენას მოგვცემს მიმდინარე წლის შესყიდვების მოცულობაზე წინა წელთან შედარებით. გარდა ამისა, რომ დავადგინოთ შესყიდვების ფაქტიური ტემპი შეესაბამება თუ არა წლიური გეგმით გათვალისწინებულ ტემპს, ამისათვის მიმდინარე წლის წლიური გეგმის ციფრი უნდა შეეუდაროთ წინა წლის ფაქტიური შესყიდვის მაჩვენებელს. მაგალითად, ვთქვათ N რაიონის მიხედვით წელიწადის პირველ ნახევარში შესყიდულია 1200 ათასი ცალი კვერცხი, ხოლო წინა წლის პირველ ნახევარში შესყიდულია 1000 ათ. ცალი. მაშასადამე, მიმდინარე წლის პირველ

ნახევარში შესყიდულია 20%-ით  $\left( \frac{1200 \times 100}{1000} \right)$  მეტი კვერცხი,

ვიდრე წინა წლის პირველ ნახევარში.

მიმდინარე წელს შესყიდვების გეგმა, ვთქვათ, ითვალისწინებს 1820 ათ. კვერცხის შესყიდვას. წინა წლის ფაქტიური შესყიდვა კი იყო 1400 ათ. ცალი, ე. ი. საანგარიშო პერიოდის გეგმა წინა პერიოდში ფაქტიურად შესყიდული კვერცხის რაოდენობაზე მეტია 30%-ით

$\left( \frac{1820 \times 100}{1400} \right)$  მაშასადამე, მოცემულ მაგალითში შესყიდვების ზრდის

ტემპი (20%) საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ვერ უზრუნველყოფს გეგმით გათვალისწინებულ ტემპს (30%). შესყიდვების გეგმის უზრუნველსაყოფად მატება წელიწადის პირველ ნახევარში უნდა იყოს არანაკლებ 30%-ისა, ე. ი. კვერცხის შესყიდვა წელიწადის პირველ ნახევარში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1300 ცალს.

ამრიგად, დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულების ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დამზადების ტემპის მაჩვენებლების განსაზღვრას ცალკეული პერიოდების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ანალიზის პროცესში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაკმაყოფილდეთ მარტოოდენ ჩამობრივი მონაცემებით მთელი განვლილი პერიოდისათვის. მნიშვნელოვანია, აგრეთვე შესყიდვებისათვის თვალყურისდევნება ცალკეული პერიოდების (ხუთდღიური, დეკადა) მიხედ-



## § 8. ფასების აღრიცხვა საკოლმეურნეო ბაზრებზე

საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების დაწესება ხდება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე. ამასთან, რიგი ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად მოთხოვნა-მიწოდებას შორის თანაფარდობა ხშირად იცვლება, რაც თავის მხრივ იწვევს ფასების ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების შესწავლის მიზნით აუცილებელია მათი სისტემატური რეგისტრაცია. საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების რეგისტრაცია ორგანიზებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ და ხორციელდება თვეში ერთხელ ყოველი თვის 25 რიცხვისათვის.

ფორმულარის სასაქონლო ნომენკლატურა, რომლის მიხედვითაც წარმოებს საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების რეგისტრაცია, მოიცავს 90-მდე საქონლის დასახელებას, რომელშიც გამოცალკევებულად აღირიცხება ფასები კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური გამყიდველების მიერ რეალიზებულ საქონელზე. ფასების ფიქსაცია წარმოებს შედარებით გამოცოცხლებული ვაჭრობის საათებში. ამასთან, აღირიცხება ე. წ. მოდალური, ე. ი. ისეთი ფასები, რომლებიც ხშირად მეორედებიან.

ფასების აღრიცხვა ხდება ქალაქის ცალკეულ საკოლმეურნეო ბაზარზე. იმის გამო, რომ რეგისტრაციის დღეს ერთსა და იმავე საქონელზე, ბაზრების მიხედვით, შესაძლებელია ფასები განსხვავდებოდნენ, საჭიროა ცალკეული საქონლის საშუალო ფასის გაანგარიშება ქალაქის მასშტაბით, საშუალო არითმეტიკული მეთოდის გამოყენებით.

ფიქსირებული ფასები გადააქვთ სპეციალურ ფორმულარში (ფორმა № 2), რომელშიც ცალკეა გამოყოფილი კოლმეურნეობები და ინდივიდუალური გამყიდველები. ამასთან, მიუთითებს, როგორც საანგარიშო, ისე საბაზისო პერიოდის ფასებზე. ფასების ასეთი წესით რეგისტრაცია საშუალებას იძლევა შემოწმებულ იქნეს აღრიცხვის სისწორე. იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე საქონელზე საანგარიშო და საბაზისო პერიოდის ფასებში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი განსხვავება, მაშინ ფორმულარში კეთდება აღნიშვნა გადახრის მიზეზების შესახებ.

ყოველი თვის 25 რიცხვისათვის ან მასთან ახლო რომელიმე თარიღისათვის (თუ ბაზრობა ტარდება მხოლოდ შაბათს და კვირას). ფასების რეგისტრაცია ხდება რაიონული ცენტრების საკოლმეურნეო ბაზრებზეც, საქონლის შემცირებული ნომენკლატურის მიხედვით. აღირიცხება მხოლოდ ის ფასები, რომლითაც საქონელს ყიდიან ინდივიდუალური გამყიდველები. რეგისტრაცია წარმოებს იმავე მეთოდებით, რა მეთოდებითაც ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე. იმის გამო, რომ საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების რეგისტრაცია ხდება ყოველი თვის

25 რიცხვისათვის, ამიტომ საშუალო თვიური ფასის გამოანგარიშება შესაძლებელია მხოლოდ მარტივი არითმეტიკული საშუალოს გამოყენებით, საანგარიშო და წინა თვის 25 რიცხვის ფასიდან. მაგ., საანგარიშო თვის 25 რიცხვისათვის კარტოფილზე ფასი იყო 30 კაპიკი, წინა თვის 25 რიცხვისათვის კი იგი უდრიდა 40 კაპიკს, მაშინ საშუალო თვიური ფასი კარტოფილზე იქნება 35 კაპ (30+40 = : 2).

კარტოფილის ფასების აღრიცხვა რომ ყოფილიყო ყოველდღიური და გვეჩვენა მონაცემები: თვის 1 რიცხვიდან 5 რიცხვამდე — 20 კაპ., 6-დან 20-მდე — 40 კაპ., ხოლო 21-დან 30 რიცხვამდე — 25 კაპ. მაშინ გამოვიყენებდით შეწონილი არითმეტიკულ საშუალო მეთოდს, ე. ი.

$$\frac{(5 \times 20) + (15 \times 40) + (10 + 25)}{5 + 15 + 10} = \frac{950}{30} = 31,7 \text{ კაპ.}$$

#### § 4. საკოლმეურნეო ვაჭროვის სტატისტიკის მასალების კონტროლი და თავმოყრა

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების მიერ, კვარტალში ორჯერ საკოლმეურნეო ბაზრებზე ტარდება საქონლის რეალიზაციის მოცულობის აღრიცხვის საკონტროლო შემოწმება. შემოწმების შედეგად დგინდება ისეთი ფაქტები, როგორც არის — აღმრიცხველ-სტატისტიკოსის საბაზრო დღის განმავლობაში სისტემატურად აწარმოებს თუ არა პროდუქტების შემოზიდვის აღრიცხვას, საბაზრო დღის ბოლოს ადგენს თუ არა გაუყიდავი საქონლის მარაგს (ნაშთს) და რამდენად სწორად ახდენს შემოზიდული პროდუქტების მთელი მასიდან დარჩენილი მარაგის გამორიცხვას; საანგარიშგებო ფორმულარში მონაცემების შეტანის სისწორეს.

შემოწმების დროს, რომელსაც ახორციელებენ სახელმწიფო სტატისტიკის ქალაქის ინსპექტორები საკოლმეურნეო ბაზრებზე, აღმრიცხველ-სტატისტიკოსის პარალელურად ხდება პროდუქტების შემოზიდვის აღრიცხვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხორცის საკონტროლო და რძის საკონტროლო სადგურში აღრიცხვის სისწორეს, დოკუმენტების გაფორმებას და უწყისებში ჩანაწერების შეჯამებას.

საკონტროლო შემოწმების შედეგები უპირისპირდება აღმრიცხველ-სტატისტიკოსის მიერ საბაზრო დღის განმავლობაში ჩატარებულ სამუშაოთა შედეგებს და იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება მათ შორის მნიშვნელოვანი გადახრები, დგინდება მისი გამომწვევი მიზეზები. აღნიშნული მონაცემების შედარების შედეგები ფორმდება აქტის სახით, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება ბაზრის დირექციას, ხოლო მეორე — იგზავნება ადგილობრივ სტატისტიკურ სამმართველოში.

სახელმწიფო სტატისტიკის ქალაქის ინსპექტორების მიერ კვარტალში ერთხელ, იმავე დღეს, როცა წარმოებს ფასების აღრიცხვა, ტარ-

დება საკონტროლო შემოწმება და დგინდება აღმრიცხველ-სტატისტიკოსის მიერ ფასების რეგისტრაციის სისწორე.

ყოველი თვის 24 რიცხვისათვის საკოლმეურნეო ბაზრის აღმრიცხველ-სტატისტიკოსი ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციისა და მარაგის შესახებ ყოველდღიური ჩანაწერების შეჯამებას სპეციალურ ფორმაში და გადასცემს მას სახელმწიფო სტატისტიკის ქალაქის ინსპექტორს. ეს უკანასკნელი მიიღებს რა ასეთ ფორმებს ქალაქის ყველა საკოლმეურნეო ბაზრიდან და ახდენს მათ ლოგიკურ და არითმეტიკულ შემოწმებას. შემოწმების შემდეგ ინსპექტორს ცალკეული ბაზრის მიხედვით თვიური შედეგები შეაქვს ანგარიშგების განსაკუთრებულ ფორმაში, ამტებს მას კოლმეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციას მაღაზიებიდან, ფარდულეებიდან, რომლებიც განლაგებულია ქალაქში საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიის გარეთ. ასეთი ანგარიში წარედგინება ოლქის, მხარის, რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოს.

საოლქო, სამხარეო სტატისტიკურ სამმართველოში მიღებული მასალების შემდგომი შემოწმების შემდეგ დგება კრებისითი ანგარიში ოლქის, მხარის მიხედვით. კრებისით ანგარიშს აქვს შემდეგი სახე (იხ. ფორმა 5).

გარდა ამისა, საოლქო, სამხარეო სტატისტიკური სამმართველო ადგენს კრებისით ანგარიშს ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების ინდექსებისა და გაყიდვების შესახებ, ფორმა A-ს სახით. აღნიშნულ ანგარიშს აქვს შემდეგი სახე (იხ. ფორმა 2A).

(ფორმა 5)

კრებისითი ანგარიში კოლმეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და სხვა მოქალაქეების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვის შესახებ

საკონტროლის შრიფტი	საკონტროლის დასახელება	საბაზისო პერიოდი		სანგარიშო პერიოდი		ბაზრის . . . მიხედვით		ბაზრის . . . მიხედვით		ქალაქის ყველა ბაზრის მიხედვით			
		ზომის ერთეული	კოლმეურნეობები	კოლმეურნეობები და სოფლის სხვა მოსახლეობა	ს უ ლ	კოლმეურნეობები	კოლმეურნეობები და სოფლის სხვა მოსახლეობა	ს უ ლ	კოლმეურნეობები	კოლმეურნეობები და სოფლის სხვა მოსახლეობა	ს უ ლ	სულ	
												წინა თვეში	საანგარიშო თვეში
ქვეყნის საკონტროლის საკონტროლის ჩაბუფი													

ქალაქის საკომუნურნო ბაზრებზე  
ფახების ინდექსებისა და გაყიდვების აღრიცხვა

საქონლის შიფტი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	საანგარიშო პერიოდი			საბაზისო პერიოდი			რაოდენობა საანგარიშო პერიოდში გამოსახული საბაზისო პერიოდის ფაქტში (ათ. მან.) (4X2)	ფასების ინდექსი % ფაქტში 6:7	გაყიდვის ინდექსი % საბაზისო პერიოდის ფაქტში.
			რაოდენობა	საშუალო ფასი (3:1)	საქონლებზე ათ. მანეთებში (1X2)	რაოდენობა	საშუალო ფასი (6:4)	საქონლებზე ათ. მანეთებში (4X5)			
A	Б	В	1	2	3	4	5	6	7	8	9
001	ქვევი და ა. შ. სულ 82 დასახელების საქონელი										

ზემოაღნიშნული ანგარიშების მონაცემების შემდგომი დამუშავება ხდება მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

მოყვანილი ცხრილის მონაცემების მიხედვით გავაკეთოთ კვერცხის რეალიზაციის სეზონური რყევის ანალიზი (ციფრები პირობითია) ათას ცალეებში.

ცხრილი 8.2

	1978	1979	1980	სულ სამი წლის მიხედვით (2+3+4)	საშუალო თვიური სამი წლის მონაცემები (5:3)	მე-6 სეკტი პროცენტებში იმავე სეკტის სამი წლის ჯამთან
1	2	3	4	5	6	7
1. იანვარი	45	64	86	195	65	18,9
2. თებერვალი	61	47	120	228	75	22,0
3. მარტი	74	76	261	411	137	40,0
4. აპრილი	126	162	315	603	201	58,2
5. მაისი	350	471	525	1356	452	131,0
6. ივნისი	480	530	574	1584	528	153,0
7. ივლისი	540	610	680	1830	610	176,8
8. აგვისტო	630	580	735	1845	615	178,2
9. სექტემბერი	510	491	673	1674	558	161,7
10. ოქტომბერი	360	440	511	1331	437	126,7
11. ნოემბერი	210	320	433	963	321	93,0
12. დეკემბერი	86	110	215	411	137	40,0
სულ	3372	3911	5128	12411	345	100,0
	100	116	152	—	—	—

**§ 6. საკოლმეურნეო ბაზრებზე სამონლის რეალიზაციის  
მოცულობის შესახებ მასალების ანალიზი**

საკოლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების ანალიზის ძირითად მიზანს შეადგენს საკოლმეურნეო ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის დინამიკის, მისი სასაქონლო სტრუქტურის, სეზონური რყევის, საკოლმეურნეო ვაჭრობის მთელს ბრუნვაში კოლმეურნეობების წილის შესწავლა.

საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ საოლქო კრებისთი ანგარიშგება შესაძლებლობას იძლევა ცალკეული საქონლის მიხედვით განვსაზღვროთ კოლმეურნეობების წილი მთელ ბრუნვაში.

საქონლის რეალიზაციის დინამიკის განსაზღვრის მიზნით საჭიროა ანგარიშგება ფორმა № 2-A-ს მე-3 სვეტის მონაცემები პროცენტულად შეეუფარდოთ ამავე ფორმის მე-6 სვეტის მონაცემებს; საანგარიშო პერიოდში საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის შესწავლის მიზნით საჭიროა ცალკეული საქონლის რეალიზაციის თანხა თანმიმდევრობით პროცენტულად შეეუფარდოთ გაყიდვების მთელს ჯამს; საანგარიშო პერიოდში ცალკეული საქონლის მიხედვით, კოლმეურნეობების წილის დადგენისათვის საჭიროა ანგარიშგება ფორმა ნ-ს მე-16 სვეტის სათანადო მონაცემები გაეყოს მე-19 სვეტის სათანადო მონაცემებზე.

საკოლმეურნეო ბაზრებზე საქონლის რეალიზაციის სეზონური რყევის დახასიათების მიზნით ჩვეულებრივ გამოიყენება რიგი წლების მიხედვით საშუალო მონაცემები სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შესახებ, რადგანაც ერთი წლის მიხედვით სეზონური რყევა შესაძლებელია გამოწვეულ იქნეს რაიმე შემთხვევითი მიზეზით და იგი არ იყოს ტიპური.

მეორე და მესამე სვეტში ნაჩვენებია სამი წლის მანძილზე კვერცხის რეალიზაციის აბსოლუტური მაჩვენებლები. კვერცხის წლიური რეალიზაციის დინამიკა, როგორც მოცემული ცხრილის მეშვიდე სვეტიდან ჩანს, სულ უფრო იზრდებოდა, ხოლო მისი რეალიზაცია 1972 წელს 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 52%-ით. მოცემული ცხრილის მეექვსე სვეტი გვიჩვენებს კვერცხის რეალიზაციის სეზონურ რყევას.

**§ 6. საკოლმეურნეო ვაჭრობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების  
გაყიდვის საერთო მოცულობის განსაზღვრა**

როგორც აღვნიშნეთ, საკოლმეურნეო ბაზრებზე საქონლის რეალიზაციის სტატისტიკა ორგანიზებულია საბჭოთა კავშირის 264 შერჩეულ ქალაქში, რომლებშიც ცხოვრობს მთელი ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი. ქალაქის მიხედვით შერჩევითი დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების გავრცელება მთელი ქვეყნის ქალაქის მო-

სახლეობაზე და, ამგვარად საკოლმეურნეო ვაჭრობის საერთო საქონელბრუნვის მოცულობის განსაზღვრა შეცდომამდე მიგვიყვანდა, რადგანაც შერჩეულია შედარებით მსხვილი ქალაქები და მათი საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის დინამიკა და სტრუქტურა; მისი როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების საქმეში მნიშვნელოვნად განსხვავდება მცირე მოცულობის ქალაქებისაგან. აქედან გამომდინარე, საკოლმეურნეო ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვის საერთო მოცულობის დადგენის დროს საჭირო ხდება ამ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ბალანსების შედგენა. აღნიშნულ ბალანსებში ნატურალურ მაჩვენებლებში მოცემულია ცალკეული სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა. საჭიროა ამ პროდუქტების პირადი და საწარმოო მოხმარების, მწარმოებლებთან მათი მარაგის მატების დადგენა.

თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საერთო მოცულობიდან გამოვრიცხავთ პირად და საწარმოო მოხმარებას, მწარმოებლებთან მათი მარაგის მატებას, მივიღებთ სასაქონლო პროდუქციას. სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობიდან ცალკეული სახის საქონლის მიხედვით დამზადების მოცულობის გამოკლებით, რასაც იძლევა დამზადების სტატისტიკა, ვღებულობთ საქონელბრუნვის საერთო მოცულობას, იგი განხორციელდა საკოლმეურნეო ვაჭრობის მეშვეობით. ღირებულებით მაჩვენებელში მათი გადაყვანა ხდება საკოლმეურნეო ბაზრების საშუალო ფასების გამოყენებით.

#### **§ 7. საკოლმეურნეო ვაჭრობის საკონფორმაციის პროგნოზირება**

საკოლმეურნეო ვაჭრობის მართვის სრულყოფა გულისხმობს საკოლმეურნეო ბაზრის კონიუნქტურის სისტემატურ შესწავლას, საქონელბრუნვის განვითარების პროგნოზირებას ახლო და ხანგრძლივი პერიოდებისათვის.

საკოლმეურნეო ბაზრის საქონელბრუნვის პროგნოზირებისათვის საჭიროა წინა საპროგნოზო პერიოდის საქონელბრუნვის ანალიზი. სახელდობრ, დგინდება საქონელბრუნვის დინამიკა, მისი ზრდის საშუალო ტემპები. განისაზღვრება ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქონელბრუნვის ზრდის ტემპებში მკვეთრი გადახრები და სხვა ფაქტორები.

ქალაქის მიხედვით საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის პროგნოზირების დროს, ბაზარზე მოთხოვნა, მიწოდება განიხილება ფუნქციურ დამოკიდებულებაში შესაძარ ჭგუფის საქონლის მიხედ-

ვით სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ამ საქონელზე მოთხოვნის მოცულობასთან. აქედან გამომდინარე გამოიყენება პროგნოზირების ფუნქციური დამოკიდებულების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. ეს მოდელი აიგება რეგრესიის წრფივი განტოლების მიხედვით:

$$y_x = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2,$$

სადაც  $y_x$  — საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვა მლნ მანეთებში;

$x_1$  — შესადარი ჯგუფის საქონლის მიხედვით სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში სასურსათო საქონლის ბრუნვა (მლნ. მანეთებში);

$x_2$  — დროის ფაქტორი, რაც ითვალისწინებს საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებებს;

$a_0, a_1, a_2$  — განტოლების პარამეტრები.

საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის პროგნოზი ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, მხარეების მიხედვით შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მრავალფაქტორიანი ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელის მიხედვით, რაც აიგება მრავლობითი რეგრესიის სწორხაზოვანი განტოლების სახით:

$$y = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + a_3 x_3,$$

სადაც  $y$  — საკოლმეურნეო ბაზრის საქონელბრუნვის ცვლილების ტემპი;

$x_1$  — მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ცვლილების ტემპი;

$x_2$  — სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში სასურსათო საქონლის გაყიდვის ცვლილების ტემპი;

$x_3$  — შესადარი ჯგუფის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების კომპერაციული ინდექსის ცვლილება (იგი გაიანგარიშება, საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების ინდექსის შეფარდებით სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში სასურსათო საქონლის ფასების საერთო ინდექსთან);

$a_0, a_1, a_2, a_3$  — ტოლობის პარამეტრები.

**ზასახის სტატისტიკა**

**§ 1. საბალო ზასათა სისხვა**

მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში საქონელწარმოება განაპირობებს ისეთი ეკონომიკური კატეგორიების არსებობას, როგორცაა ღირებულება, ფასი, თვითღირებულება, მოგება და სხვა.

ღირებულება არის ტექნიკის საშუალო დონის, შრომის საშუალო დახელოვნებისა და ინტენსივობის პირობებში საქონლის წარმოებისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობა. ფასი კი ღირებულების ფულადი გამოხატულებაა, ამავე დროს, სამეურნეო ანგარიშობის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური ინსტრუმენტი. სწორად დადგენილი ფასი ხელს უწყობს ამა თუ იმ საქონლის წარმოების შემდგომ განვითარებასა და მის გაფართოებას. ამასთან, ფასი სტიმულს აძლევს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და წარმოების პროცესში დეფიციტური ნედლეულისა და მასალების მათი შემცველებით ფართოდ გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ფასი კონკრეტულ შემთხვევაში არ ემთხვევა და არც შეიძლება დაემთხვეს საქონლის ღირებულებას. ამის მიზეზებია პროდუქციის დამზადების ფონდტევადობა, მისი სამომხმარებლო თვისებები, მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში ტექნიკური აღჭურვილობის განსხვავებული დონე, მოთხოვნა-მოწოდებათა ინტენსივობა და სხვ. მაგრამ სახალხო მეურნეობის მიხედვით მთლიანად ფასების ჯამი, როგორც წესი, ემთხვევა საქონელთა ღირებულების ჯამს.

საქონელზე ფასების დადგენას საფუძვლად უდევს თვითღირებულება. თვითღირებულება არის ღირებულების ნაწილი ფულად გამოხატულებაში, რომელიც დაუჭრდა მეურნეობის მოცემულ დარგს (სამრეწველო საწარმოს, გაერთიანებას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას) პროდუქციის ერთეულის დამზადება და რეალიზაცია.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება — ფასების შემცირების აუცილებელი პირობაა. პროდუქციის თვითღირებულებაში შეიტანება ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, სათბობი, ელექ-



ტროენერგია, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასი, საამქრო და საერთო-საქარხნო ხარჯები. პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯთა ერთობლიობას ეწოდება საფაბრიკო-საქარხნო (წარმოების) თვითღირებულება.

საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულება პლუს წარმოების გარეშე ხარჯები (საქონლის შენახვა, შეფუთვა, დახარისხება, დანიშნულ ადგილზე მიტანა, დატვირთვა-ჩამოტვირთვა) ერთად აღებული შეადგენს პროდუქციის სრულ (რეალიზაციის) თვითღირებულებას.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოქმედებს სხვადასხვა ფასი, რომლებიც ერთად აღებული ქმნიან ფასთა სისტემას. ასეთია, მაგალითად, მრეწველობაში — საბითუმო ფასები, სოფლის მეურნეობაში — სახელმწიფო შესყიდვის, ჩაბარებისა და საბაზრო ფასები, ვაჭრობაში — სახელმწიფო საცალო ფასები.

სტრუქტურის მიხედვით მრეწველობაში გამოყენებული საბითუმო ფასები ორი სახისაა: საწარმოს საბითუმო ფასი და მრეწველობის საბითუმო ფასი.

საწარმოს საბითუმო ფასი მრეწველობის მოცემული დარგის ყველა საწარმოსათვის ერთიანი ფასია და გამოითვლება საშუალო დარგობრივი თვითღირებულების საფუძველზე. იგი მოიცავს საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულებას, წარმოების გარეშე ხარჯებს და საწარმოს გეგმურ მოგებას. საწარმოს საბითუმო ფასის მიხედვით ხორციელდება სამრეწველო საწარმოების მიერ მრეწველობის გამსაღებელი ბაზებისა და ცალკეულ საწარმოებისათვის მიწოდებულ პროდუქციაზე ანგარიშსწორება.

მრეწველობის საბითუმო ფასი კი შედგება საწარმოს საბითუმო ფასისა და ბრუნვის გადასახადისაგან. სწორედ ამ ფასის მიხედვით ხორციელდება მრეწველობის გამსაღებელ ბაზებსა და სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის (ასევე სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის) მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება.

საბითუმო ფასების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 1966 წლის მეოთხე და 1967 წლის პირველ კვარტალებში მსუბუქი და კვების მრეწველობის უმეტეს დარგებში, ხოლო 1967 წლის იანვრიდან — მძიმე მრეწველობის დარგებში შემოღებულია ახალი საბითუმო ფასები.

ახალი საბითუმო ფასების პირობებში უზრუნველყოფილია პროდუქციის წარმოების დარგობრივი დანახარჯების უფრო სრული და ზუსტი აღრიცხვა, ლიკვიდირებულია მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების (ნახშირის მრეწველობა, სამთამადნო მრეწველობა, ზოგიერთ სამშენებლო მასალათა წარმოება და სხვ.) ზარალიანობა.

მრეწველობის მიხედვით მთლიანად საწარმოს საბითუმო ფასების ინდექსი 1967 წლის მეორე ნახევარში 1966 წელთან შედარებით 9%-ით გაიზარდა, მათ შორის მძიმე მრეწველობაში — 17,5%-ით. დროის ამავე პერიოდში მრეწველობის საბითუმო ფასების ზრდამ შესაბამისად შეადგინა 7-15%. მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში 1967 წელს საბითუმო ფასები თითქმის არ შეცვლილა. აღსანიშნავია ის, რომ 1966-1967 წლებში სახალხო მოხმარების საქონელზე საბითუმო ფასების ცვლილება ისე ჩატარდა, რომ მას არ მოჰყოლია საცალო ფასების მომატება.

1973 წლის იანვრიდან მსუბუქი მრეწველობის უმეტეს დარგებში შემოღებულია წარმოების დანახარჯების უფრო სრულად ამსახველი ახალი საბითუმო ფასები. მსუბუქ მრეწველობაში 1972 წელთან შედარებით საწარმოს საბითუმო ფასები გაიზარდა 8%-ით, ხოლო მრეწველობის საბითუმო ფასები — 5%-ით. ახალი საბითუმო ფასები შემოღებულ იქნა აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის უმეტეს დარგებში.

მრეწველობის საბითუმო ფასთა სტრუქტურის ცვლილებას კარგად გვიხასიათებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ც ხ რ ი ჲ 9.1

მრეწველობის საბითუმო ფასთა სტრუქტურის ცვლილება, პროცენტებში

	1965 წ.			1970 წ.			1979 წ.		
	მთელი მრეწველობა	მძიმე მრეწველობის დარგები	მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები	მთელი მრეწველობა	მძიმე მრეწველობის დარგები	მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები	მთელი მრეწველობა	მძიმე მრეწველობის დარგები	მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები
მრეწველობის საბითუმო ფასები .	100	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის: სამრეწველო საწარმოების და გამსაღებელი ორგანიზაციების დანახარჯები .	74,7	81,3	67,6	73,0	77,0	68,0	74,3	77,4	69,9
სამრეწველო საწარმოებისა და გამსაღებელი ორგანიზაციების მოგება .	9,4	11,6	7,6	14,2	18,1	9,3	11,5	14,1	7,7
ბრუნვის გადასახადი	15,9	7,1	25,3	12,8	4,9	22,7	14,2	8,5	22,4

1 Народное хозяйство СССР в 1979 г., Статистический ежегодник, 1980, стр. 167.

9.1 ცხრილიდან ჩანს, რომ 1979 წელს მრეწველობის საბითუმო ფასის სტრუქტურაში თვითღირებულებაზე მოდიოდა 74,3% (მათ შორის შიშვე ინდუსტრიის დარგებში — 77,4%, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში — 69,9%), სამრეწველო საწარმოებისა და გამსაღებელი ორგანიზაციების მოგებაზე შესაბამისად — 11,5; 14,1 და 7,7%, ხოლო ბრუნვის გადასახადზე — 14,2; 8,5 და 22,4%.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაცია ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის და ჩაბარების, აგრეთვე საკომისიო ფასებით.

სახელმწიფო შესყიდვის ფასებით ხდება დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სხვა მწარმოებლებისაგან პროდუქციის შესყიდვა.

საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის ჩაბარება სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებზე ხორციელდება ჩაბარების ფასებით.

საკომისიო ფასები გამოყენებულია სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობაში. როგორც ცნობილია, სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციები აწარმოებენ ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან. მოსახლეობასთან შეთანხმებული ფასებით შესყიდული ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაცია ხდება საკომისიო მალაზიათა ქსელის საშუალებით. საკომისიო ვაჭრობის ქსელში რეალიზებულ საქონელზე ფასები წესდება საკოლმეურნეო ბაზარზე მოქმედი ფასების კონიუნქტურის შესაბამისად. საკომისიო მალაზიებში სარეალიზაციო ფასი, როგორც წესი, 10-15%-ით ნაკლებია საკოლმეურნეო ბაზრის ფასებზე.

სახელმწიფო საცალო ფასი ისეთი ფასია, რომლის მიხედვითაც სახალხო მოხმარების საქონელი საცალო სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სავაჭრო ქსელის საშუალებით იყიდება მომხმარებლებზე, უმთავრესად მოსახლეობაზე. არასასურსათო საქონლის ფასი მოიცავს მრეწველობის საბითუმო ფასსა და სავაჭრო დათმობას, ხოლო სასურსათო საქონლის ფასი — გამსაღებელი ორგანიზაციის საბითუმო ფასსა და სავაჭრო დათმობას (დარიცხვას). დათმობა არის სხვაობა საქონლის შესყიდვის და გასაყიდ ფასთა შორის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასის სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ სქემაში (იხ. გვ. 179).

საცალო ფასები სხვადასხვა სახისაა. მოქმედების ადგილის მიხედვით განასხვავებენ ერთიან საკავშირო, ზოლობრივ (დიფერენცირებული რაიონების მიხედვით) და ადგილობრივ ფასებს.

ერთიანი საკავშირო საცალო ფასი ისეთი ფასია, რომლის მიხედვითაც სახალხო მოხმარების საქონელი იყიდება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი ფასებით. ასეთი ფასები წესდება ისეთ საქო-

ნელზე (ქსოვილები, ფეხსაცმელი, რადიომიმღები, ჩაი, ყავა, თამბაქოს ნაწარმი და სხვ.), რომლის წარმოების პირობები ქვეყნის ტერიტორიის ყველა რაიონში ერთიმეორისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება და ამასთან მოხმარების რაიონში მისი შეზიდვის ხარჯები შედარებით მცირეა.

ერთიანი საკავშირო საცალო ფასის სახესხვაობას წარმოადგენს ეტიკეტური ფასი, ე. ი. ისეთი ფასი, რომელიც თვით საქონელზეა აღნიშნული.

ზოლობრივი საცალო ფასის დაწესებისას მხედველობაში მიიღება ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებში პროდუქციის წარმოების სხვადასხვა პირობები, რაც გამოწვეულია ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებით და, აგრეთვე სხვადასხვა ოდენობის სატრანსპორტო ხარჯების არსებობით. ასეთი ფასები უმთავრესად დადგენილია სასურსათო საქონელზე (ძებვის ნაწარმი, შაქარი; საკონდიტრო ნაწარმი, ღვინო) და ზოგიერთ ტვირთტევად — არასასურსათო საქონელზე (ხე-ტყის მასალა, ფურცლოვანი მინა).

ჩვენი ქვეყნის ტერიტორია სხვადასხვა საქონლის მიხედვით დაყოფილია 3 ზოლად (ხე-ტყის მასალის მიხედვით 7 ზოლია დაწესებული).

პირველ ზოლს განეკუთვნება რაიონები, სადაც ხდება მოცემული საქონლის მასობრივი წარმოება;

მეორე ზოლში შეიტანება რაიონები, სადაც საქონელი მასობრივად შეიზიდება მისი არასაკმარისი ოდენობით წარმოების გამო;

მესამე ზოლი მოიცავს რაიონებს, სადაც მოცემული საქონელი სრულეობით არ იწარმოება და ამასთან ამ რაიონებში საქონლის მიტანა საკმაოდ მაღალ სატრანსპორტო დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

ფასების დონეთა შორის სხვაობა აღნიშნულ ზოლებს შორის 10-დან 15 პროცენტამდე მერყეობს.

ყველაზე დაბალი საცალო ფასი დაწესებულია პირველი ზოლისათვის, ხოლო ყველაზე მაღალი — მესამე ზოლისათვის, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს უკიდურესი ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებს.

აღვილობრივი საცალო ფასით საქონლის რეალიზაცია ხდება მისი წარმოების რაიონში. იგი მოქმედებს მხოლოდ მოცემული რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის ფარგლებში. ასეთ საქონელს განეკუთვნება ბოსტნეული, ხილი, ბალჩეული, კარტოფილი, სამშენებლო მასალა და სხვ.


მოქმედების დროის მიხედვით განასხვავებენ მუდმივ, სეზონურ და დროებით საცალო ფასს.

მუდმივი საცალო ფასი დროის ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედებს.

ცალკეულ პროდუქტებზე, რომელთა თვითღირებულება და წარმოე-

სოფლის მეურნეობის პროდუქციის საცალო ფასის სტრუქტურა  
(პროცენტობით)

საცალო ფასი



ბის პირობები წლის სხვადასხვა დროში მნიშვნელოვნად განსხვავდება (ხილი, ციტრუსები, ყურძენი, წესდება სეზონური საცალო ფასები. საცალო ქსელში მათი ინტენსიური შემოზიდვის პერიოდში საცალო ფასები შედარებით დაბალია, ხოლო სეზონის დაწყებამდე ან მისი გასვლის შემდეგ — შედარებით მაღალი.

დროებითი საცალო ფასი წესდება ცალკეულ საქონელზე განსაზღვრული ვადით — რამდენიმე თვიდან ერთ წლამდე. დროებითი ფასი დადგენილია ახალი სახის საქონელზე წარმოებაში მათი ათვისების პერიოდში. დროებითი ფასი მუდმივ ფასზე მაღალია, ვინაიდან იგი ასახავს დანახარჯთა უფრო მაღალ დონეს. სერიულ წარმოებაზე გადასვლის მომენტიდან მასზე წესდება მუდმივი საცალო ფასი.

დაბოლოს, წარმოების შემდგომი სტიმულირებისათვის ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (როგორცაა ბამბა, შაქრის ჭარხალი) შემხვედრი გაყიდვის დროს ჩამბარებელთათვის წესდება შეღავათიანი საცალო ფასი.

ჩვენს ქვეყანაში ფასებს აწესებს სახელმწიფო გეგმურად საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების, მოსახლეობის მოთხოვნათა ინტენსივობისა და სოციალისტური დაგროვების ამოცანათა შესაბამისად. სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების დაწესებისას სახელმწიფო მგეგმავი და მარეგულირებელი ორგანოები ყოველთვის ითვალისწინებენ იმას, რომ ფასების დონეთა შორის არსებობდეს სწორი, გონივრული თანაფარდობა. მაგალითად, შუშაზე, ნახშირზე, ნავთობის პროდუქტებსა და გაზზე ფასები ისეა დადგენილი, რომ ერთი სახის სწავის მეორეთი შეცვლა მომხმარებელთა მხრივ არ იწვევს ზედმეტი ხარჯების გაღებას. ასევე, სამშენებლო მასალებზე დადგენილი ფასები სტიმულს უქმნის ახალს, ეკონომიურად ხელსაყრელი მასალების გამოყენებას. სწორედ ამიტომაც, რომ საცალო ფასები რკინა-ბეტონის ნაწარმზე შედარებით დაბალია.

მოქმედი წესის თანახმად, უმნიშვნელოვანესი სახეობის სახალხო მოხმარების საქონელზე როგორცაა, პური და პურ-ფუნთუშეული, ფქვილი, ბურღული, კარაქი, ზეთი, მარგარინი, თევზი, შაქარი, ჩაი, ყავა, არაყი, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ტყავისა და რეზინის ფეხსაცმელი, საპონი, თამბაქოს ნაწარმი, ნავთპროდუქტები, ასანთი და სხვ. აგრეთვე იმპორტულ საქონელზე საცალო ფასებს საკავშირო მთავრობის დავალებით ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი. აღნიშნულ სახეობათა საქონლის ხვედრითი წონა ქვეყნის საცალო საქონელბრუნვაში დაახლოებით 55%-მდე აღწევს. დანარჩენ საქონელზე (საქონდითრო და სამკერვალო ნაწარმი, ლუდი, გალანტერეა, პარფიუმერია, ავეჯი და სხვ.) საცალო ფასებს ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომი-

ტეტები, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის საქონელსა და ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე (კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სხვ.) — ოლქების, მხარეებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების ვაჭრობის სამმართველოები.

სახალხო მოხმარების საქონელზე მთავრობის მიერ ცენტრალიზებული წესით დამტკიცებულ საცალო ფასების ცვლილებაზე დაკვირვებას სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ახორციელებს, ხოლო რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებულ ფასებზე — მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები. ეს უკანასკნელნი საანგარიშო კვარტალის შემდგომი თვის 25 რიცხვისათვის სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უდგენენ მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე სახელმწიფო საცალო ფასების ცვლილების შესახებ კრებსით ანგარიშს.

ცალკეული საქონლისა და საქონელჭგუფების მიხედვით საცალო ფასების ცვლილებაზე სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაცია სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობაში, ერთი მხრივ, და საკოლმეურნეო ბაზრებზე, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან განსხვავებულია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასებს აწესებს სახელმწიფო. საცალო ფასების ცვლილება, სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ასეთ ვითარებაში ფასების დონეთა ცვლილებაზე სისტემატური დაკვირვების ჩატარება არ არის აუცილებელი. საკოლმეურნეო ბაზარზე კი ფასები იცვლება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობათა საფუძველზე. ამიტომ აქ საქონლის ფასების ცვლილებაზე სისტემატური სტატისტიკური დაკვირვების ჩატარება აუცილებელია.

სსრ კავშირის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში ამჟამად მოქმედებს 4403 საკოლმეურნეო ბაზარი. აქედან 3013 ბაზარზე ვაჭრობა წარმოებს ყოველდღიურად. ფასების რეგისტრაციისათვის შერჩეულია 264 მსხვილი ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარი<sup>1</sup>. შერჩეულ ქალაქებში ცხოვრობს ქვეყნის მთელი ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების რეგისტრაციას ახორციელებენ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები, კერძოდ, ქალაქის (რაიონის) საინფორმაციო-საანგარიშო სადგურების მუშაკები.

აღმრიცხველ-სტატისტიკოსი, რომელიც საკოლმეურნეო ბაზარზე

<sup>1</sup> საქ. სსრ ტერიტორიაზე საცალო ფასებზე დაკვირვების ჩასატარებლად შერჩეულია ოთხი ქალაქის — თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარი.

ფასების რეგისტრაციას აწარმოებს, სრულყოფილად უნდა იცნობდეს თავისი ქალაქის (რაიონის), საკოლმეურნეო ვაჭრობის პირობებს.

რეგისტრაციის დროს გამოყენებულია აღრიცხვის შემდეგი ფორმები:

ა) ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების რეგისტრაციის ბლოკ-ნოტი (ფორმა № 4);

ბ) ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების რეგისტრაციის ყოველთვიური ბლანკი (ფორმა № 2);

გ) რაიონული ცენტრების საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების რეგისტრაციის ბლანკი (ფორმა № 2).

ფასების რეგისტრაციის ყოველთვიურ ბლანკში (ფორმა № 2) ჩამოთვლილია იმ საქონელთა დასახელება, რომლებიც რეგისტრაციას ექვემდებარება. მისი სასაქონლო სტრუქტურა 70-ზე მეტი დასახელების საქონელს მოიცავს.

ფასების და, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანისა და რეალიზაციის რეგისტრაცია წარმოებს ქალაქის ერთი ან რამდენიმე ბაზრის მიხედვით ყოველი თვის 25 რიცხვის მდგომარეობით. ამასთან, რეგისტრაცია წარმოებს ცალ-ცალკე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების პროდუქტების მიხედვით.

ფასების რეგისტრაციის ჩასატარებლად საკოლმეურნეო ბაზრის შერჩევა წარმოებს იმგვარად, რომ შერჩეული ბაზრის ფასები ძირითადად უნდა ასახავდეს ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე წარმოქმნილ ფასების საშუალო დონეს და მოცემულ ბაზარზე გაყიდული ძირითადი სახეობის პროდუქტების მოცულობა უნდა შეადგენდეს ქალაქის ყველა ბაზარზე გაყიდული საქონლის მთელი რაოდენობის 75—80% -ს.

ფასების რეგისტრაცია წარმოებს ინტენსიური ვაჭრობის საათებში, ე. ი. იმ დროს როცა ბაზარზე იმყოფება გამყიდველთა და მყიდველთა მთელი მასა და ამასთან მოცემულ დღეს იყიდება ყველაზე მეტი რაოდენობის საქონელი.

რეგისტრაციაში ტარდება ყველაზე გავრცელებული (მოდალური) ფასები, ე. ი. ისეთი ფასები, რომელთა მიხედვით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ძირითადი მასის გაყიდვა. ამასთან რეგისტრაციას ექვემდებარება არა დაფასებითი, არამედ საქონლის გაყიდვის ფაქტიური ფასები. რეგისტრაციის დღეს ფორმა № 2-ის ბლანკში ჩამოთვლილი საქონლიდან თუ რომელიმე მათგანის გაყიდვა აღარ ხდება, მაშინ ბაზრის მუშაკების გამოკითხვის გზით უნდა დადგინდეს ამ საქონლის უკანასკნელი გაყიდვის ფასი.

რაიონული ცენტრების საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების რეგისტრაცია ხორციელდება სახელმწიფო სტატისტიკის რაიორგანოების მიერ ფორმა № 1-ბ მიხედვით თვეში ერთხელ 25 რიცხვში ან სხვა რომელიმე საბაზრო დღისათვის (25 რიცხვის წინ). რეგისტრაციას ექვემდებარება



კოლმეურნეებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების მიერ ბაზარზე გაყიდული საქონელი, ხოლო კოლმეურნეობების მიერ გაყიდულ საქონელზე ფასების რეგისტრაცია საერთოდ არ წარმოებს.

ფასების შესწავლისას სტატისტიკა ამოცანად ისახავს:

1. დაადგინოს საქონლის ფასების დონე და დინამიკა და გამოავლინოს მათზე მოქმედი ფაქტორები;

2. გაიანგარიშოს საქონელზე ფასების ცვლილების შედეგად მოსახლეობის მიერ მიღებული ეკონომიის (გადახარჯვის) აბსოლუტური თანხა;

3. განსაზღვროს სხვადასხვა ფასების (საცალო, საბითუმო, საკომისიო, საბაზრო) დონეთა შორის თანაფარდობა;

4. გაზომოს საქონლის ფასებისა და მომსახურებათა განაკვეთების ცვლილების შედეგად მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ცვლილებათა ხარისხი;

5. გამოითვალოს საქონელბრუნვისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსები.

## § 2. ფასების საშუალო დონის გაანგარიშება

სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების დინამიკის შესწავლის აუცილებელ პირობას შეადგენს საშუალო ფასის გაანგარიშება.

საქონლის საშუალო ფასი იანგარიშება საშუალო სიდიდეთა საფუძველზე. საშუალო სიდიდის რომელი ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული საშუალო ფასის დადგენისას, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია მონაცემები საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდული საქონლის რაოდენობისა და ფასების შესახებ.

ქალაქის სხვადასხვა ბაზარზე საქონლის ერთეულის ფასი ერთმანეთისაგან თუ უმნიშვნელოდ იხრება, მაშინ საქონლის საშუალო ფასი ქალაქის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მარტივი საშუალო არითმეტიკულის მიხედვით:

$$\bar{p} = \frac{\sum P}{n}$$

ვთქვათ, ქალაქის სამ ბაზარზე მიმდინარე წლის 25 მაისს, რეგისტრირებულია 1 კგ ყველის ფასი 2,5 მან., 2,4 და 2,6 მანეთი.

ერთი კილოგრამი ყველის საშუალო ფასი ქალაქის მიხედვით იქნება:

$$\bar{p} = \frac{2,5 + 2,4 + 2,6}{3} = \frac{7,5}{3} = 2,5 \text{ მანეთი.}$$

საშუალო ფასის გაანგარიშებას თუ ვახდენთ სამი ან მეტი თარიღის მონაცემთა მიხედვით და ამასთან ფასების რეგისტრაციის თარიღები

საკოლმეურნეო ბაზარზე თანაბარი ინტერვალებით არიან ერთიმეორისაგან დაცილებული, მაშინ საძიებელი სიდიდე განისაზღვრება ქრონოლოგიური საშუალოს ფორმულით:

$$\bar{P} = \frac{\frac{1}{2}P_1 + P_2 + P_3 + \dots + P_{n-1} + \frac{1}{2}P_n}{n-1}$$

ვთქვათ, 1 კგ ძროხის ხორცის ფასი ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარზე იყო:

25 IX — 2,4 მან., 25 X — 2,0, 25 XI — 2,4, 25.XII — 3,0 მან.

მაშასადამე, 1 კგ ძროხის ხორცის ფასი IV კვარტალში იქნება:

$$\bar{P} = \frac{\frac{2,4}{2} + 2,0 + 2,4 + \frac{3,0}{2}}{3} = \frac{7,1}{3} \cong 2,4 \text{ მან.}$$

ამ შემთხვევაში საშუალო ფასი ასევე შეიძლება განვსაზღვროთ საშუალო თვიური ფასებიდან გამომდინარე მარტივი არითმეტიკული საშუალოს ფორმულით:

$$\bar{P} = \frac{\frac{2,4+2,0}{2} + \frac{2,0+2,5}{2} + \frac{2,5+3,0}{2}}{3} = \frac{7,1}{3} \cong 2,4 \text{ მან.}$$

თუ ცნობილია ბაზარზე გაყიდულ საქონელთა ნატურალური რაოდენობანი და ერთეულის ფასი, საქონლის საშუალო ფასი გამოითვლება შეწონილი საშუალო არითმეტიკულის ფორმულით:

$$\bar{P} = \frac{\sum qP}{\sum q},$$

სადაც  $q$  არის გაყიდული საქონლის ნატურალური რაოდენობა,  $P$  — ერთეულის ფასი, ხოლო  $\sum qP$  — რეალიზაციის მოცულობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს ცნობები საქონელბრუნვის მოცულობისა და ერთეულის ფასის შესახებ, საშუალო ფასი იანგარიშება შეწონილი პარამონიული საშუალოს ფორმულით:

$$\bar{P} = \frac{\sum q_1 P_1}{\sum \frac{1}{P_1} q_1 P_1};$$

ვთქვათ, რეალიზებული პამიდორის რაოდენობისა და საქონელბრუნვის შესახებ ქალაქის ორი ბაზრის მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები:

საკომპლექტო ბაზარი	1981 წლის ივლისი		1982 წლის ივლისი	
	გაყიდული პამიდორი კგ	ერთეულის ფასი (მან.)	ერთეულის ფასი (მან.)	გაყიდული პამიდორის ლირებულეზა (მან.)
№ 1	13000	1 0	0,8	12000
№ 2	15000	0,9	0,6	15000
სულ	28000			27000

განვსაზღვროთ ორივე ბაზრის მიხედვით ერთად 1 კგ პამიდორის საშუალო ფასი და მისი ცვლილება 1982 წლის ივლისში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

1981 წლის ივლისში 1 კგ პამიდორის საშუალო ფასი ორივე ბაზრის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს შეწონილი არითმეტიკული საშუალოს საფუძველზე:

$$\bar{p} = \frac{\sum q_0 p_0}{\sum q_0} = \frac{13000 \times 1,0 + 15000 \times 0,9}{13000 + 15000} = \frac{26500}{28000} \cong 0,95 \text{ მან.}$$

ერთი კგ პამიდორის საშუალო ფასი 1982 წლის ივლისში შეიძლება დაეადგინოს შეწონილი ჰარმონიული საშუალოს საფუძველზე:

$$\bar{p}_1 = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{p_1} q_1 p_1} = \frac{12000 + 15000}{\frac{12000}{0,8} + \frac{15000}{0,6}} = \frac{27000}{40000} \cong 0,67 \text{ მან.}$$

ე. ი. 1 კგ პამიდორის საშუალო ფასი 1982 წლის ივლისში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28 კაპიკით, ანუ 29,6%-ით შემცირდა.

ცალკეულ შემთხვევებში საქონლის საშუალო ფასი მარტივი ჰარმონიული საშუალოს ფორმულით განისაზღვრება.

ვთქვათ, ერთი და იმავე რაოდენობის თანხით (ათას მან.) რესპუბლიკის ორ რაიონში შესყიდულია ერთი და იგივე პროდუქტი. პირველ რაიონში 1 კგ 2 მანეთად, მეორეში — 3 მანეთად.

განვსაზღვროთ შესყიდული პროდუქტის ერთეულის საშუალო ფასი ორივე რაიონის მიხედვით ერთად.

ერთეული პროდუქტის საშუალო ფასს თუ ვიანგარიშებთ მარტივი საშუალო არითმეტიკულის ფორმულით, მაშინ ორივე რაიონში საშუალო ფასი იქნება:

$$\bar{p} = \frac{\sum p}{n} = \frac{2+3}{2} = \frac{5}{2} = 2,5 \text{ მან.}$$

ახლა იმავე პროდუქტის საშუალო ფასი ვიანგარიშით მარტივი ჰარმონიული საშუალოს ფორმულით:

$$\bar{p} = \frac{n}{\sum \frac{1}{p}} = \frac{2}{\frac{1}{2} + \frac{1}{3}} = 2 : \frac{5}{6} = 2,4 \text{ მან.}$$

ჰარმონიული საშუალო რომ უფრო ზუსტ შედეგს იძლევა, ამაში ადვილად დავრწმუნდებით.

ვთქვათ, პირველ რაიონში შესყიდულ იქნა 30 000 კილოგრამი პროდუქტი და მეორეში — 20 000.

ერთეული პროდუქტის საშუალო ფასი ორივე რაიონში იქნება:

$$\bar{p} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1} = \frac{30000 \times 2 + 20000 \times 3}{50000} = \frac{120000}{50000} = 2,4 \text{ მან.}$$

იმ შემთხვევაში, როცა არ გვაქვს მონაცემები საქონელბრუნვის მოცულობისა და არც სხვადასხვა ფასებით გაყიდული პროდუქტების რაოდენობის შესახებ, მაშინ ერთეულის საშუალო ფასი დროის მოცემულ პერიოდში განისაზღვრება შეწონილი საშუალო არითმეტიკულის ფორმულით, ამასთან ვარიანტებად აღებული იქნება ფასები, წონებად — დღეების რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც მოცემული ფასები მოქმედებდა.

ვთქვათ, საკოლმეურნეო ბაზარზე 1 კგ ყველის ფასი მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში იყო 2 მან., ხოლო დეკემბრის თვეში — 3 მან. 1 კგ ყველის საშუალო ფასი მეოთხე კვარტალში იქნება:

$$\bar{p} = \frac{2,0 \times 31 + 2,0 \times 30 + 3,0 \times 31}{92} = \frac{215}{92} = 2,3 \text{ მან.}$$

ამოცანა. გვაქვს მონაცემები რესპუბლიკის ოთხი ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე ერთ დღეს გაყიდული საქონლის (ხორცის) რაოდენობისა და ერთეულის ფასის შესახებ (მონაცემები პირობითია).

ცხრილი 9.3

	გაყიდული ხორცის რაოდენობა, კგ	ერთი კგ ხორცის ფასი, მან.	გაყიდული ხორცის მთლიანი ღირებულება, მან.
პირველი ქალაქი	5600	2,5	14000
მეორე ქალაქი	3000	3,0	9000
მესამე ქალაქი	7800	2,8	21840
მეოთხე ქალაქი	2600	3,5	9100
სულ	19000 $\sum q$	—	53940 $\sum qp$

რესპუბლიკის ოთხი ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე გაყიდული ერთი კგ ხორციის საშუალო ფასი გაიანგარიშება შეწონილი საშუალო არითმეტიკულის ფორმულით:

$$\bar{p} = \frac{\sum qp}{\sum q} = \frac{53940}{19000} = 2,84 \text{ მან.}$$

### § 8. შასაიის დონეთა დინამიკა

სტატისტიკაში ფასების დონეთა დინამიკა შეისწავლება საინდექსო მეთოდით, კერძოდ, ფასების ინდექსების გაანგარიშებით.

ინდექსი არის განსაკუთრებული სახის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც მიიღება ეკონომიურად ერთგვაროვან, მაგრამ ნატურალურ გამოსახულებაში უშუალოდ არათანაზომად ელემენტთა ერთობლიობის ურთიერთშეფარდებით.

ფასების ინდექსი ორი სახისაა: ინდივიდუალური და საერთო (საშუალო). პირველი ახასიათებს ცალკეული საქონლის ფასების ცვლილებას, ხოლო მეორე — სხვადასხვა საქონლის ფასების საშუალო ცვლილებას ღრღში ან დონეთა შორის ფარდობას სივრცეში.

ფასების ინდივიდუალური ინდექსი გაიანგარიშება ფორმულით:

$$i = \frac{p_1}{p_0}$$

სადაც  $P_1$ -ით აღინიშნება საქონლის ერთეულის ფასი საანგარიშო მიმდინარე პერიოდში,  $P_0$ -ით — საბაზისო პერიოდში.

ფასების საშუალო ინდექსის ძირითადი ფორმაა აგრეგატული ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}$$

მოცემულ ფორმულაში  $q_1$ -ით აღინიშნება საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის ნატურალური რაოდენობა, ხოლო  $p_1$ -ით და  $p_0$ -ით საქონლის ერთეულის ფასი საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

ფასების აგრეგატული ინდექსის ფორმულაში საინდექსო სიდიდეს (სიდიდე, რომლის დინამიკაც გვსურს გავზომოთ) წარმოადგენს ფასი ( $p$ ), ხოლო თანაზომადობის კოეფიციენტს — მიმდინარე პერიოდში რეალიზებული საქონლის ნატურალური რაოდენობა ( $q_1$ ).

საქონლის ფასების საშუალო დონის ცვლილების დასახასიათებლად შეიძლება თუ არა გამოვიყენოთ გასულ (საბაზისო) პერიოდში რეალი-

ზებული საქონლის რაოდენობა? რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ ამით ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ არა მიმდინარე პერიოდში მოსახლეობის მიერ შესყიდულ საქონელზე ფასების საშუალო დონის ცვლილება, არამედ გასულ (საბაზისო) პერიოდში უკვე მოხმარებულ საქონელზე ფასების ცვლილება, მაშინ როდესაც ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ ფასების ცვლილების შედეგად მოსახლეობის მიერ მიღებული ეკონომიის სიდიდე, არა გასულ (საბაზისო) პერიოდში, არამედ ახლა—მიმდინარე პერიოდში რეალიზებულ საქონელზე. ამას ჩვენ მივალწევთ თუკი ფასების აგრეგატული ინდექსის ფორმულაში წონებად ავიღებთ მიმდინარე პერიოდში გაყიდული საქონლის რაოდენობას.

ინდექსის მრიცხველი ( $\sum q_1 p_1$ ) წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის ფაქტიურ საქონელბრუნვას, ხოლო მნიშვნელი ( $\sum q_1 p_0$ ) — იმავე პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობას საბაზისო პერიოდის ფასებით. სხვანაირად რომ ვთქვათ ინდექსის მრიცხველში მოცემულია საკოლმეურნეო ბაზარზე მოსახლეობის მიერ მიმდინარე პერიოდში შესყიდულ პროდუქტებზე ფაქტიურად გადახდილი თანხა, მნიშვნელში — პირობითი თანხა, რომელსაც გადაიხდიდა მოსახლეობა იმავე რაოდენობის პროდუქტების შესაძენად გასულ (საბაზისო) პერიოდის ფასებით.

აქედან გამომდინარე, სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის დაახასიათებს ეკონომიის (ან გადახარჯვის) აბსოლუტურ თანხას, რომელიც მიიღო მოსახლეობამ მიმდინარე პერიოდში შესყიდული პროდუქტების შედეგად:

$$\Theta = \sum q_1 p_1 - \sum q_1 p_0$$

ფასების ინდექსი მკიდროდ არის დაკავშირებული საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსთან.

ცალკეული საქონლის მიხედვით რეალიზაციის მოცულობის ცვლილება შეისწავლება ინდივიდუალური ინდექსების საფუძველზე.

ინდივიდუალური ინდექსი გაიანგარიშება მიმდინარე პერიოდში რეალიზებული კონკრეტული სახის საქონლის შეფარდებით საბაზისო პერიოდში გაყიდულ იმავე საქონლის რაოდენობასთან შემდეგი ფორმულით:

$$i = \frac{q_1}{q_0}$$

სადაც  $q_1$  და  $q_0$  არის გაყიდული კონკრეტული საქონლის რაოდენობა მიმდინარე და საბაზისო პერიოდებში.

სხვადასხვა სახის საქონლის რეალიზაციის საშუალო ცვლილების გაანგარიშება ნატურალური მაჩვენებლების საფუძველზე უკვე აღარ შეიძლება, ვინაიდან ნატურალური მაჩვენებლები ზომის სხვადასხვა

ერთეულებში გამოისახებიან და, ამასთან არ წარმოადგენენ თანაზომად სიდიდეებს. განზოგადებული მაჩვენებლის მისაღებად მათი შეჯამება, ბუნებრივია, არ შეიძლება.

არ იძლევა სწორ წარმოდგენას საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის დინამიკაზე, აგრეთვე, მიმდინარე პერიოდის ფაქტიური საქონელბრუნვის (  $\sum q_1 p_1$  ) შეფარდება საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობასთან, ვინაიდან ასეთი მეთოდით გაანგარიშებული ინდექსი დაახასიათებს არამხოლოდ რეალიზებული საქონლის რაოდენობის ცვლილებას, არამედ ფასების დონეთა ცვლილებასაც. ამიტომ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გაანგარიშებისას მიმდინარე და საბაზისო პერიოდებში რეალიზებული საქონელი უნდა გამოვსახოთ ერთი და იმავე ფასებით (ჩვეულებრივ, საბაზისო პერიოდის ფასებით). ამით ჩვენ ვაღწევთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის დინამიკაზე ფასების ცვლილების გავლენის ელიმინირებას.

ამრიგად, რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის ინდექსი ახასიათებს საქონელბრუნვის ცვლილებას უცვლელი ფასებით მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით და გამოისახება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

მოცემულ ფორმულაში საინდექსო სიდიდეს შეადგენს რეალიზებული საქონლის ნატურალური რაოდენობა (  $q$  ), ხოლო თანაზომადობის კოეფიციენტს (წონებს) — ფასები (  $p_0$  ).

ინდექსის მრიცხველი (  $\sum q_1 p_0$  ) წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობას გასული (საბაზისო) პერიოდის ფასებით, ხოლო მნიშვნელი (  $\sum q_0 p_0$  ) — გასული (საბაზისო) პერიოდის ფაქტიურ საქონელბრუნვის მოცულობას.

ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა ახასიათებს საქონელბრუნვის აბსოლუტურ მატებას (ან კლებას) უცვლელ ფასებში:

$$\Delta = \sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0$$

საქონელბრუნვის მოცულობის დინამიკა შეისწავლება იმავე სახელწოდების ინდექსით და მიიღება საანგარიშო პერიოდის ფაქტიური საქონელბრუნვის შეფარდებით საბაზისო პერიოდის ბრუნვასთან და გაანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

საქონელბრუნვის ინდექსის სიდიდეზე გავლენას ახდენს ორი ფაქტორი: რეალიზებული საქონლის რაოდენობისა და ფასების ცვლილება. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის, ფასებისა და საქონელ-

ბრუნვის ინდექსებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. მათ შორის კავშირი ემყარება დებულებას, რომლის თანახმად თუ ეკონომიკურ მოვლენებს შორის ურთიერთკავშირი არსებობს, ზუსტად ასეთივე კავშირია მათ შესაბამის ინდექსებს შორისაც.

ცნობილია, რომ რეალიზებული საქონლის რაოდენობისა, ფასებისა და საქონელბრუნვის მაჩვენებლებს შორის ასეთი თანაფარდობა არსებობს:

$$\frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} \times \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

რეალიზებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსი
ფასების ინდექსი
საქონელბრუნვის ინდექსი ფაქტიურ ფასებში

საქონელბრუნვის ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა უდრის რეალიზაციის ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსების მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობათა ჯამს.

$$\sum q_1 p_1 - \sum q_0 p_0 = (\sum q_1 p_1 - \sum q_1 p_0) + (\sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0)$$

მოცემული ფორმულა შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ საქონელბრუნვის მოცულობის ზრდაზე (ან შემცირებაზე) რეალიზებული საქონლის რაოდენობისა და ფასების ცვლილებათა გავლენა აბსოლუტურ გამოსახულებაში.

განხილული ინდექსების გაანგარიშების პრაქტიკა ნათელვყოთ პირობით მაგალითზე:

ვთქვათ, ქალაქის კოოპვაკრობის მალაზიებიდან გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობისა და ერთეულის ფასების შესახებ ორი პერიოდის მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 9.4

პროდუქტების დასახელება	გაყიდული პროდუქტების რაოდენობა. (ცენტ.)		ერთი ცენტნერის ფასი, მან.	
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
კომბოსტო	960	1075	8	7
ქარხალი	300	380	7	6
სტაფილო	200	210	10	8



გ ა ნ ს ა ზ ვ რ ე თ :

1. ფასებისა და რეალიზებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ინდექსები;
2. ფასების საშუალო ცვლილება;
3. ფასების ცვლილების შედეგად მომხმარებელთა ეკონომიის აბსოლუტური სიდიდე;
4. რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის ცვლილება;
5. საქონელბრუნვის ცვლილება ფაქტიურ ფასებში;
6. დაადგინეთ განხილულ ინდექსებს შორის კავშირი;
7. საქონელბრუნვის ცვლილებაზე ფაქტიურ ფასებში რა გავლენა იქონია რეალიზებული პროდუქტების ფიზიკური მოცულობისა და ფასების ცვლილებამ ნატურალურ გამოსახულებაში.

ა მ ო ხ ს ნ ა

1. ფასების ინდივიდუალური ინდექსი

$$i = \frac{p_1}{p_0}$$

ა) კომბოსტო  $\frac{7}{8} = 0,875$  ანუ 87,5%;

ბ) კარხალი  $\frac{6}{7} = 0,857$  ანუ 85,7%;

ვ) სტაფილო  $\frac{8}{10} = 0,8$  ანუ 80%;

2. რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ინდექსი.

$$i = \frac{q_1}{q_0}$$

ა) კომბოსტო  $\frac{1075}{960} = 1,12$  ანუ 112%;

ბ) კარხალი  $\frac{380}{300} = 1,266$  ანუ 126,6%;

ვ) სტაფილო  $\frac{210}{200} = 1,05$  ანუ 105%;

3. ყველა პროდუქტის მიხედვით ფასების საშუალო ცვლილება

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{1075 \times 7 + 380 \times 6 + 210 \times 80}{1075 \times 8 + 380 \times 7 + 210 \times 10} = \frac{11485}{13360} = 0,859 \text{ ანუ } 85,9\%$$

ე. ი. საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით ფასების დონე ყველა პროდუქტის მიხედვით საშუალოდ 14,1%-ით შემცირდა;

4. ფასების შემცირების შედეგად მოსახლეობის მიერ მიღებული ეკონომიის აბსოლუტური სიდიდე

$$\sum q_1 p_1 - \sum q_1 p_0 = 11485 - 13360 = -1875 \text{ მან.}$$

5. რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის საერთო ცვლილება

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{13360}{960 \times 8 + 300 \times 7 + 200 \times 10} =$$

$$= \frac{13360}{7680 + 2100 + 2000} = \frac{13360}{11780} = 1,135 \text{ ანუ } 113,5\%;$$

ე. ი. უცვლელი ფასებით რეალიზაციის ფიზიკური მოცულობა მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით გაიზარდა 13,5%-ით, რაც აბსოლუტურ გამოსახულებაში შეადგენს:

$$\sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0 = 13360 - 11780 = 1580 \text{ მან.}$$

6. ფაქტიურ ფასებში საქონელბრუნვის ცვლილება:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{11485}{11780} = 0,975 \text{ ანუ } 97,5\%,$$

ე. ი. საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში შემცირდა 2,5%-ით (100,0—97,5);

7. განხილულ ინდექსებს შორის ურთიერთკავშირი

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} \times \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

$$0,859 \times 1,135 = 0,957 \text{ ანუ } 97,5\%;$$

8. საქონელბრუნვის მოცულობის ცვლილებაზე ფაქტიურ ფასებში რა გავლენა იქონია გაყიდული საქონლის რაოდენობისა და ფასების დონეთა ცვლილებამ?

ამას დავადგენთ შემდეგი ფორმულის საფუძველზე

$$\sum q_1 p_1 - \sum q_0 p_0 = (\sum q_1 p_1 - \sum q_1 p_0) + (\sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0)$$

$$11485 - 11780 = (11485 - 13360) + (13360 - 11780) =$$

$$= -1875 \text{ მან.} + 1580 \text{ მან.} = -295 \text{ მან.}$$

მაშასადამე, მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვის მოცულობა ფაქტიურ ფასებში შემცირდა, რაც

გამოწვეულია — ერთი მხრივ, გაყიდული საქონლის რაოდენობის ზრდით (1580 მანეთით) და, მეორე მხრივ, — ფასების შემცირებით (— 1875 მანეთით). ორივე ფაქტორის ერთდროული, მაგრამ საპირისპირო მოქმედების შედეგად, კოოპერაციის მალაზიების ბრუნვა 295 მანეთით შემცირდა (+ 1580—1875).

ფასების და რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის აგრეგატული ინდექსების გაანგარიშებისათვის აუცილებელია გაგვაჩნდეს მონაცემები შესაბამის პერიოდებში გაყიდული საქონლის რაოდენობისა და ცალკეული საქონლის ფასების შესახებ. ასეთი მონაცემებით ვსარგებლობთ საკოლმეურნეო ვაჭრობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში დამზადების სტატისტიკაში. სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის სტატისტიკა არ აწარმოებს რეალიზებული საქონლის ხაზურალურ აღრიცხვას. აქ აღრიცხება მხოლოდ საქონელბრუნვის მოცულობა ( $\sum qp$ ). ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ფასებისა და რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის აგრეგატული ინდექსების გარდაქმნა მათ ეკვივალენტურ ინდექსებად — ფასების საშუალო ჰარმონიულ და რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის საშუალო არითმეტიკულ ინდექსებად.

აგრეგატული ინდექსების საშუალო ინდექსებად გარდაქმნა ხორციელდება შესაბამისი ინდივიდუალური ინდექსების საფუძველზე.

ფასების აგრეგატული ინდექსი:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}$$

ფასების ინდივიდუალური ინდექსი:

$$i = \frac{p_1}{p_0}, \quad p_0 = \frac{1}{i} p_1$$

$p_0$ -ის მნიშვნელობა შევიტანოთ აგრეგატული ინდექსის ფორმულის მნიშვნელში და მივიღებთ ფასების საშუალო ჰარმონიული ინდექსის ფორმულას:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}$$

ინდექსის მრიცხველში მოცემულია მიმდინარე პერიოდის ფაქტიური საქონელბრუნვა, ხოლო მნიშვნელში — საბაზისო პერიოდის ფასებში გადაანგარიშებული იმავე პერიოდის საქონელბრუნვა.

რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის აგრეგატული ინდექსი:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ინდექსი:

$$i = \frac{q_1}{q_0}, \quad q_1 = iq_0$$

$q_1$ -ის მნიშვნელობა შევიტანოთ აგრეგატული ინდექსის ფორმულის

მრიცხველში, რის შედეგად მივიღებთ რეალიზებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის საშუალო არითმეტიკულ ინდექსს:

$$I = \frac{\sum i q_0 p_0}{\sum q_0 p_0}$$

ცნობილია, რომ ფასების აგრეგატული ინდექსის მნიშვნელი პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსის მრიცხველის იდენტური სიდიდეა  $\left( \sum q_0 p_0 = \sum \frac{1}{i} q_1 p_1 \right)$ . რეალიზებული პროდუქციის ფიზი-

კური მოცულობის აგრეგატული ინდექსის მრიცხველში თუ შევიტანთ მის მნიშვნელობას, მივიღებთ რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის საშუალო არითმეტიკულ ინდექსს:

$$I = \frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

ინდექსის მრიცხველი წარმოადგენს საბაზისო პერიოდის ფასებში გადაანგარიშებულ მიმდინარე პერიოდის საქონელბრუნვას, ხოლო მნიშვნელი — საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვას.

გარდაქმნილ ინდექსებს შორის ისეთივე კავშირი არსებობს, როგორც მათ წარმომქმნელ აგრეგატულ ინდექსებს შორის.

$$\underbrace{\frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}}_{\text{ფასების საშუალო პარმონიული ინდექსი}} \times \underbrace{\frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_0 q_0}}_{\text{პროდუქციის ფიზ. მოცულობის საშუალო არითმეტიკული ინდექსი}} = \underbrace{\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}}_{\text{საქონელბრუნვის ინდექსი ფაქტიური ფასებში}}$$

თუ ცნობილია საქონელბრუნვისა და ფასების ინდექსთა მნიშვნელობები, მაშინ რეალიზებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსი განისაზღვრება საქონელბრუნვის ინდექსის შეფარდებით ფასების ინდექსთან.

$$\frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}$$

მაშასადამე, ფასების ინდექსი — საქონელბრუნვისა და რეალიზებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსთა წარმოებულ სიდიდეა.

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}$$

განხილული ინდექსების გაანგარიშების პრაქტიკა განვიხილოთ პირობით მაგალითზე:

ვთქვათ, საქონელბრუნვის მოცულობის და ფასების ცვლილების შესახებ ერთ-ერთი სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ც ხ ი ლ ი 9.5

საქონელჯგუფები	საქონელბრუნვა (ათას მან.)		ფასების ცვლილება საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით, პროცენტობით
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	
1. ბამბის ქსოვილები	180	200	-8
2. შალის ქსოვილები	100	120	+3
3. შხა ტანსაცმელი	250	280	-5
ს უ ლ	530	600	—

გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ე თ:

1. ფასების საშუალო ცვლილება;
2. ფასების ცვლილების შედეგად მოსახლეობის მიერ მიღებულ ეკონომიის თანხა;
3. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ცვლილება;
4. საქონელბრუნვის დინამიკა ფაქტიურ ფასებში;
5. განხილულ ინდექსებს შორის კავშირი;
6. საქონელბრუნვის საერთო ცვლილებაზე გაყიდული საქონლის რაოდენობისა და ფასების ცვლილებათა გავლენა აბსოლუტურ გამოსახულებაში.

ა მ ო ხ ს ნ ა:

1. ფასების საშუალო ცვლილება ყველა საქონელჯგუფის მიხედვით

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1} = \frac{200 + 120 + 280}{\frac{200}{0,92} + \frac{120}{1,03} + \frac{280}{0,95}} = \frac{600}{630} = 0,953 \text{ ანუ } 95,3\%$$

ე. ი. ყველა საქონელჯგუფის მიხედვით ფასები საშუალოდ შემცირდა 4,7%-ით (100%—95,3%);

2. ფასების შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხა

$$\sum q_1 p_1 - \sum \frac{1}{i} q_1 p_1 = 600 - 630 = -30 \text{ ათასი მან.};$$

3. უცვლელ ფასებში საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის საშუალო ცვლილება.

$$I = \frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{630}{530} = 1,187 \text{ ანუ } 118,7\%.$$

საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება

$$\sum \frac{1}{i} q_1 p_1 - \sum q_0 p_0 = 630 - 530 = +100 \text{ ათასი მან.};$$

4. საქონელბრუნვის ცვლილება ფაქტიურ ფასებში

$$I = \frac{\sum q_1' p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{600}{530} = 1,132 \text{ ანუ } 113,2\%;$$

5. განხილულ ინდექსებს შორის ურთიერთკავშირი

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1} \times \frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

$$0,953 \times 1,187 = 1,132 \text{ ანუ } 113,2\%;$$

6. საქონელბრუნვის საერთო ცვლილებაზე რა გავლენა იქონია გაყიდული საქონლის ფიზიკური მოცულობისა და ფასების ცვლილებამ აბსოლუტურ გამოსახულებაში.

$$\left( \sum q_1 p_1 - \sum \frac{1}{i} q_1 p_1 \right) + \left( \sum \frac{1}{i} q_1 p_1 - \sum q_0 p_0 \right) = \sum q_1 p_1 - \sum q_0 p_0$$

$$(600 - 630) + (630 - 530) = (-30) + (+100) = +70 \text{ ათ. მან.}$$

მაშასადამე, გაყიდული საქონლის რაოდენობათა 18,7%-ით გადიდების შედეგად საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში 100 ათასი მანეთით გაიზარდა, ხოლო ყველა საქონელჯგუფის მიხედვით ფასების 4,7%-ით შემცირების შედეგად საქონელბრუნვა 30 ათასი მანეთით შემცირდა.

$$+100 - 30 = +70 \text{ ათ. მან.}$$

ე. ი. გაყიდული საქონლის რაოდენობის და ფასების ცვლილების შედეგად საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში 70 ათასი მანეთით გაიზარდა. ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ცნობილია გაყიდული საქონლის რაოდენობა და საქონელბრუნვის მოცულობა და გვინდა დავადგინოთ ფასების დინამიკა.

ვთქვათ, სამომხმარებლო კოოპერაციის მალაზიის საქონელბრუნვისა და გაყიდული საქონლის რაოდენობათა ცვლილების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 9.6

საქონელჯგუფები	იანვრის თვეში გაყიდული საქონელი (ათას მან.)	გაყიდული საქონლის რაოდენობის ცვლილება თებერვალში იანვართან შედარებით (პროცენტებში)
ბოსტნეული	36,0	+10
ხორცი და ხორცპროდუქტი	46,0	+2
მარცვლეული	10,2	არ შეცვლილა
სულ	92,2	—

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე თ :

1. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის საერთო ცვლილება თებერვლის თვეში იანვართან შედარებით;

2. გამოიყენეთ ფასების ღირებულებისა და რეალიზაციის ფიზიკური მოცულობის ინდექსებს შორის ურთიერთკავშირი და დაადგინეთ საქონლის მოცემული ჯგუფების მიხედვით ფასების საშუალო ცვლილება თუ ცნობილია, რომ თებერვალში იანვართან შედარებით ფაქტიური ფასებით საქონელბრუნვის მოცულობა 1,5%-ით გაიზარდა.

ა მ ო ხ ს ნ ა :

1. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ცვლილება. აქ გამოვიყენოთ ფიზიკური მოცულობის აგრეგატული ინდექსის ეკვივალენტური მაჩვენებელი — რეალიზებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის შეწონილი საშუალო არითმეტიკული ინდექსი:

$$I = \frac{\sum i q_0 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{1,1 \times 36,0 + 1,02 \times 46,0 + 1,0 \times 10,2}{92,2} = \frac{39,6 + 46,92 + 10,2}{92,2} = \frac{96,72}{92,2} = 1,049 \text{ ანუ } 104,9\%$$

ე. ი. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა თებერვალში იანვართან შედარებით გაიზარდა 4,9%-ით, რაც აბსოლუტურ გამოსახულებაში შეადგენს:

$$\sum i q_0 p_0 - \sum q_0 p_0 = 96,72 - 92,20 = 4,52 \text{ ათ. მან.}$$

2. ყველა საქონელჯგუფის მიხედვით ფასების საშუალო ცვლილება. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გამოვიყენოთ ფასების, რეალიზაციის ფიზიკური მოცულობისა და საქონელბრუნვის ინდექსებს შორის ურთიერთკავშირი, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

ფასებისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსთა ნამრავლი უდრის საქონელბრუნვის ინდექსს.

აქედან ფასების ინდექსი უდრის:

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} \cdot \frac{\sum i q_0 p_0}{\sum q_0 p_0}$$

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = 1,015 : 1,049 = 0,967 \text{ ანუ } 96,7\%$$

ე. ი. ყველა საქონელჯგუფის მიხედვით ფასების დონე საშუალოდ 3,3%-ით შემცირდა:

$$0,967 \times 1,049 = 1,015 \text{ ანუ } 101,5\%$$

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

საეპრო ორგანიზაციის მიხედვით საქონელბრუნვის სტრუქტურისა და ფასების ცვლილების შესახებ მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 9.7

მაჩვენებლები	საქონელჯგუფები			
	ა	ბ	გ	დ
საქონელბრუნვის სტრუქტურა მიმდინარე პერიოდში პროცენტობით ჯამის მიმართ	25	18	30	27
ფასების ცვლილება, პროცენტობით — (შემცირება) + (გაძლიერება)	-5	+4	-6	-10

განსაზღვრეთ ყველა საქონელჯგუფის მიხედვით ფასების საშუალო ცვლილება.

გამოვიყენოთ ფასების საშუალო პარმონიული ინდექსი

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1} = \frac{25 + 18 + 30 + 27}{\frac{25}{0,95} + \frac{18}{1,04} + \frac{30}{0,94} + \frac{27}{0,9}} = \frac{100,0}{105,5} = 0,938 \text{ ანუ } 93,8\%$$

მაშასადამე, ფასები ყველა საქონელჯგუფის მიხედვით საშუალოდ 6,2 პროც. შემცირდა (100,0—93,8).



**§ 4. შახაზის ცვალებადი და ფიქსირებადი  
შედგენილობის ინდექსები**

სტატისტიკა ფასების დინამიკის შესწავლასთან ერთად იკვლევს ფასების საშუალო დონის ცვლილებაზე მოქმედ ფაქტორებს.

ვაჭრობის სტატისტიკაში ფასების დონეთა დინამიკის ანალიზისას გამოიანგარიშება ორი კატეგორიის ინდექსი: ფასების ცვალებადი შედგენილობისა და ფიქსირებული შედგენილობის ინდექსები. მათი გაანგარიშების წესი ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე:

ქალაქის ერთ-ერთ საკომლექსურნო ბაზარზე მომარაგების სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული პროდუქტების (კომბოსტო) რეალიზაციისა და ერთეულის ფასის შესახებ ორი პერიოდის მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 9.8

	საბაზისო პერიოდი		საანგარიშო პერიოდი		საქონლებრუნვა, ათ. მან.			ფასების ინდივიდუალური ინდექსები
	რეალობებუ-ლი, ცენტ.	ერთეულის ფასი, მან.	რეალობებუ-ლი, ცენტ.	ერთეულის ფასი, მან.	საბაზისო პერიოდში	საანგარიშო პერიოდში	საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის ფაქტორული	
	$q_0$	$p_0$	$q_1$	$p_1$	$q_0 p_0$	$q_1 p_1$	$q_1 p_0$	$\frac{p_1}{p_0}$
სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია	2500	130	2960	125	325,0	370,0	384,8	0,961
კომლექსურნოები	900	170	1060	165	153,0	174,9	180,2	0,971
კომლექსურნოები	1500	220	1300	200	330,0	260,0	286,0	0,909
სულ	4900	164,9	5320	151,3	808,0	804,9	851,0	0,918

ერთი ცენტნერი კომბოსტოს საცალო ფასი განისაზღვრება საქონლებრუნვის მოცულობის შეფარდებით გაყიდული საქონლის რაოდენობასთან შემდეგი ფორმულით:

$$\bar{p} = \frac{\sum q p}{\sum q}$$

ერთი ცენტნერი კომბოსტოს საშუალო ფასი საკომლექსურნო ბაზარზე იყო: საბაზისო პერიოდში 164,9 მან. (808,0 : 4900) და საანგარიშო პერიოდში 151,3 მან. (804,9 ათ. : 5320).

საქონლის ერთეულის საშუალო ფასის ცვლილებამ კი შეადგინა:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum q_0} = \frac{\bar{p}_1}{\bar{p}_0} = \frac{151,4}{164,9} = 0,918 \text{ ანუ } 91,8\%$$

მაშასადამე, საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით ერთი ცენტნერი კომბოსტოს საშუალო ფასი შემცირდა 8,2%-ით (100,0—91,8) და ამით ქალაქის მოსახლეობამ ყოველ ცენტნერზე ეკონომიის სახით მიიღო 13,6 მან. ( $\bar{p}_1 - \bar{p}_0 = 151,3 - 164,9$ ), ხოლო მთლიანად — 72352 მანეთი ( $5320 \times 13,6$ ).

საქონლის ერთეულის საშუალო ფასის ცვლილებაზე გავლენა იქონია ორმა ფაქტორმა: 1) საქონელზე ფასის შემცირებამ როგორც სახელმწიფო სავაჭრო ქსელში, ისე საკომერუნეო ბაზარზე; 2) რეალიზებული საქონლის საერთო მოცულობაში მომარაგების ცალკეული არხების ხვედრითი წონის ცვლილებამ.

ცხრილიდან ჩანს, რომ მიმდინარე პერიოდში საქონლის ფასი შემცირდა: სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციაში 3,9%-ით. საკომერუნეო ბაზარზე: კომერუნეობებთან — 2,9%-ით და კომერუნეებთან — 8,1%-ით. რეალიზაციის ყველა არხში ფასების შემცირებამ განაპირობა საქონლის ერთეულის საშუალო ფასის ცვლილება ქალაქის მიხედვით მთლიანად.

ცხრილიდან, აგრეთვე, ჩანს, რომ რეალიზაციის საერთო მოცულობაში სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების წილად მოდიოდა: საბაზისო პერიოდში 51% ( $2500 : 4900 \times 100$ ) და საანგარიშო პერიოდში 55,6% ( $2960 : 5320 \times 100$ ). რეალიზებული პროდუქტების საერთო მოცულობაში სახელმწიფო ვაჭრობის წილის გადიდებას, სადაც ყველაზე დაბალი ფასია დაწესებული, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა საშუალო ფასის ცვლილებაზე მისი შემცირების მიმართულებით.

ახლა დავადგინოთ საშუალო ფასის ცვლილებაზე თითოეული ფაქტორის გავლენა ცალ-ცალკე. ამისათვის ფასების ცვლებადი შედგენილობის ინდექსი დავშალოთ შესაბამის სუბინდექსებად — ფიქსირებული შედგენილობის და სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსებად.

პირველ ყოვლისა, განვსაზღვროთ რეალიზაციის ყველა არხში საქონლის ფასების შემცირებამ რა გავლენა იქონია საქონლის საშუალო ფასის ცვლილებაზე.

ავაგოთ ფასების ფიქსირებული შედგენილობის ინდექსი:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{804900}{5320} : \frac{851000}{5320} = 151,3 : 160,0 = 0,946 \text{ ანუ } 94,6\%.$$

იგივე შედეგს მოგვცემს ფასების აგრეგატული ინდექსის ფორმულა:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{804900}{2960 \times 130 + 1060 \times 170 + 1300 \times 220} = \frac{804900}{851000} = 0,946 \text{ ანუ } 94,6\%.$$

მაშასადამე, სახელმწიფო ვაჭრობის ქსელში და საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების ცვლილების (შემცირების) შედეგად ერთი ცენტნერი კომბოსტოს ფასი მიმდინარე პერიოდში 5,4%-ით შემცირდა, ამით ქალაქის მოსახლეობამ ყოველ ცენტნერ საქონელზე ეკონომიის სახით მიიღო 8,7 მან. (151,3—160,0), ხოლო მთლიანად—46284 მან. (5320×8,7).

$$\sum q_1 p_1 - \sum q_1 q_0 = 804900 - 851000 = -46100 \text{ მან.}$$

ახლა განვსაზღვროთ გაყიდული საქონლის საერთო რაოდენობაში საქონელმიმოქცევის ცალკეული არხების ხვედრითი წონის ცვლილებამ რა გავლენა იქონია საშუალო ფასის დინამიკაზე

ავაგოთ ფასების სტრუქტურული ძვრების ინდექსი:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1}{\sum q_0} = \frac{384800 + 180200 + 286000}{325000 + 153000 + 330000} : \frac{5320}{4900} =$$

$$\frac{851000}{808000} : \frac{5320}{4900} = 1,053 : 1,086 = 0,97 \text{ ანუ } 97\%,$$

იგივე შედეგს მოგვცემს სხვა ფორმულით გაანგარიშებული სტრუქტურული ძვრების ინდექსი:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum q_0} = \frac{384800 + 180200 + 286000}{5320} :$$

$$: \frac{325000 + 153000 + 330000}{4900} = \frac{851000}{5320} : \frac{808000}{4900} =$$

$$= 160 : 165 = 0,97 \text{ ანუ } 97\%.$$

პროდუქტის ერთეულის ფასზე სტრუქტურული ძვრების გავლენა ასევე განისაზღვრება ხვედრითი წონების ინდექსით:

$$I = \frac{\sum p_0 w_1}{\sum p_0 w_0}$$

სადაც  $w_1$  და  $w_0$  არის რეალიზაციის თითოეული არხის ხვედრითი წონა გაყიდული საქონლის საერთო რაოდენობაში საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში,  $p_0$  — ერთეულის ფასი საბაზისო პერიოდში.

ფორმულაში შევიტანოთ შესაბამისი სიდიდეები

$$I = \frac{130 \times 0,556 + 170 \times 0,199 + 220 \times 0,245}{130 \times 0,510 + 170 \times 0,184 + 220 \times 0,306} = \frac{161,0}{165,0} = 0,97 \text{ ანუ } 97\%.$$

ე. ი. რეალიზებული საქონლის საერთო რაოდენობაში საქონელმიმოქცევის არხების ხვედრითი წონის ცვლილების შედეგად ერთი

ცენტნერი კომბოსტოს საშუალო ფასი საქონელმომწოდებელ ბაზარზე მიმდინარე პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით 3%-ით (100,0—97,0) შემცირდა და ამით ქალაქის მოსახლეობამ თითოეულ ცენტნერზე მიიღო ეკონომიის სახით 4,9 მან. (160,0—164,9), მთლიანად კი — 26068 მან. (5320×4,9). ორივე ფაქტორის (საქონელმომწოდებლის ყველა არხში ფასების შემცირება და რეალიზაციის საერთო მოცულობაში საქონელმომწოდებლის არხების წილის ცვლილება) ერთობლივი გავლენის შედეგად რეალიზებული საქონლის ერთეულზე (ერთ ცენტნერ კომბოსტოზე) მოსახლეობამ მიიღო ეკონომიის სახის 13,6 მან. (8,7+4,9), ხოლო მთლიანად რეალიზებულ საქონელზე — 73352 მან. (46284+26068).

განხილულ ინდექსებს შორის გარკვეული რაოდენობრივი თანაფარდობა არსებობს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფასების ფიქსირებული შედგენილობისა და სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსთა ნამრავლი უდრის ცვალეზადი შედგენილობის ინდექსს:

$$\frac{\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1}}{\frac{\sum q_1 p_0}{\sum q_1}} \times \frac{\frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0}}{\frac{\sum q_0 p_0}{\sum q_0}} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1} \cdot \frac{\sum q_0 p_0}{\sum q_0}$$

$$0,946 \times 0,97 = 0,918 \text{ ანუ } 91,8\%$$

#### § 5. მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი

სტატისტიკაში ფასების ცვლილების მონაცემთა საფუძველზე გაიანგარიშება მანეთის მსყიდველობითუნარიანობისა და მშრომელთა რეალური ხელფასის ინდექსები.

მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ზრდაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის აღსანიშნავია: სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასების ცვლილება, საქონლის წარმოების პირობები, ცალკეული სახის საქონელზე მოთხოვნათა ინტენსივობა და სხვ. ამთგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასების ცვლილება. მანეთის მსყიდველობითუნარიანობა უშუალო კავშირში იმყოფება ფასების ცვლილებასთან. მაგალითად, გარკვეული ჯგუფის საქონელზე საცალო ფასები თუ საშუალოდ 8%-ით შემცირდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მანეთის მსყიდველობითუნარიანობა (მსყიდველობითი ძალა) 8,7%-ით გაიზარდა (1,0 : 0,92). ამ თვალსაზრისით მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი წარმოადგენს ფასების ინდექსის შებრუნებულ სიდიდეს, მაგრამ მანეთის მსყიდველობითუნარიანობაზე, გარდა ფასების ცვლილებისა, გავლენას ახდენს, აგრეთვე, მომსახურების განაკვეთები და ტარიფები (ბინის ქირა, კომუნა-

ლური მომსახურება, ტრანსპორტით სარგებლობა, კულტურულ-სპორტული სანახაობანი). მაშასადამე, მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს ფასებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ინდექსები.

მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი გაიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_1 p_1}$$

ინდექსის მრიცხველში ( $\sum q_1 p_0$ ) ასახულია მიმდინარე წელს მოსახლეობის მიერ შესყიდულ საქონელზე და გაწეულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი თანხა გადაანგარიშებული გასული წლის ფასებში, ხოლო მნიშვნელში ( $\sum q_1 p_1$ ) — იმავე მოცულობის საქონლის შესყიდვაზე და გაწეულ მომსახურებაზე მიმდინარე წელს მოსახლეობის მიერ ფაქტიურად გადახდილი თანხა.

მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსის გაანგარიშების წესი ვარჩევნოთ პირობით მაგალითზე.

ვთქვათ, მიმდინარე წელს შეძენილ საქონელზე მოსახლეობამ გადაიხადა 120 მლნ. მან., ხოლო სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე — 36 მლნ. მან. ე. ი. სულ 156 მლნ. მან. ამასთან ცნობილია, რომ გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასები საშუალოდ შემცირდა 4%-ით, ხოლო გაწეულ მომსახურებაზე განაკვეთები და ტარიფები — 5,5%-ით.

განვსაზღვროთ მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი.

პირველ ყოვლისა, საჭიროა მიმდინარე წელს შეძენილ საქონელსა და გაწეულ მომსახურებაზე მოსახლეობის მიერ გადახდილი ფულადი თანხა ინდივიდუალური ინდექსის საშუალებით გადავიანგარიშოთ გასული წლის ფასებში:

$$I = \frac{\sum q_1 p_1 \cdot \frac{p_1}{p_0}}{\sum q_1 p_1} = \frac{120}{0,96} + \frac{36}{0,94} = \frac{125 + 38}{120 + 36} = \frac{163}{156} = 1,045$$

ანუ 104,5%.

მაშასადამე, მანეთის მსყიდველობითი ძალა გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს გაიზარდა 4,5%-ით.

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ მიმდინარე წელს შეძენილ საქონელსა და გაწეულ მომსახურებაზე მოსახლეობამ გადაიხადა 156 მლნ მან. მიმდინარე წელს საქონლის ფასები და მომსახურების განაკვეთები რომ

გასული წლის დონეზე დარჩენილიყო, მაშინ იგივე რაოდენობის საქონლის შესყიდვისა და მომსახურების გაწევისათვის მოსახლეობას უნდა გადაეხადა 163 მლნ მანეთი, ფაქტიურად კი 156 მლნ მან. გადაიხადა.

$$\sum q_1 p_0 - \sum q_1 p_1 = 163 - 156 = 7 \text{ მლნ. მან.}$$

მაშასადამე, მანეთის მსყიდველობითუნარიანობა მოცემულ პერიოდში 4,5%-ით გაიზარდა, რაც თავისი მნიშვნელობით 7 მლნ მანეთის ეკონომიას უტოლდება.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო :

ა მ ო ც ა ნ ა 1. პირველ კვარტალთან შედარებით მეორე კვარტალში ფასების ცვლილებისა და საქონელბრუნვის სტრუქტურის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ც ხ რ ი ლ ი 9.9

მაჩვენებლები	საქონელი	„ბ“ საქონელი	საქონელი	საქონელი
ფასების შემცირება საქონელბრუნვის სტრუქტურა II კვარტალში პროცენტებში ჭამთან	4%-ით	10%-ით	7%-ით	—
	20	30	15	35

განსაზღვრეთ ფასების საერთო ინდექსი.

პ ა ს უ ხ ი : 0,959 ანუ 95,9%. ე. ი. ფასები საშუალოდ შემცირდა 4,9%-ით.

ა მ ო ც ა ნ ა 2. ორი პერიოდის მიხედვით რძის ნაწარმის ბრუნვის და ფასების ცვლილების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ც ხ რ ი ლ ი 9.10

ნაწარმის დასახელება	საქონელბრუნვა (ათ. მან.)		ფასების შემცირება საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით (%-ით)
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	
რძე	14	16	—12
არაქანი	17	26	—15
ხაჭო	22	30	—20

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე თ :

ა) ფასების საერთო ინდექსი;

ბ) საქონელბრუნვის ინდექსი თუ ცნობილია, რომ საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით რეალიზაციის ფიზიკური მოცულობა გაიზარდა 15%-ით.

პ ა ს უ ხ ი: ა) 0,835 ანუ 83,5%; ბ) 0,96 ანუ 96%.

ა მ ო ც ა ნ ა 3. მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით სავაჭრო საწარმოში საქონელბრუნვა გაიზარდა 25%-ით, ხოლო რეალიზაციის მოცულობა უცვლელი ფასებით — 28%-ით.

განსაზღვრეთ როგორ შეიცვალა საშუალოდ საქონლის ფასები?

პ ა ს უ ხ ი: შემცირდა 23%-ით.

ა მ ო ც ა ნ ა 4. საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით სავაჭრო საწარმოს საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში გაიზარდა 15%-ით, ხოლო ფასები საშუალოდ 2%-ით შემცირდა.

განსაზღვრეთ როგორ შეიცვალა რეალიზაციის მოცულობა უცვლელ ფასებში?

პ ა ს უ ხ ი: გაიზარდა 17,3%-ით.

**მიმოქცევის ხარჯებისა და რენტაბელობის სტატისტიკა**

**§ 1. მიმოქცევის ხარჯების ცნება და სტატისტიკის ამოცანები**

სახალხო მოხმარების საქონლის დაყვანა წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე დაკავშირებულია სხვადასხვა სახის დანახარჯებთან, როგორცაა საქონლის შესყიდვისა და ტრანსპორტირების ხარჯები, მისი შენახვის, დამუშავების, დახარისხების, შეფუთვის, ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და სხვ. ხარჯები.

დამამზადებელ ორგანიზაციათა სისტემის, საბითუმო ვაჭრობის რგოლების, საცალო ვაჭრობის ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ წარმოებიდან მომხმარებლამდე საქონლის დაყვანასთან დაკავშირებით გაწეულ ცოცხალ და განივებულ შრომის დანახარჯთა ერთობლიობას ფულად გამოსახულებაში მიმოქცევის ხარჯები ეწოდება.

მიმოქცევის ხარჯების დონე — საბჭოთა ვაჭრობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელია. მასში ზუსტად აისახება სავაჭრო ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობა, მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლა, სავაჭრო ქსელში საქონლის რიტმული შეზიდვა, ვაჭრობაში რეალიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვა, შრომის სრულყოფილი ორგანიზაცია და სხვ.

საბჭოთა ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯებს ზუსტად ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც პროდუქციის თვითღირებულებას სოციალისტურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირება თუ საწარმოს მოგების გადიდების მთავარი და აუცილებელი პირობაა, მიმოქცევის ხარჯების შემცირება — ვაჭრობაში მოგების ზრდისა და რენტაბელობის დონის ამაღლების საფუძველია.

ახდენდა რა კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში მიმოქცევის ხარჯების ანალიზს, კ. მარქსი ვაჭრობის დარგში გაწეულ დანახარჯთა მთელ ერთობლიობას ყოფდა ორ ნაწილად: 1) მიმოქცევის წმინდა ხარჯებად და 2) მიმოქცევის დამატებით, ანუ პეტეროგენიულ ხარჯებად.



მიმოქცევის წმინდა ხარჯები დაკავშირებულია საქონლის უშუალო რეალიზაციასთან, ე. ი. მისი საქონლური ფორმიდან ფულად ფორმაში გადაქცევასთან. მაგალითად, საქონლის გაყიდვის უშუალო ოპერაციების შესრულებაზე დახარჯული სამუშაო დროის ანაზღაურება, ფულის მიმოქცევასთან დაკავშირებული ხარჯები, ანგარიშსწორების, სავაჭრო რეკლამისა და სხვ. ხარჯები წარმოადგენს მიმოქცევის წმინდა ხარჯებს.

საქონლის მიმოქცევის აღნიშნული ხარჯები არამწარმოებლურია. ისინი არ ქმნიან არავითარ ღირებულებას. მიმოქცევის წმინდა ხარჯები მხოლოდ ღირებულების რეალიზაციის ხარჯებია, ანუ ხარჯები ღირებულების გადასატანად ერთი ფორმიდან მეორეში. ამ ხარჯებისათვის გაღებული კაპიტალი (მისდამი დაქვემდებარებული შრომის ჩათვლით) კაპიტალისტური წარმოების *Faux frais*-ს (არამწარმოებლურ ხარჯებს) ეკუთვნის. ამ ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს ზედმეტი პროდუქტიდან და ისინი, თუ კაპიტალისტთა მთელ კლასს მივიღებთ მხედველობაში, შეადგენენ გამონაქვითს ზედმეტი ღირებულებიდან ანუ ზედმეტი პროდუქტიდან<sup>1</sup>.

მიმოქცევის დამატებითი, ანუ ჰეტეროგენიული ხარჯები დაკავშირებულია წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე საქონლის მოძრაობის რეალური ფუნქციების შესრულებასთან. ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება საქონლის ტრანსპორტირების, შენახვის, შეფუთვის, დახარისხების, დაფასოების, მისი შემდგომი დამუშავების ხარჯები, საქონლის ნორმალური დანაკარგები და სხვ. მიმოქცევის ჩამოთვლილი ხარჯები, თუმცა არ ქმნიან ახალ სახმარ ღირებულებას, მაგრამ არსებითად წარმოადგენენ წარმოების ხარჯების გაგრძელებას მიმოქცევის სფეროში. ამ ხარჯების გაწევის შედეგად წარმოების პროცესი საბოლოოდ მთავრდება და ასე ამგვარად, პროდუქტი მოხმარების სფეროში გადადის. ამ ოპერაციების შესრულებაზე დახარჯული საზოგადოებრივი შრომა წარმოებითი ხასიათის შრომაა და, ამდენად იგი ზრდის მატერიალური წარმოების სფეროში (მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში) შექმნილი პროდუქციის ღირებულებას.

კაპიტალისტური ვაჭრობისათვის დამახასიათებელია მიმოქცევის ხარჯების მაღალი დონე, რაც განპირობებულია წარმოებისა და მიმოქცევის ანარქიით, კონკურენციით, კრიზისებით, სპეკულაციითა და სხვ. სწორედ წარმოებისა და მიმოქცევის ანარქიისა და კონკურენციის შედეგია ის, რომ კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის დროს მიმოქცევის ხარჯების საერთო თანხის უდიდესი ნაწილი მიმოქცევის წმინდა ხარჯებზე მოდის. ამჟამად, კაპიტალისტურ ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე საქონელბრუნვის მიმართ 35 %-მდე აღწევს.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 183.

საბჭოთა ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯები ძირეულად, პრინციპულად განსხვავდებიან კაპიტალისტური ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯებისაგან როგორც ეკონომიკური შინაარსით და შეფარდებითი დონით, ისე მათი შედგენილობითა და სტრუქტურით. წარმოებიდან მომხმარებლამდე საქონელმოძრაობის შემდგომი რაციონალიზაცია, საქონელგამტარი რგოლების შემცირება, ადგილობრივი სასაქონლო რესურსების უფრო სრული გამოყენება, ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯების შემდგომი შემცირება, ვაჭრობაში ახალი პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლება, აი ის გზები, რომლებიც განაპირობებენ მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებას საბჭოთა ვაჭრობაში. საქონელბრუნვის განუხრელი ზრდის პირობებში საქონლის რეალიზაციის ყოველ მანეთზე სულ უფრო და უფრო ნაკლები ხარჯები მოდის. საქონელბრუნვის მოცულობის ზრდასთან ერთად მისი სტრუქტურაც უმჯობესდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბრუნვის საერთო მოცულობაში საგრძნობლად მცირდება სასურსათო საქონლის წილი, რომელიც არასასურსათო საქონელთან შედარებით უფრო ხარჯთქვევადია. მაგალითად, სსრ კავშირის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლით) სასურსათო საქონელზე 1970 წელს მოდიოდა 55,5, ხოლო 1981 წელს — 49,7 პროცენტი. არასასურსათო საქონლის წილი საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში იმავე პერიოდის მანძილზე შესაბამისად 44,5-დან 50,3%-მდე გაიზარდა<sup>1</sup>. ჩვენი ქვეყნის მშრომელები სულ უფრო მეტი რაოდენობის არასასურსათო საქონელს და პირველ რიგში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს იძენენ. სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სავაჭრო მომსახურებათა გაუმჯობესების პირობებში ყოველთვის ატარებდნენ მიმოქცევის ხარჯების სისტემატური შემცირების კურსს.

მიმოქცევის ხარჯების სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

1. დაადგინოს მიმოქცევის ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა, როგორც ვაჭრობის ცალკეული დარგების, სავაჭრო სისტემებისა და ორგანიზაციების (საწარმოების), ისე საბჭოთა ვაჭრობის მიხედვით მთლიანად;

2. შეამოწმოს მიმოქცევის ხარჯების შემცირების გეგმის შესრულება, როგორც ცალკეული მუხლებისა და სახეების, ისე მთელი ხარჯების მიხედვით;

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР, 1922—1982, Юбилейный статистический ежегодник. 1982 г., стр. 417.

3. შეისწავლოს მიმოქცევის ხარჯების ღირებულება ღრმად და სივრცით;

4. გამოავლინოს მიმოქცევის ხარჯების შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები და განსაზღვროს მიმოქცევის ხარჯების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი.

### § 2. მიმოქცევის ხარჯების შედგენილობა და სტრუქტურა

საბჭოთა ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების მოცულობისა და შედგენილობის შესწავლის აუცილებელ პირობას შეადგენს მათი სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოებიდან მომხმარებლამდე საქონლის დაყვანა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ხარჯებთან, როგორცაა საქონლის დამზადება და შესყიდვა, სასაქონლო მარაგის, სავაჭრო შენობებისა და სადგომების შენახვა, მოხმარების ადგილზე საქონლის მიტანა და სხვ. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ვაჭრობაში ყველა სახის დანახარჯი არ მიეკუთვნება მიმოქცევის ხარჯებს. მიმოქცევის ხარჯებში შეიტანება მხოლოდ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ გაწეული ისეთი ხარჯები, რომლებიც სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ნამდვილად წარმოადგენენ საქონელბრუნვის განხორციელებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებს. ამ მკნებიდან გამომდინარე, მიმოქცევის ხარჯებში არ შეიტანება ისეთი სახის დანახარჯი, როგორცაა დანახარჯები საურავებსა და ჯარიმებზე, გაფლანგვა-დატაცებაზე, დებიტორული დავალიანებითა და სტიქიური უბედურებით (ხანძარი, მიწისძვრა, მეხის დაცემა) გამოწვეული მატერიალური ზარალი და სხვ.

მიმოქცევის ხარჯებს არ მიეკუთვნება აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების დამხმარე სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოებებში პროდუქციის დამზადებაზე გაწეული ხარჯებიც, ისინი შეადგენენ არა მიმოქცევის, არამედ პროდუქციის წარმოების ხარჯებს.

საბჭოთა ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების მთელი თანხა დანახარჯთა ერთგვაროვნების ნიშნის მიხედვით იყოფა ცალკეულ მუხლებად. მიმოქცევის ხარჯების მთელი მოცულობის ეკონომიკურ ჯგუფებად დაყოფას ეწოდება კლასიფიკაცია (ნომენკლატურა), ხოლო თითოეული ჯგუფის (მუხლის) პროცენტულ შეფარდებას მიმოქცევის ხარჯების მთელ მოცულობასთან ფულად გამოსახულებაში — მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა.

სახელმწიფო საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში ამჟამად მიღებულია მიმოქცევის ხარჯების ერთიანი ნომენკლატურა, რომელიც 18 მუხლისაგან შედგება. ეს მუხლებია:

1. რკინიგზით, სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის ხარჯები;
2. საავტომობილო და საქაპანო ტრანსპორტით გადაზიდვის ხარჯები;
3. ვაჭრობის მუშაკთა ხელფასი (ძირითადი და დამატებითი);
4. მატერიალური წახალისების ფონდში გადარიცხვები;
5. სავაჭრო შენობების, სადგომების, ნაგებობებისა და ინვენტარის იჯარის ხარჯები, ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია;
6. სავაჭრო შენობების, სადგომების, ნაგებობებისა და ინვენტარის შენახვის ხარჯები;
7. მიმდინარე რემონტის ხარჯები;
8. სპეცტანსაცემლის, სასადილო თეთრეულისა და მცირეფასიანი ნივთების გაცვეთა;
9. სასადილო ჭურჭლეულისა და ხელსაწყოების ხარჯები;
11. სათბობზე, ორთქლზე და ელექტროენერგიაზე (საწარმოო მოხმარებისათვის) გაწეული ხარჯები;
12. სავაჭრო რეკლამის ხარჯები;
13. სარგებელი კრედიტზე;
14. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგები გზაში და შენახვის დროს ნორმის ფარგლებში;
15. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგები ნორმის ზევით, აგრეთვე, საქონლისა და ნედლეულის გაფუჭების შედეგად გამოწვეული ზარალი;
16. ტარის ხარჯები (ტარის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების გამოკლებით);
17. ტარის დანაკარგები;
18. შრომის დაცვის ხარჯები.

ნომენკლატურისაგან განსხვავებით, მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა, როგორც უკვე ვთქვით, არის ხარჯების თითოეული ჯგუფის (მუხლის) პროცენტული შეფარდება მიმოქცევის ხარჯების მთლიან მოცულობასთან ფულად გამოსახულებაში.

მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა, ვაჭრობის ცალკეულ დარგებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. საცალო ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების საერთო მოცულობაში პირველ ადგილზეა ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები. მთელი კავშირის ვაჭრობაში მასზე ამჟამად მოდის 45,6% (საბითუმო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შესაბამისად 18 და 61,3%), მეორე ადგილზეა — სატრანსპორტო ხარჯები. მასზე მოდის დანახარჯთა მთელი თანხის 15,4% (საბითუმო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შესაბამისად — 56 და 7,3%). მესამე ადგილი უკავია სავაჭრო შენობების, სა-

დგომებისა და ინვენტარის იჯარისა და შენახვის ხარჯებს. აღნიშნული სახის ხარჯებზე მოდის 13,4% (საბითუმო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში — 5 და 8,8%).

სტატისტიკაში მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა შეისწავლება სა-  
ვაჭრო საქმიანობათა დარგების მიხედვით ცალ-ცალკე, ე. ი. საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაში, რაც იმითაა განპირობებული, რომ მიმოქცევის ხარჯების დონე და სტრუქტურა ვაჭრობის მოცემულ დარგებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამასთან ერთად მიმოქცევის ხარჯების დონის გაანგარიშების მეთოდიც განსხვავებულია. მაგალითად, შეფარდებითი დონე საცალო და საბითუმო ვაჭრობაში, ასევე საზოგადოებრივ კვებაში გაიანგარიშება მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის შეფარდებით დარგის საქონელბრუნვასთან.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაში, შეფარდებითი დონე განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯების თანხის შეფარდებით დამზადებული (შესყიდული) პროდუქტების ბრუნვასთან სახელმწიფო შეყიდვის ფასებით.

ვაჭრობის საქმიანობათა დარგებში მიმოქცევის ხარჯების ყველაზე მაღალი დონეა საზოგადოებრივ კვებაში (23,30%), ხოლო ყველაზე დაბალი — საბითუმო ვაჭრობაში (1,09%), საცალო ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების დონე შეადგენს 6,56%-ს.

საზოგადოებრივ კვებაში მიმოქცევის ხარჯების ესოდენ მაღალი დონე იმით აიხსნება, რომ გარდა სავაჭრო საქმიანობის ხარჯებისა, მასში შეიტანება აგრეთვე კერძების დამზადების და მათი ადგილზე მოხმარებასთან დაკავშირებული ხარჯებიც. ამასთან მიმოქცევის ხარჯების დონე საზოგადოებრივ კვებაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, ვაჭრობის მოცემულ დარგში მიმოქცევის ხარჯების დონე 1981 წელს 1940 წელთან შედარებით 19,63-დან 23,30%-მდე, ანუ 3,67 პუნქტით გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ფასების გაღიძვრებითა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელბრუნვაში უკანასკნელ ხანს საგრძობლად გაიზარდა საკუთარი წარმოების პროდუქციის ხვედრითი წონა, რაც შედარებით მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, საკუთარი წარმოების პროდუქციის წილი საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვაში შეადგენდა 1970 წელს—60,7%-ს, ხოლო 1981 წელს — 64,5%-ს. საცალო ვაჭრობაში — პირიქით, შეიმჩნევა მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირების ტენდენცია. მაგალითად, დროის იმავე პერიოდში (1940—1981) საცალო ვაჭრობის ქსელში მიმოქცევის ხარჯების დონე 8,21%-დან 6,56%-მდე, ანუ 1,65 პუნქტით შემცირდა.

სავაჭრო საქმიანობისა და პროდუქციის წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მიმოქცევის ხარჯებში მთავარი მუხლია ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება, რომელზეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოდის ხარჯების მთელი თანხის 45,6 და 61,3%, მაშინ როდესაც საბითუმო ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების მთავარი მუხლია საქონლის გადაზიდვის ხარჯები (56%).

ანალოგიური სტრუქტურით ხასიათდება საქართველოს სსრ ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯები, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 10.1. ცხრილიდან ჩანს, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიმოქცევის ხარჯების დონე თითქმის 3-ჯერ აღემატება საცალო ვაჭრობის ხარჯების დონეს. სავაჭრო საქმიანობათა ორივე დარგის მიმოქცევის ხარჯებში მთავარ მუხლს შეადგენს ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები. მასზე მოდის: საცალო ვაჭრობაში 41% და საზოგადოებრივ კვებაში — 50,8%. მიმოქცევის ხარჯების სამ ძირითად მუხლზე (ვაჭრობის მუშაკთა ხელფასი, სატრანსპორტო ხარჯები, სავაჭრო ქსელის შენახვის ხარჯები) საცალო ვაჭრობაში მოდის ხარჯების მთელი თანხის 67,4%, ხოლო საზოგადოებრივ კვებაში — 70,7%.

საბჭოთა ვაჭრობაში, მიმოქცევის ხარჯების მთელი თანხა დანიშნულებისა და ეკონომიკური ბუნების მიხედვით შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად:

1. ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება სოციალური დაზღვევის ანარიცხების ჩათვლით;

2. სახალხო მეურნეობის სხვა დარგების (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კომუნალური მეურნეობა) მომსახურების ანაზღაურება;

3. მატერიალური მოხმარება ვაჭრობაში (საქონლის მიმოქცევის პროცესში მოხმარებული მცირეფასიანი ინვენტარის, სპეცტანსაცმელის, შეფუთვისა და რემონტის, მასალების, ტარის ღირებულება, შენობებისა და სავაჭრო მოწყობილობის გაცემა);

4. მატერიალური დანაკარგები ვაჭრობაში (საქონლის დანაკარგები გზაში, შენახვისა და რეალიზაციის დროს ნორმის ფარგლებში).

მიმოქცევის ხარჯების ამგვარი დაჯგუფება შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების ღირებულება, რაც საბჭოთა ვაჭრობის წმინდა პროდუქციის გაანგარიშების საფუძველს შეადგენს. წმინდა პროდუქციის მოცულობის დასადგენად, პირველ ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს ვაჭრობის საერთო პროდუქცია, ეს უკანასკნელი გამოითვლება ვაჭრობის მთლიანი შემოსავლიდან სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მომსახურების ანაზღაურების გამოკლების გზით. წმინდა პროდუქცია, ანუ ახლად შექმნილი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სხვაობა ვაჭრობის საერ-

მიმოქცევის ხარჯების დონე და სტრუქტურა საქართველოს სსრ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში 1979 წელს

მიმოქცევის ხარჯების მუხლები	პროცენტობით ბრუნებასთან		მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა (პროცენტობით)	
	საეკოლო ვაჭრობაში	საზოგადოებრივ კვებაში	საეკოლო ვაჭრობაში	საზოგადოებრივ კვებაში
რკინიგზით, სამდინარო, საჰაერო, საავტომობილო და საკაპანო ტრანსპორტით გადაზიდვის ხარჯები	0,81	1,34	12,6	7,4
ხელუასი (ძირითადი და დამატებითი) .	2,64	9,54	41,1	52,6
გადარიცხვები მატერიალური წახალისების ფონდში	0,15	0,33	2,3	1,8
შენობების, სადგომების, ნაგებობების და ინვენტარის იჯარის და შენახვის ხარჯები, აგრეთვე ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია	0,87	1,97	13,5	10,9
მიმდინარე რემონტის ხარჯები	0,14	0,42	2,2	2,3
სპეცტანსაცმლის, სასადილო თეთრეულისა და მცირეფასიანი საგნების გაცემა	0,03	0,73	0,5	4,0
სასადილო კურკლეულის და ხელსაწყოების ხარჯები	X	0,19		1,0
სათბობი, ორთქლი და ელექტროენერგია (საწარმოო მიზნებისათვის)	X	0,99		5,5
საქონლის შენახვის, დამუშავების, დახარისხების და დაფასების ხარჯები, სამაცივრო დანადგარების ხარჯები	0,12	0,19	1,9	1,0
პროცენტი კრედიტზე	0,43	0,01	6,7	0,1
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი ვხაში და შენახვის დროს ნორმის ფარგლებში	0,18	0,07	2,8	0,4
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი ნორმის ზევით	0,02		0,3	
ტარის გასაყალი და დანაქარვები	0,04	0,07	0,6	0,4
ზემდგომი რგოლების შენახვისა და მართვების ხარჯები	0,15	0,35	2,3	1,9
სხვა ხარჯები (კადრების მომზადების, შრომის დაცვის, საკანცელარიო, სავაჭრო რეკლამის და სხვა ხარჯები)	0,85	1,95	13,2	10,7
<b>ს უ ლ:</b>	<b>6,43</b>	<b>18,15</b>	<b>100</b>	<b>100</b>

თო პროდუქციისა და საქონლის მიმოქცევის პროცესში მოხმარებულ მატერიალური ელემენტების ღირებულებას შორის. აღნიშნული მაჩვენებელი ახასიათებს სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის მოცულობაში საბჭოთა ვაჭრობის მონაწილეობის ხარისხს.

§ 2. მიმოქცევის ხარჯების სტატისტიკის მაჩვენებლები

საბჭოთა ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების მოცულობა და ღირებულება რიგი მაჩვენებლებით ხასიათდება. ამათგან მთავარია ორი: მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხა და მათი შეფარდებითი დონე საქონელბრუნვასთან. მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხა უჩვენებს, თუ რა უჯდება სახალხო მეურნეობას საქონლის მთელი მასის დაყვანა წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე.

მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხა განუხრელად იზრდება, როგორც მთელი ვაჭრობის, ისე მისი თითოეული დარგის მიხედვით, რასაც კარგად გვიხასიათებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები.

ც ხ რ ი ლ ი 10.2

მიმოქცევის ხარჯები სსრ კავშირის ვაჭრობაში (მლნ მან.)<sup>1</sup>

	წლები							
	1940	1965	1970	1975	1977	1978	1979	1981
სულ	1933	9251	14462	18868	20513	21851	22892	25413
მთ შორის:								
საბითუმო ვაჭრობაში	210	885	1327	1623	1648	1715	1748	1902
საცალო ვაჭრობაში	1250	6134	9417	12187	13286	14151	14858	16501
საზოგადოებრივ კვებაში	449	1897	3188	4208	4641	4976	5200	5820

ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში (1940—1981) მიმოქცევის ხარჯების მოცულობა მთელ ვაჭრობაში გაიზარდა 13,1-ჯერ, მთ შორის საბითუმო ვაჭრობაში — 9,1-ჯერ, საცალო ვაჭრობაში — 13,2-ჯერ, ხოლო საზოგადოებრივ კვებაში — 12,9-ჯერ.

როგორც ვხედავთ, სსრ კავშირის ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების მოცულობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, მაგრამ კიდევ უფრო მაღალი ტემპით იზრდება საქონელბრუნვა. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს მიმოქცევის ხარჯების შემცირების კანონზომიერებას საბჭოთა ვაჭრობაში.

მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი შეადგენს სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველ სტატისტიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების ამოსავალ საფუძველს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხა არ წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმს, ვინაიდან მიმოქცევის ხარჯების თანხა დამოკიდებულია არა მარტო სავაჭრო ორგანიზაციის ხარისხობრივ მუშაობაზე, არამედ საქონელბრუნვის მოცულობაზეც. მაშასადამე,

<sup>1</sup> დასახელებული კრებული, გვ. 463.



მიმოქცევის ხარჯების თანხა არის არა ხარისხობრივი, არამედ მოცულობითი მაჩვენებელი. ვთქვათ, ვაჭრობის ერთი და იმავე სისტემის ერთ მაღაზიაში მიმოქცევის ხარჯების თანხა შეადგენდა 20 ათას მანეთს, ხოლო მეორეში — 25 ათას მანეთს. ისმის კითხვა: რომელი მაღაზია უფრო ეფექტურად მუშაობს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან არ არის ცნობილი თითოეული მაღაზიის საქონელბრუნვის მოცულობა. არ ვიცით რა უჯდება თითოეულ მაღაზიას საქონლის ღირებულების ერთეულის რეალიზაცია. ამიტომ სტატისტიკაში მიმოქცევის ხარჯების დონისა და დინამიკის დახასიათებისათვის გაიანგარიშება მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე საქონელბრუნვის მოცულობასთან. შეფარდებითი დონე არის მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის პროცენტული შეფარდება საქონელბრუნვასთან.

ვაჭრობის თითოეულ დარგში, აღნიშნული მაჩვენებელი იანგარიშება მიმოქცევის ხარჯების გაყოფით დარგის საქონელბრუნვაზე. მაგალითად, საბითუმო ვაჭრობაში შეფარდებითი დონე განისაზღვრება მოცემული დარგის მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის შეფარდებით საბითუმო საქონელბრუნვასთან; საცალო ვაჭრობაში — მიმოქცევის ხარჯების შეფარდებით საცალო საქონელბრუნვასთან; საზოგადოებრივ კვებაში — დარგის მიმოქცევის ხარჯების შეფარდებით საზოგადოებრივი კვების საერთო საქონელბრუნვასთან/ მთელი ვაჭრობისათვის მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე გაიანგარიშება საბითუმო ვაჭრობის, საცალო ვაჭრობის ქსელისა და საზოგადოებრივი კვების მიმოქცევის ხარჯების საერთო თანხის შეფარდებით წმინდა (საცალო) საქონელბრუნვის მოცულობასთან.

ვთქვათ, მიმდინარე წელს სავაჭრო ორგანიზაციის საცალო საქონელბრუნვა შეადგენდა 10 000 ათას მან., მიმოქცევის ხარჯები — 600 ათას მან.

მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე საქონელბრუნვასთან იქნება

$$\frac{600}{10000} \times 100 = 6\% .$$

მაშასადამე, სავაჭრო ორგანიზაციას ერთი მანეთის საქონლის რეალიზაცია უჯდება 6 კაპიკი. 100 მანეთის საქონლის რეალიზაცია დაუჯდება 6 მან., ხოლო 1 000 მანეთის საქონლის რეალიზაცია — 60 მანეთი.

საბჭოთა ვაჭრობისათვის დამახასიათებელია მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის შემცირება, თუმცა დროის ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ადგილი ექნეს მიმოქცევის ხარჯების დონის ზრდასაც. მაგალითად, 1965—1970 წლებში საცალო ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯები თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა (0,08 პუნქტით), რაც ძირითადად გამოწვეული იყო ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღა-

ურების გადიდებითა და ვაჭრობის კულტურის მნიშვნელოვანი ამაღლებით!

საბჭოთა ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ამთგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. საქონელბრუნვის მოცულობის ზრდა. საქონელბრუნვის მოცულობის გადიდების კვალობაზე მიმოქცევის ხარჯების ზოგიერთი მუხლი (სავაჭრო შენობებისა და სადგომების იჯარისა და შენახვის ხარჯები, ძირითადი ფონდების ამორტიზაცია, ადმინისტრაციულ-სამმართველოს ხარჯები) უცვლელი რჩება. ამ შემთხვევაში საქონელბრუნვის მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მიმოქცევის ხარჯების თანხა, ეს კი იწვევს მიმოქცევის ხარჯების შეფარდებით შემცირებას;

2. საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილება. საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილება, კერძოდ, საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში არასასურსათო საქონლის წილის ზრდა განაპირობებს მთელი ვაჭრობის მიხედვით მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებას;

3. ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების (გამომუშავეების) ამაღლება. ვაჭრობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგად ხელფასის ფონდი ბრუნვასთან შედარებით მცირდება. ხელფასის ფონდი კი მიმოქცევის ხარჯების მთავარი და განმსაზღვრელი ელემენტია, და ამდენად, შრომის ნაყოფიერების ამაღლება განაპირობებს მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებას;

4. საქონელბრუნვის სისწრაფე. რამდენადაც სწრაფია საქონლის რეალიზაცია, იმდენად ყველა თანაბარ პირობებში. ნაკლებია შენახვისა და რეალიზაციის პროცესში საქონლის ბუნებრივი დანაკარგები. საქონელბრუნვის დაჩქარებასთან ერთად სახელმწიფო ბანკის კრედიტის მოთხოვნაც კლებულობს, ყოველივე ეს იწვევს მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებას საქონელბრუნვის მოცულობასთან;

5. სავაჭრო საწარმოთა სიდიდე და მათი სპეციალიზაცია. რამდენადაც დიდია სავაჭრო საწარმო და მალალია მისი სპეციალიზაციის დონე, იმდენად დაბალია მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე საქონელბრუნვასთან;

6. სავაჭრო რგოლების შემცირება და საქონელმოძრაობის გზების რაციონალიზაცია. წარმოებიდან ვაჭრობაში საქონლის შეზიდვის ორგანიზაციის სრულყოფა, კერძოდ, საცალო ქსელში საქონლის ტრანზიტის წესით შეზიდვა, წარმოებასა და ვაჭრობას შორის პირდაპირი სამეურნეო კავშირების დამყარება და მათი ყოველმხრივი გაფართოება, განაპირობებს მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის შემცირებას;

<sup>1</sup> ხელფასის მიხედვით დამატებითი ხარჯების დასაფარავად სავაჭრო ორგანიზაციებს გამოეყოთ ლიტაცია 1965 წელს 430 მლნ მანეთის, ხოლო 1978 წელს 600 მლნ მანეთის ოდენობით.

7. საქონლის ფასების, მომსახურების განაკვეთების და ტარიფების ცვლილება (საეპრო შენობებისა და სადგომების იჯარის განაკვეთები, გადაზიდვის ტარიფები, კავშირგაბმულობის მომსახურება). ფასების შემცირების შედეგად საქონელბრუნვის მოცულობა მცირდება, ამით მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონეც მცირდება, ანდა პირიქით, გადაზიდვის ტარიფების გადიდების შედეგად მიმოქცევის ხარჯების თანხა იზრდება და მასთან ერთად იზრდება შეფარდებითი ღონეც;

8. საეპრო ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და სხვ.

მიმოქცევის ხარჯების დინამიკის მეორე მაჩვენებელია მიმოქცევის ხარჯების ღონის შემცირების (გადიდების) სიდიდე. იგი განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯების პირვანდელ და მიღწეულ ღონეთა შორის სხვაობით.

ვთქვათ, ზემოთ მოყვანილ მაგალითზე საეპრო ორგანიზაციის მიმოქცევის ხარჯების ღონე ბრუნვასთან გასულ (საბაზისო) წელს შეადგენდა 7%-ს. მაშინ მიმოქცევის ხარჯების ღონის შემცირების სიდიდე უდრის:

$$\Delta y = y_0 - y_1 = 7 - 6 = 1.$$

მაშასადამე, მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით მიმოქცევის ხარჯების ღონე ერთი პუნქტით შემცირდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმოქცევის ხარჯების ღონის შემცირების სიდიდე ვერ ახასიათებს მიმოქცევის ხარჯების შემცირების ინტენსივობას, ვინაიდან იგი გარდა შემცირების სიდიდისა დამოკიდებულია, აგრეთვე, მიმოქცევის ხარჯების პირვანდელ (საწყის) ღონეზე. ამიტომ ერთი და იგივე ტიპის სხვადასხვა საეპრო ორგანიზაციისათვის მიმოქცევის ხარჯების ღონის შემცირების თანაბარი სიდიდის პირობებში, შესაძლებელია მივიღოთ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული შემცირების ინტენსივობა.

სტატისტიკაში მიმოქცევის ხარჯების შემცირების ინტენსივობის დახასიათებისათვის გაიანგარიშება მაჩვენებელი, რომელსაც ეწოდება მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის შემცირების ტემპი. იგი განისაზღვრება შემცირების სიდიდის შეფარდებით მიმოქცევის ხარჯების პირვანდელ (საწყის) ღონესთან.

ჩვენს მაგალითში შემცირების ტემპი უდრის:

$$\frac{y_0 - y_1}{y_0} \times 100 = \frac{1 \times 100}{7} = 14,3\%.$$

მაშასადამე, გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს მიმოქცევის ხარჯების ღონე 14,3%-ით შემცირდა, ან სხვანაირად, მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონე მიმდინარე წელს შეადგენს გასული წლის

დონის 85,7%-ს. იგივე შედეგს მოგვცემს მიმოქცევის ხარჯების დონის ინდექსიც, ე. ი. მიმდინარე წლის მიმოქცევის ხარჯების დონის შეფარდება გასული წლის დონესთან.

$$i = \frac{y_1}{y_0} = \frac{6}{7} = 0,857, \text{ ანუ } 85,7\%.$$

ე. ი. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის შემცირების ტემპი უდრის 14,3%-ს (100,0 — 85,7).

საბჭოთა ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების დინამიკა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) შესაბამისი წლების ფასებით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

1940 წ. — 11,04 %	1975 წ. — 9,24 %
1960 წ. — 7,76 %	1977 წ. — 9,20 %
1965 წ. — 9,00 %	1978 წ. — 9,36 %
1970 წ. — 9,60 %	1979 წ. — 9,34 %
	1981 წ. — 9,19 %.

მიმოქცევის ხარჯების მთელი თანხის ძირითადი მასა მოდის საცალო ქსელის საქონელბრუნვაზე, რაზედაც მიუთითებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები.

საბჭოთა ვაჭრობასა და მის ცალკეულ დარგებში მიმოქცევის ხარჯები 1979 წ. შეადგენდა:

ც ხ რ ი ს 10.3

მლნ მან.	პროცენტობით საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობასთან (საბჭოების ბრუნვის ჩათვლით)	ვაჭრობის თითოეულ დარგის წილი მიმოქცევის ხარჯების საერთო მოცულობაში %-ით
ს უ ლ	21806	9,34
მათ შორის:		
საბითუმო ვაჭრობაში	1748	0,71
საცალო ვაჭრობაში	14858	6,06
საზოგადოებრივ კვებაში	5200	2,12
		100,0
		7,1
		68,1
		23,8

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების მთელი თანხის 68,1% მოდის საცალო ვაჭრობაზე, 23,8% — საზოგადოებრივ კვებაზე, ხოლო 8,1% — საბითუმო ვაჭრობაზე.

სტატისტიკაში მიმოქცევის ხარჯების შემცირების სახალხო-სამეურნეო ეფექტის დასახასიათებლად გამოიანგარიშება მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირების (გადიდების) შედეგად მიღებული წლიური ეკონომიის (ზარალის) აბსოლუტური თანხა. რისთვისაც საჭიროა მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირების სიდიდე გავამრავლოთ მიმდინარე

პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობაზე და მიღებული ნამრავლი გავეოთ 100-ზე.

$$\Theta = \frac{(y_0 - y_1) T}{100}$$

ზემოთ მოტანილ მაგალითში სავაჭრო ორგანიზაციამ მიმოქცევის ხარჯების დონის ერთი პროცენტით შემცირების შედეგად წლის მანძილზე მიიღო ეკონომია 100 ათასი მანეთის ოდენობით.

$$\Theta = \frac{1 \times 10000}{100} = 100 \text{ ათასი მან.}$$

მიმოქცევის ხარჯების სტატისტიკის ზემოთ განხილული მაჩვენებლების გაანგარიშების წესი, როგორც ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციების, ისე საქონელბრუნვის მიხედვით. მთლიანად ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე:

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციების საქონელბრუნვისა და მიმოქცევის ხარჯების მოცულობის შესახებ ორი პერიოდის განმავლობაში გვაქვს შემდეგი მონაცემები, ათ. მან.

ტ ბ რ ი ლ ე 10.4

პერიოდები	საბითუმო ვაჭრობა		საცალო ვაჭრობა	
	საქონელ-ბრუნვა	მიმოქცევის ხარჯები	საქონელ-ბრუნვა	მიმოქცევის ხარჯები
საბაზისო	600	30,0	800	80,0
საანგარიშო	742	33,4	1080	86,4

განსაზღვრეთ ვაჭრობის თითოეული დარგისა და მთელი სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით:

1. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე ორივე პერიოდისათვის;
2. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის შემცირების სიდიდე და შემცირების ტემპი;
3. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის აბსოლუტური თანხა საანგარიშო პერიოდში;
4. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ინდექსი.

ა მ ო ხ ს ნ ა :

1. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე:

ა) საბითუმო ვაჭრობაში

იგი განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის

შეფარდებით საბითუმო ბრუნვასთან, რომლის შემადგენლობაში შეიტანება სასაწყობო ბრუნვა და სატრანზიტო ბრუნვა სახსრების დაბანდებით.

$$\begin{array}{l} \text{საბაზისო პერიოდი} \\ \frac{30 \times 100}{600} = 5\%; \end{array}$$

$$\begin{array}{l} \text{საანგარიშო პერიოდი} \\ \frac{33,4 \times 100}{742} = 4,5\%; \end{array}$$

ბ) საცალო ვაჭრობაში

იგი განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის გაცოფით საცალო საქონელბრუნვაზე

$$\begin{array}{l} \text{საბაზისო პერიოდი} \\ \frac{80 \times 100}{800} = 10\%; \end{array}$$

$$\begin{array}{l} \text{საანგარიშო პერიოდი} \\ \frac{86,4 \times 100}{1080} = 8\%; \end{array}$$

გ) მთელი საქონელბრუნვის მიხედვით

იგი გაიანგარიშება საბითუმო და საცალო ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის შეფარდებით წმინდა საქონელბრუნვასთან. მაგრამ წმინდა საქონელბრუნვა მოცემულ შემთხვევაში საცალო საქონელბრუნვის მოცულობას ემთხვევა. ამიტომ მიმოქცევის ხარჯების საერთო თანხას ვცოფთ საცალო საქონელბრუნვაზე და ვამრავლებთ 100-ზე.

$$\begin{array}{l} \text{საბაზისო პერიოდი} \\ \frac{110 \times 100}{800} = 13,8\%; \end{array}$$

$$\begin{array}{l} \text{საანგარიშო პერიოდი} \\ \frac{119,8 \times 100}{1080} = 11,09\%. \end{array}$$

მოცემული მაჩვენებლის გაანგარიშების აღნიშნული მეთოდი ცნობილია, როგორც სახალხო მეურნეობრივი მეთოდი. მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის სახალხო მეურნეობრივი მეთოდით გაანგარიშების დროს ვაჭრობის ყველა დარგის (საბითუმო, საცალო, საზოგადოებრივი კვება) მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხა იყოფა წმინდა საქონელბრუნვის მოცულობაზე. მთელი ვაჭრობისათვის წმინდა საქონელბრუნვა უდრის საცალო ვაჭრობის ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საცალო საქონელბრუნვას.

2. მიმოქცევის ხარჯების ღონის შემცირების სიდიდე

ა) საბითუმო ვაჭრობაში

ბ) საცალო ვაჭრობაში

$$5,0\% - 4,5\% = 0,5\%;$$

$$10,0\% - 8,0\% = 2\%;$$

ბ) მთელი საქონელბრუნვის მიხედვით

$$13,8\% - 11,09\% = 2,71\%;$$

3. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის შემცირების ტემპი

ა) საბითუმო ვაჭრობაში

$$\frac{0,5 \times 100}{5,0} = 10\% \text{ ანუ}$$

$$\frac{4,5}{5,0} = 0,90;$$

გ) მთელი საქონელბრუნვის მიხედვით

$$\frac{2,71 \times 100}{13,8} = 19,5\%; \quad \text{ანუ} \quad \frac{11,09}{13,80} = 0,805;$$

ბ) საცალო ვაჭრობაში

$$\frac{2,0 \times 100}{10} = 20\% \text{ ანუ}$$

$$\frac{8,0}{100,0} = 0,8;$$

4. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის შემცირების შედეგად წლის მანძილზე მიღებული ეკონომიის თანხა:

ა) საბითუმო ვაჭრობაში

$$\frac{0,5\% \times 742}{100} = 3,71 \text{ ათ. მან.};$$

ბ) საცალო ვაჭრობაში

$$\frac{2\% \times 1080}{100} = 21,6 \text{ ათ. მან.};$$

გ) მთელი საქონელბრუნვის მიხედვით

$$\frac{2,71\% \times 1080}{100} = 29,26 \text{ ათ. მან.};$$

5. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი საცალო ვაჭრობაში

$$i = \frac{8}{10} = 0,8 \text{ ანუ } 80\%.$$

ე. ი. გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს მიმოქცევის ხარჯების ღონე საცალო ვაჭრობაში 20%-ით შემცირდა.

იგივე შედეგს მივიღებთ, თუ მიმოქცევის ხარჯების ღონის მიმართული მაჩვენებელს გავყოფთ საქონელბრუნვის ღონის მიმართული მაჩვენებელზე.

მიმოქცევის ხარჯების ღონის მაჩვენებელი

$$K = \frac{\mu_1}{\mu_0} = \frac{86,4}{80,0} = 1,08 \text{ ანუ } 108\%;$$

საქონელბრუნვის მოცულობის ღონის მაჩვენებელი

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{1080}{800} = 1,35 \text{ ანუ } 135\%;$$

მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი

$$I = \frac{86,4}{80,0} : \frac{1080}{800} = 1,08 : 1,35 = 0,8 \text{ ანუ } 80\%$$

6. მიმოქცევის ხარჯების საშუალო ღონის ინდექსი მთელი ვაჭრობის მიხედვით. იგი ასახავს მიმოქცევის ხარჯების საშუალო ღონის დინამიკას საანგარიშო პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით და გამოითვლება ფორმულით:

$$I = \frac{\sum u_1}{\sum q_1 p_1} : \frac{\sum u_0}{\sum q_0 p_0} = \frac{\bar{y}_1}{\bar{y}_0}$$

სადაც  $\sum q_1 p_1$  და  $\sum q_0 p_0$  არის საქონელბრუნვის მოცულობა შესაბამის პერიოდებში.

$$I = \frac{119,8}{1080} \times 100 : \frac{110,0}{800} \times 100 = 11,1 : 13,8 = 0,8 \text{ ანუ } 80\%$$

ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა უდრის ეკონომიის (გადახარჯვის) აბსოლუტურ თანხას, რომელიც მიღებულია მიმოქცევის ხარჯების შემცირების შედეგად მიმდინარე პერიოდში

$$\bar{y}_1 - \bar{y}_0 = 11,1 - 13,8 = -2,7 \text{ მან.}$$

ე. ი. საანგარიშო პერიოდში საქონელბრუნვის ყოველ 100 მანეთზე მიმოქცევის ხარჯების ეკონომიამ შეადგინა 2,7 მან., ანუ ბრუნვის ერთ მანეთზე — 2,7 კაპიკი.

გაანგარიშების შედეგად მიღებული მაჩვენებლები წარმოვადგინოთ ცხრილის სახით.

ც ხ რ ი 10.5

მიმოქცევის ხარჯების ღონე, შემცირების სიღრმე, შემცირების ტემპი და ეკონომიის თანხა

საქონელგამტარი რგოლები	მიმოქცევის ხარჯების ღონე, პროცენტობით ბრუნვისათან		მიმოქცევის ხარჯების შემცირების სიღრმე (%-ით)	მიმოქცევის ხარჯების ღონის შემცირების ტემპი (%-ით)	მიმოქცევის ხარჯების შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხა (ათ. მან.)
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი			
საბითუმო ვაჭრობა	5,0	4,5	0,5	10	3,71
საჯალბო ვაჭრობა	10,0	8,0	2,0	20	21,6
მთელი ვაჭრობა	13,8	11,09	2,71	19,5	29,26



#### § 4. მიმოქცევის ხარჯების დინამიკის ანალიზი

ვაქრობის სტატისტიკა მიზნად ისახავს შეამოწმოს მიმოქცევის ხარჯების შემცირების გეგმის შესრულება და შეისწავლოს მათი სტრუქტურა და დინამიკა.

მიმოქცევის ხარჯების ფაქტიური დონის შეფარდება გეგმით გათვალისწინებულ დონესთან გამოავლენს ხარჯების შემცირების გეგმის შესრულებას. მაგრამ მიმოქცევის ხარჯების დონეზე სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენას ახდენს ფასებისა და საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის ცვლილება.

ცნობილია, რომ მიმოქცევის ხარჯები (სავაჭრო მოგებასთან ერთად) საცალო ფასის შემადგენელი ელემენტია, და ცხადია, ფასების ზრდა ან მათი შემცირება გამოიწვევს მიმოქცევის ხარჯების ცვლილებას შესაბამისი მიმართულებით. ამიტომ მიმოქცევის ხარჯების შემცირების გეგმის შესრულების შემოწმებისა და ანალიზის დროს აუცილებელია მიმოქცევის ხარჯების დონეზე ფასების ცვლილებათა გავლენა გამოვრიცხოთ, რასაც შეიძლება მივალწიოთ მიმდინარე პერიოდის ფაქტიური საქონელბრუნვის გადაყვანით საბაზისო პერიოდის ფასებში.

ვთქვათ, მიმდინარე პერიოდში სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვა შეადგენდა 5800 ათას მან., ხოლო მიმოქცევის ხარჯები — 310 ათ. მან. ცნობილია, აგრეთვე, რომ გასულ პერიოდთან შედარებით მიმდინარე პერიოდში ფასები ყველა სასაქონლო ჯგუფის მიხედვით საშუალოდ 15%-ით შემცირდა.

მიმოქცევის ხარჯების გეგმური დონე ბრუნვასთან შეადგენდა 5%-ს, მიმოქცევის ხარჯების ფაქტიური დონე საქონელბრუნვასთან იქნება:

$$\frac{310}{5800} \times 100 = 5,3\%$$

მიმოქცევის ხარჯების ფაქტიურ დონეს თუ შევუფარდებთ გეგმით გათვალისწინებულ ხარჯების დონეს, დავინახავთ, რომ სავაჭრო ორგანიზაციას აქვს მიმოქცევის ხარჯების გადახარჯვა 0,3 პუნქტით (5,3 — 5,0), მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა ნაადრევია, ვინაიდან მიმოქცევის ხარჯების ფაქტიურ დონეზე გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ. ამიტომ საჭიროა მიმოქცევის ხარჯების დონეზე ფასების ცვლილების გავლენის გამოვრიცხვა. მიმდინარე პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობა ფასების ინდივიდუალური ინდექსის საშუალებით გადავიყვანოთ გასული პერიოდის ფასებში.

$$\sum q_1 p_1 : \frac{p_1}{p_0} = \sum q_1 p_0$$

$$\frac{5800 \text{ ათასი მან.}}{0,85} = 6824 \text{ ათ. მან.}$$

ახლა განვსაზღვროთ მიმოქცევის ხარჯების დონე საქონელბრუნვის-თან.

$$\frac{310}{6824} \times 100 = 4,6\%$$

მაშასადამე, სახეზეა მიმოქცევის ხარჯების ეკონომია 0,7 პუნქტით.

რა ეკონომია მიიღო მიმოქცევის ხარჯების შემცირების შედეგად სავაჭრო ორგანიზაციამ? ამას გავიგებთ შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$\Theta = \frac{(u_0 - u_1) T}{100} = \frac{(5,0 - 4,6) \times 5800}{100} = 23,2 \text{ ათ. მან.}$$

მიმოქცევის ხარჯების დონეზე ფასების ცვლილების გარდა, გავლენას ახდენს მიმოქცევის პროცესში მოხმარებული მატერიალური რესურსების (შეფუთვის მასალები, საკანცელარიო ნივთები და სხვ.) ფასებისა და მომსახურებათა განაკვეთების (ტრანსპორტის ხარჯები, იჯარა, საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილობანი) ცვლილებები.

ანალიზის პროცესში ასევე აუცილებელია გამოვრიცხოთ მიმოქცევის ხარჯების დონეზე მოხმარებული მატერიალური რესურსების ფასებისა და სავაჭრო მომსახურების განაკვეთების ცვლილებათა გავლენა. ამისათვის მიმდინარე პერიოდის მიმოქცევის ხარჯების თითოეული მუხლი გავყოთ ფასების და მომსახურების განაკვეთების ინდექსზე.

მიმოქცევის ხარჯების დონეზე ფასებისა და განაკვეთების ცვლილებათა გავლენის ელიმინირების წესი ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე.

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვის, მიმოქცევის ხარჯების, ვაჭრობაში მოხმარებული მატერიალური რესურსების ფასებისა და მომსახურებათა განაკვეთების ცვლილების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 10.6).

მიმდინარე პერიოდის საქონელბრუნვა და მიმოქცევის ხარჯები გადავიყვანოთ გასული პერიოდის ფასებსა და ტარიფებში. ამისათვის საქონელბრუნვის მოცულობა და მიმოქცევის ხარჯების თითოეული მუხლი გავყოთ ფასებისა და განაკვეთების შესაბამის ინდექსზე.

საქონელბრუნვა  $19200 : 0,9 = 21330$  ათ. მან.

სატრანსპორტო ხარჯები  $142,0 : 0,8 = 177,5$  ათ. მან.

შენობის იჯარის გადასახადი  $940,0 : 1,2 = 78,33$  ათ. მან.

და ა. შ.

ცხრილიდან ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე მოქმედი ფასებით შეადგენდა 4,2%-ს, ხოლო გასული (საბაზისო) პერიოდის ფასებით — 3,8%-ს. მაშასადამე, ფასებისა და ტარიფების ცვლილებათა შედეგად მიმოქცევის ხარჯების დონე 0,4 პუნქტით შემცირდა. ცხრილის მე-4 და მე-2 სვეტების მონაცემთა

მაჩვენებლები	გასული პერიოდი		ფასების და ვანაჟ- ეფუბის ინდექსი	მიმდინარე პერი- ოდის გასული პე- რიოდის ფასებით	მიმოქცევის ხარჯე- ბის დონე საქონელ- ბრუნვისათან (%)		
	ათასი მან.	ათასი მან.			გასულ პერიოდში	მიმდინარე პერიოდში	მიმდინარე პერიოდში გასული პერიოდის ფასებით
	1	2					
საქონელბრუნვა	16000	19200	0,9	21333	—	—	—
მიმოქცევის ხარჯები	659,0	798,7	—	821,23	4,1	4,2	3,8
მათ შორის:							
სატრანსპორტო გადაზიდ- ვები	122,0	142,2	0,8	177,5	0,76	0,74	0,80
შენობის იჯარის გადასახა- ლი	82,5	94,0	1,2	78,33	0,51	0,49	0,3
ბანკის კრედიტის სარგე- ბელი	4,5	2,7	0,5	5,4	0,028	0,014	0,20
სხვა დანარჩენი	450,0	560,0	1,0	560,0	2,80	2,90	2,50

შორის სხვაობა შეადგენს მიმოქცევის ხარჯების ეკონომიის აბსოლუტურ სიდიდეს, რომელიც მიიღო სავაჭრო ორგანიზაციამ საქონლის ფასებისა და მომსახურების ტარიფების შემცირების შედეგად.

$$798,7 - 821,23 = -22,53 \text{ ათ. მან.}$$

ცხრილში მოყვანილი მონაცემებით შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს რიგი სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც დაახასიათებენ მიმოქცევის ხარჯების დონის დინამიკას სხვადასხვა ასპექტში. ამთავან, აღსანიშნავია მიმოქცევის ხარჯების ფიზიკური მოცულობის ინდექსი, მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ინდექსი უცვლელ და ფაქტიურ ფასებში.

მიმოქცევის ხარჯების დონის ინდექსი ფაქტიური ფასებით განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯების მიმდინარე და გასული (საბაზისო) პერიოდების დონეთა ურთიერთშეფარდების გზით.

$$I = \frac{4,2}{4,1} = 1,02, \text{ ანუ } 102\%$$

იგივე შედეგს მივიღებთ, თუ მიმოქცევის ხარჯების დინამიკის მაჩვენებელს გავყოფთ საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელზე.

მიმოქცევის ხარჯების დინამიკა უდრის:

$$K = \frac{798,7}{659,0} = 1,212, \text{ ანუ } 121,2\%$$

ბოლო საქონელბრუნვის მოცულობის დინამიკა

$$K = \frac{19200}{16000} = 1,2 \text{ ანუ } 120\%$$

მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი ფაქტიურ ფასებში უდრის:

$$I = \frac{1,212}{1,200} = 1,02, \text{ ანუ, } 102\%$$

მიმოქცევის ხარჯების ფიზიკური მოცულობის ინდექსი წარმოადგენს უცვლელ ფასებში მიმდინარე პერიოდის მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხის შეფარდებას გასული (საბაზისო) პერიოდის მიმოქცევის ხარჯების თანხასთან.

$$I = \frac{821,93}{659,0} = 1,246 \text{ ანუ } 124,6\% .$$

ე. ი. უცვლელი ფასებით მიმოქცევის ხარჯების მოცულობა 24,6%-ით გაიზარდა, რაც აბსოლუტური გამოსახულებით 162,23 ათას მანეთს შეადგენს (821,23—659,0). მაგრამ იმავე ცხრილიდან ჩანს, რომ მიმდინარე პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით მიმოქცევის ხარჯების ფაქტიური თანხა 21,2%-ით (798,7 : 659,0) ანუ 139,7 ათასი მანეთით გაიზარდა (798,7—659,0). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მიმოქცევის ხარჯების საერთო მოცულობაში ფასებისა და განაკვეთების ღონე 2,8%-ით შემცირდა და ახლა მათი ინდექსი 97,2%-ს (1,212 : 1,246) შეადგენს.

იგივე შედეგს მოგვცემს მიმოქცევის ხარჯების საშუალო პარმონიული ინდექსი:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1} = \frac{798,7}{\frac{142}{0,8} \quad \frac{94}{1,2} \quad \frac{2,7}{0,5} \quad \frac{560}{1,0}} = \frac{798,7}{821,23} = 0,972 \text{ ანუ } 97,2\%$$

უცვლელ ფასებში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი განისაზღვრება შესადარი ფასებით მიმდინარე პერიოდის მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის გაყოფით გასული პერიოდის მიმოქცევის ხარჯების ღონეზე:

$$I = \frac{3,8}{4,1} = 0,93 \text{ ანუ } 93\%$$

იგივე შედეგს იძლევა მიმოქცევის ხარჯების ფიზიკური მოცულო-

ბის ინდექსის შეფარდება საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსთან.

ჩვენს მაგალითში მიმოქცევის ხარჯების ფიზიკური მოცულობის ინდექსი უდრის 1,246-ს (821,23 : 659,0).

საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი გაიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{21333}{16000} = 1,333, \text{ ანუ } 133,3\%$$

აქედან, უცვლელ ფასებში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ინდექსი უდრის:

$$I = \frac{1,246}{1,333} = 0,93, \text{ ანუ } 93\%$$

მაშასადამე, გასულ პერიოდთან შედარებით მიმდინარე პერიოდში მიმოქცევის ხარჯების დონე უცვლელ ფასებში 7%-ით შემცირდა.

უცვლელ და ფაქტიურ ფასებში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ინდექსებს შორის განსაზღვრული კავშირი არსებობს, რომელიც ზოგადი ფორმულით ასე გამოისახება:

$$\frac{\text{უცვლელ ფასებში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის } I}{\text{ფაქტიურ ფასებში მიმოქცევით ხარჯების შეფარდებითი დონის } I} = \frac{\text{ფასების } I \text{ განაკვეთების და ტარიფების } I}{\text{ფასების } I}$$

ინდექსთა სისტემაში შევიტანოთ შესაბამისი მნიშვნელობები:

$$\frac{3,8}{4,1} = \frac{4,2}{4,1} \times \frac{0,9}{1,028}$$

მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ინდექსის გაანგარიშების წესი ვარჩევნოთ სხვა მაგალითზე:

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვისა და მიმოქცევის ხარჯების შესახებ გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები, ათას მან:

ცხრილი 10.7

მაჩვენებლები	პერიოდი		ფასებისა და განაკვეთების ინდექსი
	გასული (საბაზისო) წელი	მიმდინარე წელი	
საქონელბრუნვის მოცულობა	500	600	0,85
მიმოქცევის ხარჯები	25	27	1,02

ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ:

1. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე წლების მიხედვით;



ზუსტად იგივე შედეგს გვაძლევს მიმოქცევის ხარჯების ფიზიკური მოცულობისა და ფაქტიური საქონელბრუნვის ინდექსების ურთიერთ-შეფარდება.

მიმოქცევის ხარჯების ფიზიკური მოცულობის ინდექსი უდრის:

$$I = \frac{26,4}{25,10} = 1,056, \text{ ანუ } 105,6\%$$

ხოლო ფაქტიურ ფასებში საქონელბრუნვის ინდექსი შეადგენს:

$$I = \frac{718}{500} = 1,436, \text{ ანუ } 143,6\%$$

აქედან, უცვლელი ფასებისა და განაკვეთების პირობებში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ინდექსი უდრის:

$$I = \frac{1,056}{1,436} = 0,74 \text{ ანუ } 74\%;$$

7. მიმოქცევის ხარჯების დონის ცვლილების შედეგად სავაჭრო ორგანიზაციამ მიიღო 7,8 ათასი მანეთის ეკონომია.

$$\Delta_{\kappa} = \frac{(5,0 - 3,7) \times 600}{100} = 7,8 \text{ ათასი მან.}$$

მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურა, ე. ი. საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში ამა თუ იმ საქონლის, ან საქონელჯგუფის ხვედრითი წონის ცვლილება. ზოგიერთი საქონლის რეალიზაცია მეტი რაოდენობის შრომის დანახარჯებს მოითხოვს, ზოგიერთი, პირიქით — ნაკლები რაოდენობისას, ასე რომ, საქონელბრუნვის სტრუქტურაში მომხდარი ძვრები, უცილობლად იწვევს მიმოქცევის ხარჯების დონის მეტ-ნაკლები ზომით ცვლილებას, სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ, როგორც წესი, უნდა იცოდეს, რის ხარჯზე ხორციელდება მიმოქცევის ხარჯების საერთო დონის ცვლილება. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე შესაძლოა შემცირდეს საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის ცვლილებით, მაშინ როდესაც ცალკეული ჯგუფის საქონლის მიმოქცევის ხარჯები კი არ მცირდება — პირიქით, იზრდება კიდევ. მიმოქცევის ხარჯების საშუალო დონის ამგვარ შემცირებას, ცხადია, ვერ მივიჩნევთ დადებით მოვლენად, ვინაიდან იგი გამოწვეულია მხოლოდ საქონელბრუნვის სტრუქტურაში მომხდარი ძვრებით, კერძოდ ბრუნვის საერთო მოცულობაში შედარებით დაბალი ხარჯტევადი სასაქონლო ჯგუფების წილის გადიდებით.

მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის რეალური დინამიკის დასადგენად საჭიროა ისეთი გაანგარიშება ჩავატაროთ, რომელიც პა-

სუხს გასცემს კითხვაზე: როგორი იქნებოდა მიმდინარე პერიოდში სა-  
 ვაჭრო ორგანიზაციის მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონე საქონ-  
 ნელბრუნვის უცვლელი (საბაზისო პერიოდის) სტრუქტურის პირობებ-  
 ში. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება საქონელბრუნვის ეგ-  
 რეთ წოდებული ხარჯტევადობის ინდექსის გაანგარიშება. მოცემული  
 ინდექსი ახასიათებს საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურასა და  
 მის გავლენას მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ცვლილებაზე.  
 საქონელბრუნვის ხარჯტევადობის ინდექსის (სხვანაირად, მიმოქცევის  
 ხარჯების ღონეზე სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსის) გაან-  
 გარიშების წესი ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე:

სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვის და მიმოქცევის ხარჯების  
 შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 10.8

საქონელ- ჯგუფები	საქონელ- ბრუნვა		მიმოქცევის ხარჯები		საქონელ- ბრუნვის სტრუქტურა, (% -ით)		საქონელბრუნვის ერთბა- ნეთზე მიმოქცევის ხარჯე- ბის ნორმა გასულ პერი- ოდში (მან.)	გასული პე- რიოდის 100 მანეთის ირუნვაზე მი- მოქცევის ხარჯების თანხის განა- წილება (მან.)	
	ათასი მანეთობით				გასულ პერიოდ- ში	მიმდინარე პერიოდში		გასულ პერი- ოდში	მიმდინარე პერი- ოდში
	გასულ პერიოდ- ში	მიმდინარე პერიოდში	გასულ პერიოდ- ში	მიმდინარე პერიოდში					
0	1	2	3	4	5	6	7	8	9
ა	1500	1710	66	68	33,4	28,9	0,04	0,13	0,12
ბ	1200	1500	60	72	26,6	25,4	0,05	0,13	0,15
გ	1800	2700	120	140	40,0	45,7	0,07	0,28	0,32
სულ	4500	5910	246	280	100,0	100,0	—	0,55	0,56

ცხრილის 1 და მე-2 სვეტებში მოცემულია გასული და მიმდინარე  
 პერიოდების საქონელბრუნვის მოცულობა; მე-3 და მე-4 სვეტებში —  
 შესაბამისი პერიოდების მიმოქცევის ხარჯები; მე-5 და მე-6 სვეტებ-  
 ში — გასულ და მიმდინარე პერიოდებში საქონელბრუნვის სტრუქტურა;  
 მე-7 სვეტში გაანგარიშებულია გასული პერიოდის საქონელბრუნ-  
 ვის 1 მანეთზე მიმოქცევის ხარჯების ნორმა. იგი მიიღება მიმოქცევის  
 ხარჯების თანხის გაყოფით საქონელბრუნვის მოცულობაზე. მაგალი-  
 თად, „ა“ საქონელჯგუფისათვის მიმოქცევის ხარჯების ნორმა იქნება:

$$66 : 1500 = 0,04.$$

ცხრილის მე-8 და მე-9 სვეტებში მოტანილია გასული პერიოდის  
 100 მანეთის ბრუნვაზე მიმოქცევის ხარჯების თანხის განაწილება. აღ-



ნიშნული მაჩვენებელი მიიღება თითოეული საქონელჯგუფის ხვედრითი წონისა და გასული პერიოდის საქონელბრუნვის 1 მანეთის მიმოქცევის ხარჯების ნორმის გადამრავლების გზით.

მაგალითად, „გ“ საქონელჯგუფისათვის 100 მანეთის ბრუნვაზე მიმოქცევის ხარჯების თანხა შეადგენს:

გასულ პერიოდში:

$$40,0 \times 0,07 = 0,28.$$

მიმდინარე პერიოდში:

$$45,7 \times 0,07 = 0,32.$$

ცხრილის მონაცემების საფუძველზე ვახდენთ მიმოქცევით ხარჯების დონეზე საქონელბრუნვის სტრუქტურული ძვრების გავლენის ანუ საქონელბრუნვის ხარჯტევადობის ინდექსის გაანგარიშებას.

$$I = \frac{0,59}{0,55} = 1,073 \text{ ანუ } 107,3\%.$$

ახლა განვსაზღვროთ საქონელბრუნვის უცვლელი სტრუქტურის პირობებში მიმოქცევის ხარჯების ინდექსი. იგი გამოიანგარიშება მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის დინამიკის მაჩვენებლის გაყოფით საქონელბრუნვის ხარჯტევადობის ინდექსზე.

ჩვენს მაგალითში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე გასულ პერიოდში შეადგენდა 5,5%-ს ( $246 : 4500 \times 100$ ), ხოლო მიმდინარე პერიოდში 4,7% ( $280 - 5910 \times 100$ ).

მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯების დინამიკის მაჩვენებელი უდრის:

$$I = \frac{4,7}{5,5} = 0,854 \text{ ანუ } 85,4\%.$$

გასული პერიოდის საქონელბრუნვის სტრუქტურის პირობებში მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის ინდექსი იქნება:

$$I = \frac{85,4}{107,3} = 0,796 \text{ ანუ } 79,6\%.$$

ამრიგად, მიმდინარე პერიოდში საქონელბრუნვის სტრუქტურა რომ ისეთივე ყოფილიყო, როგორც გასულ პერიოდში, მაშინ მიმოქცევის ხარჯების დონე 20,4%-ით ( $100,0 - 79,6$ ) შემცირდებოდა.

სტატისტიკაში მიმოქცევის ხარჯების დონეზე მოქმედ ფაქტორთა გავლენა შეისწავლება საინდექსო მეთოდით. კერძოდ, მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის დინამიკაზე საქონელბრუნვის სტრუქტურის გავლენა შეისწავლება ურთიერთდაკავშირებულ ინდექსთა სისტემით, რომელსაც შემდეგი გამოსახულება აქვს:

$$\frac{\bar{y}_1}{\bar{y}_0} = \frac{\sum \bar{y}_1 m_1}{\sum \bar{y}_0 m_1} \times \frac{\sum y_0 m_1 : \sum m_1}{\sum y_0 m_0 : \sum m_0}$$

მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი = მიმოქცევის ხარჯების ინდექსი  $\times$  საქონელბრუნვის სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი

მოცემულ ფორმულაში  $y_1$ -ით და  $y_0$ -ით აღინიშნება მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონე მიმდინარე და გასულ პერიოდებში.

$m_1$ -ით და  $m_0$ -ით—შესაბამისი პერიოდების საქონელბრუნვის მოცულობა.

განხილული ინდექსებიდან თუ ცნობილია ორის მნიშვნელობა, მესამე განისაზღვრება წინა ორი ინდექსიდან გამომდინარე.

საბოლოო ვაჭრობაში ცალკეულ საქონელზე მიმოქცევის ხარჯების აღრიცხვა, როგორც ცნობილია, არ წარმოებს, ამიტომ ზემოთ მოყვანილ ინდექსებიდან განსაკუთრებით საინტერესოა საქონელბრუნვის ფაქტიური სტრუქტურის პირობებში მიმოქცევის ხარჯების ინდექსის განსაზღვრა, რაც ხდება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$\frac{\sum y_1 m_1}{\sum y_0 m_1} = \frac{\bar{y}_1}{\bar{y}_0} \times \frac{\sum y_0 m_1 : \sum m_1}{\sum y_0 m_0 : \sum m_0}$$

მიმოქცევის ხარჯების ინდექსი = მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი  $\times$  საქონელბრუნვის სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი

საქონელბრუნვის სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი შეიძლება გამოისახოს სხვა ფორმულითაც:

$$I = \frac{\sum y_0 m_1}{\sum m_1} : \frac{\sum y_0 m_0}{\sum m_0}$$

მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯების ინდექსი უდრის მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის საშუალო ინდექსი. გაყოფილი საქონელბრუნვის სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსზე.

ანალოგიურად შეისწავლება მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის დინამიკაზე ფასების ცვლილების გავლენა:

$$\frac{\text{მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი ფაქტიურ ფასებში}}{\text{მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი ღონის ინდექსი შესაღარი ფასებით}} = \frac{\text{ფასებისა და განაკვეთების ინდექსი}}{\text{ფასების ინდექსი}}$$

სამრეწველო საწარმოები და გამსაღებელი ბაზები, მათ მიერ მიწოდებულ საქონელზე მიმოქცევის ხარჯების დასაფარავად და ნორმალური მოგების უზრუნველსაყოფად სავაჭრო ორგანიზაციებს აძლევენ დათმობას, რომელიც გამოისახება პროცენტებში საცალო ფასიდან. ცალკეული სახეობის საქონელზე, რომლებზეც დაწესებული არ არის საცალო ფასი (ასეთია უმთავრესად ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია) დათმობის ნაცვლად გამოყენებულია დარიცხვა. ასეთ საქონელზე წარმოების ადგილზე წესდება მრეწველობის საბითუმო ფასი, ხოლო მრეწველობის საბითუმო ფასისათვის სავაჭრო დარიცხვის მომატების გზით მიიღება საცალო ფასი. სავაჭრო დარიცხვა გამოისახულია პროცენტებში საბითუმო ფასიდან. დათმობა (დარიცხვა) სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების შემოსავლის ძირითადი წყაროა. ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით სავაჭრო დათმობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი აწესებს.

სავაჭრო დათმობა დიფერენცირებულია ცალკეულ საქონელსა და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. მისი სიდიდე დამოკიდებულია საქონლის რეალიზაციის ხარჯტევადობასა და სავაჭრო ორგანიზაციების ადგილმდებარეობაზე (ქალაქი, სოფელი, შორეული და მთიანი რაიონები, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონები). ისეთ საქონელზე, რომელიც შედარებით ნელი ბრუნვადობით ხასიათდება, მოითხოვს დამატებით დამუშავებასა და შენახვის სპეციფიკურ პირობებს — სავაჭრო დათმობაც შესაბამისად მაღალი წესდება. მაგალითად, სამშენებლო მასალებზე სავაჭრო დათმობა დადგენილია 13%, კარტოფილსა და ბოსტნეულზე — 9%, მინერალურ წყლებზე — 20% და ა. შ.]

სავაჭრო დათმობის სიდიდე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოკიდებულია სავაჭრო ორგანიზაციების ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, მამაკაცის ტყავის ფესხაცემელზე სავაჭრო დათმობა დადგენილია ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებში — 5%, სოფლისაში — 6%, შორეულ და მთიან რაიონებისათვის — 7,5%, ხოლო უკიდურეს ჩრდილოეთის სავაჭრო ორგანიზაციებში — 14,5%. სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებიც დაშორებული არიან რკინიგზის სადგურიდან 10 და მეტი კილომეტრით, ეძლევათ დამატებითი სავაჭრო დათმობა.

სავაჭრო დათმობის სიდიდის დადგენისას მხედველობაში მიიღება, აგრეთვე, ვაჭრობის სისტემათა თავისებურება. მაგალითად, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში (რომლებიც უპირატესად სოფელ ადგილებში არიან განლაგებული), მიმოქცევის ხარჯების დონე უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში (რომლებიც ძირითადად, ქალაქისა და მუშათა დაბების მო-

სახლეობას ემსახურებიან), სწორედ ამიტომაც სავაჭრო დათმობა მათ შედარებით მაღალი ეძლევათ. დაბოლოს, დათმობის სიღრმე ცალკეულ საქონელსა და სასაქონლო ჯგუფებზე დამოკიდებულია ვაჭრობის დარგებზეც. საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, მაგალითად, სავაჭრო დათმობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სავაჭრო ქსელის საწარმოებზე. სხვაობა სავაჭრო დათმობასა (დარიცხვასა) და მიმოქცევის ხარჯებს შორის წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მოგებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით სავაჭრო დარიცხვის დონეს აწესებს სახელმწიფო. სავაჭრო ორგანიზაციებს არა აქვთ მისი შეცვლის უფლება. (სავაჭრო ორგანიზაციის მოგების თანხა დამოკიდებულია საქონელბრუნვის მოცულობაზე, საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურისა და მიმოქცევის ხარჯების ცვლილებაზე.) საქონელბრუნვის ზრდა, ყველა თანაბარ პირობებში, იწვევს მოგების თანხის შესაბამის ზრდას. საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში რამდენადაც მეტია მაღალი დარიცხვის საქონელთა ხვედრითი წონა, იმდენად მეტია მოგების თანხა; დაბოლოს, მიმოქცევის ხარჯების შემცირება განაპირობებს მოგების თანხის ზრდას. მოგების ზრდაზე მოქმედი ფაქტორებიდან მთავარია მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირება.)

ვაჭრობაში განასხვავებენ საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას და წმინდა, ანუ საბალანსო მოგებას. რეალიზაციიდან მიღებული მოგება წარმოადგენს სხვაობას საქონელზე დარიცხვების ჯამსა და მიმოქცევის ხარჯების თანხას შორის. მაგრამ, სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები გარდა სავაჭრო საქმიანობისა ეწევიან აგრეთვე, არასავაჭრო საქმიანობასაც (სამკერვალო სახელოსნოები, დამფასოებელი საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი საწარმოები და სხვ.), საიდანაც ისინი ღებულობენ გარკვეული ოდენობის მოგებას. ამასთან, ვაჭრობაში, როგორც წესი, ადგილი აქვს დაუფეგმავე (გაუთვალისწინებელ) შემოსავლებს და დანაკარგებს (მიღებული და გადახდილი ჯარიმები, ინვენტარიზაციის ჩატარების დროს გამოვლინებული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მეტობა, დებიტორული დავალიანების ჩამოწერის შედეგად გამოწვეული დანაკარგები და სხვა) (სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სავაჭრო და არასავაჭრო საქმიანობიდან მიღებული მოგების მთლიან თანხას ეწოდება წმინდა, ანუ საბალანსო მოგება, ზოლო მის პროცენტულ შეფარდებას საქონელბრუნვის მოცულობასთან — რენტაბელობის დონე.) აღნიშნული წესით გაანგარიშებული რენტაბელობის დონე დაახასიათებს მოგების ოდენობას, რომელიც მოდის საქონელბრუნვის ყოველ 100 მანეთზე. X

მოგების თანხისა და რენტაბელობის დონის გაანგარიშების წესი ნათელვყოთ პირობით მაგალითზე.

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები (ათასი მან.):

1. საქონელბრუნვის მოცულობა	45000
2. სავაჭრო დარიცხვა	2800
3. მიმოქცევის ხარჯები	1900
4. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	900
5. არასავაჭრო საქმიანობიდან მიღებული მოგება	180
6. არასავაჭრო საქმიანობიდან გამოწვეული დანაკარგები	90

ამ მონაცემების საფუძველზე გინვსაზღვროთ სავაჭრო ორგანიზაციის წმინდა (საბალანსო) მოგება და რენტაბელობის დონე.

სავაჭრო ორგანიზაციის წმინდა (საბალანსო) მოგება უდრის:

$$900 + 180 - 90 = 990 \text{ მან.}$$

რენტაბელობის დონე ტოლი იქნება:  $\frac{990}{45000} \times 100 = 2,2\%$ .

ე. ი. საქონელბრუნვის ყოველი მანეთი 2,2 კაპიკის მოგებას იძლევა. მოგების თანხის შეფარდება საქონელბრუნვასთან არის რენტაბელობის დონის ძირითადი მაჩვენებელი, მაგრამ რენტაბელობის დონე ვაჭრობაში შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს, აგრეთვე მოგების აბსოლუტური თანხის შეფარდებით: ა) მიმოქცევის ხარჯებთან, ბ) ძირითადი და საბრუნავი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან და გ) ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის ფონდის მოცულობასთან. როდესაც მოგების თანხას ვუფარდებთ მიმოქცევის ხარჯების მთელ მოცულობას, ამით ჩვენ ვგვებულობთ მიმოქცევის მთელი დანახარჯების ეფექტურობას. მოგების თანხის პროცენტული შეფარდება ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის ფონდის მოცულობასთან ახასიათებს ცოცხალი შრომის დანახარჯების ეფექტურობას. დაბოლოს, მოგების თანხის შეფარდება სავაჭრო ორგანიზაციის ძირითადი და საბრუნავი ფონდების საშუალო ღირებულებასთან გვიხასიათებს ამ ფონდების ღირებულების ერთეულის (100 მან.) გამოყენების ეფექტურობას.

ახლა დავადგინოთ სავაჭრო ორგანიზაციის მოგების ზრდაზე (შემცირებაზე) ცალკეული ფაქტორების გავლენა.

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ორი პერიოდის მიხედვით გვაქვს შემდეგი პირობითი მონაცემები:

ცხრილი 10.9

მაჩვენებლები	გასულ წელს	მიმდინარე წელს
1. საცალო საქონელბრუნვა (ათას მან.)	4000	4600
2. სავაჭრო დარიცხვა (პროცენტ. ბრუნვასთან)	7,55	7,3
3. მიმოქცევის ხარჯების დონე (პროც. ბრუნვასთან)	4,6	4,2

ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ:

1. რეალიზებული დარიცხვის, მიმოქცევის ხარჯებისა და სავაჭრო მოგების თანხა;

2. მიმდინარე წლის მონაცემების გადახრა გასული წლის მონაცემებიდან ზანხებსა და პროცენტებში;

3. სავაჭრო ორგანიზაციის მოგების თანხაზე რა გავლენა იქონია საცალო საქონელბრუნვის, რეალიზებული დარიცხვისა და მიმოქცევის ხარჯების ცვლილებამ.

ა მ ო ხ ს ნ ა

1. რეალიზებული დარიცხვის თანხა

ა) გასულ წელს

$$\frac{4000 \times 7,55}{100} = 302 \text{ ათასი მან.};$$

ბ) მიმდინარე წელს

$$\frac{4600 \times 7,3}{100} = 335,8 \text{ ათ. მან.};$$

2. მიმოქცევის ხარჯების თანხა

ა) გასულ წელს

$$\frac{4000 \times 4,6}{100} = 184 \text{ ათ. მან.};$$

ბ) მიმდინარე წელს

$$\frac{4600 \times 4,2}{100} = 193,2 \text{ ათ. მან.}$$

3. სავაჭრო მოგების თანხა

ა) გასულ წელს

$$302 - 184 = 118 \text{ ათ. მან.};$$

ბ) მიმდინარე წელს

$$335,8 - 193,2 = 142,6 \text{ ათ. მან.}$$

4. სავაჭრო მოგება პროცენტ. ბრუნვასთან

ა) გასულ წელს

$$\frac{118}{4000} \times 100 = 2,95\%;$$

ბ) მიმდინარე წელს

$$\frac{142,6}{4600} \times 100 = 3,10\%.$$

განგარიშების შედეგად მიღებული მაჩვენებლები წარმოვადგინოთ ცხრილის სახით.

ც ხ რ ი ლ ი 10.10

მაჩვენებლები	გასული წელი	მიმდინარე წელი	გადახრა (+, -)
საცალო საქონელბრუნვა (ათას მან.)	4000	4600	+600
რეალიზებული დარიცხვა (%-ში ბრუნვასთან)	7,55	7,30	-0,25
რეალიზებული დარიცხვის თანხა (ათას მან.)	302,0	335,8	+33,5
მიმოქცევის ხარჯები (%-ში ბრუნვასთან)	4,6	4,2	-0,4
მიმოქცევის ხარჯების თანხა (ათ. მან.)	184,0	193,2	+9,2
მოგების თანხა (ათას მან.)	118,0	142,6	+24,6
მოგება (%-ში ბრუნვასთან)	2,95	3,10	+0,15

ცხრილიდან ჩანს, რომ გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს სავაჭრო ორგანიზაციის მოგების თანხა 24,6 ათასი მანეთით ანუ 20,9%-ით გაიზარდა; რამ განაპირობა მოგების ზრდა?

მასზე გავლენა იქონია საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება. მოგების ზრდაზე საქონელბრუნვის გავლენა შეიძლება დადგინდეს შემდეგი გაანგარიშებით:

$$\frac{(4600 - 4000) \times 2,95}{100} = 17,7 \text{ ათ. მან.}$$

მოგების თანხის ზრდაზე გავლენა იქონია მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონის შემცირებამ:

$$\frac{(4,6 - 4,2) \times 4600}{100} = 18,4 \text{ ათ. მან.}$$

დაბოლოს, სარეალიზაციო დარიცხვის საშუალო დონის შემცირებამ შესაბამისი ზომით გამოიწვია მოგების თანხის კლება:

$$\frac{(7,30 - 7,55) \times 4600}{100} = -11,5 \text{ ათ. მან.}$$

მაშასადამე, სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მიღებული მოგება 24,6 ათასი მანეთის ოდენობით ასე განაწილდა:

17,7 ათ. მან. — საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებით;

18,4 ათ. მან. — მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებით;

ხოლო რეალიზებული დარიცხვის საშუალო დონის 0,25 პუნქტით შემცირების შედეგად მიღებულ იქნა 11,5 ათასი მანეთით ნაკლები მოგება.

$$17,7 + 18,4 + (-11,5) = 24,6 \text{ ათ. მან}$$

სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შეისწავლოს სავაჭრო ორგანიზაციებში და საწარმოებში შექმნილი პროდუქტების განაწილების მექანიზმი.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო რეფორმა განხორციელდა, რომელიც მიმოქცევის სფეროსაც შეეხო. 1971 წლიდან დაწყებული ცალკეულმა სავაჭრო ორგანიზაციებმა იწყეს მუშაობის ახალ სისტემაზე თანდათანობით გადასვლა.

მუშაობის ახალ სისტემაზე გადასულ სავაჭრო ორგანიზაციებში მოგების ხარჯზე შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების სამი ფონდია:

1) მატერიალური წახალისების, 2) სოციალურ-კულტურული ღონისძიებისა და საბინაო მშენებლობის და 3) ვაჭრობის განვითარების ფონდი. ამთავან განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მატერიალური წახალისების ფონდს. მასზე მოდის ეკონომიკური სტიმულირების ყველა

ფონდში მოგებიდან გადარიცხული სახსრების 70%-ზე მეტი. სოციალურ-კულტურული ღონისძიებისა და საბინაო მშენებლობის, აგრეთვე, ვაჭრობის განვითარების ფონდი იქმნება სავაჭრო ორგანიზაციებში, ხოლო მატერიალური წახალისების ფონდი შეიძლება შეიქმნას, აგრეთვე დამოუკიდებლად ცალკეულ სავაჭრო და საზოგადოებრივ კვების საწარმოებში.

[ მატერიალური წახალისების ფონდი დანიშნულია სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთათვის პრემიების გასაცემად, მუშაობის საერთო წლიური შედეგებისათვის ჯილდოების გასაცემად, ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის უმეტესი ნაწილი (არა ნაკლები 60%-სა) დანიშნულია საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, სასადილოებისა და ბუფეტების, პიონერთა ბანაკების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სანატორიუმების მშენებლობის, გაფართოებისა და კაპიტალური რემონტისათვის. სტიმულირების აღნიშნული ფონდიდან სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შეუძლიათ შეიძინონ საექიმოსანიტარიული დაწესებულებებისათვის მედიკამენტები, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და სანატორიუმებში საგზურები და სხვ.

ვაჭრობის განვითარების ფონდი დანიშნულია ვაჭრობაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, სატრანსპორტო საშუალებების შეძენისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის ღონისძიებათა ჩასატარებლად. ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში ფონდწარმოქმნის მაჩვენებლად მიღებულია საქონელბრუნვის მოცულობა, საქონელბრუნვის მატება და საბალანსო მოგების თანხა. ]

1979 წლიდან დაწყებული სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ეკონომიკური სტიმულირების ფონდების გეგმური სიდიდე დგანდება ერთდროულად, საგეგმო წლისათვის ძირითადი გეგმური მაჩვენებლების დამტკიცებასთან ერთად.

დადგენილია წახალისების ფონდების გეგმურ სიდიდესა და საქონელბრუნვის მოცულობათა შორის პირდაპირი დამოკიდებულება. მიღებულია, რომ მმართველობის ყველა დონეზე მატერიალური წახალისების ფონდების გეგმური სიდიდე განისაზღვრება საქონელბრუნვის მოცულობათა ზრდის (საზვეებაში — საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციის ზრდის) შესაბამისად.

ფონდწარმოქმნის მაჩვენებლების მიხედვით გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში, მატერიალური წახალისების ფონდში მოგებიდან გადარიცხვები იწარმოებს სტაბილური ნორმატივებით. საქონელბრუნვის გეგმის ყოველი პუნქტის გადაჭარბებით შესრულებისათვის,



როგორც წესი, გადაირიცხება წახალისების ფონდის გეგმური თანხის ორი პროცენტი, მოგების გეგმის 3 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის გადაირიცხება აღნიშნული ფონდის გეგმური თანხის ერთი პროცენტი, 3,1-დან 5 პროცენტამდე ზევით გადაჭარბებით შესრულებისათვის — 0,7 პროცენტი, ხოლო 5 პროცენტზე ზევით გადაჭარბებით შესრულებისათვის — წახალისების ფონდის გეგმური თანხის 0,25 პროცენტი.

საბითუმო ვაჭრობაში შემოღებულია დამატებითი ფონდწარმოქმნის მაჩვენებელი. სასაწყობო საქონელბრუნვის შემდგომი განვითარების მიზნით ხდება საბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში მისი ხვედრითი წონის ამალღების სტიმულირება. მოქმედი დებულება ითვალისწინებს საბითუმო ბრუნვის საერთო მოცულობაში სასაწყობო საქონელბრუნვის ხვედრითი წონის ყოველი პუნქტის ამალღებისათვის მატერიალური წახალისების ფონდში მოგებული სახსრების დამატებით გადარიცხვას ამ ფონდის გეგმური თანხის 3 პროცენტის ოდენობით.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შესაქმნელად გადარიცხვის ნორმატივი განისაზღვრება ამ ფონდის გეგმური თანხის გაყოფით მატერიალური წახალისების ფონდის გეგმურ თანხაზე, აღნიშნულ ფონდში მოგებიდან დამატებითი გადარიცხვების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი ნორმატივის გადამრავლებით მატერიალური წახალისების ფონდში დამატებითი გადარიცხვების სიდიდეზე. J

### ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო :

ა მ ო ც ა ნ ა 1. სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები (მლნ. მან.).

ც ხ რ ი ლ ი 10.11

მაჩვენებლები	გასულ წელს	მიმდინარე წელს
1. საცალო საქონელბრუნვა	36,0	44,0
2. ვაჭრობის სარეალიზაციო დარიცხვის თანხა	2,5	3,2
3. მიმოქცევის ხარჯების თანხა	1,8	2,4

განსაზღვრეთ თითოეული წლისათვის ცალკე:

1. ორგანიზაციის სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული მოგების თანხა;
2. შეფარდებითი დონე:
  - ა) სავაჭრო დარიცხვების;
  - ბ) მიმოქცევის ხარჯების;
  - გ) რენტაბელობის.

პ ა ს უ ხ ი : 1. გასულ წელს 0,7 მლნ მან.; მიმდინარე წელს 0,8 მლნ. მან.

2. შეფარდებითი დონე გასულ წელს: ა) 6,9%; ბ) 5,0; გ) 1,9%. მიმდინარე წელს: ა) 7,3%; ბ) 5,46 და გ) 1,84%.

ამოცანა 2. სავაჭრო ორგანიზაციის ცალკეული მალაზიების მიხედვით საცალო საქონელბრუნვისა და მიმოქცევის ხარჯების შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 10.12

მალაზია	საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა, ათ. მან.	მიმოქცევის ხარჯების დონე, %-ში	
		საბაზისო პერიოდში	საანგარიშო პერიოდში
№ 1	2800	5,5	5,2
№ 2	2400	5,2	5,0
№ 3	1900	4,8	4,5
№ 4	2100	4,6	4,4
№ 5	3000	4,2	3,9
№ 6	1800	6,0	5,6

ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ:

1. მიმოქცევის ხარჯების შემცირების სიდიდე;
2. თითოეული მალაზიის მიხედვით მიმოქცევის ხარჯების შემცირების ტემპი;
3. მიმოქცევის ხარჯების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი;

4. სავაჭრო ორგანიზაციის ყველა მალაზიაში შემცირების ტემპი 10% რომ ყოფილიყო, მაშინ როგორი იქნებოდა მიმოქცევის ხარჯების შემცირების სიდიდე თითოეულ მალაზიაში.

პასუხი: 3) ეკონომიკური ეფექტი № 1 მალაზიაში 8,7 ათასი მან. № 6 მალაზიაში 7,28 ათ. მან.

4) შემცირების სიდიდე № 1 მალაზიაში 0,55%; № 6 მალაზიაში 0,6%.

ამოცანა 3. გვაქვს შემდეგი მონაცემები სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვისა და მიმოქცევის ხარჯების შესახებ შესადარი ფასებით, ათ. მან.

ცხრილი 10.13

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	ფასებისა და განაკვეთების ინდექსი
საქონელბრუნვა	2800	3200	0,92
მიმოქცევის ხარჯები	224,0	230,4	0,96

ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ:

1. თითოეული პერიოდისათვის მიმოქცევის ხარჯების დონე ფაქტურ ფასებში;

2. საანგარიშო პერიოდში მიმოქცევის ხარჯების დონე უცვლელი ფასებით;

3. მიმოქცევის ხარჯების დონეთა ინდექსი ფაქტიურ და უცვლელ ფასებში;

4. მიმოქცევის ხარჯების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის აბსოლუტური თანხა საანგარიშო პერიოდში.

პ ა ს უ ხ ი: 1) 8,0 და 7,2%, 2) 6,39%, 3) 0,90 და 0,866, 4) 25,6 ათ. მან.

ა მ ო ც ა ნ ა 4: სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ორი პერიოდის განმავლობაში გვაქვს შემდეგი მონაცემები.

ც ხ რ ი ლ ი 10.14

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
საქონლებრუნვა, ათას მან.	24000	26000
სავაჭრო დათმობით %	6,84	6,92
მიმოქცევის ხარჯების დონე %	5,74	5,56

ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ:

1. სავაჭრო დათმობა, მიმოქცევის ხარჯები და მოგება აბსოლუტურ გამოსახულებაში;

2. საბაზისო პერიოდის მონაცემებიდან საანგარიშო პერიოდის მონაცემების გადახრა თანხებსა და პროცენტებში;

3. როგორ გაიზარდა მოგების თანხა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით საქონლებრუნვის სავაჭრო დათმობისა და მიმოქცევის ხარჯების ცვლილების შედეგად;

პ ა ს უ ხ ი: მოგების თანხის მატება 89,6 ათასი მან. აქედან 22 ათასი საქონლებრუნვის გადიდების, 20,8 ათასი სავაჭრო დათმობის საშუალო დონის ამალღებისა და 46,8 ათასი მან. მიმოქცევის ხარჯების შემცირების შედეგად.

## შრომისა და ხელფასის სტატისტიკა

### § 1. შრომის სტატისტიკის ამოცანები

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა შრომა სოციალისტური საზოგადოების ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის ორგანული შემადგენელი ნაწილია. შრომა საბჭოთა ვაჭრობაში არსებითი თავისებურებით ხასიათდება. აქ, ერთი მხრივ, ადგილი აქვს შრომის ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის გაგრძელებასთან მიმოქცევის სფეროში. ასეთია საქონლის ტრანსპორტირება, მისი შენახვა, შემდგომი დამუშავება, შეფუთვა, დაფასოება. ამ სახის საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების შედეგად ინახება და, მაშასადამე, უფრო სრულყოფილი ხდება საქონლის სახმარი ღირებულება. ყოველივე ამის შედეგად იზრდება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობა. მეორე მხრივ, ვაჭრობის მუშაკთა შრომის გარკვეული ნაწილი იხარჯება საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციათა შესრულებაზე, საქონლის ღირებულების ერთი ფორმიდან მეორეში გადაქცევაზე. ასეთი სახის შრომის დანახარჯების შედეგად ახალი ღირებულება არ იქმნება და, ამდენად იგი არ წარმოადგენს მწარმოებლურ შრომას. ამასთან, საბჭოთა ვაჭრობაში დახარჯული საზოგადოებრივი შრომის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვნად ჰკარაობს რეალური ფუნქციების შესრულებაზე გაწეული შრომა და, ამდენად საბჭოთა ვაჭრობა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა ერთობლიობას განეკუთვნება.

საბჭოთა ვაჭრობაში შრომის სტატისტიკა სამი განყოფილებისაგან შედგება: 1) ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობისა და შემადგენლობის სტატისტიკა, 2) შრომის ანაზღაურების სტატისტიკა და 3) შრომის ნაყოფიერების სტატისტიკა.

შრომის სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

1. დაადგინოს ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობა, შემადგენლობა და დინამიკა;

2. განსაზღვროს მათი ხელფასის დონე და დინამიკა;

3. შეამოწმოს ვაჭრობის მუშაკების ხელფასის ფონდის ხარჯვის გეგმის შესრულება და გამოავლინოს ხელფასის ფონდის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები;

4. გაზომოს ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დონე და დინამიკა.

ვაჭრობაში შრომის სტატისტიკის წყაროებია: სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშგებანი და, აგრეთვე, სპეციალური სავაჭრო აღწერებისა და გამოკვლევების შედეგად მიღებული მასალები.

## § 2. მუშაკთა რიცხოვნობისა და შავალგანლობის სტატისტიკა

საქონელბრუნვის მოცულობის ზრდა და სავაჭრო მომსახურების ხარისხის შემდგომი ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობაზე, მათ შემადგენლობასა და კვალიფიკაციაზე.

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა რიცხვი წლითიწლობით იზრდება; 41 წლის მანძილზე (1940—1981 წწ.) მათი რიცხვი (საზოგადოებრივი კვების მუშაკთა ჩათვლით) 2202 ათასიდან 7471 ათასამდე, ანუ 3,4-ჯერ გაიზარდა და ამჟამად შეადგენს ქვეყნის მთელი მოსახლეობის 2,7%-ს, მაგრამ საბჭოთა ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერება ის არის, რომ ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობის ზრდას ყოველთვის წინ უსწრებს საქონელბრუნვის მოცულობის ზრდა. მაგალითად, იმავე პერიოდში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლით 18,0 მლრდ მანეთიდან 286,0 მლრდ მანეთამდე, ანუ 15,9-ჯერ გაიზარდა<sup>1</sup>. ამასთან მნიშვნელოვნად განმტკიცდა მოცემული დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მუშაკთა სიობრივ შემადგენლობას ვაჭრობაში ეწოდება სავაჭრო საწარმოს (ორგანიზაციის) ყველა მუშაკის საერთო რიცხოვნობას.

სიობრივ შემადგენლობას მიეკუთვნება საწარმოს ძირითადი სამუშაოების შესასრულებლად ერთ დღეზე მეტი ვადით დაქირავებული ყველა მუდმივი და დროებითი მუშაკი, ვისზედაც გაიცა შრომის წიგნაკი. სიობრივ შემადგენლობაში ირიცხებიან ისინიც, ვინც მოცემულ მომენტში სავაჭრო ორგანიზაციაში არ მუშაობენ, მაგრამ ამ უკანასკნელიდან ხელფასს ღებულობენ. ასეთს მიეკუთვნებიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მივლინებული მუშაკები, მორიგ შევსებულბაში მყოფნი და, აგრეთვე, მუშაკები, რომლებიც ავადმყოფობის გამო ან სახელ-

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР, 1922—1982, Юбилейный статистический ежегодник, 1982 г., стр. 476.

მწიფო შოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სამუშაოზე არ ცხადდება.

სიობრივ შემადგენლობას არ მიეკუთვნება საწარმოს არაძირითად სამუშაოთა შესასრულებლად დროებით დაქირავებული მუშაკები და ისინიც, ვინც მოცემულ სავაჭრო საწარმოში (ორგანიზაციაში) ფაქტიურად მუშაობენ, მაგრამ საწარმოსთან (ორგანიზაციასთან) არ გააჩნიათ სახელშეკრულებო დამოკიდებულება (უმადლესი სასწავლებლის სტუდენტები, ტექნიკუმებისა და სავაჭრო-კულინარული სკოლის მოსწავლეები, რომლებიც მოცემულ საწარმოში მივლინებულ არიან პრაქტიკის გასავლელად).

საწარმოს მუშაკთა სიობრივი შემადგენლობა ახასიათებს შრომის პოტენციურ რესურსებს. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო (მორიგი შევებულება, ავადმყოფობა, გაცდენა) ყველა მუშაკი სამუშაოზე როდი ცხადდება. სამუშაო ძალისა და სამუშაო დროის გამოყენების დახასიათებისათვის სიობრივ შემადგენლობასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ სამუშაოზე გამოცხადებულ მუშაკთა რაოდენობაც. ეს უკანასკნელი უჩვენებს სიაში შეყვანილ მუშაკთა საერთო რიცხვიდან რამდენი გამოცხადდა მოცემულ დღეს. ცნობები სამუშაოზე ფაქტიურად გამოცხადებულ მუშაკთა შესახებ მიიღება გამოცხადების ტაბელური აღრიცხვის საფუძველზე.

მუშაკთა სიობრივი რიცხვი, როგორც წესი, განისაზღვრება დროის გარკვეული მომენტისათვის — ყოველი თვის, კვარტალის, ან წლის დასაწყისისათვის. მაგრამ პერიოდის შიგნით სხვადასხვა მიზეზების გამო მუშაკთა რიცხვი შესაძლებელია განიცდიდეს ცვლილებას. ამიტომ სიობრივ რიცხვთან ერთად სტატისტიკაში გამოიანგარიშება მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი.

იმ შემთხვევაში, როცა მუშაკთა სიობრივი რიცხვის შესახებ ცნობები მოცემულია თვის დასაწყისისა და დასასრულისათვის, მაშინ მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი განისაზღვრება მარტივი საშუალო არითმეტიკულის ფორმულით, ე. ი. ვკრებთ თავის დასაწყისისა და დასასრულის სიობრივ რიცხვებს და მიღებულ ჯამს ვყოფთ ორზე.

საშუალო სიობრივი რიცხვის ამ წესით გაანგარიშების დროს, რასაკვირველია, მხედველობაში არ მიიღება მოცემულ პერიოდში მუშაკთა რიცხვის ცვლილება.

იმ შემთხვევაში, როცა მუშაკთა სიობრივი რიცხვის შესახებ ცნობები მოცემულია პერიოდის ყველა დღის მიხედვით (ამასთან იგულისხმება, რომ მუშაკთა სიობრივი რიცხვი დასვენების ან უქმე დღეებში მათი წინააღმდეგობის რიცხვის ტოლია), მაშინ საშუალო სიობრივი რიცხვი განისაზღვრება პერიოდის ყველა დღის სიობრივი რიცხვების ჯამის შეფარდებით იმავე პერიოდის კალენდარულ დღეების რიცხვთან.

სავაჭრო საწარმო თავის საქმიანობას თუ იწყებს მოცემული თვის არა პირველი რიცხვიდან, არამედ რომელიმე ნებისმიერი თარიღიდან, ამ შემთხვევაშიც საშუალო სიობრივი რიცხვის გაანგარიშების პრინციპი იგივე რჩება, ე. ი. თითოეული დღის მუშაკთა სიობრივი რიცხვების ჯამს ვყოფთ პერიოდის კალენდარული დღეების რაოდენობაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი მოცემულია სამუშაოზე მუშაკთა გამოცხადებისა და არგამოცხადების კაცდღეების რაოდენობა, მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი განისაზღვრება გამოცხადებისა და არგამოცხადების კაცდღეების მთელი რაოდენობის გაყოფით პერიოდის კალენდარული დღეების რიცხვზე.

ვთქვათ, აპრილის თვეში სავაჭრო საწარმოში სამუშაოზე გამოცხადებული კაცდღეების რიცხვი შეადგენდა 2328-ს, ხოლო არგამოცხადებულ კაცდღეების რიცხვი — 467-ს, მაშინ მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი უდრის:

გამოცხადებისა და არგამოცხადების კაცდღეების ჯამი

კალენდარული დღეების რიცხვი

$$\frac{2328 + 467}{30} = \frac{2795}{30} = 93 \text{ კაცი,}$$

დაბოლოს, მუშაკთა სიობრივი რიცხვის შესახებ ცნობები თუ მოცემულია ცალკეული თარიღების მიხედვით და, ამასთან ისინი ერთმანეთისაგან თანაბარი ინტერვალებით არიან დაშორებული, მაშინ საშუალო სიობრივი რიცხვი გაიანგარიშება ქრონოლოგიური საშუალოს ფორმულით.

$$\bar{T} = \frac{\frac{1}{2} T_1 + T_2 + T_3 + \dots + T_{n-1} + \frac{1}{2} T_n}{n-1}.$$

ვთქვათ, მიმდინარე წლის II კვარტალის თითოეული თვის დასაწყისისათვის მუშაკთა სიობრივი რიცხვი სავაჭრო საწარმოში შეადგენდა: 1 აპრილს—670, 1 მაისს—675, 1 ივნისს—672 და 1 ივლისს—680 კაცს.

სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი კვარტალში უდრის:

$$\bar{T} = \frac{\frac{670}{2} + 675 + 672 + \frac{680}{2}}{3} = \frac{2022}{3} = 674 \text{ კაცი.}$$

იგივე შედეგს მივიღებთ, თუკი გაანგარიშებას ვაწარმოებთ საშუალო თვიური სიობრივი რიცხვიდან გამომდინარე.

$$\bar{T} = \frac{670+675}{2} + \frac{675+672}{2} + \frac{672+680}{2} = \frac{2022}{3} = 674 \text{ კაც.}$$

სტატისტიკაში მუშაკთა რაოდენობასთან ერთად შეისწავლება მათი შემადგენლობაც.

მუშაკთა შემადგენლობა, პირველ ყოვლისა, ხასიათდება მათი განაწილებით პროფესიის მიხედვით. სავაჭრო ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებში მუშაკები იყოფა ორ ჯგუფად: სავაჭრო ქსელის მუშაკები და საწყობებისა და ბაზების მუშაკები.

სავაჭრო ქსელის მუშაკები თავის მხრივ ნაწილდება სამ ჯგუფად: მალაზიის მუშაკები, წერილი საცალო ვაჭრობის მუშაკები და სავაჭრო ქსელის დაცვის საკუთარი მუშაკები.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა წლიურ ანგარიშგებაში მუშაკები დაყოფილია ოთხ ჯგუფად: ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალი, სამზარეულოს მუშაკები, სასადილო დარბაზის მუშაკები და ვაჭრობის მუშაკები.

ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალს მიეკუთვნება სასადილოს გამგეები, მათი მოადგილეები, აღრიცხვის მუშაკები, კალკულატორები, აჯენტები, მეკუჭნაეები, საექიმო პერსონალი, სამაცივრო დანადგარების მექანიკოსები და დაცვის მუშაკები.

სამზარეულოს მუშაკთა ჯგუფში შედიან: წარმოების გამგეები, მათი მოადგილეები, მზარეულები (კატეგორიების მიხედვით), მათი მოადგილეები, სამზარეულოს მუშები, მეკონდიტრები, დამლაგებლები.

სასადილო დარბაზის მუშაკთა შემადგენლობაში აღირიცხება მიმტანები, დარბაზის განმკარგულებლები, მოლარეები, ჭურჭლის მრეცხაეები, პურის დამპრელები, დამლაგებლები, ხოლო ვაჭრობის მუშაკთა შემადგენლობაში — მებუფეტეები, ბუფეტის მუშები, წერილი საცალო ვაჭრობის მუშაკები და სხვა.

პროფესიების მიხედვით დაჯგუფების შემდგომ დეტალიზაციას წარმოადგენს სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების დაყოფა კვალიფიკაციის მიხედვით. სტატისტიკურ ანგარიშგებაში მოცემულია მუშაკთა დაჯგუფება ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორცაა სქესი, განათლება, საწარმოო სტაჟის ხანგრძლივობა და სხვ. ვაჭრობის მუშაკთა დაჯგუფებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მუშაკთა განაწილება სქესის მიხედვით გვიხასიათებს ვაჭრობაში ქალთა შრომის გამოყენების დონეს<sup>1</sup>, განათლების მიხედვით დაჯგუ-

<sup>1</sup> 1981 წელს ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში დასაქმებულ მუშაკთა საერთო რაოდენობის 83%-ს შეადგენდა ქალები.



ფება — მუშაკთა მომზადებასა და მათ კვალიფიკაციას, ხოლო საწარ-  
მოო სტაჟის ხანგრძლივობის მიხედვით დაჯგუფება — კადრებით უზ-  
რუნველყოფის დონეს და ა. შ.

საბჭოთა ვაჭრობის კადრებით უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა  
აქვს ამ დარგის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.  
კადრების დენადობა ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს სავაჭრო სა-  
წარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის  
შედეგებზე.

კადრების დენადობის ინტენსივობის დახასიათებისათვის სტატისტი-  
კაში გამოიყენება ორი მაჩვენებელი: დენადობის აბსოლუტური სიდიდე  
და დენადობის კოეფიციენტი. პირველი ახასიათებს სავაჭრო ორგანი-  
ზაციის მუშაკთა რიცხვს, რომლებიც დათხოვნილ იქნენ სამუშაოდან  
ისეთი მიზეზებით, როგორცაა ვაჭრობის წესებისა და შრომის დისციპ-  
ლინის დარღვევა და სხვა.

დენადობის კოეფიციენტი განისაზღვრება ვაჭრობის წესებისა და  
შრომის დისციპლინის დარღვევის, აგრეთვე პირადი სურვილით განთა-  
ვისუფლებულთა შეფარდებით მოცემული პერიოდის მუშაკთა საშუალო  
სიობრივ რიცხვთან.

ვთქვათ, კვარტალის განმავლობაში სავაჭრო ორგანიზაციიდან გან-  
თავისუფლდა 30 მუშაკი, ამთგან 8 მუშაკი — უმაღლეს სასწავლებელში  
სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით, 6 მუშაკი — საბჭოთა არმიის  
რიგებში გაწვევის გამო, 10 მუშაკი — შრომის დისციპლინის სისტემა-  
ტური დარღვევისათვის, ხოლო 6 მუშაკი — თავისი პირადი სურვილით.

მოცემულ პერიოდში მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი შეად-  
გენდა 600-ს.

დენადობის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის, პირველ ყოვლისა,  
უნდა დავადგინოთ სავაჭრო ორგანიზაციიდან არაობიექტური მიზეზე-  
ბის საფუძველზე განთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვი<sup>1</sup>, ე. ი. დენადო-  
ბის აბსოლუტური სიდიდე. მას მიეკუთვნება შრომის დისციპლინისა  
და ვაჭრობის წესების დარღვევისათვის განთავისუფლებულნი (10) და  
ისინი, ვინც თავისივე სურვილით დატოვა სამუშაო (6).

$$10 + 6 = 16$$

დენადობის კოეფიციენტი უდრის:

$$K = \frac{16 \times 100}{600} = 2,6\% .$$

<sup>1</sup> აქ იგულისხმება განთავისუფლება, რომელიც არ არის გამოწვეული საწარ-  
მოო ან საერთო-სახელმწიფოებრივი მიზეზებით.

სოციალისტური სისტემის პირობებში ხელფასი წარმოადგენს ფულად ფორმაში გამოხატულ აუცილებელი პროდუქტის ძირითად ნაწილს, რომელიც ეძლევა თითოეულ მუშაკს დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

საბჭოთა ვაჭრობაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ხელფასის სისტემა აგებულია შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ხელფასი საბჭოთა ვაჭრობაში შეისწავლება ორი მიმართულებით: 1. ხელფასი, როგორც ვაჭრობის მუშაკთა კეთილდღეობის დონის დახასიათების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი, 2. ხელფასი, როგორც მიმოქცევის ხარჯების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი.

ისევე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, საბჭოთა ვაჭრობაში მუშაკთა ხელფასის დონე განუხრელად იზრდება. მაგალითად, მიმოქცევის სფეროს დარგების (ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება) ერთი მუშაკის საშუალო თვიური ფულადი ხელფასი შეადგენდა: 1940 წელს 25 მან. 1965—75,2 მან. 1970—95,1 მან. 1975—108,7 მან. და 1981 წელს 140,7 მან. ამჟამად, საბჭოთა ვაჭრობაში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მოდის მთელი მიმოქცევის ხარჯების 45,2%, ხოლო საზღვრებში — 61,2%.

სოციალიზმის დროს ხელფასი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ინსტრუმენტია. შრომის ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია სათანადო დაინტერესებას უქმნის მატერიალური წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში დასაქმებულ მუშაკებს და, მაშასადამე, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

სახალხო მეურნეობაში საერთოდ გამოყენებულია შრომის ანაზღაურების ორი ფორმა: დროითი და სანარდო.

დროითი ხელფასი ანაზღაურების ისეთი ფორმაა, როდესაც მუშაკზე ხელფასის გაცემას საფუძვლად უდევს ნამუშევარი დროის რაოდენობა. ხელფასის სიდიდე ამ შემთხვევაში დამოკიდებულია ნამუშევარი დროის ხანგრძლივობასა და მუშაკის კვალიფიკაციის დონეზე.

ანაზღაურების სანარდო ფორმის გამოყენებისას მუშაკს ხელფასი ეძლევა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით, ხელფასის სიდიდე ამ შემთხვევაში დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და ერთეულის შეფასებაზე, აგრეთვე მუშაკის კვალიფიკაციის დონეზე. ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ვაჭრობაშიც გამოყენებულია შრომის ანაზღაურების ორი ფორმა —

დროითი და სანარდო. დროითი ანაზღაურების ფორმის ორი სახეობა (სისტემა) არსებობს. მარტივი დროითი და დროით-პრემიული. მარტივი დროითი ანაზღაურების დროს მუშაეებს ხელფასი ეძლევათ ნამუშევარი დროის მიხედვით მტკიცე განაკვეთებით. ამ სისტემაზე გადაყვანილია აღრიცხვისა და სტატისტიკის მუშაეები (გარდა უფროსი ბუღალტრებისა და მათი მოადგილეებისა), წუნმდებლები, სამაცივრო დანადგართა მექანიკოსები, დამლაგებლები, საწყობის მუშაეები, საბითუმო საწარმოებისა და ორგანიზაციის მუშაეები.

ანაზღაურების დროით-პრემიულის პირობებში მუშაკს ხელფასი ეძლევა დადგენილი განაკვეთებისა და ნამუშევარი დროის შესაბამისად. ამასთან, საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის მომსახურების მაღალი ხარისხის პირობებში გამყიდველები და მოლარეები ლებულობენ ერთდროულ პრემიას.

თანრიგგარეშე მაღაზიებში, აგრეთვე ბოსტნეულით, კარტოფილითა და წიგნებით მოვაჭრე მაღაზიებში გამყიდველთა თვიური განაკვეთი შესაბამისად 25, 20 და 10%-ით მაღალია სხვა მაღაზიებში დადგენილ განაკვეთებზე.

ღირეჭტორებისათვის, მაღაზიის გამგეებისა და მათი მოადგილეებისათვის, აგრეთვე სექციის გამგეებისა და ბუღალტრებისათვის შემოღებულია თანამდებობრივი განაკვეთები, რომელთა სიდიდე დამოკიდებულია მაღაზიის (სექციის) საქონელბრუნვის მოცულობაზე. საქონელმცოდნეების თანამდებობრივი განაკვეთი დამოკიდებულია განათლების დონესა და მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობაზე.

ვაჭრობაში სანარდო ანაზღაურების ორი სახეობაა (სისტემა) გამოყენებული: პირდაპირი სანარდო და სანარდო-პრემიული.

საერთოდ სანარდო ანაზღაურება სტიმულს უქმნის მუშაკს გაზარდოს საქონელბრუნვა, რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო, აამაღლოს შრომის ორგანიზაციის დონე და შესაბამისად ანაზღაურებაც მეტი მიიღოს.

პირდაპირი სანარდო ანაზღაურება შემოღებულია იმ მაღაზიებში, სადაც თვიური ბრუნვა 3 ათასიდან 10 ათას მანეთამდე აღწევს. ამ შემთხვევაში გამყიდველს ხელფასი ეძლევა ბრუნვის ყოველ 100 მანეთზე დადგენილი შეფასებით. კონკრეტულ შეფასებებს ადგენენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ვაჭრობის სამინისტროები მუშაობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სანარდო-პრემიული ანაზღაურების დროს მუშაკი გარდა საქონელბრუნვის შეფასებიდან მიღებული ხელფასისა, ლებულობს, აგრეთვე საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებისათვის დადგენილ პრემიას.

სანარდო-პრემიული ანაზღაურება თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად. ინდივიდუალური სანარდო და ბრიგადული (ჯგუფური) სანარდო. ბრიგადის შრომის ანაზღაურება ხორციელდება შეფასებების მიხედვით, რომელიც დგინდება ბრუნვის ყოველ ას ან ათას მანეთზე. მთელი ბრიგადის თვიური ხელფასი გაიანგარიშება ფაქტიური საქონელბრუნვის შეფასების სიდიდეზე გადამრეგულირების გზით.

შრომის ანაზღაურების როგორც სანარდო, ისე დროით ფორმას საფუძვლად უდევს სატარიფო სისტემა. სატარიფო სისტემის შემადგენელი ელემენტებია: სატარიფო ბადე, სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი და სატარიფო განაკვეთი. სატარიფო ბადის საფუძველზე განისაზღვრება სხვადასხვა სახის სამუშაოთა ანაზღაურების თანაფარდობა.

კვალიფიკაციის შესაბამისად ვაჭრობის მუშაკებს ყოფენ თანრიგების მიხედვით. თითოეულ თანრიგს მისი შესაბამისი სატარიფო კოეფიციენტი აქვს. სატარიფო კოეფიციენტი ეწოდება მოცემული თანრიგის მუშაკის ხელფასის განაკვეთის შეფარდებას პირველი თანრიგის მუშაკის განაკვეთთან. ამა თუ იმ სატარიფო თანრიგზე მუშის მიკუთვნება წარმოებს სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის საფუძველზე, რომელშიც მოცემულია თითოეული სახის სამუშაოს დეტალური დახასიათება. თუ მუშაკს კვალიფიკაცია არ გააჩნია, მიკუთვნებული აქვს პირველი თანრიგი.

ვაჭრობაში სატარიფო თანრიგი დადგენილია ნამუშევარ კაცდღეზე (მრეწველობაში კი ნამუშევარ კაცსაათზე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ანაზღაურებაში სატარიფო სისტემა გამოყენებულია ვაჭრობის არა ყველა მუშაკისათვის, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკთათვის, კერძოდ, მზარეულებისათვის. ხელფასის ყველაზე დაბალ განაკვეთზე I თანრიგის მზარეული იმყოფება. III თანრიგის მზარეულის დღიური ხელფასის განაკვეთი ორჯერ მეტია I თანრიგის მზარეულის სატარიფო განაკვეთზე.

საცალო ვაჭრობის მუშაკთათვის სატარიფო ბადე არ არსებობს. მათთვის ხელფასის განაკვეთები განისაზღვრება სათანამდებო კვალიფიკაციის მიხედვით. მაგალითად, კვალიფიკაციის მიხედვით გამყიდველები დაყოფილი არიან სამ კატეგორიად: უმცროსი გამყიდველი, გამყიდველი და უფროსი გამყიდველი. გამყიდველთა კვალიფიკაციის დონის განსაზღვრისას მხედველობაშია მიღებული არა მარტო მათ მიერ შესრულებული სამუშაოთა ხასიათი, არამედ მუშაობის სტაჟი და სპეციალური მომზადების დონე. გამყიდველს, რომელსაც სპეციალური მომზადება არ გაუვლია, მაგრამ მოცემულ დარგში 7 წელზე მეტ ხანს მუშაობს. უფროსი გამყიდველის კატეგორიას მიეკუთვნება.

უფროსი გამყიდველის კატეგორიას მიეკუთვნება, აგრეთვე, ვაჭრო-

ბის მუშაკი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური სწავლების სკოლა და ამ დარგში სულ ცოტა 4 წელზე მეტ ხანს მუშაობს.

ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანას შეადგენს შეისწავლოს ვაჭრობაში შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები, დაადგინოს მათი გავრცელების მასშტაბები, განსაზღვროს ხელფასის დონე, დინამიკა და გამოავლინოს მათზე მოქმედი ფაქტორები.

ხელფასის ფონდი წარმოადგენს ფულადი სახსრების თანხას, რომელიც ფაქტიურად დაერიცხა ან გეგმითაა გათვალისწინებული საწარმოს მომუშავე კოლექტივზე დასარიცხავად მათ მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად დროის განსაზღვრულ პერიოდში.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, და მათ შორის საბჭოთა ვაჭრობაში ხელფასის ფონდი განუხრელად იზრდება, რაც განპირობებულია როგორც ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობის ზრდით, ასევე მათი საშუალო ხელფასის გადიდებით.

ხელფასის ფონდის საერთო მოცულობის დადგენისას მხედველობაში მიღებული ორი გარემოება:

1. ხელფასის ფონდი მოიცავს ვაჭრობის მუშაკთა კოლექტივზე დარიცხულ, და არა ხელზე გაცემულ თანხას. მასთანამე, ხელფასის ფონდში შეიტანება, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი, აღმასრულებელი ფურცლითა და სხვა სახის დაკავებანი;

2. ხელფასის ფონდი მოიცავს ყველა სახის ანაზღაურებას და მათ შორის ისეთსაც, რომელთა გაცემა ფულად ფორმაში არ ხდება მაგალითად, საცხოვრებელი ბინების უფასოდ ან შეღავათიანი ფასებით სარგებლობა, კომუნალური მომსახურება და სხვა.

ხელფასის საერთო ფონდის შემადგენლობაში შეიტანება: 1. დროითი ხელფასი, 2. სანარდო ხელფასი, 3. გამომუშავეების ნორმებისა და საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პროგრესული დანამატი, 4. დროითი ანაზღაურების მუშაკთა პრემია, 5. ზეგანაკვეთურ დროში და უქმე დღეებში ნამუშევარი საათების ანაზღაურება, 6. მოსწავლეთა და სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის დანამატი, 7. მორიგი შეებულების ანაზღაურება, 8. გამოუყენებელი შეებულების კომპენსაცია და სხვა. ხელფასის ფონდში არ შეიტანება მატერიალური წახალისებისა და სპეციალური ფონდებიდან ერთდროული პრემიის გასაცემად გადარიცხული ფულადი სახსრები.

ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანათა წრეში შეიტანება ხელფასის ფონდის ხარჯვის ორგანიზაციაზე შესაბამისი კონტროლის განხორციელება, ვაჭრობის მუშაკებზე გეგმით გათვალისწინებული და ფაქტიურად დარიცხული ხელფასის ფონდის მაჩვენებელთა შედარება და მის

საფუძველზე ხელფასის ფონდის აბსოლუტური და შეფარდებითი ეკონომიის ან გადახარჯვის დადგენა.

ხელფასის ფონდის ხარჯვის სწორ ორგანიზაციას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ხელფასის ფონდის გადახარჯვა უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე. ხელფასის ფონდის გადახარჯვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში იწვევს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას და, მაშასადამე, მოგების აბსოლუტური თანხის შემცირებას, რენტაბელობის დონის დაცემას. ვაჭრობაში ხელფასის ფონდის გადახარჯვის შედეგად იზრდება მიმოქცევის ხარჯების თანხა, რაც თავის მხრივ იწვევს სავაჭრო მოგების აბსოლუტური თანხისა და რენტაბელობის დონის შემცირებას.

ხელფასის ფონდის ხარჯვის სავეგმო დაეალებათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები, ზემდგომი საუწყებო ორგანიზაციები და, აგრეთვე, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები.

იმის გამო, რომ ხელფასზე გასაცემ თანხას საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები სახელმწიფო ბანკიდან ლეზულობენ, სადაც ინახება მთელი მათი ფულადი სახსრები, ამიტომ ამ სახსრების სწორად გამოყენებაზე კონტროლს სახელმწიფო ბანკის ორგანოები ახორციელებენ.

ხელფასის ფონდის ხარჯვის გეგმის შესრულების ანალიზისათვის გამოიყენება «ვაჭრობაში შრომის გეგმის შესრულების შესახებ» კვარტალური ანგარიშგების ფორმა № 5-ტ. ანგარიშგებაში მოცემულია ვაჭრობის მუშაკთა ფაქტიური საშუალო სიობრივი რიცხვი, ხელფასის ფონდი პროცენტობით ბრუნვასთან და საცალო საქონელბრუნვა გეგმით და ფაქტიურად.

პირობით მაგალითზე ვაჩვენოთ ხელფასის ფონდის გადახარჯვის ან ეკონომიის გაანგარიშების წესი.

ც ხ რ ი ლ ი 11.1

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	გასული წლის		ინდექსები (პროც.)
		I კვარტალი	II კვარტალი	
საცალო საქონელბრუნვა მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი	ათას მან.	9114,0	9893,6	108,5
ერთი მუშაკის საშუალო ღირებულება	კაც.	600	620	103,4
ხელფასის ფონდი	მან.	15190	15957	105,0
ხელფასის ფონდი პროცენტებში ბრუნვასთან	ათას მან.	216,0	232,5	107,6
ვაჭრობის ერთი მუშაკის საშუალო კვარტალური ხელფასი	%	2,37	2,35	99,1
	მან.	360	375	104,2

ცხრილიდან ჩანს, რომ ვაქრობის მუშაკთა ხელფასის ფონდი იზრდება (107,6%) შედარებით ნელა, ვიდრე საქონელბრუნვა (108,5%), მაგრამ უფრო სწრაფად, ვიდრე ვაქრობის მუშაკთა რიცხვი (103,4%).

დინამიკაში მაჩვენებელთა შორის ასეთი თანაფარდობა ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი იმაზე მიუთითებს, რომ საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად იზრდება ვაქრობის მუშაკთა დატვირთვა (105,0%) და მათი ხელფასის დონე (102%):

აღნიშნული მაჩვენებლების ინდექსებს შორის ასეთი თანაფარდობა არსებობს:

$$\frac{\text{ხელფასის ფონდის ინდექსი პროცენტ. ზრუნვასთან}}{\text{ხელფასის ფონდის ინდექსი}} = \frac{\text{ხელფასის ფონდის ინდექსი საქონელბრუნვის ინდექსი}}{\text{ხელფასის ფონდის ინდექსი}}$$

$$0,991 = \frac{1,076}{1,085} = 0,991$$

ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ მიმდინარე წლის I კვარტალში ხელფასის ფონდი 16500 მან. აღემატება (232,5—216,0) გასული წლის შესაბამისი პერიოდის ვაქრობის მუშაკთა ხელფასის ფონდს. რამ გამოიწვია ხელფასის ფონდის ზრდა? ხელფასის ფონდის ზრდაზე გავლენა იქონია ვაქრობის მუშაკთა რაოდენობის ზრდამ. თუ გასული წლის I კვარტალში მუშაკთა რიცხვი შეადგენდა 600 კაცს. მიმდინარე წლის I კვარტალში მათმა რიცხვმა მიაღწია 620-ს, ამასთან ერთად მოცემულ პერიოდში გაიზარდა მუშაკთა საშუალო ხელფასი 15 მანეთის ოდენობით.

ხელფასის ფონდის აბსოლუტური მატება 16500 მანეთის ოდენობით დაეშალათ მასზე მოქმედ ფაქტორებად:

$$\Delta_{\Phi} = (T_1 - T_0) \bar{Z}_1 + (\bar{Z}_1 - \bar{Z}_0) T_1,$$

სადაც  $\Delta_{\Phi}$  არის ხელფასის ფონდის აბსოლუტური მატება,

$T_1$  და  $T_0$  — მუშაკთა საშუალო სიძობრივი რიცხვი მიმდინარე და გასული წლების შესაბამის პერიოდში,  $\bar{Z}_1$  და  $\bar{Z}_0$  — ერთი მუშაკის საშუალო კვარტალური ხელფასი, საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

ფორმულაში შევიტანოთ შესაბამისი მონაცემები:

$$\Delta_{\Phi} = (620 - 600) \times 375 + (375 - 360) \times 620.$$

$$\Delta_{\Phi} = 7500 + 9300 = 16800 \text{ მან.}$$

მაშასადამე, ხელფასის ფონდის მთელი მატების 7500 მანეთი მოდის ვაქრობის მუშაკების რიცხვის ზრდაზე, ხოლო 9300 მან. — მათი საშუალო ხელფასის დონის ამაღლებაზე მიმდინარე პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით, ე. ი. სავაჭრო ორგანიზაციამ მიმდინარე წლის

I კვარტალში 16800 მანეთით მეტი ხელფასი გასცა, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. მაშასადამე, სახეზეა ხელფასის ფონდის აბსოლუტური გადახარჯვა. ამასთან ერთად ვაჭრობის სტატისტიკაში გაანგარიშება ხელფასის ფონდის შეფარდებითი ეკონომიის მაჩვენებელი.

მონაცემებიდან ჩანს, რომ გასული წლის I კვარტალში ხელფასის ფონდი ბრუნვასთან შეადგენდა 2,37%-ს. მიმდინარე წლის I კვარტალში ხელფასის წილი საქონელბრუნვაში გასული წლის დონეზე რომ დარჩენილიყო, მაშინ ხელფასის ფონდის მოცულობა იქნებოდა არა 232,5 ათასი მან., არამედ 244,8 ათასი მან.  $[(9893,6 \times 2,37) : 100]$ , ე. ი. სინამდვილეში სახეზეა ხელფასის ფონდის შეფარდებითი ეკონომია 12,3 ათასი მანეთის ოდენობით (244,8 — 232,5).

ხელფასის ფონდის, საშუალო ხელფასისა და ვაჭრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის ინდექსებს შორის თანაფარდობა ზოგადი ფორმულით ასე გამოისახება:

$$\frac{\text{ხელფასის ფონდის ინდექსი}}{(\% \text{-ში ბრუნვასთან})} = \frac{\text{საშუალო ხელფასის ინდექსი}}{\text{საშუალო დატვირთვის ინდექსი}}$$

ფორმულაში შევიტანოთ შესაბამისი მონაცემები

$$\frac{2,35}{2,37} = \frac{375}{360} : \frac{15957}{15190};$$

$$0,991 = 1,042 : 1,050.$$

სავაჭრო ორგანიზაციის საცალო ბრუნვა მიმდინარე პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით 8,5%-ით, ანუ 779,6 ათასი მანეთით გაიზარდა. საქონელბრუნვის ზრდაზე გავლენა იქონია ვაჭრობის მუშაკთა რიცხვის ზრდამ და მათი საშუალო დატვირთვის გადიდება.

საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება დავშალოთ მასზედ მოქმედი ფაქტორების მიხედვით.

გამოვიყენოთ ფორმულა:

$$\frac{\sum w_1 T_1}{\sum w_0 T_1} \times \frac{\sum w_0 T_1}{\sum w_0 T_0} = \frac{\sum w_1 T_1}{\sum w_0 T_0},$$

სადაც  $w_1$  და  $w_0$  არის ვაჭრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვა საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

$T_1$  და  $T_0$  — ვაჭრობის მუშაკთა რიცხვი შესაბამის პერიოდებში.

ფორმულაში შევიტანოთ შესაბამისი მონაცემები:

$$\frac{9893,6}{9114,0} = \frac{15957 \times 620}{15190 \times 620} \times \frac{15190 \times 620}{15190 \times 600};$$



$$\frac{9893,6}{9114,0} = \frac{9893,6}{9417,9} \times \frac{9417,9}{9114,0};$$

$$1,085 = 1,05 \times 1,033.$$

მაშასადამე, საქონელბრუნვის ზრდა 8,5%-ით უზრუნველყოფილ იქნა: 5,0%-ით საშუალო დატვირთვის ამალღებით, ხოლო 3,3%-ით — მუშაკთა რიცხვის გადიღებით.

აბსოლუტური გამოსახულებაში იგი შეადგენს:

$$\sum w_1 T_1 - \sum w_0 T_0 = (\sum w_1 T_1 - \sum w_0 T_1) + (\sum w_0 T_1 - \sum w_0 T_0)$$

$$9893,6 - 9114,0 = (9893,6 - 9417,9) + (9417,9 - 9114,0).$$

$$779,6 = 475,7 + 303,9.$$

ე. ი. საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება 779,6 ათასი მანეთის რაოდენობით უზრუნველყოფილ იქნა: 475,7 ათასი მანეთით ვაჭრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის გადიღების ხარჯზე, და 303,9 ათასი მან. მუშაკთა რიცხვის ზრდის ხარჯზე.

ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის ფონდი საანგარიშო პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 7,6%-ით, რაც განპირობებულია მუშაკთა რიცხვის ზრდით და მათი საშუალო ხელფასის გადიღებით.

ხელფასის ფონდის  $I =$  საშ. ხელფასის  $I \times$  მუშაკთა რიცხვის  $I$ .

$$1,076 = 1,042 \times 1,033.$$

საშუალო ხელფასის  $I =$  ხელფასის ფონდის  $I$ : მუშაკთა რიცხვის  $I$

$$1,042 = 1,076 : 1,034.$$

დაბოლოს, ხელფასის ფონდის ინდექსი %-ში საქონელბრუნვასთან უღრის საშუალო ხელფასის ინდექსის შეფარდებას ვაჭრობის ერთი მუშაკის დატვირთვის ინდექსთან.

$$0,991 = 1,042 : 1,05.$$

ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობის, შემადგენლობისა და მათი ხელფასის ფონდის შესახებ ცნობების მიღების ძირითად წყაროს შეადგენს კვარტალური და წლიური ანგარიშგების ფორმა № 5-ტ, რომელსაც უღგენს ყველა სავაჭრო საწარმო, ორგანიზაცია, ტრესტი, კანტორა და მუშათა მომარაგების განყოფილება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, ადგილობრივ ორგანოებს და თავიანთ ზემდგომ ორგანიზაციებს.

ანგარიშგება შედგება სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოცემულია საანგარიშო კვარტალისათვის მუშაკთა საშუალო

სიობრივი რიცხვი გეგმით და ფაქტიურად. მეორე განყოფილებაში ასახულია მათთვის დარიცხული ხელფასის ფონდი გეგმით და ფაქტიურად, მესამე განყოფილებაში მატერიალური წახალისების ფონდიდან წარმოებული გადარიცხვები, ასევე გეგმითა და ფაქტიურად.

აღნიშნული მაჩვენებლები ანგარიშგებაში მოცემულია მეურნეობის სახეობათა მიხედვით. ანგარიშგება ფორმა № 5-ტ-ს ქვემდებარეში მაჩვენებლები მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვისა და ხელფასის ფონდის შესახებ მოყვანილია შემდეგი თანმიმდევრობით: 1) საცალო ვაჭრობა და სასაწყობო ქსელი, 2) მათ შორის დახლის მუშაკები, 3) აქედან გამყიდველები და მოლარეები, მოლარე-კონტროლიორები, 4) საზოგადოებრივი კვების საწარმოები სასაწყობო ქსელის ჩათვლით, 5) მათ შორის გამყიდველები, მოლარეები, მოლარე-კონტროლიორები, მიმტანები, 6) სამზარეულოს მუშაკები, 7) საქონლის სახლში მიტანა, 8) სამრეწველო საწარმოები, 9) ტრანსპორტი (საავტომობილო, საჯაპანო, სამდინარეო), 10) სოფლის მეურნეობა, 11) რესპუბლიკური კანტორების საბითუმო საწყობები და ბაზები, 12) სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების განყოფილებები, ტრესტები, კანტორები, განყოფილებები, ვაჭრობის სამმართველოები და მეურნეობათა სხვა დარგები.

კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებაში მოყვანილია. აგრეთვე, ცნობები საცალო საქონელბრუნვისა და ხელფასის ფონდის შესახებ პროცენტებში ბრუნვასთან გეგმითა და ფაქტიურად, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გავიანგარიშოთ და გავაანალიზოთ ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები.

კვარტალურ ანგარიშგებაში მოყვანილია ცნობები მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის შესახებ, ხოლო წლიურ ანგარიშგებაში ამ მონაცემებს ემატება კიდევ ორი მაჩვენებელი: მომდევნო წლის 1 იანვრისათვის მუშაკთა სიობრივი რიცხვი მთლიანად და მათ შორის ქალები.

ანგარიშგების ფორმა № 5-ტ მონაცემთა საფუძველზე დგება მოკავშირე რესპუბლიკების (ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების) მიხედვით შრომის გეგმის შესრულების ნაერთი ცხრილი, რომელიც 4 განყოფილებისაგან შედგება.

ცხრილის პირველ განყოფილებაში მოცემულია ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი და მათი ხელფასის ფონდი, მეორე განყოფილებაში — არასავაჭრო საქმიანობათა დარგების მუშაკთა რიცხვი და მათი ხელფასის ფონდი, მესამეში — მომდევნო წლის 1 იანვრისათვის მუშაკთა სიობრივი რიცხვი. ხოლო მეოთხე განყოფილებაში — ყველა ძირითადი სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდიდან წარმოებული გადარიცხვები.

ცხრილის პირველი განყოფილების ქვემდებარეში ჩამოთვლილია

შემდეგი მაჩვენებლები: 1) საცალო საქონელბრუნვა გეგმით და ფაქტიურად, 2) მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი, 3) მათ შორის დახლის (სამზარეულოს) მუშაკები, 4) აქედან გამყიდველები, მებუფეტეები, მიმტანები, 5) ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვა (რომელიც მიიღება ფაქტიური ბრუნვის გაყოფით მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვზე, 6) მათ შორის დახლის (სამზარეულოს) მუშაკის, 7) მუშაკთა ხელფასის ფონდი გეგმითა და ფაქტიურად, 8) მათ შორის დახლის (სამზარეულოს) მუშაკების, 9) აქედან — გამყიდველების, მოლარეების, მებუფეტეების, მიმტანების, 10) ხელფასის ფონდი % -ში ბრუნვასთან გეგმით და ფაქტიურად, 11) ერთი მუშაკის საშუალო წლიური ხელფასი (იგი მიიღება ხელფასის ფაქტიური ფონდის გაყოფით მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვზე), 12) მათ შორის დახლის (სამზარეულოს) მუშაკების, 13) აქედან გამყიდველების, მოლარეების, მებუფეტეების, მიმტანების. შემდეგ მოცემულია იგივე მაჩვენებლები მატერიალური წახალისების ფონდიდან წარმოებულ გადარიცხვების ჩათვლით.

ცხრილის შემასმენელში სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელბრუნვა მოცემულია სავაჭრო სისტემებისა და მეურნეობის სახეობათა მიხედვით. მაგალითად, ვაჭრობის სამინისტროს, მუშათა მომარაგების განყოფილებების, სამომხმარებლო კოოპერაციის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტის საცალო ბრუნვა, ვაჭრობის სამინისტროს, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ბრუნვა.

#### § 4. შრომის ნაყოფიერება საბოლოო ვაზრობაში

შრომის ნაყოფიერება არის ცოცხალი შრომის დანახარჯების ეფექტურობა. სსრ კავშირში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების (ე. ი. განიჭებული და ცოცხალი შრომის დანახარჯების ეკონომია) განუხრავლი ზრდა — სოციალიზმის განვითარების ობიექტური ეკონომიკური კანონია.

ე. ი. ლენინი შრომის ნაყოფიერების ზრდას უდიდეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ამბობდა, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ,

გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას<sup>1</sup>. შრომის ნაყოფიერების ამალლების უდიდეს მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ XI ხუთწლედში სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის მთელი მატების სულ ცოტა 85—90 პროცენტი უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამალლების გზით<sup>2</sup>.

შრომის ნაყოფიერების გადიდება სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი აღმავლობის, მშრომელთა მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესების, ტექნიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან წმვიდობიან ეკონომიკურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის გამარჯვებათა უზრუნველყოფისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების აუცილებელი პირობაა.

ესმება კითხვა, რა იგულისხმება შრომის ნაყოფიერების გადიდებად? აქ კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი კ. მარქსი. იგი წერს: „შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებად ჩვენ აქ ვგულისხმობთ შრომის პროცესში მომხდარ საერთოდ ყოველგვარ ცვლილებას, რომლის გამო ამა თუ იმ საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო მცირდება, მაშასადამე, შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა, ძალას იძენს სახმარი ღირებულების უფრო მეტი რაოდენობის საწარმოებლად“<sup>3</sup>.

სსრ კავშირში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება განუხრელად იზრდება. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში. სწორედ შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობის შედეგად სსრ კავშირი ახლა წინ უსწრებს აშშ-ის და პირველი ადგილი უკავია ისეთი სახეობის სამრეწველო პროდუქციის მოცულობით, როგორცაა ნავთობის, რკინისა და მარგანეცის მადნის მოპოება, თუჩისა და ფოლადის გამოდნობა, ცემენტის, მინერალური სასუქების, მაგისტრალური თბომავლებისა და ელმავლების, ტრაქტორების, ხე-ტყე მასალის, ბამბისა და შალის ქსოვილების წარმოება. ამჟამად, ჩვენი ქვეყანა აწარმოებს იმაზე მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე აწარმოებდა მთელი მსოფლიო 1950 წელს.

შრომის ნაყოფიერების დონე გამოისახება ორი მაჩვენებლით: დროის ერთეულში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობით და გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე დახარჯული სამუშაო დროით.

პირველი მაჩვენებელი შრომის ნაყოფიერების პირდაპირი მაჩვენებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების დონე პირდაპირპროპორციულია დროის ერთეულში გამოშვებული პროდუქციისა, ხოლო მეორე მაჩვენებელი — არაპირდაპირი მაჩვენებელია, რადგან

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, დიდი თაოსნობა, თბ., ტ. 29, გვ. 299.

<sup>2</sup> სკვპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 212.

<sup>3</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 399.

შრომის ნაყოფიერების დონე უკუპროპორციულია პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობისა. პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე რამდენადაც ნაკლები დრო იხარჯება, იმდენად ყველა თანაბარ პირობებში, მაღალია შრომის ნაყოფიერების დონე. პირველ მაჩვენებელს უწოდებენ შრომის ნაყოფიერებას, ხოლო მეორეს — შრომატევადობას.

შრომის ნაყოფიერება და შრომატევადობა ერთმანეთთან შედრუნებულ თანაფარდობაში იმყოფებიან. მათი ნამრავლი უდრის ერთს.

შრომის ნაყოფიერებას თუ აღვნიშნავთ  $w$ -თი, შრომატევადობას  $t$ -თი, გამოშვებული პროდუქციის მოცულობას  $q$ -თი, ხოლო პროდუქციის წარმოებაზე დახარჯულ შრომის მთელ რაოდენობას  $T$ -თი, მაშინ შრომის ნაყოფიერების დონე შეიძლება გამოისახოს ფორმულით:

$$w = \frac{q}{T}$$

ხოლო შრომატევადობა —  $t = \frac{T}{q}$

$$wt = \frac{q}{T} \times \frac{T}{q} = 1, \quad w = \frac{1}{t}, \quad t = \frac{1}{w}$$

ვთქვათ, სამუშაო ცვლის განმავლობაში (8 საათი) მუშამ დაამზადა 12 ერთეული პროდუქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტის ერთეულის წარმოებაზე იგი საშუალოდ ხარჯავს სამუშაო ცვლის 1/12 ნაწილს. დავუშვათ, რომ მიმდინარე პერიოდში მუშის შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 25%-ით. მაშასადამე, ნაცვლად 12-სა, იგი ახლა სამუშაო ცვლაში 15 ერთეულს ამზადებს  $\left(\frac{12 \times 125}{100}\right)$ . ამის შესაბამისად შეიცვლება პროდუქტის ერთეულის შრომატევადობაც.

$$t = \frac{1}{w} = \frac{1}{1,25} = 0,8 \text{ ანუ } 80\%. \text{ მაშასადამე, პროდუქტის ერთეულის}$$

დამზადების შრომატევადობა 20%-ით შემცირდა.

შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას ადგილი აქვს არა მარტო მრეწველობაში, არამედ მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებში და მათ შორის საბჭოთა ვაჭრობაშიც. სავაჭრო საწარმოს საქმიანობის ისეთ მაჩვენებლებთან, როგორცაა საქონელბრუნვის სისწრაფე, მიმოქცევის ხარჯები, მოგება, რენტაბელობის დონე და სხვა, შრომის ნაყოფიერება სავაჭრო ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელია.

საბჭოთა ვაჭრობაში შრომის ნაყოფიერება განუხრელად იზრდება, მაგალითად, 41 წლის მანძილზე (1940—1981 წწ.) ვაჭრობის ერთ მუ-

შაკზე გაანგარიშებებით საქონელბრუნვა შესადარი ფასებით გაიზარდა: საცალო ვაჭრობაში 3,38-ჯერ, ხოლო საზოგადოებრივ კვებაში — 1,88-ჯერ<sup>1</sup>.

საბჭოთა ვაჭრობაში შრომის ნაყოფიერების ზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს. შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგად შეფარდებით მცირდება შრომითი და მატერიალური დანახარჯები, რაც უშუალო გავლენას ახდენს სოციალისტური დაგროვების ზრდაზე, ჩქარდება წარმოებიდან მომხმარებელამდე საქონლის დაყვანის პროცესი, რაც იწვევს მთელი საზოგადოებრივი კვლავწარმოების ტემპების ამაღლებას, უმჯობესდება მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი, იზრდება ვაჭრობის მუშაკთა ხელფასი, რაც ხელს უწყობს მათ მატერიალურ-კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

საბჭოთა ვაჭრობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ამათგან ერთ-ერთი მთავარია — სავაჭრო საწარმოთა სიდიდე და მათი სპეციალიზაცია. რამდენადაც დიდია სავაჭრო საწარმო, იმდენად, ყველა თანაბარ პირობებში, მეტიც ვაჭრობის ერთი მუშაკის გამომუშავება (დატვირთვა).

დიდ მაღაზიებში, როგორც წესი, საქონლის ასორტიმენტიც გაცილებით ფართოა. ეს იწვევს მყიდველთა დიდი რაოდენობით მოზიდვას, რაც საშუალებას იძლევა უფრო რაციონალურად და მწარმოებლურად იქნეს გამოყენებული ვაჭრობის მუშაკთა სამუშაო დრო. ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესაბამისად, მცირდება ვაჭრობის მუშაკთა საერთო რაოდენობაში იმ კატეგორიის მუშაკთა წილი, რომელთა საქმიანობა უშუალოდ არ არის დაკავშირებული მიმოქცევის რეალური პროცესების შესრულებასთან (სავაჭრო-ადმინისტრაციული პერსონალი, აღრიცხვის მუშაკები, უმცროსი მომსახურე პერსონალი). დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციას. ვაჭრობის ერთი მუშაკის გამომუშავება (დატვირთვა) სპეციალიზებულ მაღაზიებში გაცილებით მაღალია, ვიდრე არასპეციალიზებულ (შერეულ) მაღაზიებში.

ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაფასობული საქონლის გაყიდვა. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ დაფასობული საქონლით ვაჭრობის პირობებში მყიდველთა მომსახურებაზე 30—50%-ით ნაკლები დრო იხარჯება.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე გავლენას ახდენს ვაჭრობის მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესება. აქ პირველ რიგში იგულისხმება ვაჭრობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა და მათი შემდგომი სრულყოფა.

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР, 1922—1982, Юбилейный статистический ежегодник, 1982, стр. 476.

შრომის ნაყოფიერების ზრდა უშუალო კავშირშია ვაჭრობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების უფრო პროგრესული სისტემებისა და მატერიალური დაინტერესების პროგრესული ფორმების დანერგვასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ვაჭრობაში დაინერგა შრომის ანაზღაურების ახალი ფორმები, რომლის მიხედვით ხელფასის სიდიდე უშუალოდ დაკავშირებულია საქონელბრუნვის მოცულობასა და სავაჭრო მოგების ზრდასთან. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად ვაჭრობაში ხელფასის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1965 წელს ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი 75,2 მანეთს შეადგენდა, 1970 წელს უკვე 95,1 მანეთს მიაღწია, ხოლო 1981 წელს 140 მანეთს გადააჭარბა, ე. ი. 16 წლის მანძილზე (1965—1981 წწ.) ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი 86,2% -ით გაიზარდა.

ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე გავლენას ახდენს აგრეთვე საქონელბრუნვის სისწრაფე, მუშაკთა კვალიფიკაციისა და საერთო განათლების დონე, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირება, საცალო ფასების ცვლილება და სხვა.

შრომის ნაყოფიერების გაანგარიშების მეთოდოლოგია ვაჭრობაში პრინციპულად ისეთივეა, როგორც მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებში.

შრომის ნაყოფიერების დონე ვაჭრობაში იზომება სამუშაო დროის ერთეულში (საათი, დღე) რეალიზებული საქონლის მოცულობით ან განსაზღვრული მოცულობის საქონლის რეალიზაციაზე დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობით. მაგრამ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით, ვაჭრობა რიგი თავისებურებით ხასიათდება. ვაჭრობის მუშაკთა უდიდესი ნაწილი დასაქმებულია არა პროდუქციის წარმოებაზე, არამედ დამზადებული პროდუქციის რეალიზაციაზე. ამ კატეგორიის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დონის ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელია საქონელბრუნვის მოცულობა, რომელიც მოდის ერთ სიობრივ მუშაკზე (გამყიდველზე), ან ნამუშევარი დროის ერთეულზე. საქონელბრუნვის მოცულობის შეფარდებით მუშაკთა (გამყიდველთა) საშუალო სიობრივ რიცხვთან, ან ნამუშევარი დროის რაოდენობასთან, მიიღება სიდიდე, რომელსაც დატვირთვის მაჩვენებელი ეწოდება.

ვთქვათ, 10 მუშაკისაგან (მათ შორის 7 გამყიდველი) შემდგარ საბაკალეო მაღაზიის თვიური საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენს 70 ათას მან. ამ შემთხვევაში ვაჭრობის ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერების დონე უდრის:

$$70000 : 10 = 7000 \text{ მან.},$$

ხოლო დახლის ერთი მუშაკისა (გამყიდველისა)

$$70\ 000 : 7 = 10\ 000 \text{ მან.}$$

ვაჭრობის მუშაკთა საერთო რაოდენობაში რამდენადაც მეტია დახლის მუშაკთა ხვედრითი წონა, იმდენად, ყველა თანაბარ პირობებში, მაღალია ვაჭრობის ერთი მუშაკის საშუალო გამომუშავება (დატვირთვა).

ვთქვათ, მაღაზიის თვიური საქონელბრუნვა შეადგენდა 59500 მან. მოცემულ პერიოდში გამყიდველთა მიერ ნამუშევარი იყო 140 კაცდღე. მაშასადამე, ერთ ნამუშევარ კაცდღეზე საქონელბრუნვის საშუალო მოცულობა უდრის 425 მანეთს ( $59500 : 140$ ).

ვაჭრობის ერთი მუშაკის დატვირთვის მაჩვენებელი ჩვეულებრივ გამოისახება ფაქტიურ ფასებში. ამ შემთხვევაში დატვირთვის სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო რეალიზებული საქონლის ნატურალურ რაოდენობაზე, არამედ ფასების დონეთა ცვლილებაზეც. ფასების შემცირების შემთხვევაში ვაჭრობის ერთი მუშაკის დატვირთვა იზრდება შედარებით ნელა, ვიდრე სამუშაო დროის ერთეულში რეალიზებული საქონლის რაოდენობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფასების შემცირების პირობებში, ფაქტიურ ფასებში გამოსახული დატვირთვის მაჩვენებელი ხელოვნურად ამცირებს შრომის ნაყოფიერების ნამდვილ ზრდას. ამიტომ დატვირთვის უფრო ზუსტი მაჩვენებლის დასადგენად საჭიროა ვაჭრობის ერთი მუშაკის (ან გამყიდველის) ბრუნვა გამოვსახოთ უცვლელ (შესადარ) ფასებში, ამისათვის საჭიროა ფაქტიური საქონელბრუნვა გავყოთ ფასების ინდექსზე. უცვლელ (შესადარ) ფასებში გამოსახული საქონელბრუნვის მოცულობის შეფარდება ვაჭრობის (დახლის) მუშაკთა საშუალო სიობრივ რიცხვთან ან ნამუშევარი დროის რაოდენობასთან გვაძლევს სიდიდეს, რომელსაც დატვირთვის მაჩვენებელი ეწოდება. მიმდინარე პერიოდის ერთი მუშაკის დატვირთვის მაჩვენებლის გაყოფით გასული პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელზე ვღებულობთ დატვირთვის ინდექსს.

ვაჭრობის ერთი მუშაკის დატვირთვის ინდექსის გაანგარიშების წესი ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე.

ვთქვათ, სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვისა და მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის შესახებ I და II კვარტალისათვის გვაქვს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრ. 11.2).



საქონელ- ჯგუფები	საქონელბრუნვა ფაქტიური ფასებით (ათ. მან.)		ფასების ინდივიდუალური ინდექსები	II კვარტალის საქონელ- ბრუნვა I კვარტ. ფასებით (ათ. მან.)	ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის (ათ. მან.)
	I კვარტალი	II კვარტალი			
	$\sum q_0 p_0$	$\sum q_1 p_1$	$i = \frac{p_1}{p_0}$	$\sum q_1 p_0$	$\frac{\sum i q_1 p_0}{\sum T_1}$
ა .	90	110	0,88	125	1,2
ბ .	120	100	0,91	110	1,0
გ .	30	60	0,80	75	1,5
ს უ ლ .	240	270	—	310	3,3

მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი შეადგენდა:

I კვარტალში 90 კაც. და II კვარტალში 95 კაც.

განვსაზღვროთ ვაქრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის მაჩვენებელი I კვარტალში:

$$\frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0} = \frac{90 + 120 + 30}{90} = \frac{240}{90} = 2667 \text{ მან.}$$

II კვარტალში:

$$\frac{\sum q_1 p_1}{\sum T_1} = \frac{110 + 100 + 60}{95} = \frac{270}{95} = 2842 \text{ მან.}$$

ვაქრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის ინდექსი ფაქტიურ ფასებში:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum T_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0} = 2842 : 2667 = 1,065 \text{ ანუ } 106,5\% .$$

ე. ი. ვაქრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვა II კვარტალში I კვარტალთან შედარებით გაიზარდა 6,5%-ით (106,5 — 100,0).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დატვირთვის სიდიდეზე გავლენას ახდენს საცალო ფასების ცვლილება.

ახლა გავიანგარიშოთ ვაქრობის ერთი მუშაკის დატვირთვის დინამიკა უცვლელი (შესადარი) ფასებით. ამისათვის II კვარტალის საქონელბრუნვის მოცულობა გადავიყვანოთ I კვარტალის ფასებში. მიმდინარე პერიოდის საქონელბრუნვის გადაყვანისათვის უცვლელ (I კვარტალის) ფასებში საჭიროა თითოეული საქონელჯგუფის ბრუნვა გავყოთ ფასების ინდივიდუალურ ინდექსზე.

$$\sum q_1 p_1 : i,$$

სადაც  $\sum q_1 p_1$  არის II კვარტალის ფაქტიური საქონელბრუნვა, ხოლო  $i$  — ფასების ინდივიდუალური ინდექსი.

$$i = \frac{p_1}{p_0}, \quad \sum q_1 p_1 \frac{p_1}{p_0} = \sum q_1 p_0$$

ა ჯგუფის საქონელბრუნვა 110 : 0,88 = 125 ათ. მან.

ბ " " 100 : 0,91 = 110

ბ " " 600 : 0,8 = 75 "

---

ს უ ლ: 310 ათ. მან.

ვაჭრობის ერთი მუშაკის დატვირთვის ინდექსი შესაღარი ფასებით იქნება:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum T_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0} = \frac{310}{95} : \frac{240}{90} = \frac{3263}{2667} = 1,225 \text{ ანუ } 122,5\%$$

მაშასადამე, ვაჭრობის ერთი მუშაკის დატვირთვა გაიზარდა არა 6,5%-ით, არამედ 22,5%-ით.

იგივე შედეგს მოგვცემს რეალიზაციის ფიზიკური მოცულობისა და ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობის ინდექსების თანაფარდობა:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum T_1}{\sum T_0} = \frac{310}{240} : \frac{95}{90} = 1,291 : 1,055 = 1,225,$$

ანუ 122,5%.

ამრიგად, თუ ცნობილია საქონელბრუნვის დინამიკა ფაქტიურ ფასებში და ფასების ინდექსი, მაშინ მათ საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ ერთი მუშაკის დატვირთვის ინდექსი უცვლელ ფასებში.

მაგრამ დატვირთვის სიდიდეზე გარდა ფასების ცვლილებისა, გავლენას ახდენს საქონლის ასორტიმენტული შემადგენლობა.

სხვადასხვა საქონლის ან საქონელჯგუფის რეალიზაცია სამუშაო დროის განსხვავებულ რაოდენობას (ხანგრძლივობას) მოითხოვს. ცხადია, 100 მანეთის ღირებულების ბოსტნეულის რეალიზაციისათვის გაცილებით მეტი დროა საჭირო, ვიდრე იგივე მოცულობის გასტრონომიული საქონლის რეალიზაციისათვის, ამიტომ გამომუშავების ნორმა ბოსტნეულზე უფრო დიდია, ვიდრე გასტრონომიულ საქონელზე. ზუსტად ასევე, 100 მანეთის ღირებულების საკანცელარიო საქონლის რეალიზაცია გაცილებით მეტ დროს საჭიროებს, ვიდრე ფულად გამოსახულებაში იგივე რაოდენობის შალეულის და მზატანსაცმლის რეალიზაცია. სწორედ ამიტომ შალეულის ან მზატანსაცმლის რეალიზაციის ნორმა გაცილებით მაღალია, ვიდრე საკანცელარიო საქონლის რეალიზაციის ნორმა. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა საქონლის ან საქონელჯგუფის რეალიზაცია განსხვავებული შრომატევადობით ხასიათდება. შრომატევადობა არის დროის რაოდენობა, რომელიც საჭიროა თანამედროვე ტექნიკის, ფასების მოცემული დონისა და მოსახლეობის მსყი-

დველობითუნარიანობის პირობებში განსაზღვრული მოცულობის საქონლის რეალიზაციისათვის. საქონელბრუნვის სტრუქტურაში მომხდარი ყოველგვარი მნიშვნელოვანი ცვლილება, როგორც წესი, იწვევს შესაბამის ცვლილებას ვაჭრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვაში. მაგალითად, საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში მცირე შრომატევადი საქონლის ხვედრითი წონის ზრდის შედეგად ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვა იზრდება, ხოლო მაღალი შრომატევადი საქონლის ხვედრითი წონის ზრდის შედეგად, პირიქით — საშუალო დატვირთვის მაჩვენებელი მცირდება. ამიტომ გასაგებია საბჭოთა ვაჭრობაში მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დონისა და დინამიკის ანალიზისას მხედველობაშია მისაღები დატვირთვის მაჩვენებელზე საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენა.

დატვირთვის სიდიდეზე საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენის გამოთიშვის მიზნით, ვაჭრობის სტატისტიკაში გამოიანგარიშება სპეციალური მაჩვენებელი, რომელსაც საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი ეწოდება.

საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსის გაანგარიშების წესი ნათელვყოთ მაგალითზე:

ცხრილი 11.3

საქონელ- ჯგუფი	საქონელბრუნვა შე- სადარი ფასებით, (ათ. მან.)		დატვირ- თვის დღიური ნორმა (მან.)	100 ათასი მანეთის საქონელბრუნვის სტრუქტურა (% -ში)		100 ათ. მანეთის სა- ქონლის რეალიზა- ციისათვის საჭირო კ/დღეები.	
	I კვარტ.	II კვარტ.		I კვარტ.	II კვარტ.	I კვარტ.	II კვარტ.
	1	2		3	4	5	6
ა .	9,0	12,5	1700	37,5	40,3	22,06	23,7
ბ .	12,0	11,0	1000	50,0	35,5	50,00	35,5
ბ . .	3,0	7,5	1500	12,5	24,2	8,33	16,0
სულ . .	24,0	31,0	—	100,0	100,0	80,39	75,3

ცხრილის 1 და მე-2 სვეტებში მოცემულია საქონელბრუნვის მოცულობა გასულ (I კვ.) და მიმდინარე (II კვ.) პერიოდებში უცვლელი (I კვარტალის) ფასებით. მე-3 სვეტში ნაჩვენებია ვაჭრობის ერთი მუშაკის გამომუშავების დღიური ნორმა, მე-4 და მე-5 სვეტებში — საქონელბრუნვის სტრუქტურა. იგი მიიღება თითოეული საქონელჯგუფის ბრუნვის შეფარდებით შესაბამისი პერიოდების საქონელბრუნვის მთლიან მოცულობასთან. ამასთან, თითოეული პერიოდის ბრუნვა გათანაბრებულია 100 ათასი მანეთის საქონელბრუნვასთან. თითოეული საქონელჯგუფის პირობითი ბრუნვის შეფარდება ერთი მუშაკის დატვირთვის დღიურ ბრუნვასთან მოგვცემს კაცდღეების რიცხვს, რომელიც საჭი-

როა მოცემული რაოდენობის (100 ათასი მან.) საქონლის რეალიზაციისათვის. მაგალითად, გამომუშავების არსებული ნორმის პირობებში 37,5 ათასი მანეთის „ა“ საქონელჯგუფის რეალიზაცია მოითხოვს 22,06 კაცდღეს, 50 ათასი მანეთის „ბ“ საქონელჯგუფის რეალიზაცია — 50-ს, ხოლო 12,5 ათასი მანეთის „გ“ საქონელჯგუფის გაყიდვა — 8,33 კაცდღეს. ცხრილის უკანასკნელ ორ სვეტში (6 და 7) მოცემულია კაცდღეების საერთო რიცხვი, რომელიც საჭიროა საქონელბრუნვის უცვლელი სტრუქტურის პირობებში 100 ათასი მანეთის საქონლის რეალიზაციისათვის. მაგალითად, 100 ათასი მანეთის საქონელბრუნვა მოითხოვს: I კვარტალში—80,39 კაცდღეს, II კვარტალში—75,3 კაცდღეს. ერთსა და იმავე მოცულობის საქონლის რეალიზაციისათვის საჭირო კაცდღეების რაოდენობათა შორის განსხვავება უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ II კვარტალის საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში საგრძნობლად გაიზარდა ნაკლებად შრომატევადი „ა“ და „გ“ საქონელჯგუფების ხვედრითი წონა.

მიღებული მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი. იგი ახასიათებს საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვათა შრომატევადობის ცვლილებას საბაზისო პერიოდის შრომატევადობასთან შედარებით. მოცემულ შემთხვევაში საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი მიიღება უცვლელი სტრუქტურის პირობებში მიმდინარე პერიოდის (II კვარტალის) 100 ათასი მანეთის ღირებულების საქონლის რეალიზაციისათვის საჭირო კაცდღეების რიცხვის შეფარდებით, გასული პერიოდის (I კვარტალის) იმავე მოცულობის საქონლის რეალიზაციისათვის საჭირო კაცდღეების რიცხვთან.

$$I = \frac{75,30}{80,35} = 0,936 \text{ ანუ } 93,6\%$$

მაშასადამე, II კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით საქონელბრუნვის შრომატევადობა 6,4%-ით შემცირდა (100,0—93,6).

საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი შრომის ნაყოფიერების ინდექსის გაანგარიშების ამოსავალ პირობას შეადგენს.

შრომის ნაყოფიერების ინდექსი უდრის საქონელბრუნვის შრომატევადობისა და ერთი მუშაკის დატვირთვის ინდექსთა ნამრავლს. ჩვენს მაგალითში შრომის ნაყოფიერების ინდექსი უდრის:

$$0,936 \times 1,225 = 1,147 \text{ ანუ } 114,7\%$$

მაშასადამე, საქონელბრუნვის სტრუქტურა II კვარტალში რომ იგივე დარჩენილიყო როგორც I კვარტალში იყო, მაშინ შრომის ნაყოფიერება საწარმოს მიხედვით 14,7%-ით გაიზარდებდა.

ვაჭრობაში შრომატევადობისა და შრომის ნაყოფიერების ინდექსე-

ბის გაანგარიშების წესი ვაჩვენოთ კიდევ ერთ პირობით მაგალითზე: მაღაზიის მიხედვით ორი წლის მანძილზე საქონელბრუნვისა და მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 11.4

საქონელჯგუფი	საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში (ათ. მან.)		ფასების ინდექსი	ერთი მუშაკის გამომუშავების ღირებულება საბაზისო პერიოდში (მან.)
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		
დ	1350	1440	0,90	300
კ	1800	2090	0,95	350
ი	2250	2538	0,94	400
ზ	3600	3220	0,92	800
სულ	9000	9288	—	—
მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი	70	75	—	—

განსაზღვრეთ:

1. ვაპრობის ერთი მუშაკის საშუალო ბრუნვის ინდექსი შესაღარ ფასებში;
2. საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი;
3. შრომის ნაყოფიერების ინდექსი.

ამოხსნა:

1) ერთი მუშაკის საშუალო ბრუნვის ინდექსი შესაღარ ფასებში. ამისათვის საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა ფასების ინდივიდუალური ინდექსის საშუალებით გადავიყვანოთ შესაღარ ანუ საბაზისო პერიოდის ფასებში.

$$\sum q_1 p_1 : \frac{p_1}{p_0} = \sum q_1 p_0$$

„დ“ საქონელჯგუფი  $1440 : 0,90 = 1600$  მან.

„კ“  $2090 : 0,95 = 2200$  მან.

„ი“  $2538 : 0,94 = 2700$  მან.

„ზ“  $3220 : 0,92 = 3500$  მან.

---

სულ .10000 მან.

ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვა შესაღარ ფასებში:

საბაზისო პერიოდში  $\frac{9000}{70} = 128,5$  თ. მან.

საანგარიშო პერიოდში  $\frac{10000}{75} = 133,4$  თ. მან.

დატვირთვის ინდექსი უცვლელ ფასებში:

$$I = \frac{133,5}{128,5} = 1,039 \text{ ანუ } 103,9\%$$

2. საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი:

ამისათვის პირველ ყოვლისა დავადგინოთ საქონელბრუნვის სტრუქტურა უცვლელ ფასებში

	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
„ა“ ჯგ. საქონელი	$\frac{1350}{9000} \times 100 = 15\%$	$\frac{1600}{10000} \times 100 = 16\%$
„ბ“	$\frac{1800}{900} \times 100 = 20\%$	$\frac{2200}{10000} \times 100 = 22\%$
„ი“	$\frac{2250}{9000} \times 100 = 25\%$	$\frac{2700}{10000} \times 100 = 27\%$
„ზ“	$\frac{3600}{9000} \times 100 = 40\%$	$\frac{3500}{10000} \times 100 = 35\%$
სულ	<u>100%</u>	<u>100%</u>

100 ათასი მანეთის საქონლის რეალიზაციისათვის საჭიროა ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა.

საქონელ- ჯგუფი	საბაზისო პერიოდში	საანგარიშო პერიოდში
„ა“	$\frac{15000}{300} = 50 \text{ დღ.}$	$\frac{16000}{300} = 53,3 \text{ დღ.}$
„ბ“	$\frac{20000}{350} = 57 \text{ დღ.}$	$\frac{22000}{350} = 62,8 \text{ დღ.}$
„ი“	$\frac{25000}{400} = 62,5 \text{ დღ.}$	$\frac{27000}{400} = 67,5 \text{ დღ.}$
„ზ“	$\frac{40000}{800} = 50 \text{ დღ.}$	$\frac{35000}{800} = 43,8 \text{ დღ.}$
სულ .	<u>219,5 დღ.</u>	<u>227,4 დღ.</u>

საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი:

$$I = \frac{227,4}{219,5} = 1,036 \text{ ანუ } 103,6\%$$

ე. ი. შრომატევადობა საბაზისო პერიოდთან შედარებით საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 3,6%-ით.

შრომის ნაყოფიერების ინდექსი კი უდრის:

$$1,039 \times 1,036 = 1,076 \text{ ანუ } 107,6\%.$$

მაშასადამე, შრომის ნაყოფიერება გაზარდილა 7,6%-ით.

გაანგარიშებული ინდექსები წარმოვადგინოთ ფორმულის სახით. ვაჭრობის (დახლის) ერთ მუშაკზე საშუალო დატვირთვის ინდექსი გამოისახება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum T_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0},$$

სადაც  $\sum q_0 p_0$ -ით და  $\sum q_1 p_0$ -ით აღინიშნება საქონელბრუნვის მოცულობა უცვლელი ფასებით საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში.

$\sum T_0$ -ით და  $\sum T_1$ -ით—ვაჭრობის მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვნობა ან შრომის დანახარჯთა საერთო მც.სა შ.საბაზის პერიოდებში.

შრომის დანახარჯთა მასა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საქონელბრუნვის მოცულობის და ბრუნვის ერთეულზე (ერთ მანეთზე) შრომის დანახარჯების ნამრავლთა ჯამი, ე. ი.

$$\sum T_0 = \sum q_0 p_0 t_0 \text{ და } \sum T_1 = \sum q_1 p_0 t_1$$

მაშასადამე,

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum T_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_1 p_0 t_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum q_0 p_0 t_0};$$

$$I = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1 p_0 t_1}{\sum q_0 p_0 t_0}.$$

მიღებული ინდექსი არის ერთ მუშაკზე საშუალო დატვირთვის ინდექსი უცვლელ ფასებში.

საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი, რომელიც ასახავს შრომის დანახარჯების ცვლილებას ბრუნვის სტრუქტურის ცვლილებათა ხარჯზე გამოისახება ფორმულით:

$$I = \frac{\sum q_1 p_0 t_0}{\sum q_0 p_0 t_0} : \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}.$$

ერთ მუშაკზე საშუალო დატვირთვისა და საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსთა ნამრავლი უდრის შრომის ნაყოფიერების ინდექსს.

$$I = \left[ \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1 p_0 t_1}{\sum q_0 p_0 t_1} \right] \times \left[ \frac{\sum q_1 p_0 t_0}{\sum q_0 p_0 t_0} : \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} \right] = \frac{\sum q_1 p_0 t_0}{\sum q_1 p_0 t_1}$$

ერთ მუშაკზე
საქონელებრუნვის
შრომის  
საშუალო დატვირ-
შრომატველობის
ნაყოფიერე-  
თვის ინდექსი
ინდექსი
ბის ინდექსი

$$1,039 \times 1,036 = 1,076$$

საქონელებრუნვის დინამიკის ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას თუ სავაჭრო ორგანიზაციები საქონელებრუნვის მოცულობის ზრდას რა გზებითა და საშუალებებით აღწევენ:

საქონელებრუნვის მოცულობის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების ერთობლიობა ორ ჯგუფად იყოფა: პირველია ექსტენსიური და მეორე — ინტენსიური ფაქტორები. ექსტენსიურს განეკუთვნება ვაჭრობის (დახლის) მუშაკთა რიცხოვნობის გადიდება, ხოლო ინტენსიურს — მათი დატვირთვის (შრომის ნაყოფიერების) ამღლება.

საქონელებრუნვის მოცულობის ცვლილებაზე აღნიშნული ფაქტორების გავლენა ნათელვყოთ პირობით მაგალითზე.

სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით საქონელებრუნვის მოცულობისა და ვაჭრობის მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ც ხ რ ი ლ ი 11.5

პერიოდი	საქონელებრუნვა, ათას მან.	ვაჭრობის მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობა, კაც.
გასული წელი .	13500	150
მიმდინარე წელი	16524	162

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე თ: 1. საქონელებრუნვის, ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობისა და ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის (შრომის ნაყოფიერების) ინდექსები;

2. შეამოწმეთ ინდექსებს შორის ურთიერთკავშირი;

3. საქონელებრუნვის აბსოლუტური მატება დაშალეთ ფაქტორების მიხედვით და დაადგინეთ ბრუნვის რა ოდენობა მოდის მუშაკთა რიცხოვნობის გადიდებასა და მათი საშუალო დატვირთვის ამღლებაზე ცალკე.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა: 1. საქონელებრუნვის ინდექსი.

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{16524}{13500} = 1,224 \text{ ანუ } 122,4\%$$



2. ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობის ინდექსი.

$$I = \frac{\sum T_1}{\sum T_0} = \frac{162}{150} = 1,08 \text{ ანუ } 108\%$$

3. ვაჭრობის ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის ინდექსი. ამისათვის წინასწარ დავადგინოთ ერთი მუშაკის საშუალო წლიური დატვირთვა.

გასულ წელს	მიმდინარე წელს
$\bar{w}_0 = \frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0} = \frac{13500}{150} = 90 \text{ ათ. მან.}$	$\bar{w}_1 = \frac{\sum q_1 p_1}{\sum T_1} = \frac{16524}{162} = 102 \text{ ათ. მან.}$

ინდექსი უდრის:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum T_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0} = \frac{\bar{w}_1}{\bar{w}_0} = \frac{102000}{90000} = 1,133, \text{ ანუ } 113,3\%$$

4. ინდექსებს შორის ურთიერთკავშირი

$$\left( \frac{\sum q_1 p_1}{\sum T_1} : \frac{\sum q_0 p_0}{\sum T_0} \right) \times \frac{\sum T_1}{\sum T_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

ერთ მუშაკზე დატვირთვის ინდექსი
მუშაკთა რიცხოვნობის ინდექსი
საქონელბრუნვის ინდექსი

$$1,133 \times 1,08 = 1,224$$

5. საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება:

$$\sum q_1 p_1 - \sum q_0 p_0 = 16524 - 13500 = 3024 \text{ ათას. მან.}$$

ფორმულაში შევიტანოთ შესაბამისი მონაცემები

$$\frac{16524,0}{13500,0} = \frac{102000 \times 162}{90000 \times 162} \times \frac{90000 \times 162}{90000 \times 150}$$

$$\frac{16524,0}{13500,0} = \frac{16528,0}{14580,0} \times \frac{14580,0}{13500}$$

$$1,224 = 1,133 \times 1,08$$

საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება დავშალოთ მოქმედი ფაქტორების მიხედვით:

$$\sum w_1 T_1 - \sum w_0 T_0 = (\sum w_1 T_1 - \sum w_0 T_1) + (\sum w_0 T_1 - \sum w_0 T_0)$$

$$16524 - 13500 = (16524 - 14580) + (14580 - 13500)$$

$$3024 \text{ ათ. მან.} = 1944 \text{ ათ. მან.} + 1080 \text{ ათ. მან.}$$

ე. ი. საქონელბრუნვის მთელი მატების 1944 ათასი მანეთი მოდის შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ხოლო 1080 ათასი მანეთი — მომუშავეთა რიცხოვნობის გადიდების ხარჯზე.

იგივე შედეგს მოგვცემს გამარტივებული ფორმულა:

$$\Delta q p = (\omega_1 - \omega_0) T_1 + (T_1 - T_0) \omega_0.$$

$$3024 \text{ ათ. მან.} = 1944 \text{ ათ. მან.} + 1080 \text{ ათ. მან.}$$

საქონელბრუნვის მთელ მატებას თუ 100 პროცენტად მივიჩნევთ, აღმოჩნდება, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე მოდის 62,2% (1944 : 3024 × 100), ხოლო ვაჭრობის მუშაკთა რიცხვის გადიდებაზე — 35,8% (1080 : 3024 × 100).

### ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო

ა მ ო ც ა ნ ა 1. საბაზისო პერიოდთან შედარებით მიმდინარე პერიოდში მალაზიის საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 25 პროცენტით, ხოლო ვაჭრობის მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი — 10 პროცენტით, ამასთან მოცემულ პერიოდში ფასების დონე საშუალოდ 6 პროცენტით შემცირდა.

განსაზღვრეთ როგორ შეიცვალა ვაჭრობის ერთი მუშაკის საქონელბრუნვის მოცულობა (დატვირთვა) ფაქტიურ და შესადარის ფასებში.

პ ა ს უ ხ ი: ვაჭრობის ერთი მუშაკის ბრუნვა გაიზარდა: ფაქტიური ფასებით 13,7, ხოლო შესადარი ფასებით — 20,9 პროცენტით.

ა მ ო ც ა ნ ა 2. სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვის მოცულობა 5 წლის მანძილზე გაიზარდა 1,45-ჯერ, ხოლო ვაჭრობის მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი — 18 პროცენტით.

განსაზღვრეთ ვაჭრობის ერთი მუშაკის საქონელბრუნვის ინდექსი პ ა ს უ ხ ი: ერთი მუშაკის ბრუნვის (დატვირთვის) ინდექსი გაიზარდა 22,9 პროცენტით.

ა მ ო ც ა ნ ა 3. კვარტალის განმავლობაში მალაზიის მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ც ხ რ ი ლ ი 11.6

მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტიურად
საცალო საქონელბრუნვა შესადარი ფასებით, ათ. მან.	480,8	490,4
მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი .	50	46
ხელფასის ფონდი, ათ. მან.	16,3	15.7

განსაზღვრეთ გეგმითა და ფაქტიურად:

1. ერთი მუშაკის საშუალო თვიური გამომუშაება (დატვირთვა);
2. ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი;
3. ხელფასის ფონდის დონე საქონელბრუნვის მიმართ;

4. შეადარეთ მიღებული მონაცემები და გააკეთეთ დასკვნები.

პ ა ს უ ხ ი : ფაქტიურად 1) 3554 მან. 2) 114 მან. 3) 3,2%.

ა მ ო ც ა ნ ა 4. კვარტალის განმავლობაში მალაზიის საცალო საქონელბრუნვის, მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვისა და მათი ხელფასის ფონდის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ც ხ რ ი ლ ი 11.7

მაჩვენებლები	პერიოდი	
	საბაზისი	საანგარიშო
საცალო საქონელბრუნვა შესაღარი ფასებით, ათ. მან.	160,5	196,8
ვაჭრობის მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი	22	23
ხელფასის ფონდი, ათ. მან.	5,28	6,24

გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ე თ : ა) საქონელბრუნვის, ბ) მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის, გ) ხელფასის ფონდის, დ) ერთი მუშაკის საშუალო გამომუშავების (დატვირთვის), ე) ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასისა და ვ) საქონელბრუნვის მოცულობაში ხელფასის წილის ინდექსები.

შეადარეთ მიღებული მონაცემები და გააკეთეთ დასკვნები.

პ ა ს უ ხ ი : ა) საქონელბრუნვის ინდექსი 122,6%; ბ) მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის ინდექსი 109,1%; გ) ხელფასის ფონდის ინდექსი 106,2%; დ) საშუალო გამომუშავების ინდექსი 114,6%; ე) საშუალო თვიური ხელფასის ინდექსი 108,8%; ვ) ხელფასის დონის ინდექსი საქონელბრუნვაში 96,3%.

ა მ ო ც ა ნ ა 5. მიმდინარე პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით ვაჭრობის ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 15%-ით, ხოლო მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი — 5%-ით. ამასთან დროის მოცემულ პერიოდში მუშაკთა ხელფასის წლიური ფონდი 8%-ით გაიზარდა.

დაადგინეთ როგორ შეიცვალა საცალო საქონელბრუნვის მოცულობა და ერთი მუშაკის საშუალო ხელფასი.

გაარკვიეთ როგორია თანაფარდობა საცალო საქონელბრუნვის მოცულობას, შრომის ნაყოფიერებასა და მუშაკთა რიცხოვნობას შორის ერთი მხრივ და ხელფასის ფონდის, მუშაკთა რიცხოვნობისა და საშუალო ხელფასის მაჩვენებლებს შორის მეორე მხრივ.

პ ა ს უ ხ ი : საქონელბრუნვა გაიზარდა 20,7%-ით, ხოლო ერთი მუშაკის საშუალო ხელფასი — 2,8%-ით.

**საგჳოთა ვაჳროგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის  
სტატისტიკა**

**§ 1. ვაჳროგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტატისტიკის  
ამოცანები**

შრომის იმ საშუალებათა ერთობლიობას, რასაც ვაჳრობა იყენებს საქონლის წარმოებიდან მომხმარებლამდე დაყვანის პროცესში, ეწოდება ვაჳრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ვაჳრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირითადი ელემენტებია: მალაზიების, ფარდულების, სასადილოების, რესტორნების, კაფეების შენობები; საწყობების, ბაზების, სავაჳრო ორგანიზაციების, მაცივრების შენობა-ნაგებობანი; მოწყობილობა, აღჭურვილობა და საკუთარი ტრანსპორტი. თუმცა, თანამედროვე პირობებში სახელმწიფო ვაჳრობას საკუთარი ტრანსპორტი თითქმის არ გააჩნია. სამომხმარებლო კოლპერაციას აქვს თავისი ტრანსპორტი.

ვაჳრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ხასიათდება სავაჳრო საწარმოების რიცხოვნობით, მათი სიმძლავრეებით (სავაჳრო დარბაზის ფართობი, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ადგილების რაოდენობა, მაცივრებისა და სხვათა ტევადობა, საერთო სასაქონლო საწყობების ფართობი), გამოსაყენებელი მანქანებისა და მოწყობილობათა რაოდენობითა და მათი სიმძლავრეებით.

საბჭოთა ვაჳრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეკონომიკური არსი განპირობებულია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებით. იგი გვხვდება სახელმწიფო ან კოლპერაციულ საკუთრებაში და გამოიყენება მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის.

ვაჳრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტატისტიკის წინაშე დასმულია მნიშვნელოვანი ამოცანები:

სავაჳრო საწარმოთა აღირცხვა ტიპების, ზომებისა და განლაგების მიხედვით:

- სავაჳრო საწარმოთა ტექნიკურ აღჭურვილობათა აღრიცხვა;
- სავაჳრო ქსელით მოსახლეობის უზრუნველყოფის დახასიათება.

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტას სტატისტიკა ახდენს ვაჭრობის ცალკეული დარგების (საბითუმო ვაჭრობა, საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება) მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

სავაჭრო საწარმოთა რიცხოვნობის განსაზღვრა ხდება რომელიმე კონკრეტული თარიღისათვის. როგორც წესი სავაჭრო ქსელის გამოკვლევას ახდენენ წელიწადში ორჯერ — 1 ივლისისა და 1 — იანვრისათვის.

სავაჭრო ქსელის აღრიცხვის დროს აუცილებელია მტკიცედ განისაზღვროს სავაჭრო საწარმოს ცნება. სავაჭრო საწარმო წარმოადგენს ტერიტორიულად გამოცალკეებულ საწარმოს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიღებას, შენახვასა და გაცემა-გაყიდვას. ამიტომ იმ შემთხვევაში თუ მალაზიას აქვს თავისი ფილიალი, რომელიც მოთავსებულია ცალკე შენობაში, იგი აღირიცხება, როგორც დამოუკიდებელი სავაჭრო საწარმო. თუ ერთსა და იმავე შენობის ერთ სათავსოში მოწყობილია ერთი მალაზია, ხოლო მეორეში — მეორე, რომელსაც ყავს თავისი საკუთარი ადმინისტრაცია, მაშინ ისინი აღირიცხებიან, როგორც ორი დამოუკიდებელი საწარმო. თუ მალაზია მოთავსებულია რამოდენიმე სათავსოში, რომლებშიც განლაგებულია მისი ცალკეული განყოფილება ან სექცია, მაშინ აღირიცხვა ხდება, როგორც ერთი დამოუკიდებელი საწარმოსი. იმ შემთხვევაში კი, როცა მალაზიის კუთვნილ ფართობზე მოთავსებულია სხვა სავაჭრო ორგანიზაციის ან საწარმოს ფარდული, მაშინ მართალია ტერიტორიულ გამოცალკეებასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ მათი აღრიცხვა ხდება ცალკე.

ხშირია შემთხვევები, როცა ერთი და იგივე საწარმო ახორციელებს რამდენიმე ოპერაციას. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, საბითუმო ვაჭრობასა და სხვ. ამ შემთხვევაში საწარმო აღირიცხება იმ დარგის მიხედვით, რომლის ძირითადი საქმიანობაც სჭარბობს მასში. მალაზიები ხშირად ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, მაგრამ ისინი აღირიცხებიან საცალო სავაჭრო ქსელის და არა დამზადების საწარმოს მიხედვით. ინდივიდუალური შეკერვის ატელიები ახორციელებენ საქონლის რეალიზაციასაც, მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობა არის წარმოება, ამიტომ ისინი საცალო სავაჭრო საწარმოთა რიცხვში არ შეიტანებიან.

სტატისტიკა აღრიცხავს მხოლოდ სავაჭრო ქსელის მოქმედ საწარმოებს. ამასთან ის საწარმოები, რომლებიც დაკეტილია რემონტის ან სეზონის მიზეზით აღირიცხებიან მოქმედ საწარმოთა რიცხვში. სტატისტიკურ ანგარიშში არ შეიტანებიან ის საწარმოები, რომლებიც საერთოდ დაკეტილია, ან გამოიყენებიან არადანიშნულებით.

## § 2. დამამზადების მსალის სტატისტიკა

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მიზნით ორგანიზებულია დამამზადებელ საწარმოთა ფართო ქსელი. პრაქტიკაში განასხვავებენ ამ საწარმოთა სამ ტიპს: 1. დამამზადებელი პუნქტები, 2. დამამზადებელი საწყობები, 3. ელევატორები.

დამამზადებელი პუნქტი წარმოადგენს საწყობს, რომლის დანიშნულებაა საბჭოთა მეურნეობებიდან, კოლმეურნეობებიდან, კოლმეურნეობებიდან და პირად დამხმარე მეურნეობის მქონე მოსახლეობიდან პროდუქტების მიღება. ჩვეულებრივ დამამზადებელი პუნქტები შედარებით მცირე მოცულობისანი არიან და განლაგებულია პროდუქტების წარმოების ადგილებთან.

დამამზადებელი საწყობები და ელევატორები წარმოადგენენ დიდი მოცულობის საწყობებს; რომლებშიც ახდენენ დამამზადებელი პუნქტების მიერ შესყიდული პროდუქტების თავმოყრას. ისინი ახორციელებენ პროდუქტების დამატებით დამუშავებას, შენახვასა და საბითუმო რეალიზაციას. ზოგჯერ დამამზადებელი საწყობები და ელევატორები ახორციელებენ პროდუქტების უშუალო შესყიდვასაც.

დამზადების ქსელის სიმძლავრის მაჩვენებლებია: ტევადობა ტონებში და სასარგებლო ფართობი კვადრატულ მეტრებში. ის სათავსოები, რომლებიც გამოიყენებიან კანტორის, საყოფაცხოვრებო და სხვა საჭიროებისათვის სასარგებლო ფართობში არ შეიტანება.

სტატისტიკა სწავლობს დამამზადებელი ქსელის განლაგებას რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით. ამ მიზნით დგება სპეციალური სტატისტიკური ცხრილი, რომელშიც მოცემულია დამამზადებელ საწარმოთა ქსელი ტერიტორიულ კრილში, მათი ტიპებისა და ზომების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება წარმოადგენს ისეთ დარგს, რომლის მუშაობაზე ზეგავლენას ახდენს პროდუქტების წარმოების სეზონურობა. ამიტომ სეზონის პერიოდში იზრდება მოთხოვნილება დამამზადებელ საწარმოებზე. სეზონისათვის დამამზადებელი ქსელის მზადყოფნის მიზნით, ჩვეულებრივ გაზაფხულსა და ზაფხულში, წარმოებს ფართო კომპანია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა ქსელის მზადყოფნის შემოწმებისათვის შემოღებულია სასწრაფო-სატელეფონო ანგარიშგება შეკეთებულ საწარმოთა რაოდენობისა და სიმძლავრეების შესახებ.

## § 3. საბითუმო მსალის სტატისტიკა

საბჭოთა ვაჭრობის ერთ-ერთ დარგს საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს. მისი სავაჭრო საწარმოთა ქსელის ძირითადი დანიშნულებაა სა-

ხალხო მოხმარების საქონლის გეგმაზომიერი დაყვანა წარმოებიდან საცალო სავაჭრო საწარმოებსა და სხვა მომხმარებელ ობიექტებამდე. იგი წარმოადგენს მსხვილ, ტექნიკურად აღჭურვილ საწარმოთა ერთობლიობას. განასხვავებენ საბითუმო ვაჭრობის საწარმოთა სამ ძირითად ტიპს: საქარხნო-საფაბრიკო საწყობები, საგასაელო ბაზები და სავაჭრო, ანუ გამსაღებელი ბაზები.

საქარხნო-საფაბრიკო საწყობები განლაგებულია სამრეწველო საწარმოებთან და ეკუთვნიან მათ. ეს საწყობები პროდუქციას ღებულობენ თავისივე სამრეწველო საწარმოებიდან და აწვდიან სავაჭრო ბაზებს, საცალო სავაჭრო საწარმოებს ტრანზიტად.

საგასაელო ბაზები განლაგებული არიან სამრეწველო საწარმოთა თავმოყრის რაიონებში და ეკუთვნიან მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა სავაჭრო ორგანიზაციების სისტემას. ცალკეული საგასაელო ბაზა პროდუქციას ღებულობს რამდენიმე სამრეწველო საწარმოდან და აწვდის მას სავაჭრო ბაზებს, საცალო სავაჭრო ორგანიზაციებს, სავაჭრო საწარმოებს ან სხვა მომხმარებელ ობიექტებს ტრანზიტული წესით. მაშასადამე, საგასაელო ბაზები, საქარხნო-საფაბრიკო საწყობების ანალოგიურ ოპერაციებს ახორციელებენ. განსხვავება ისაა, რომ საგასაელო ბაზები პროდუქციას ღებულობენ რამდენიმე სამრეწველო საწარმოსაგან, ხოლო საქარხნო-საფაბრიკო საწყობები — ერთი რომელიმე სამრეწველო საწარმოსაგან. ამრიგად, საქარხნო-საფაბრიკო საწყობები და საგასაელო ბაზები წარმოადგენენ საქონელმძრობის პირველ საფეხურს, რომლებიც უშუალოდ არიან დამოკიდებული საქონლის მწარმოებელ საწარმოებზე.

სავაჭრო ბაზები — მსხვილი, ტექნიკურად აღჭურვილი სავაჭრო საწარმოებია, რომლებიც ძირითადადში მომსახურებას უწევენ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს.

სავაჭრო ბაზები განლაგებულია მოხმარების რაიონებში — რესპუბლიკურ, საოლქო და სამხარეო ცენტრებში და ეკუთვნიან მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა სავაჭრო ორგანიზაციითა სისტემას. ისინი საქონელს ღებულობენ საქარხნო-საფაბრიკო საწყობებიდან და საგასაელო ბაზებიდან.

როგორც წესი, საგასაელო და სავაჭრო ბაზებს გააჩნიათ რთული სასაწყობო მეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ რამდენიმე გამოცალკევებულ საწყობს. ამიტომ არის, რომ სტატისტიკა ზღვარდებულს ხდის სასაწყობო მეურნეობისა და ბაზის განკარგულებაში მყოფ ცალკეული საწყობის აღრიცხვას.

სტატისტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბითუმო სავაჭრო საწარმოთა განლაგების დახასიათებას. ამ მიზნით იგი ადგენს სტატისტიკურ ცხრილებს, რომლებშიც მოცემულია საბითუმო საწარმოთა რაოდენ-

ნობა, მათი ტიპები და ზომები რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების მიხედვით. რამდენადაც საბითუმო ვაჭრობა წარმოდგენილია სპეციალიზებული სავაჭრო ორგანიზაციების სახით, ამდენად, მისი ქსელის შესახებ ცხრილები დგება როგორც ცალკეული სპეციალიზებული საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციის, ასევე კრებისითი ცხრილი ყველა საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით.

საბითუმო სავაჭრო ქსელში კონცენტრაცია ხდება სხვადასხვა სამრეწველო საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქტისა. აქ საქონლის სამრეწველო ასორტიმენტი გარდაიქმნება სავაჭრო ასორტიმენტად და წარმოადგენს სასაქონლო მარაგის შექმნისა და შენახვის ძირითად ადგილს. აქედან გამომდინარე საბითუმო ქსელის მდგომარეობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი მიიღწევა საბითუმო ქსელის აღწერებისა და ერთდროული აღრიცხვების გზით.

აღნიშნული იყო, რომ საბითუმო ვაჭრობის საწარმოთა ქსელი წარმოადგენს სასაქონლო მარაგის შექმნისა და შენახვის ძირითად ადგილს თუმცა, ჩვენს რესპუბლიკაში საბითუმო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონის გამო, სასაქონლო მარაგის ძირითადი მასა (დაახლოებით 85%) თავმოყრილია საცალო სავაჭრო ქსელში, რაც იწვევს საცალო ქსელის გადატვირთვას, მიმოქცევის ხარჯების გადიდებას, მომსახურების კულტურის გაუარესებასა და სხვა უარყოფით მოვლენებს. საბითუმო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი მნიშვნელოვანი გაფართოების კვალობაზე საქირო გახდება სასაქონლო მარაგების გადასინჯვა საცალო ქსელში მათი შემცირებისა და საბითუმო რგოლში გადიდების მიმართულებით.

საბითუმო ვაჭრობის საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის დახასიათებისათვის სტატისტიკას გააჩნია მხოლოდ ერთი მაჩვენებელი — სახეზე მყოფი ცალკეული სახის სავაჭრო მოწყობილობა.

თანამედროვე პირობებში ჩვენს რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 2 სპეციალიზებული საბითუმო კანტორა და 5 საბითუმო ბაზა. საბითუმო კანტორებია — „საქბაკალეია“ და „საქხორცკარაქვაჭრობა“; საბითუმო ბაზებია — „საქტანსაცმელვაჭრობა“, „საქქსოვილვაჭრობა“, „საქკულტ-სამეურნეო საქონლით ვაჭრობა“, „საქფეხსაცმელვაჭრობა“, „საქგალანტერია“.

#### § 4. საცალო ვაჭრობის სასაწყობო მოწყობის სტატისტიკა

საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს გააჩნიათ განმანაწილებელი საწყობების ფართო ქსელი, ისინი საქონელს ღებულობენ საბითუმო ვაჭრობის საწარმოებიდან და ანაწილებენ მას



თავის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელზე. საცალო ვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის თავისებურება ისაა, რომ იგი არ არის სასაქონლო ნიშნის მიხედვით სპეციალიზებული, როგორც ამას ადგილი აქვს საბითუმო ვაჭრობაში.

საცალო ვაჭრობაში სასაქონლო საწყობების ორ ტიპს გამოყოფენ:

— საერთო-სასაქონლო საწყობები (სასურსათო, არასასურსათო და შერეული საქონლის);

— სპეციალიზებული საწყობები (ბოსტნეულის შესანახი, მაცივარი, საყინულე სარდაფი, დასამარილებელი, ნავთის შესანახი, ხე-ტყისა და სათბობის, საამშენებლო მასალების).

საცალო სავაჭრო ორგანიზაციებიდან სტატისტიკური ორგანოები ღებულობენ ორ მაჩვენებელს საწყობების ცალკეული ტიპის შესახებ. ეს მაჩვენებლებია: საწყობების საერთო რაოდენობა და მათი სასარგებლო ფართობი; ხოლო სპეციალიზებული საწყობების მიხედვით — საწყობების რაოდენობასა და მათ ტევადობას ტონებში.

სასაწყობო ქსელის შესახებ ანგარიშგება მუშავდება სავაჭრო ორგანიზაციის, ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის მიხედვით. ასეთი ანგარიშგება არ მოიცავს იმ საწყობებს, რომლებიც იმყოფებიან უშუალოდ მალაზიებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან.

სასაწყობო მეურნეობის განვითარება ვაჭრობის სამინისტროს, მუშათა მომარაგების განყოფილებების, სურსათ მომარაგებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ს მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა.

ცხრილი 12.1

(წლის ბოლოსათვის ათას ერთეულებში)

	ს ს რ კ		საქართველოს სსრ	
	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.
საერთო-სასაქონლო და სპეციალიზებული საწყობები	151,4	141,7	2443	2489
მათ შორის:				
1. საერთო-სასაქონლო საწყობები	75,3	76,0	899	905
მათი საერთო ფართობი (ათ. კვ. მეტ.)	24143	28346	243,1	319,2
საწყობის საშუალო ფართობი (კვ. მეტ.)	320,4	373,1		
2. სპეციალიზებული სასაქონლო საწყობი	76,1	65,7	1544	1584
მათი ტევადობა (ათ. ტონ.)	9640	12675	—	—
საწყობის საშუალო ტევადობა (ტონებში)	126,8	192,9		

ცხრილიდან ჩანს, რომ სსრ კავშირში 1975 წელს 1970 წელთან შედარებით საერთო-სასაქონლო და სპეციალიზებული საწყობების საერთო რაოდენობა შემცირდა 6%-ით. შემცირება გამოწვეული იყო საწყობ-

ბების გამსხვილებით. აღნიშნულს მოწმობს ის ფაქტი, რომ საერთო-სასაქონლო საწყობების საერთო ფართობი 1975 წელს 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 17,4 პროცენტით; საწყობის საშუალო ფართობი — 16,4 პროცენტით, ხოლო სპეციალიზებული საწყობების საერთო რაოდენობა შესაბამის წლებში შემცირდა 13,2 პროცენტით, ხოლო მათი საერთო ტევადობა გაიზარდა 31,5 პროცენტით, საწყობის საშუალო ტევადობა კი — 51,8 პროცენტით.

სპეციალიზებული საწყობების ძირითადი ნაწილი მოდის მაცივრებსა, საყინულებსა და სარდაფებზე (დაახლოებით 60%).

1976—1980 წლებში საქართველოს სსრ-ში ექსპლოატაციაში შევიდა მაცივარი 19,1 ათასი ტონა ტევადობის, საერთო-სასაქონლო საწყობები — 21,9 ათ. კვ. მ. ფართობით, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის შესანახი — 40,2 ათ. ტონა ტევადობის.

აღნიშნული სასაწყობო მეურნეობის შექმნა მოხდა ახალი სიმძლავრეების მშენებლობის, არსებულის რეკონსტრუქციისა და გაფართოების ხარჯზე.

თანამედროვე პირობებში საერთო-სასაქონლო საწყობების ქსელის ცვლილებების შესახებ გამოიყენება შემდეგი შინაარსის სპეციალური სტატისტიკური ანგარიშგება.

ცხრილი 12.2

	საწყობების რაოდენობა	საწყობების ფართობი ათ. კვ. მეტ.	საწყობების საშუალო ფართობი კვ. მ.
წლის განმავლობაში გაიზარდა მათ შორის: ახალი მშენებლობის ხარჯზე სხვა სათავსოს შეხამება სხვა ორგანიზაციიდან იჯარით აღება წლის განმავლობაში შემცირება მათ შორის: იჯარის შეწყვეტა ზრდა ყოველ ერთ დაკ. საწყობზე			

ანალოგიურ ანგარიშგებას ახდენს სამომხმარებლო კოოპერაცია.

საცალო სავაჭრო ქსელის სასაწყობო მეურნეობით უზრუნველყოფის მაჩვენებელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასაწყობო მეურნეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელს, რაც ახასიათებს საწყობების რაოდენობისა და მათი ფართობის თანაფარდობას საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობასთან. სასაწყობო მეურნეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი გაიანგარიშება ორ ვარიანტად: საწყობების რაოდენობისა და მათი ფართობის მიხედვით:

1. (საწყობების რაოდენობის მიხედვით)  $= \frac{\text{საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა}}{\text{საწყობების რაოდენობა}}$
2. (ფართობის მიხედვით)  $= \frac{\text{საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა}}{\text{საწყობების ფართობი (კვ. მეტ.)}} \times 1000$

პირველი მაჩვენებელი ახასიათებს საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საშუალო რაოდენობას, რომელიც მოდის ერთ საწყობზე. მაგრამ, ეს მაჩვენებელი პირობითია, რადგან მხედველობაში არ არის მიღებული საწარმოთა ზომები. საწარმოები შესაძლებელია იყოს დიდი და პატარა მოცულობის. ამიტომ გაიანგარიშება მეორე მაჩვენებელიც, რაც ახასიათებს საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საშუალო რაოდენობის ყოველ 1000 კვ. მეტრ სასარგებლო სასაწყობო ფართობზე.

მაგალითად, გაიანგარიშოთ სასაწყობო მეურნეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლები 1940—1978 წლებში ვაჭრობის სამინისტროს მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემების მიხედვით სსრ კავშირში.

$$K_1(1940) = \frac{495,0}{105,0} = 4,7; \quad K_1(1975) = \frac{980,0}{150} = 6,5;$$

$$K_2(1940) = \frac{495,0}{13160,0} \times 1000 = 37; \quad K_2(1975) = \frac{980,0}{40500} \times 100 = 24.$$

საცალო ქსელის სასაწყობო მეურნეობით უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საცალო საქონელბრუნვის საშუალო ზომა, რაც მოდის სასაწყობო ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე, იგი გაიანგარიშება საცალო საქონელბრუნვის მოცულობის გაყოფით სასაწყობო მეურნეობის საერთო ფართობზე. სსრ კავშირში 1940 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 1550 მანეთს (20,4 მილიარდი მანეთი: 13 160 ათ. კვ. მეტრ ფართობზე), 1978 წ., კი — 5133 მანეთს (209 მილიარდი მანეთი : 40500 ათ. კვ. მ.).

#### § 5. საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის ხაზინისტიკა

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს შეადგენს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა.

საცალო სავაჭრო ქსელი წარმოადგენს დიდი რაოდენობის სხვადა-

სხვა ტიპისა და დანიშნულების საწარმოთა ერთობლიობას (მაღაზიები, ფარდულები, პავილიონები და სხვ.). აღნიშნული საწარმოებიდან ძირითადი ნაწილი მუდმივად მოქმედებს, ხოლო მცირე — ფუნქციონირებს ერთი რომელიმე სეზონის განმავლობაში. საწარმოთა ერთი ნაწილი ვაჭრობს ყველა საქონლით, ხოლო ნაწილი — სასურსათო, ან არასასურსათო საქონლით.

საცალო სავაჭრო საწარმოთა კლასიფიკაციას ახდენენ ორი ნიშნის — ორგანიზაციული და სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით.

ორგანიზაციული ნიშნის მიხედვით საცალო სავაჭრო ქსელი იყოფა: სტაციონარულ (მაღაზიები, ფარდულები) და მოძრავ ქსელად (დატარებითი და ჩამოტარებითი ვაჭრობა).

მაღაზია არის ისეთი სავაჭრო საწარმო, რომელსაც აქვს სავაჭრო დარბაზი მყიდველებისათვის, სადაც იყიდება საქონელი. სავაჭრო საწარმო, რომელსაც არ გააჩნია სავაჭრო დარბაზი მყიდველებისათვის, არის ფარდული. უნდა აღინიშნოს, რომ მაღაზიას ფარდულთან შედარებით გააჩნია რიგი უპირატესობანი, რომელთა შორის აღსანიშნავია: დიდი ფართობი, საქონელბრუნვის დიდი მოცულობა, სავაჭრო დარბაზი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ კულტურას. როგორც წესი, მაღაზიები უკეთ არიან აღჭურვილი და გააჩნიათ უკეთესი პირობები საქონლის ნორმალური შენახვისა და კულტურული ვაჭრობისათვის.

საქონლის გაყიდვა მაღაზიებისა და ფარდულების სტაციონარულ ქსელიდან წარმოადგენს საცალო ვაჭრობის ორგანიზაციის ძირითად ტიპს. სტაციონარული ქსელის წილად მოდის საცალო სავაჭრო საწარმოების მთელი რაოდენობის 90-ზე მეტი, მათ შორის მაღაზიების — 73%-მდე.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ში საცალო სავაჭრო ქსელი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით.

ც ხ რ ი ლ ი 12.3

საცალო სავაჭრო ქსელი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ში (წლის ბოლოსათვის)

წლები	ს ს რ კ (ათასი)					საქართველოს სსრ (ერთეული)				
	1950	1970	1975	1977	1978	1950	1970	1975	1977	1978
მაღაზიები	298,4	500,0	521	525,5	528,1	5999	10281	11001	11296	11,4
ფარდულები	117,4	182,0	175,1	170,0	167,8	1873	4938	4151	4158	4,1
სულ	415,8	682,0	696,1	695,5	695,9	7872	15219	15152	15454	15,5

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მთლიანად სსრ კავშირში საცალო სავაჭრო საწარმოთა რიცხვი 1978 წელს 1950 წელთან

შედარებით გაიზარდა 167,4 პროცენტით. მათ შორის მალაზიების — 177,0 და ფარდულების — 142,9 პროცენტით, საქართველოს სსრ-ში კი — სათანადოდ 196,9, 190,0 და 2,2-ჯერ. ამრიგად, საცალო სავაჭრო ქსელის განვითარების ზრდის ტემპები საქართველოს სსრ-ში მნიშვნელოვნად მაღალი იყო სათანადო საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. ამასთან, საქართველოს სსრ-ში წინგამსწრები ტემპებით ვითარდებოდა წვრილი საცალო სავაჭრო ქსელი ფარდულების სახით. ამან გამოიწვია ის, რომ საქართველოს სსრ მალაზიის საშუალო ფართობის მიხედვით 39,4 პროცენტით ჩამორჩა სათანადო საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

მალაზიების რიცხოვნობა და მათი სავაჭრო დარბაზის ფართობი სსრ კავშირსა და საქართველოს სსრ-ში ნაჩვენებია 12.4 ცხრილში.

ცხრილი 12.4

მალაზიების რაოდენობა და მათი სავაჭრო დარბაზის ფართობი სსრ კავშირსა და საქართველოს სსრ-ში (წლის ბოლოსათვის)

წლები	ს ს რ კავშირში			საქართველოს ს ს რ		
	მალაზიების რაოდენობა (ათ. ერთ.)	სავაჭრო ფართობი (მლნ. კვ.მ)	ერთი მალაზიის საშუალო ფართობი (კვ. მ)	მალაზიების რაოდენობა (ათ. ერთ.)	სავაჭრო დარბაზის ფართობი (ათ. კვ. მ)	ერთი მალაზიის საშუალო ფართობი (კვ. მ)
1970	500,0	31,5	62,9	10,3	555,0	53,9
1975	521,0	39,3	75,4	11,0	713,5	64,9
1976	523,0	40,7	77,8	11,1	743,8	67,0
1977	525,5	42,2	80,3	11,3	766,0	67,8
1978	528,1	43,6	82,5	11,5	790	71,5

საცალო სავაჭრო ქსელის განვითარება, როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე საქართველოს სსრ-ში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქონელბრუნვის განვითარების ზრდის ტემპებს. მაგალითად, 1970 წელს 1950 წელთან შედარებით საცალო სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა სსრ კავშირში გაიზარდა 164,2 პროცენტით, 1975 წელს 1970 წელთან შედარებით — 2,1 პროცენტით, 1977 წელს 1975 წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა შემცირებას 0,1 პროცენტით; საცალო საქონელბრუნვა კი სათანადო პერიოდებში გაიზარდა 4,3-ჯერ, 35,6 პროცენტი და 9,6 პროცენტი; საქართველოს სსრ-ში აღნიშნულმა მაჩვენებლებმა შეადგინეს სათანადოდ: 93,3 პროცენტი, შემცირდა — 0,4 პროცენტით, გაიზარდა — 2,0 პროცენტით; გაიზარდა — 3,6-ჯერ, 38,6 და 10,1 პროცენტით.

საცალო სავაჭრო ქსელის შედგენილობის დახასიათებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მის კლასიფიკაციას სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით საცალო სავაჭრო ქსელს ყოფენ ოთხ ტიპად:

1. სასურსათო საქონლის მალაზიები. მათ შორის:
  - ა) სპეციალიზებული, ბ) არასპეციალიზებული;
2. არასასურსათო საქონლის მალაზიები. მათ შორის:
  - ა) სპეციალიზებული, ბ) არასპეციალიზებული;
3. შერეული საქონლის მალაზიები;
4. უნივერსალური მალაზიები.

სასურსათო საქონლის მალაზიებს მიეკუთვნებიან ის სავაჭრო საწარმოები, რომლებიც ვაჭრობენ მხოლოდ სასურსათო საქონლით. ასეთ მალაზიებში დასაშვებია უმნიშვნელო რაოდენობის არასასურსათო საქონლით ვაჭრობა (თამბაქოს ნაწარმი, ასანთი, საპონი). სპეციალიზებული სასურსათო საქონლის მალაზიები შეიძლება იყოს: ხორცის, თევზის, ხილბოსტნეულის, რძის პროდუქტების და ა. შ. სულ დაახლოებით 13 დასახელებს.

არასასურსათო საქონლის მალაზიებს მიეკუთვნებიან ის სავაჭრო საწარმოები, რომლებიც ვაჭრობენ მხოლოდ და მხოლოდ არასასურსათო საქონლით. სპეციალიზაციის მიხედვით არასასურსათო საქონლის მალაზიის დაახლოებით 30-მდე სახეა. მაგალითად, ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საგალანტერიო, ავეჯის, წიგნების, საოჯახო საქონლის და ა. შ.

დიდი მნიშვნელობა აქვს საცალო სავაჭრო საწარმოთა სპეციალიზაციის დონის განსაზღვრას. იგი იანგარიშება სპეციალიზებული მალაზიების რაოდენობის პროცენტული ფარდობით, სპეციალიზებული და არასპეციალიზებული მალაზიათა ჯამთან.

$$\text{სპეციალიზაციის დონე} = \frac{\text{სპეციალიზებული მალაზიების რაოდენობა}}{\text{მალაზიების საერთო რიცხვი}} \times 100$$

სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა მომენტური სიდიდეა და აღირიცხება ერთი რომელიმე თარიღისათვის.

ანგარიშგება სავაჭრო ქსელში ცვლილებებისა და მისი გადიდების წყაროების შესახებ დგება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა წლის დასაწყისში; წლის განმავლობაში მათი ზრდა — სულ. მათ შორის: ახალი მშენებლობისა და საბინაო მშენებლობის პირველ სართულებზე მათი მოწყობით; სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ ვაჭრობისადმი გადაცემულ სათავსოებში სავაჭრო საწარმოების მოწყობა; არადანიშნულებით გამოყენებული შენობებისა და სათავსოების ათვისება; ერთი ტიპის სავაჭრო საწარმოს გარდაქმნა მეორე ტიპის სავაჭრო საწარმოდ; სხვა სავაჭრო ორგანიზაციებიდან მიღება.

წლის განმავლობაში სავაჭრო საწარმოთა რაოდენობის შემცირება — სულ. მათ შორის: ლიკვიდაცია; ერთი ტიპის სავაჭრო საწარმოს გარ-

დაქმნა მეორე ტიპის სავაჭრო საწარმოდ; გადაეცა სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს; ქსელის გამსხვილება; სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა წლის ბოლოს — სულ.

როგორც ჩანს, ანგარიშგება აიგება სავაჭრო ქსელის ცვლილების ბალანსის ფორმით; შემდეგი სქემის მიხედვით: წლის დასაწყისისათვის არსებული სავაჭრო საწარმოთა რაოდენობას მიმატებული წლის განმავლობაში მათი მატება უდრის, წლის განმავლობაში შემცირებას მიმატებული საწარმოთა რაოდენობა წლის ბოლოსათვის. ანგარიშგება დგება ორი მაჩვენებლის — საწარმოთა რაოდენობისა და სავაჭრო დარბაზის ფართობის მიხედვით.

ვაჭრობის მატერიალური-ტექნიკური ბაზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს სავაჭრო ქსელით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე. იგი შეისწავლება სავაჭრო ქსელის სიმჭიდროვის კოეფიციენტის გაანგარიშებით და უდრის სავაჭრო საწარმოთა რაოდენობის შეფარდებას, მოსახლეობის რიცხოვნობას ან ტერიტორიის ფართობთან.

სავაჭრო ქსელის სიმჭიდროვის მაჩვენებელი იანგარიშება შემდეგი სქემის მიხედვით:

$$1. \text{ სავაჭრო ქსელის სიმჭიდროვის მაჩვენებელი მოსახლეობის მიმართ} = \frac{\text{საქალაქო სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა}}{\text{მოსახლეობის საშუალო წლოური რიცხვი}} \times 10000$$

მიღებული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოთა საშუალო რიცხოვნობას, რაც მოდის ყოველ 10 000 მცხოვრებზე;

$$2. \text{ სავაჭრო ქსელის სიმჭიდროვის მაჩვენებელი, ტერიტორიის მიმართ} = \frac{\text{საქალაქო სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა}}{\text{ტერიტორიის ფართობი (კვ. მ)}} \times 1000$$

მიღებული შედეგი გვიხასიათებს საწარმოთა საშუალო რაოდენობას, რაც მოდის ყოველ 1000 კვ. კმ ფართობზე.

მაშასადამე, რამდენადაც მეტი სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა მოდის ყოველ 10000 მცხოვრებზე, ან ყოველ 1000 კმ ფართობზე, იმდენად უკეთესად არის უზრუნველყოფილი მოსახლეობა საქალაქო სავაჭრო ქსელით.

დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ფართობის გამოყენების ეფექტიანობის გაზომვას, რომლის გაანგარიშება შესაძლებელია ქალაქისა და მისი ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, რესპუბლიკისა და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით.

სავაჭრო ფართობის გამოყენების ეფექტიანობის გაზომვის მიზნით

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავიანგარიშოთ სავაჭრო ფართობით მოსახლეობის უზრუნველყოფის კოეფიციენტი. იგი მიიღება შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$K_5 = \frac{S_p S_2}{S_2 H_p},$$

სადაც  $K_5$  — სავაჭრო ფართობით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებელი;

$S_p$  — რაიონის სავაჭრო ფართობი;

$S_2$  — ქალაქის სავაჭრო ფართობი;

$H_2$  — ქალაქის მოსახლეობა;

$H_p$  — რაიონის მოსახლეობა.

აღნიშნული წესით გაანგარიშებული მაჩვენებელი ახასიათებს სავაჭრო ფართობის განაწილებას ქალაქის, რაიონების მიხედვით, მოსახლეობის მხედველობაში მიღებით.

იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მოსახლეობის საშუალო უზრუნველყოფას მივიჩნევთ ერთს ტოლად, მაშინ რაიონების მიხედვით კოეფიციენტი ერთზე მეტი გვიჩვენებს, რომ მოცემული რაიონის მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უკეთ, ვიდრე მთლიანად ქალაქის მოსახლეობა. ხოლო კოეფიციენტი ერთზე ნაკლები გვიჩვენებს, რომ რაიონის მოსახლეობა უზრუნველყოფილია უფრო ნაკლებად, ვიდრე მთლიანად ქალაქის მოსახლეობა.

პრაქტიკაში შეიძლება, რომ რამდენადაც ნაკლებია სავაჭრო ფართობით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე, იმდენად მეტია სავაჭრო დაზღაზის ერთ კვ. მეტრ ფართობზე დატვირთვა. მაშასადამე, სავაჭრო ფართობის გამოყენების ეფექტიანობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია მოსახლეობის სავაჭრო ფართობით უზრუნველყოფასთან. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მომხმარებელთა რიცხოვნობის დადგენას, რომელსაც მოემსახურება სავაჭრო ქსელი. იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით (ამ შემთხვევაში მხედველობის გარეშეა დატოვებული ქალაქის გარეშე მცხოვრები მოსახლეობა, ქალაქის გარეშე მოთხოვნა).

$$H_{06} = \frac{T_p \cdot H_r}{T_r},$$

სადაც  $H_{06}$  — მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელსაც ფაქტიურად მოემსახურება სავაჭრო ქსელი;

$T_p$  — რაიონის საქონელბრუნვა;

$T_r$  — ქალაქის საქონელბრუნვა;

$H_r$  — ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა.



თუ მიღებულ მაჩვენებელს გამოვაკლებთ მოცემულ რაიონის მოსახლეობას, მიღებულ სხვაობას (+) იქნება სხვა რაიონის მოსახლეობა, რომელსაც მოემსახურება მოცემული რაიონის სავაჭრო ქსელი, ხოლო (-) სხვა რაიონის სავაჭრო ქსელში წასული მოცემული რაიონის მოსახლეობა.

აღნიშნული წესით გაანგარიშებული მაჩვენებელი არ შეიძლება გამოვიყენოთ სავაჭრო ფართობის გამოყენების ეფექტიანობის საზომად. ამიტომ, საჭირო ხდება მოსახლეობის ნაკადის ინტენსივობის გაანგარიშება. მოსახლეობის ნაკადის ინტენსივობა ქალაქის მოსახლეობის მიხედვით გაიზომება შეფარდებითი მაჩვენებლით, რომელიც ახასიათებს რაიონში მოსახლეობის შემოსავლის, ან რაიონიდან მოსახლეობის გასავლის ხარისხს.

რაიონში მოსახლეობის შემოსავლის, ან რაიონიდან მოსახლეობის გასავლის ინტენსივობის კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_u = \frac{H_{06}}{H_p} = \frac{P_p \cdot H_r}{H_r \cdot H_p}$$

სადაც  $K_u$  — ინტენსივობის კოეფიციენტი;

$H_{06}$  — მოსახლეობა, რომელსაც ფაქტიურად მოემსახურება სავაჭრო ქსელი;

$H_p$  — რაიონის მოსახლეობა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (12.5) ნაჩვენებია ქ. თბილისის რაიონების მიხედვით ხილბოსტნეულით მოვარე ქსელით მოსახლეობის უზარუნველყოფის მაჩვენებლები.

ც ხ რ ი ლ ი 12.5

ცხრილი შედგენილია ქ. თბილისში ხილბოსტნეულით ვაჭრობის მაგალითზე 1978 წლის მონაცემებს მიხედვით

რაიონების დასახელება	სავაჭრო ფართობი (კვ.მ.)	საქონლობა (ათ. მან.)	მოსახლეობა (ათ. კაცი)	ფაქტიურად მომსახურ. მოსახლეობ. რიცხვი (ათ. კაცი)	მიღებული ნაკადი მოდიანა+გაღივბა— (ათ. კაცი)	შეღვემლა ნაკადის ინტენსივობის კოეფიციენტი	სავაჭრო ფართობით მოსახლეობის უზარუნველყოფის კოეფიციენტი	ერთ კვ. მ. ფართობზე საკონტინენტო (ათ. მან.)
ლეჩხუმის რაიონი	1202	51—4,5	204,0	189,0	-15,0	0,93	0,82	4,25
პირველი მაისის რ-ნი	691	3234,0	122,9	119,6	-3,3	0,97	0,78	4,68
ოქტომბრის რაიონი	734	2425,4	99,7	89,7	-10,0	0,90	1,03	3,30
კალინინის რაიონი	852	1524,3	94,8	56,4	-38,4	0,59	1,26	1,79
კობახიძის რაიონი	754	3173,0	67,2	117,4	+50,2	1,75	1,57	4,21
ორჯონიძის რაიონი	1828	4517,7	206,3	167,1	-39,2	0,81	1,24	2,47
26 კომისარის სახ. რ-ნი	669	4243,5	117,1	157,1	+39,9	1,34	0,80	6,34
საქარხნო რაიონი	636	3602,5	117,4	133,3	+15,9	1,14	0,76	5,66
ს უ ლ	7366		1029,4					

განვითარებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელია მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საზოგადოებრივად ორგანიზებული ფორმები. მათ შორის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ეკუთვნის საზოგადოებრივ კვებას.

საზოგადოებრივი კვება არის ვაჭრობის ერთ-ერთი დარგი, სადაც ორგანულად არის შერწყმული სამი სახის პროცესი — შუა საკვების წარმოება, რეალიზაცია და მისი ადგილზე მოხმარება. საზოგადოებრივ კვებას გააჩნია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ფართო ქსელი, რომლის კლასიფიკაცია გულისხმობს საწარმოთა შემდეგი ჯგუფების გამოყოფას: 1) დამამზადებელი საწარმოები, რომელთა დანიშნულებაა ნახევარფაბრიკატების წარმოება სასადილოების, კაფეების, სასაუზმეების, რესტორნების მოსამარაგებლად; 2) საწარმოები, რომლებიც ნახევარფაბრიკატებისაგან ამზადებენ კულინარულ ნაწარმს და ახდენენ მის რეალიზაციას მომხმარებელზე; 3) საწარმოები, რომლებიც ერთმანეთს უხამებენ პირველ და მეორე ოპერაციას, ე. ი. ახორციელებენ ნედლეულის გადამუშავებას შუა კერძებად და უკეთებენ მას რეალიზაციას. თითოეული ჯგუფი შედგება სხვადასხვა ტიპის საწარმოებისაგან. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ტიპიზაციის ძირითადი ნიშანი არის საწარმო-საეაქრო საქმიანობა და სიმძლავრე.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ძირითადი ტიპი არის სასადილო და რესტორანი, რომლებიც აერთიანებენ საკვების წარმოებასა და მოსახლეობაზე მის უშუალო რეალიზაციას. მათ გააჩნიათ სამზარეულო საკუთარი წარმოების პროდუქციის მოსამზადებლად; სასადილო დარბაზი, რომელშიც ხდება კერძების რეალიზაცია და ბუფეტი, რომლის მეშვეობითაც ძირითადში იყიდება ნაყიდი საქონელი და საკუთარი წარმოების პროდუქტები საუზმისათვის. სასადილოს მიეკუთვნება საჩაიე, რომელსაც აქვს სამზარეულო სადილისა და საუზმის პროდუქციის მოსამზადებლად. სასაუზმე საზოგადოებრივი კვების საწარმოა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მომარაგებას ცხელი და ცივი საუზმის პროდუქტებით. სასაუზმეს მიეკუთვნება: ბუფეტები, კაფეები, სამწვადეები, საპილმენეები, სახინკლეები და ა. შ.

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან დგინდება, რომ 1980 წელს 1950 წელთან შედარებით საქართველოს სსრ-ში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი გაიზარდა — 3,1-ჯერ, მათ შორის სასადილოების, რესტორნებისა და საჩაიეებისა — 3,3-ჯერ, ხოლო სასაუზმეებისა და ბუფეტების 3,0-ჯერ.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სიდიდის, სიმძლავრის მაჩვენებლად გამოიყენება ადგილთა რაოდენობა (აღრე დასაჯლომ ადგილებს უნიშნაედნენ) და საქონელბრუნვის მოცულობა წლის IV კვარტალში.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სიმჭიდროვის მაჩვენებელი იან-

საზოგადოებრივი კვების ქსელი საწარმოთა ძირითადი ტიპების მიხედვით (წლის ბოლოხაზებს)

	ს ს რ კ ა ვ შ ი რ შ ი ( ა თ . ე რ თ ე უ ლ ი )					ს ა ქ ა რ თ ე უ ლ ო ს ს ს რ ( ე რ თ ე უ ლ . )				
	1950	1970	1975	1977	1978	1950	1970	1975	1977	1978
ს უ . ლ . . . . .	95,4	237,3	274,5	286,2	292,1	2264	5842	6623	7083	7200
მათ შორის:										
ა) ფაბრიკა სამზარეულო . . . . .	0,092	0,217	0,237	0,237	0,250	—	3	3	3	3
ბ) სასადილო რესტორანი, საჩაიე . . . . .	39,9	131,1	164,1	175,7	182,3	1120	2982	3394	3680	3707
ვ) სასაუზმე . . . . .	55,4	106,0	110,2	110,3	109,5	1144	2857	3226	3400	3490

გარიშება ყოველ 10000 მცხოვრებზე და ტერიტორიის ყოველ 1000 კვ. მეტრზე.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საწარმოთა გეგმაზომიერი აღჭურვა ტექნოლოგიური, სამაცივრო, სავაჭრო მოწყობილობით და მათი სისტემატური სრულყოფა.

ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში ტექნიკური პროგრესი ნიშნავს პრინციპულად ახალი შრომის იარაღების გამოყენებას, საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას და ავტომატიზაციას, მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლებასა და კერძების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას, მართვის ავტომატიზაციას.

სავაჭრო მოწყობილობას ყოფენ შემდეგ ძირითად ჯგუფებად: სამაცივრო, თბური, მექანიკური, სალაროსა და ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობა. სტატისტიკის ამოცანაა აღნიშნული ძირითადი ფონდებით სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის უზრუნველყოფის დონის დახასიათება.

სავაჭრო მოწყობილობის დახასიათების დროს განასხვავებენ: დადგმული (დამონტაჟებული) და დაუდგმელ-არდადგმულ (დაუმონტაჟებელ) მოწყობილობას. დადგმულს მიაკუთვნებენ იმ მოწყობილობას, რომელიც დამონტაჟებულია სამუშაო ადგილზე, შეერთებულია ელექტრო ქსელთან ან წყალგაყვანილობასთან და ა. შ. დადგმულ მოწყობილობიდან ცალკე გამოყოფენ მომქმედ და რემონტში მყოფ მოწყობილობას. არდადგმულს (დაუმონტაჟებელს) მიაკუთვნებენ იმ მოწყობილობას, რომელიც დამონტაჟების პროცესში იმყოფება, აგრეთვე — სათადარიგო მოწყობილობას საწარმოში. დადგმულ და არდადგმულ მოწყობილობათა თანაფარდობა ახასიათებს გამოუყენებელ მოწყობილობათა რეზერვს, ან მოწყობილობათა გამოყენების ხარისხს.

$$\text{მოწყობილობის გამოყენების ხარისხი} = \frac{\text{დადგმულ მოწყობილობათა მთელი რაოდენობა}}{\text{დადგმულ და დაუდგმელ მოწყობილობათა ჯამი}} \times 100$$

$$\text{დადგმულ მოწყობილობათა გამოყენების ხარისხი} = \frac{\text{მოქმედ მოწყობილობათა მთელი რაოდენობა}}{\text{დადგმულ მოწყობილობათა მთელი რაოდენობა}} \times 100.$$

სასურსათო საქონლით ვაჭრობის სამაცივრო მოწყობილობით უზრუნველყოფის დახასიათების მიზნით ანგარიშობენ სიცივის კოეფიციენტს. იგი იანგარიშება შემდეგი სქემის მიხედვით:

$$\text{სიცივის კოეფიციენტი} = \frac{\text{საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ სამაცივრო მოწყობილობა}}{\text{საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ვაჭრობენ მალფუჰადი საქონლით}} \times 100.$$

გარდა აღნიშნულისა სტატისტიკა ანგარიშობს სამაცივრო მეურნეობის ტექნიკურ დონეს. იგი იანგარიშება:

$$\text{სამაცივრო მოწყობილობის ტექნიკური დონე} = \frac{\text{საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილნი არიან მანქანური, სამაცივრო მოწყობილობით}}{\text{საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილნი არიან ყოველგვარი სახის სამაცივრო მოწყობილობით, მათ შორის უმარტივესი}} \times 100.$$

## ლიტერატურა

1. კ. შარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954.
2. კ. შარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1957.
3. ვ. ი. ლენინი, დიდი თაოსნობა, თბ., ტ. 29.
4. სკკპ XXVI ყრილობის მასალები, 1981.
5. Статистика торговли с элементами математической статистики, под ред. Н. К. Дружинина, 1979.
6. Н. Н. Рязов, Н. П. Тителбаум, Статистика торговли, 1976 г.
7. И. Ф. К а т а л ь н и к о в, Статистика советской торговли, 1971.
8. А. И. Харламов, И. А. Ионсен, Г. А. Ларюшкина, Статистика советской торговли, 1977.
9. И. К. Белявский, Статистика колхозной торговли, 1962.
10. Экономическая статистика, под ред. М. Г. Назарова и Н. Н. Рязова, 1978 г.
11. Экономическая статистика, под ред. А. И. Петрова, 1976.
12. Экономическая статистика, под ред. Е. Н. Фреймунда и М. Р. Эйдельмана, 1976.
13. Практикум по экономической статистике, руковод. авторского коллектива Н. Н. Рязов, 1977.
14. Сборник задач по экономической статистике, руководитель коллектива Л. М. Гольдберг, 1975.
15. И. К. Белявский, Е. А. Бозина, Д. Н. Рязов, Сборник задач по статистике торговли, 1980.
16. Сборник задач по экономической статистике, под ред. К. В. Решетникова, 1977.
17. А. М. Гольдберг, Ф. Г. Долгушевский, Л. М. Крамаровский, Л. П. Олесевич, Сборник задач по статистике отдельных отраслей народного хозяйства, 1980.
18. ვ. ა. ო მ ი ა ძ ე, ვაჭრობის სტატისტიკის საკითხები, 1965.
19. Экономическая статистика, под ред. А. Я. Боярского и Ясина, 1980.
20. Экономика торговли, под ред. Покровского, 1980.
21. Н. И. Казарская, Ю. В. Лобовиков, Г. Я. Чистов, Экономика торгового предприятия, 1978.
22. М. И. Баканов, Экономический анализ в торговле, 1968.
23. Народное хозяйство СССР за 1975—1980 гг., статистический сборник.
24. ა. ქ უ რ დ ი ვ ა ნ ი ძ ე, ვაჭრობის ეკონომიკის აქტუალური პრობლემები, თბ., 1981 წ.
25. В. К. Нефедов, Статистическое наблюдение спроса, М., 1972.
26. В. Шиманский, Я. Орлов, Торговля и благо народа, М., 1977.
27. В. И. Иваицкий, В. К. Задорожный, Н. В. Земнуховский, Р. В. Максименко, Я. С. Столяров, Экономика советской торговли, М., 1977.
28. Группа авторов под ред. Е. С. Васильева, Экономика общественного питания, М., 1977.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

<b>წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა</b>	<b>3</b>
<b>თ ა ვ ი I. ვაჭრობის სტატისტიკის ხაგანი, მეთოდი და ამოცანები</b>	<b>5</b>
§ 1. ვაჭრობის სტატისტიკის ხაგანი და მეთოდი	5
§ 2. ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანები	9
§ 3. ერთობლიობის, დაკვირვებისა და ანგარიშსწორების ერთეული ვაჭრობის სტატისტიკაში	11
<b>თ ა ვ ი II. საქონელბრუნვის სტატისტიკის ძირითადი კატეგორიები და მაჩვენებლები</b>	<b>13</b>
<b>თ ა ვ ი III. საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა</b>	<b>29</b>
§ 1. საბითუმო საქონელბრუნვის ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები	29
§ 2. სახელმწიფო სასაქონლო რესურსების საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა	32
§ 3. საქონლის საბაზრო ფონდების მიწოდების სტატისტიკა	35
§ 4. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის სტატისტიკა	39
§ 5. საქონლის საბაზრო ფონდების ინდექსები	42
§ 6. საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი	43
§ 7. საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო უზრუნველყოფის ბალანსი	46
§ 8. საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებში	48
<b>თ ა ვ ი IV. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკა</b>	<b>50</b>
§ 1. საცალო საქონელბრუნვის ეკონომიკური შინაარსი და სტატისტიკის ამოცანები	50
§ 2. საცალო ქსელის საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკა	52
§ 3. საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის სტატისტიკა	62
§ 4. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვისა და პროდუქციის სტატისტიკა	70
§ 5. საცალო საქონელბრუნვის კრებსითი სტატისტიკა	81
<b>თ ა ვ ი V. სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის სტატისტიკა</b>	<b>86</b>
§ 1. სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა და სტატისტიკის ამოცანები	86

§ 2. სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობის შესწავლა	88
§ 3. რეალიზებული მოთხოვნის შესწავლა	91
§ 4. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შესწავლა	92
§ 5. მოთხოვნის ელასტიკურობა მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ცვლილებასთან დაკავშირებით	96
§ 6. ანკეტური გამოკითხვა	101
§ 7. ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშება	105
თ ა ე ი VI. სასაქონლო მარაგისა და საქონელბრუნვის სისწრაფის ხტატისტიკა	107
§ 1. სასაქონლო მარაგის არსი, მარაგის სახეები და სტატისტიკის ამოცანები	107
§ 2. სასაქონლო მარაგის აღრიცხვა	109
§ 3. სასაქონლო მარაგის დინამიკის მაჩვენებლები	110
§ 4. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები	115
§ 5. საქონელბრუნვის სისწრაფის დანამიკა	124
თ ა ე ი VII. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ხტატისტიკა	139
§ 1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები	139
§ 2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფორმები ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე	143
§ 3. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაცია	147
§ 4. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დინამიკა და მისი განსაზღვრის მეთოდები	152
§ 5. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მონაცემთა ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი	157
თ ა ე ი VIII. საკომლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ხტატისტიკა	162
§ 1. საკომლმეურნეო ვაჭრობა, როგორც საბჭოთა ვაჭრობის ერთ-ერთი ფორმა და სტატისტიკის ამოცანები	162
§ 2. საკომლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკის ორგანიზაცია	164
§ 3. ფასების აღრიცხვა საკომლმეურნეო ბაზარზე	167
§ 4. საკომლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკის მასალების კონტროლი და თავმოყრა	168
§ 5. საკომლმეურნეო ბაზრებზე საქონლის რეალიზაციის მოცულობის შესახებ მასალების ანალიზი	171
§ 6. საკომლმეურნეო ვაჭრობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვის საერთო მოცულობის განსაზღვრა	171
§ 7. საკომლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის პროგნოზირება	172
თ ა ე ი IX. ფასების ხტატისტიკა	174
§ 1. საცალო ფასთა სისტემა	174
§ 2. ფასების საშუალო დონის გაანგარიშება	183
§ 3. ფასების დონეთა დინამიკა	187
§ 4. ფასების ცვალებადი და ფიქსირებული შედგენილობის ინდექსები	199
§ 5. მანეთის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსები	202

თ ა ვ ი X. მიმოქცევის ხარჯებისა და რენტაბელობის სტატისტიკა	206
§ 1. მიმოქცევის ხარჯების ცნება და სტატისტიკის ამოცანები	206
§ 2. მიმოქცევის ხარჯების შედგენილობა და სტრუქტურა	209
§ 3. მიმოქცევის ხარჯების სტატისტიკის მაჩვენებლები	214
§ 4. მიმოქცევის ხარჯების დინამიკის ანალიზი	223
§ 5. მოგება და რენტაბელობა საბჭოთა ვაჭრობაში	233
თ ა ვ ი XI. შრომისა და ხელფასის სტატისტიკა	242
§ 1. შრომის სტატისტიკის ამოცანები	242
§ 2. მუშაკთა რიცხოვნობისა და შემადგენლობის სტატისტიკა	243
§ 3. შრომის ანაზღაურებისა და ხელფასის ფონდის სტატისტიკა	248
§ 4. შრომის ნაყოფიერება საბჭოთა ვაჭრობაში	257
თ ა ვ ი X <sup>2</sup> . საბჭოთა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტატისტიკა	274
§ 1. ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა და სტატისტიკის ამოცანები	274
§ 2. დამზადების ქსელის სტატისტიკა	276
§ 3. საბითუმო ქსელის სტატისტიკა	276
§ 4. საცალო ვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის სტატისტიკა	278
§ 5. საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის სტატისტიკა	281
ლი ტ ე რ ა ტ უ რ ა	291



გამომცემლობის რედაქტორი დ. მანჯგალაძე  
ტექნიკური რედაქტორი ა. ოშიაძე  
კორექტორი ც. კვანტალიანი

სბ 850

გადაეცა წარმოებას 5.07.82. ხელმოწერილია დასაბუქლად 17.06.83.  
უე 03865. საბუქლი ქაღალდი 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბუქლი თაბახი  
18,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 17,32. ტირაჟი 2 000. შ.ე.ე. № 2348  
ფასი 90 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета.  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭ-  
რობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ.  
წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государ-  
ственного комитета Грузинской ССР по делам издательства,  
полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.